# სარჩევი


**შესავალი.**

**ნაწილი I. წმ. დიმიტრი ბერძნულ ლიტერატურაში.**

**თავი 1. წმ. დიმიტრის კულტი.**

1.1. წმ. დიმიტრის წარმომავლობა.

1.2. წმ. დიმიტრის ნაწილები.

1.3. დასკვნა.

**თავი 2. წმ. დიმიტრის კულტთან დაკავშირებული თხზულებები ბერძნულ ლიტერატურაში.**

2.1. «წამება".

2.2. წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციების დათარიღების ინტერპრეტაციისათვის.

2.3. წმ. დიმიტრის «სასწაულები".

*2.3.1. წმ. დიმიტრის «სასწაულების" პირველი ციკლი.*

*2.3.2. წმ. დიმიტრის «სასწაულების" მეორე ციკლი.*

*2.3.3. წმ. დიმიტრის «სასწაულების" მესამე ციკლი.*

*2.3.4. წმ. დიმიტრის სასწაულების ლათინური ციკლი.*

2.4. დასკვნა.

**ნაწილი 2. წმ. დიმიტრი ძველ ქართულ ლიტერატურაში.**

**თავი 1. წმ. დიმიტრის «წამება".**

1.1. ხელნაწერები.

*1.1.1. H 341.*

*1.1.2. SIN. 80.*

1.2. «წამების" ტექსტის სტრუქტურა

*(ცხრილი 1).*

*1.2.1. იმპერატორ მაქსიმიანესა და დიმიტრის შეხვედრა.*

*1.2.2. წმ. დიმიტრის მოწამეობრივი აღსასრული.*

*1.2.3. იმპერატორის სიკვდილი.*

*1.2.4. წმ. დიმიტრის მირონმდინარების სასწაული.*

1.3. წმ. დიმიტრის «წამების" ქართული სვინაქსარული რედაქცია.

1.4. დასკვნა.

**თავი 2. წმ. დიმიტრის «სასწაულები".**

2.1. ხელნაწერები.

2.2. ტექსტის სტრუქტურული ანალიზი

*(ცხრილი 2).*

2.3. სასწაულები, რომლებიც არ არის ქართულ თარგმანში.

2.4. სასწაულები, რომლებიც არ არის ბერძნულ ტექსტში.

*ქვრივის შვილის აღდგინება.*

*კაცნი კალადიიდან.*

*«ღელვა გუემულთათჳს"*

*გემი ქარიშხალში*

*«სასწაული მოხარკეთათჳს".*

*«სასწაული ავართათჳს, თავი ი~ე.*

*ურწმუნოს დასჯა.*

2.5. ისტორიული სინამდვილის ასახვა.

*2.5.1. იოანე თესალონიკელი – ავტორი და თვითმხილველი.*

*2.5.2. სასწაულების ე.წ. «სეპარატისტული" ხასიათი.*

*2.5.3. წმ. დიმიტრის წარმომავლობა.*

*2.5.4. წმ. დიმიტრის ნაწილები და სალხინობელი.*

*2.5.5. წმ. დიმიტრის ნაწილების მირონმდინარება*

*მირონმდინარების სასწაულის დათარიღებისათვის*

*მირონის შემადგენლობა.*

*2.5.6. სხვა ისტორიული დეტალები.*

2.6. დასკვნა.

**თავი 3. წმ. დიმიტრის «შესხმა".**

3.1. ხელნაწერები.

3.2. წმ. დიმიტრის «შესხმა" ბერძნულ ლიტერატურაში.

3.3. წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ტექსტის კომპოზიცია.

*(ცხრილი 3)*

3.4. წმ. დიმიტრი და წმ. კვიპრიანე.

3.5. წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ვერსიის ბერძნულ-ქართული წყაროები.

3.6. «შესხმის" სავარაუდო მთარგმნელი.

3.7. «შესხმის" დათარიღება.

3.8. «შესხმის" ავტორ-შემდგენელი.

3.9. დასკვნა.

**ნაწილი 3. ორატორული ხელოვნება წმ. დიმიტრის ქართულ ციკლში.**

**თავი 1. ჰაგიოგრაფიული პარადიგმები.**

1.1. შესავალი.

1.2. მტარვალი და მოწამე.

1.3. დიდაქტიკური მოტივი.

**თავი 2. რიტორიკული ხერხები ჰაგიოგრაფიაში.**

**თავი 3. დასკვნა.**

**ძირითადი დასკვნები.**

**ბიბლიოგრაფია.**

# შესავალი

ქართულად ნათარგმნი ბიზანტიური ლიტერატურა და თარგმანის მეთოდები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ქართულ მეცნიერებაში. ქართულ ღვთისმსახურებაში გამოყენებული ერთ-ერთი პირველი თხზულებები ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული თხზულებების უადრესი თარგმანები იყო. მას შემდეგ ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურაში პარალელურად ხდებოდა ორიგინალური სასულიერო მწერლობის განვითარება, ბერძნული და აღმოსავლური ენებიდან ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა. ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია საყურადღებოა როგორც ქართული სასულიერო მწერლობისა და საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესების, ასევე ბიზანტიური ლიტერატურის მრავალი საკითხის გასარკვევად. ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია ზოგიერთ შემთხვევაში შეიცავს უნიკალურ ცნობებს, რაც არ არის დაცული არც ერთ სხვა წყაროში, რაც ქართულ თარგმანებს დიდ მეცნიერულ ღირებულებას ანიჭებს ბიზანტინოლოგიისათვის. ერთი ასეთი შემთხვევაა წმ. დიმიტრი თესალონიკელის ქართული ჰაგიოგრაფიული ციკლი (X საუკუნის ბოლო).

წმ. დიმიტრი თესალონიკელი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანია. ბიზანტიურ ლიტერატურაში მოიპოვება წმ. დიმიტრის შესახებ შექმნილი ნაწარმოებების დიდი რაოდენობა.[1] ეს თხზულებები იყოფა სამ ძირითად ნაწილად: წამება, სასწაულები და შესხმები. ამათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია შესხმები, რომელთა არასრული რაოდენობაც 40-ს აღემატება.

ძველ ქართულ ლიტერატურაში წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებებიდან ცნობილია შემდეგი: ა) ეფთვიმე ათონელის (X ს.) მიერ ნათარგმნი წმ. დიმიტრის «წამება" და «სასწაულები",[2] ბ) გიორგი მთაწმიდელის (XI ს.) მიერ თარგმნილი წმ. დიმიტრის «წამების" სვინაქსარული რედაქცია,[3] გ)

---

[1] Halkin, 1957, BHG, pp. 152-162, № 496-547.

[2] კეკელიძე, 1980, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 207; გაბიძაშვილი, 2004, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 173-174.

[3] კეკელიძე, 1980, გვ. 226; გაბიძაშვილი, 2004, გვ. 174-175.

წმ. დიმიტრის «შესხმა", რომელიც ქართული ხელნაწერული ტრადიციით, მიეწერება გრიგოლ ღვთისმეტყველს, ხოლო მის ქართულად გადმომღებლად მიჩნეულია დავით ტბელი (XI ს.-ის პირველი მეოთხედი),[4] დ) ეფრემ მცირის (XI ს.) მიერ თარგმნილი წმ. დიმიტრის «წამების" მეტაფრასული რედაქცია.[5] ამ თხზულებებიდან წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ყველას, «წამების" მეტაფრასული რედაქციის ეფრემ მცირისეული თარგმანის გამოკლებით. ასეთი არჩევანი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეფრემის თარგმანი დიდი სიზუსტით მიყვება ბერძნულ ორიგინალს და წმ. დიმიტრის კულტის ჩამოყალიბების თუ მის კულტთან დაკავშირებული თხზულებების ტექსტების ისტორიისათვის საინტერესო მონაცემებს არ შეიცავს. ამიტომ ეფრემის თარგმანს ამ ნაშრომის ფარგლებში არ შევეხებით.

ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში წმ. დიმიტრი თესალონიკელთან დაკავშირებული თხზულებების ქართული თარგმანები გამოქვეყნებული და შესწავლილი არ არის. ამ თარგმანთა ტექსტები გადმოწერილია კ. კეკელიძის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, ნინო ნატრაძის მიერ. წინამდებარე ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ არსებული გამოკვლევები (ც. ქურციკიძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩიკვატია, ლ. ხოფერია და სხვები). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქ. ბეზარაშვილის მონოგრაფია, სადაც ძირითადად გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიების ქართული თარგმანების და დამატებით, სხვა ავტორების თარგმანების საფუძველზე წარმოდგენილია ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდების კომპლექსური კვლევა.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში წმ. დიმიტრი თესალონიკელის კულტი და მასთან დაკავშირებული თხზულებები ფართოდ არის შესწავლილი. გამოცემულია წმ. დიმიტრის «წამების" ბერძნული და ლათინური ტექსტები. P. LEMERLE-მ გამოსცა წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ორი ციკლის დადგენილი ტექსტები კომენტარებით. წმ. დიმიტრის კულტის შექმნისა და განვითარების და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა

[4] კეკელიძე, 1980, გვ. 181; გაბიძაშვილი, 2004, გვ. 174.
[5] კეკელიძე, 1980, გვ. 261; გაბიძაშვილი, 2004, გვ. 174.

საკითხზე მონოგრაფიები და სტატიები გამოცემული აქვთ შემდეგ მეცნიერებს: H. DELEHAYE, P. LEMERLE, 👍📬 💣□♋&♓❒⧫⌘♒✂📭 ☝📬 💧⬥⧫♒❒♓❖□◆📭 M. VICKERS, J. SKEDROS, V. POPOVIC და სხვ. მთელი ეს ლიტერატურა გათვალისწინებული და განხილულია სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომის ძირითადი მიზანია წმ. დიმიტრი თესალონიკელთან დაკავშირებული თხზულებების ქართული თარგმანების («წამება”, «სასწაულები”, «შესხმა”) ყოველმხრივი ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შესწავლა; არსებული თხზულებების და მათი თარგმანების საფუძველზე წმ. დიმიტრის კულტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებისა და თავისებურებების გამოვლენა როგორც ბიზანტიურ, ასევე ქართულ სამყაროში; ეფთვიმე ათონელის მიზანდასახულობის წარმოჩენა ჰაგიოგრაფიული თხზულებების, კერძოდ, წმ. დიმიტრის ციკლის თხზულებების თარგმნისას; იმის ჩვენება, თუ რა საშუალებებით მოხდა ამ მიზანდასახულობის განხორციელება თარგმანში. ნაშრომის მიზანია აგრეთვე გამოავლინოს წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების თარგმანების წყაროები და მათ საფუძველზე წარმოაჩინოს ბერძნულ სამყაროში წმ. დიმიტრის კულტის განვითარების ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მასალა.

# ნაწილი I
# წმ. დიმიტრი ბერძნულ ლიტერატურაში

## თავი 1
## წმ. დიმიტრის კულტი

### 1.1. წმ. დიმიტრის წარმომავლობა

წმ. დიმიტრი თესალონიკელის წამების ამბავი პირველადი სახით ჩამოყალიბდა VII საუკუნის დასაწყისში. არსებობს წმინდანის წამების ამბის რამდენიმე ვერსია – ე. წ. მოკლე (თავდაპირველი ანუ კიმენური), შუალედური და მეტაფრასული. მართალია, ამ რედაქციებში ისტორიული თარიღები არსად არის, მაგრამ სამივე ტექსტი ერთნაირად მიგვითითებს, რომ წმ. დიმიტრი ეწამა იმპერატორ გალერიუს მაქსიმიანეს თესალონიკში ყოფნის დროს. სპარსელების წინააღმდეგ 297–298 წწ.-ში წარმოებული წარმატებული ბრძოლის შემდეგ გალერიუსს გადაეცა იმპერიის დანუბეს რეგიონის პროტექტორატი. თავის სამყოფელ რეზიდენციად გალერიუსმა აირჩია თესალონიკი. იმპერატორის ზარაფხანამ თესალონიკში დაიწყო ფულის წარმოება 299 წელს და ფუნქციონირებდა 303 წლამდე[6]. ამავე პერიოდში აშენდა იმპერატორისთვის განკუთვნილი სასახლე და რამდენიმე სხვა შენობა, მათ შორის იუპიტერისადმი მიძღვნილი ტაძარი (როტონდა) და გალერიუსის მიერ სპარსელებზე გამარჯვების აღსანიშნავად აღმართული ტრიუმფალური არკა. სხვა არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს, რომ გალერიუსი 299-303 წლებში ნამდვილად იმყოფებოდა თესალონიკში[7]. ქალაქიდან წასვლის შემდეგ 308 წელს გალერიუსი კვლავ დაბრუნდა თესალონიკში, თავის საიმპერატორო რეზიდენციაში, და

---

[6] Barnes, 1982, The New Empire, p. 62, n. 72.
[7] იქვე, pp. 61-62.

გარდაცვალებამდე (311 წ.) იქ დარჩა.[8] საფიქრებელია, რომ წმ. დიმიტრის წამების ამსახველი ჩანაწერი ეხება 303-308 წლებში თესალონიკში გალერიუსის ერთ-ერთ ჩასვლას, ვინაიდან ტექსტში დაფიქსირებულია, რომ გალერიუსმა გაიარა ქალაქი, იქ დარჩენაზე კი არაფერია თქმული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წმ. დიმიტრის წამება არ მოხდებოდა ქრისტიანთა დევნის შესახებ დიოკლეტიანესა და გალერიუსის პირველი ედიქტის გამოცემამდე, რომელიც თარიღდება 303 წლის 24 თებერვლით. შესაძლოა, წმ. დიმიტრი ეწამა 304 წლის ადრე გაზაფხულზე მას შემდეგ, რაც გამოიცა საერთო განკარგულება, რომლის მიხედვითაც ყველა ქრისტიანი, ვინც წარმართულ კერპებს თაყვანს არ სცემდა, სიკვდილით დაისჯებოდა. 304 წლის 1[ლი] აპრილით არის დათარიღებული თესალონიკში სამი ქრისტიანი ქალის წამება[9], რაც გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში თესალონიკში ედიქტი უკვე ძალაში იყო შესული. ამის საფუძველზე სავარაუდოა, რომ წმ. დიმიტრის წამება მოხდა 304-308 წლებში.

წმ. დიმიტრის ხსენება დაწესდა 26 ოქტომბერს. ცნობას ამის შესახებ პირველად ვხვდებით თესალონიკელი არქიეპისკოპოსის, იოანეს მიერ შექმნილ წმ. დიმიტრის სასწაულების კოლექციაში[10]. არის თუ არა ეს დღე წმინდანის წამების დღე, ძნელი სათქმელია. მეცნიერთა აზრი ამ საკითხის შესახებ სხვაობს. J. C. LAWSON-ის აზრით, წმ. დიმიტრის კულტი წარმოადგენს წარმართ ქალღმერთ დემეტრას კულტის გაგრძელებას და 26 ოქტომბერი წარმოაჩენს წმ. დიმიტრის კულტის კავშირს აგრარულ კულტურასთან[11]. H. USENER-ი წმ. დიმიტრის აკავშირებს წარმართ ღმერთ დიონისესთან, ვინაიდან დემეტრია, ადრეული შუასაუკუნეების წმ. დიმიტრის საპატივსაცემო დღესასწაული, იმართებოდა ხოლმე თესალონიკში 20-28 ოქტომბერს, სწორედ იმ დროს, როდესაც აპატურიაში დღესასწაულობდნენ იონიურ დღესასწაულს[12]. ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება G. THEOCHARIDES-ის მოსაზრება, რომ ეს მართლაც

---

[8] 308 წლის დეკემბერში თესალონიკში კვლავ დაიწყო ფუნქციონირება იმპერატორის ზარაფხანამ, რაც უთუოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმპერატორის დამკვიდრებასთან თესალონიკში. იხ: Sutherland, 1976, The Imperial Roman Coinage, p. 501.

[9] Martyrdom of Agape, Irene and Chione, 1972, p. 293.

[10] Lemerle I, Col. 1, Mir. 12; § 102, p. 125, 6.

[11] Lawson, 1910, Modern Greek Folklore and Ancient Greek Religion, pp. 43-44.

[12] Usener, 1989, Göttliche Synonime, pp. 370-372.

დიმიტრის წამების დღეა და რომ წმ. დიმიტრი ეწამა 305 წლის 26 ოქტომბერს, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ გალერიუსი ხდება ავგუსტუსი[13].

წმ. დიმიტრის კულტის წარმოშობასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი დავა გამოიწვია ადრექრისტიანულმა მარტიროლოგიუმებმა, ქრისტიანულმა კალენდრებმა, სადაც შეკრებილია და თვეების მიხედვით გაწყობილია ადრეული შუასაუკუნეების ქრისტიანი მოწამეების ხსენების დღეები. დღეისათვის ცნობილი მარტიროლოგიუმებიდან ყველაზე ადრინდელია სირიული მარტიროლოგიუმი, რომელიც თარიღდება 411 წლით[14]. ეს არის სირიული თარგმანი ბერძნული კალენდრისა, რომელიც შეიქმნა ნიკომედიაში 360-362 წლებში და რომელიც დღეისათვის დაკარგულია. აღსანიშნავია, რომ უფრო გვიანდელი პერიოდის კალენდრებისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ადგილობრივი წმინდანებია ჩამოთვლილი, სირიულ მარტიროლოგიუმში მოხსენიებულია წმინდანები სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონიდან, მათ შორის, თესალონიკიდანაც. ამ მარტიროლოგიუმში წმ. დიმიტრი არ არის დასახელებული არც თესალონიკთან და არც 26 ოქტომბერთან კავშირში. სამაგიეროდ, 9 აპრილს მოხსენებულია დიმიტრი, რომელიც ეწამა ქალაქ სირმიუმში[15]. დიმიტრის წამების ხსენებას ასევე არ ვხვდებით HIERONYMIAN MARTYROLOGY-ში, რომელიც შეიქმნა რომში 431-450 წლებში[16].

წმ. დიმიტრის კულტის წარმომავლობასთან დაკავშირებით H. DELEHAYE-მ, გაიმეორა რა საუკუნის დასაწყისში E. LUCIUS-ის აზრი[17], ივარაუდა, რომ წმ. დიმიტრი, ქალაქ თესალონიკის მფარველი, სინამდვილეში იყო წამებული დიაკონი სირმიიდან. H. DELEHAYE აღნიშნავს, რომ შუალედური რედაქცია გავრცობილია ილირიკიის პრეფექტის, ლეონტიუსის, ქველმოქმედების აღწერით. როგორც კიმენურ, ასევე შუალედურ რედაქციაში გადმოცემულია, რომ ლეონტიუსმა წმინდანის დაკრძალვის ადგილას თესალონიკში ააგო ეკლესია; მაგრამ მხოლოდ შუალედურ რედაქციაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ ლეონტიუსმა თესალონიკიდან რელიქვიად წაიღო წმინდანის სისხლში

---

13 Vickers, 1974, Sirmium or Thessaloniki, p. 287.
14 Acta SS 65, November 2.1-1xix და PO 10, 7-26.
15 მნიშვნელოვანი რომაული ქალაქი, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი ბელგრადიდან დასავლეთით დაახლოებით 80 კილომეტრის დაშორებით.
16 Acta SS 65, November 2.2, 1931.
17 Lucius, 1904, Die Anfänge des Heiligenkults, p. 227, n. 3.

დასველებული ქლამისი და ორარიონის ნაწილი და სირმიუმში ააგო წმ. დიმიტრის სახელობის ტაძარი ამ რელიქვიების დასასვენებლად. H. DELEHAYE-ს მიაჩნია, რომ სინამდვილეში ლეონტიუსმა სირმიუმიდან, წმ. დიმიტრის წამების ნამდვილი ადგილიდან, ჩამოიტანა რელიქვიები თესალონიკში, სადაც მან ააგო წმინდანის საპატივსაცემოდ ბაზილიკა. ასე ხსნის H. DELEHAYE ადრეულ მარტიროლოგიუმებში დიმიტრი თესალონიკელის ხსენების დღის არარსებობის და მისი კულტის შედარებით გვიანი გავრცელების ფაქტებს[18].

H. DELEHAYE-ს ეს მოსაზრება შემდგომში ბევრმა მეცნიერმა გაიზიარა[19]. M. VICKERS-ს, იზიარებს რა ZEILER-ის აზრს, მიაჩნია, რომ წმ. დიმიტრის კულტის გადმოტანა თესალონიკში დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ცვლილებასთან, კერძოდ, ილირიკიის პრეფექტურის რეზიდენციის გადმოტანასთან სირმიუმიდან თესალონიკში. როგორც აღვნიშნეთ, 26 ოქტომბერი, M. VICKERS-ის აზრით, არის წმინდანის ნაწილების გადმოტანის თარიღი, ხოლო წმინდანის წამება სინამდვილეში მოხდა სირმიუმში 9 აპრილს[20].

მაგრამ J. SKEDROS-ი არ ეთანხმება ამ აზრს და მიაჩნია, რომ წმ. დიმიტრი თესალონიკელის არარსებობა ადრეულ მარტიროლოგიუმებში არ არის საკმარისი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ წმ. დიმიტრი წარმოშობით იყო სირმიელი, ვინაიდან ამ დოკუმენტებში დაცული ინფორმაცია არ არის სრული. ასე მაგალითად, თესალონიკის ტაძარში, როტონდის გუმბათში, რომლის გადაკეთებაც განხორციელდა 379 წლის შემდეგ ახლო პერიოდში, დაცულია მოზაიკა, სადაც გამოსახულია ის წმინდანები, რომლებსაც განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ თესალონიკის ეკლესიაში. თითოეული წმინდანის გამოსახულებას ახლავს წარწერა მისი სახელის და ხსენების თვის მითითებით – ფაქტობრივად, ეს არის წმინდანთა კალენდარი. აქ გამოსახული 20 წმინდანიდან 14 წმინდანის სახელი განირჩევა. ამათგან სამი – ლეო, ონესიფორე და თერინე – არ მოიხსენებიან არც სირიულ და არც ჰიერონომიულ მარტიროლოგიუმებში. ეს

---

18 Delehaye, 1909, Les legends grecques, pp. 106-108.

19 იხ.: Diehl, Le Tourneau, Saladin, 1918, p. 61; Zeiller, 1918, Les origins chrétiennes dans les provinces danubiennes, pp. 82-83; Saxe, 1992, Demetrios the Martyr, p. 225; Frend, 1993, Martyrdom in East and West, p. 50.

20 Vickers, 1974, Sirmium or Thessaloniki, pp. 345-350.

კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადრეულ მარტიროლოგიუმებში დაცული ინფორმაცია სრული არ არის.[21]

J. SKEDROS-ის აზრით, წმ. დიმიტრის შესახებ ინფორმაციის არარსებობას ადრეულ მარტიროლოგიუმებში და მისი კულტის გვიან გავრცელებას ყველაზე კარგად ხსნის წმინდანის წამების ისტორია. «წამების" ყველა რედაქციაში წერია, რომ წმ. დიმიტრის ნეშტი წმინდანის სულიერმა ძმებმა მალულად დაკრძალეს იმავე ადგილას, სადაც წმ. დიმიტრი ეწამა, ანუ ქალაქის ცენტრში, სტადიონის გვერდზე, საჯარო აბანოების ტერიტორიაზე, სადაც წმ. დიმიტრი იყო დატყვევებული. ეს ადგილი მალევე იქცა მორწმუნეთა სალოცავ ადგილად, სადაც ხდებოდა კურნების სასწაულები და არავის უფიქრია ნაწილების გადატანა დასაკრძლავად ქალაქის ფარგლებს გარეთ, როგორც ეს სხვა წმინდანების შემთხვევაში ხდებოდა[22]. ასე მაგალითად, არქიეპისკოპოსი იოანე სასწაულების ციკლში თავად ასახელებს ქალაქის კედლებს გარეთ მდებარე ორ აკლდამას: ერთი – წმინდანების აგაპეს, ირინესა და ქიონისა და მეორე – წმინდა მატრონასი[23]. თესალონიკში სანქტუარიებს ჩვეულებრივ წმინდანთა დაკრძალვის ადგილზე, ქალაქის კედლების გარეთ აგებდნენ, მაგრამ წმ. დიმიტრის შემთხვევაში განსხვავებული ვითარებაა. «წამების" მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, ბაზილიკა აიგო წმ. დიმიტრის დაკრძალვის ადგილზე, ქალაქის ცენტრში[24], რაც ძალზე უჩვეულო იყო იმ პერიოდისათვის. ეს ფაქტი სხვადასხვანაირად იქნა ინტერპრეტირებული. H. DELEHAYE-ს აზრით, ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს წმინდანის უცხო წარმოშობასა და კულტის გვიან გავრცელებაზე. ქალაქის ცენტრალურ ადგილზე წმინდანის სახელობის ბაზილიკის აგება გამიზნული იყო უფრო წმინდანის კულტის

[21] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 13-14. ჩვენ ვიზიარებთ ამ აზრს, თუმცა ეს შეიძლება მიუთითებდეს და აიხსნებოდეს იმ გარემოებათაც, რომ იმ პერიოდში წმ. დიმიტრი არ იყო დიდად ცნობილი და პოპულარული წმინდანი. მისი აღიარება მხოლოდ VII საუკუნიდან იწყება. იოანე თესალონიკელმა წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლი სწორედ წმინდანის პოპულარიზაციის მიზნით შექმნა.

[22] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 15, n. 36: D. Makropoulou, The Early Christian Church Outside Thessaloniki's East City Wall, (ბერძნულად) in: 💣︎♋︎🙰♏︎♎︎◻︎■︎♓︎🙰♋︎❖︎, 23, 1983, pp. 25-46.

[23] Lemerle I, Col.1, Mir.12; § 107, p. 126, 14-16; § 108, p. 126, 24-26.

[24] PG 116, 1184 A 4-10.

გასამლიერებლად და მორწმუნეებზე სათანადო შთაბეჭდილების მოსახდენად და არა ისტორიული კავშირების გამო[25].

J. SKEDROS-ს მიაჩნია, რომ ბაზილიკის ასეთი განლაგება თავისთავად არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იგი მართლაც შეიძლებოდა აეგოთ წმინდანის დაკრძალვის ადგილზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდანის დაკრძალვის ადგილი იყო ქალაქის ცენტრში, სადაც უთუოდ შენობები მჭიდროდ იქნებოდა განლაგებული, ცხადი ხდება, რომ ასეთ ადგილზე ბაზილიკის აგება შეუძლებელი იქნებოდა მნიშვნელოვანი ფინანსური და საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე. ამას გარდა, რეალურია ისიც, რომ ამ პერიოდში, ანუ IV საუკუნის ბოლოს, საჯარო აბანოები, სადაც აწამეს წმინდანი, ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა. ამდენად, აქ ბაზილიკის აგება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქში შეიქმნებოდა შესაბამისი რელიგიური და საზოგადოებრივი განწყობა.

J. SKEDROS-ის აზრით, სინამდვილეში არსებობდა ორი სხვადასხვა მოწამე დიმიტრი: ერთი – თესალონიკელი, ხოლო მეორე – სირმიელი დიაკონი. სირმიუმსა და თესალონიკში IV-VI საუკუნეებში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ეს წმინდანები ერთმანეთში აირია, სირმიელი დიაკონი დიმიტრი დაიკარგა და შემდგომში ორივე ქალაქი ერთსა და იმავე წმინდან დიმიტრის სცემდა პატივს[26].

თესალონიკიც და სირმიუმიც ამ პერიოდში რომის იმპერიის ორი უმნიშვნელოვანეს ქალაქი იყო. ჩვ. წ. აღ.-ით 44 წლის შემდეგ თესალონიკი გახდა რომის იმპერიის მაკედონიის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. IV საუკუნის დასაწყისში, როდესაც თესალონიკი გახდა იმპერიის ერთ-ერთი დედაქალაქი, მისი სიძლიერე და სიმდიდრე უფრო გაიზარდა. იმპერატორმა კონსტანტინემ თესალონიკს აუგო პორტი[27]. 379 წელს იმპერატორმა თეოდოსიუსმა თესალონიკი გახადა დაციისა და მაკედონიის დიოცეზების ადმინისტრაციული ცენტრი, გააძლიერა ქალაქის კედლები და გამოიყენა მთავარ საყრდენ ბაზად გოთების წინააღმდეგ ბრძოლაში. მსგავსადვე სირმიუმიც,

---

[25] Delehaye, 1909, Les legends grecques, p. 107.
[26] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 16-17.
[27] თესალონიკის ისტორიისათვის იხ: Vickers, 1972, Hellenistic Thessaloniki, pp. 160-183.

რომელიც დაარსდა პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, ადრეულ შუასაუკუნეებში აქტიურად ვითარდებოდა. იმპერატორ კონსტანტინეს 316-321 წლებში სირმიუმში ჰქონდა მთავარი რეზიდენცია. 350-360 წლებში სირმიუმში ჩატარდა ოთხი საეკლესიო კრება. 375 წელს სირმიუმი გახდა ახლად შექმნილი ილირიკის პრეფექტურის ცენტრი[28]. თესალონიკი და სირმიუმი სხვადასხვა პერიოდში ხან ერთსა და იმავე ადმინისტრაციულ გაერთიანებაში იყვნენ, ხან – სხვადასხვაში. ქალაქებს შორის თანდათან ჩამოყალიბდა მწვავე კონკურენცია, რომელიც აისახება სხვადასხვა ისტორიულ თუ ლიტერატურულ დოკუმენტში[29]. 441-442 წლებში ჰუნების მიერ სირმიუმის დაპყრობის შემდეგ პრეფექტურის ცენტრმა გადაინაცვლა თესალონიკში.

V საუკუნის შუახანებში თესალონიკში განვითარდა მშენებლობა, აშენდა, სხვათაშორის, რამდენიმე ბაზილიკაც, მათგან ერთ-ერთი – წმ. დიმიტრის სახელზე. ამ პერიოდიდან მოყოლებული წმ. დიმიტრის კულტი აქტიურად განვითარდა თესალონიკში, VI საუკუნის დასაწყისისათვის კი გამყარდა და საბოლოოდ დამკვიდრდა.

ამასობაში ჰუნებისგან დაპყრობილი სირმიუმი დაკნინდა და დიაკონი დიმიტრი სირმიელიც თანდათან დავიწყებას მიეცა. თესალონიკში წმ. დიმიტრი თესალონიკელის კულტის გაძლიერებამ კი საბოლოოდ წაშალა სირმიელი დიაკონის არსებობის ფაქტი და თავად სირმიელებიც მხოლოდ თესალონიკელ წმინდანს იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. «წამების" შუალედური რედაქციის ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია ლეონტიუსის მიერ წმ. დიმიტრის რელიქვიების სირმიუმში წაღებისა და იქ მისი კულტის დამკვიდრების შესახებ, მეცნიერთა აზრით, არ უნდა შეესაბამებოდეს ისტორიულ სინამდვილეს.[30] ეს ეპიზოდი უფრო ასახავს ამ ორ ქალაქს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებს და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შუალედური რედაქციის შექმნის დროს, VIII საუკუნეში თუ ცოტა გვიან, სირმიელები პატივს სცემდნენ სწორედ წმ. დიმიტრი თესალონიკელს და არა სხვა დიმიტრის[31].

---

[28] სირმიუმის ისტორიისათვის იხ: Popovic, Sirmium: 1969, Ville impériale, pp. 668-675.
[29] ✈♏□♍♊♋❒♓♎♏✂📭 1976, 💧♓❖❒❍♓□■ ♒☸ ✈♏⬩⬩♋●□■♓❖&♒✂, p. 305.
[30] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 23.
[31] იქვე, pp. 28-29.

## 1.2. წმ. დიმიტრის ნაწილები

წმ. დიმიტრი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმინდანია. მისი კულტი ადრექრისტიანული ეპოქიდანვე ტრადიციულად ვითარდებოდა – აიგო მისი სახელობის ტაძარი, წმინდანი გამოისახა ფრესკებსა და მოზაიკებში, შეიქმნა მისი წამების ამსახველი თხზულებები. მაგრამ ამ წმინდანის კულტს ჰქონდა ერთი თავისებურება, რაც განასხვავებდა მას ყველა სხვა წმინდანისაგან – ეს იყო წმ. დიმიტრის რელიქვიების არარსებობა. სწორედ ამ ფაქტორმა, როგორ უცნაურადაც ეს არ უნდა ჟღერდეს, ყველაზე მეტად განაპირობა ის, რომ წმ. დიმიტრი გახდა ქალაქ თესალონიკის როგორც საერო, მოქალაქეობრივი, ასევე სულიერი, რელიგიური გმირი.

იოანე თესალონიკელს (VII ს.) წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლში შეტანილი აქვს ერთი ამბავი, რომელიც მოხდა იოანეს წინამორბედის, ევსევის, არქიეპისკოპოსობის დროს[32]. იმპერატორმა მავრიკიოსმა ევსევის მოსთხოვა წმინდანის ნაწილების კონსტანტინოპოლში გაგზავნა. ევსევიმ მისწერა იმპერატორს, რომ რამდენიმე წლით ადრე მათ იმავე თხოვნით მიმართა იმპერატორმა იუსტინიანემ. ევსევი და სხვა სასულიერო პირები იმპერატორ იუსტინიანეს მიერ გამოგზავნილი პირების თანხლებით, გაემართნენ ტაძარში და ლოცვითა და გალობით დაიწყეს თხრა იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემის მიხედვით, მდებარეობდა წმინდანის საფლავი. მაგრამ მოულოდნელად ამ ადგილიდან ამოვარდა ალი და უცნობი ხმა გაისმა, რომელმაც აუკრძალა მათ წმინდანის საფლავის ხელის ხლება. თესალონიკელებმა მაშინვე შეწყვიტეს თხრა და შენიშნეს, რომ მიწას, სადაც ალი ავარდა, საოცარი სურნელება გაუჩნდა. დამსწრენი მიხვდნენ, რომ სასწაული მოხდა და ეს სურნელოვანი მიწა იყო წმინდა. წმინდანის რელიქვიების მაგივრად იმპერატორს ეს მიწა გაუგზავნეს.

---

[32] Lemerle I; Col. I, Mir. 5; §§ 50-54, pp. 88-90. მეცნიერთა აზრით, ევსევი არის იგივე ევსევი არქიეპისკოპოსი, რომელიც მოხსენიებულია პაპა გრიგოლ დიდის მიერ 597 წლის ნოემბრიდან 603 წლის ბოლომდე დაწერილ წერილებში. იხ. Lous Petit, Les évêques de Thessalonique, in: Échos d’Orient, 4, 1900-1901, p. 213.

ევსევიმ წერილთან ერთად ასევე გაუგზავნა სურნელოვანი მიწა იმპერატორ მავრიკიოსს.

რელიქვიების თაყვანისცემა წმინდანთა კულტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. როგორც P. BROWN ამბობს, წმინდანის «საფლავი და რელიქვიები არის ის, სადაც ზეცა და მიწა ერთდება და იძენს ზებუნებრივ ძალაუფლებას, რაც არის გამოხატულება სასწაულისა”.[33] წმინდანთა ნაწილები აღიქმებოდა როგორც წმინდანის ძლევამოსილების მთავარი მატარებელი. ამას ადასტურებს უძველესი დოკუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, ანტიოქიის პასუხი იმპერატორ ლეო I-სთვის სვიმეონ სტილიტის რელიქვიების მოთხოვნაზე, სადაც ნათქვამია, რომ წმინდანის ნაწილები ქალაქის ბურჯი და ციხეა, ანუ ქალაქის დამცველია[34]. მოყვანილი სასწაული მეტად საყურადღებოა, რადგან აჩვენებს, რომ თესალონიკის მოსახლეობა პატივს სცემდა თავის წმინდანს მისი რელიქვიების არსებობისაგან დამოუკიდებლად, ანუ რელიქვიების გარეშე. იოანეს ხსენებულ სასწაულში მოყვანილი აქვს ევსევის წერილიდან ერთი მონაკვეთი, სადაც ნათქვამია: «ჩვენ, თესალონიკის მაცხოვრებლებს, ჰოი, ბასილევსო, არ გვახასიათებს, სხვა ადგილებისგან გასხვავებით, წმინდა მოწამეების ნეშტის გამოფენა, იმისათვის რომ ჩვენს სულებში გავაძლიეროთ მათი თაყვანისცემა და რწმენა ნეშტის მუდმივი ყურებითა და ფიზიკური შეხებით. პირიქით, ჩვენ გონებით ვაღვივებთ რწმენას ჩვენს გულებში, ჩვენს რწმენას ზარავს რელიქვიების ხილვა”[35].

ის გარემოება, რომ წმ. დიმიტრი წინ აღუდგა თავისი ნაწილების გატანას ქალაქის ფარგლებს გარეთ, კიდევ მეტად წარმოაჩენს წმინდანის კულტის კავშირს თესალონიკთან და აძლიერებს მის მნიშვნელობას ქალაქისთვის. ასე წმინდანი შეუძლებელს ხდის თავის დაშორებას ქალაქისაგან და გამოკვეთს თავის სამუდამო ერთგულებას თესალონიკისადმი. ეს ხაზგასმულია იოანეს სასწაულების ციკლის სხვა ეპიზოდებშიც.[36]

მაგრამ წმინდანის თაყვანისცემისათვის მაინც აუცილებელია რელიქვიები თუ არა, მათი ფუნქციის მატარებელი სხვა რამ. წმ. დიმიტრის

[33] Brown, 1982, Society, p. 225.
[34] Bently, 1985, Restless Bones, p. 89.
[35] Lemerle I; Col. I, Mir. 5; §§ 52, p. 89.
[36] იხ. Col. I; Mir. 10; Mir. 15.

შემთხვევაში მის კულტში წმინდა ნაწილებს ჩაენაცვლა კიბორიუმი, ანუ სალხინობელი, რომელიც მდებარეობდა წმ. დიმიტრის ტაძრის ცენტრალურ ნაწილში, იმ ადგილას, სადაც, გადმოცემის მიხედვით, იყო დაკრძალული წმინდანის ნეშტი. ეს კიბორიუმი აღწერილი აქვს იოანე თესალონიკელს თავისი ციკლის რამდენსამე სასწაულში[37]. ეს იყო ექვსკუთხა ნაგებობა, რომლის შიგნითაც შესვლა მხოლოდ ძალიან იშვიათ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. კიბორიუმი სასწაულებში გვევლინება როგორც წმინდანის საფლავი და მისი სახლი. მლოცველებს კიბორიუმიდან ესმოდათ წმინდანის ხმა. ერთ-ერთ ჩვენებაში წმ. დიმიტრი წარმოდგენილი იყო კიბორიუმში ბრწყინვალე ტახტზე მჯდომარედ, იქვე მეორე ტახტზე კი იჯდა მშვენიერი ქალბატონი, ევტაქსია, რომელიც თესალონიკის სიმშვიდისა და კეთილდღეობის სიმბოლო იყო[38]. როდესაც სხვა სასწაულის მიხედვით წმინდანს ზეციური უფლის წარმოგზავნილებმა მოაკითხეს, წმ. დიმიტრი კიბორიუმიდან გამოვიდა მათ შესახვედრად[39]. ამდენად, კიბორიუმი გვევლინება წმინდანის არსებობის სახვით სიმბოლოდ, რომლის მნიშვნელობაც და მისი ძალის ავთენტურობაც განმტკიცდება წმინდანის რელიქვიების არარსებობით.

მოგვიანებით წმინდანის რელიქვიების მნიშვნელობა იტვირთა კიდევ ერთმა საინტერესო მოვლენამ – მირონმდინარებამ.

ეს უცნაური თვისება – სურნელოვანი ზეთოვანი ნივთიერების წარმოქმნა – ტრადიციულად აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანული სამყაროს რამდენიმე წმინდანს მიეწერება, მათ შორის, დიმიტრი თესალონიკელსაც[40]. მათი ნაწილებისაგან გამოჟონილი მირონს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა – იგი კურნავდა ავადმყოფს და იცავდა ადამიანს ეშმაკის ზემოქმედებისაგან.

თუ როდის შეემატა ეს თვისება წმ. დიმიტრის კულტს, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული არ არის. პირველად მირონი დიმიტრი თესალონიკელის კულტში გამოჩნდა X საუკუნის

---

[37] Lemerle I; Col. I; Mir. 1; § 22, p. 66; Mir. 7, § 66, p. 99; Mir.10, § 89, p. 115.
[38] Lemerle I; Col .I, Mir. 11; §§ 89-91, pp. 115-116.
[39] Lemerle I; Col. I, Mir. 15; §§ 166-175, pp. 161-165.
[40] [illegible] 1997, [illegible] p. 513.

დასაწყისში, იოანე კამინიატეს თხზულებაში[41]. ეს ინფორმაცია ჩანს მხოლოდ თხზულების პროლოგში და აღარ ვრცელდება შემდგომ ნაწილებში. ასევე ამ ეპოქის შესახებ არსებული სხვა ფილოლოგიური თუ არქეოლოგიური მასალა არ შეიცავს არანაირ მინიშნებას ამ სასწაულზე. კამინიატეს თხზულების შესახებ დაწერილ კრიტიკულ ნარკვევში A. Kazhdan-ი მიიჩნევს, რომ ეს ეპიზოდი გვიანდელი ჩანამატია. ამ აზრს იზიარებენ სხვა მეცნიერებიც[42].

შემდეგი წყარო დიმიტრის მირონმდინარების შესახებ არის იოანე სკილიცას ცნობა, სადაც მოთხრობილია 1040 წლის ამბავი წმ. დიმიტრის ნაწილებიდან მირონმდინარების შესახებ[43]. როგორც ჩანს, მირონმდინარება დიმიტრის ნაწილებიდან დიმიტრის კულტში ჩნდება 904-1040 წლებში, მაგრამ რეალური გავრცელება ამ სასწაულისა მოხდა უფრო გვიან, XII-XIII საუკუნეებში[44]. ამ სასწაულის პირველი სრული აღწერა გვაქვს XIII საუკუნის მოღვაწის, თესალონიკის მეტროპოლიის ქარტოფილაქსის, იოანე სტავრაკიოსის თხზულებაში[45].

მირონმდინარების სასწაულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წმ. დიმიტრის კულტისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ იოანე თესალონიკელთათან არის ცხადი მინიშნებები წმინდანის ნაწილების არარსებობაზე. მირონმდინარება კი, უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებდა წმინდანის ნაწილების არსებობას, ვინაიდან, გადმოცემით, მირონი სწორედ წმინდანის ნეშტიდან ჟონავდა. ამ სასწაულმა XIII საუკუნეში, ლათინების შემოსევის დროს, უკვე პოლიტიკური ელფერი შეიძინა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან თესალონიკის გამოყოფის საფუძველს ქმნიდა: XIII საუკუნის პირველ მეოთხედში თეოდორე კომნენოს დუკასა და იოანე ბაცაცას დაპირისპირების დროს კომნენოსის მომხრენი, იბრძოდნენ რა პოლიტიკური და

---

[41] Kazhdan, 1978, Some questions, pp. 301-304.

[42] Hoddinott, 1963, Early Byzantine Churches, p. 137; 💣♏❖■♦⌘□✂📪 1994, ❄□🖃 □❒□⬧🙰◆❖■♏❍♋📪 p. 49.

[43] Macrides, 1990, Subversion and Loyalty, p.194; 💣□♋🙰♓❒♦⌘♒✂📪 1997, ☺☟ ❍◆❒□♌●♒⬧♓❖♋ ♦□◆🕯 ☺✌♑♓❖□◆ ☟♒❍♒♦❒♓❖□◆📪 p. 511.

[44] ამის შესახებ იხ.: Macrides, 1990, Subversion and Loyalty, pp. 194-196; 💣□♋🙰♓❒♦⌘♒✂📪 1997, ☺☟ ❍◆❒□♌●♒⬧♓❖♋ ♦□◆🕯 ☺✌♑♓❖□◆ ☟♒❍♒♦❒♓❖□◆📪 pp. 514-527.

[45] გამოცემულია: 🙵🖑⬧♋❖■■♒✂ 💧♦♋◆❒♋❖🙰♓□✂📪 ☹□❖♑□✂ ♏♓🙵✂ ♦♋🖃 ❑♋◆❖❍♋♦♋ ♦□◆🕯 ♋☺♑♓❖□◆ ☟♒❍♒♦❒♓❖□◆📪 ed. 🙵🖑⬧♋🙰♏♓🖃❍ 🙵🖑♌♒❒♓❖♦□◆📪 Higoumanos of Vlatadon, in: 💣♋🙰♏♎□■♓🙰♋❖ I (1940), pp. 334-376.

ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის, ამ დამოუკიდებლობის აუცილებლობის ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებად სწორედ წმინდა დიმიტრის ნაწილებიდან მდინარე მირონის არსებობას ასახელებდნენ. ამ მირონით ეკურთხა თეოდორე იმპერატორად თესალონიკში[46].

მირონს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა: მომლოცველებისთვის ყოველ დროს განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდა წმინდა ადგილიდან წმინდანთან დაკავშირებული სუვენირის, მისი კუთვნილი, ხელნახლები ნივთის წამოღებას. თესალონიკიდან მლოცველებს მიჰქონდათ წმ. დიმიტრის სასწაულმოქმედი ძალის ისეთი ნიშანი, როგორიც იყო მირონით სავსე მცირე ჭურჭლები. ასე ვრცელდებოდა წმინდა დიმიტრის და მასთან ერთად, თესალონიკის დიდების ამბავი მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

მირონმდინარების სასწაულის წარმოშობის დათარიღებისათვის საყურადღებო მასალა გამოავლინა წმ. დიმიტრის ტაძარში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. ტაძრის იატაკის ქვემოთ გამოჩნდა რამდენიმე სათავსო წყლის მილების გაყვანილობით, რომელიც დაათარიღეს რომაული პერიოდით და რომაული აბანოების ნარჩენებად მიიჩნიეს[47]. 620 წელს ტაძარში მომხდარი ხანძრის შემდეგ, ნაგებობის აღდგენისას ეს გაყვანილობა გამოყენებული იქნა მლოცველთათვის წმინდა წყლის მისაწოდებლად[48]. მეცნიერთა აზრით, IX საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს გაყვანილობის დამატებითი მილები, რომლიდანაც მირონი მოედინებოდა[49].

საინტერესოა თავად ტაძარიც, რომლის აგებაც, როგორც აღინიშნა, ყველა უძველესი წყაროს მიხედვით ერთნაირად უკავშირდებოდა ილირიკიის პრეფექტ ლეონტიუსის სახელს. ცნობილია, რომ უკვე V საუკუნის ბოლო მეოთხედში ქალაქ თესალონიკის ცენტრში არსებობდა წმ. დიმიტრის სახელობის

---

[46] Macrides, 1990, Subversion and Loyalty, pp. 194-196.
[47] Soteriou, 1952, Basilica, pp. 51-55.
[48] იოანე თესალონიკელის სასწაულების ციკლში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.
[49] Hodinnot, 1963, Early Byzantine Churches, p. 137. მაგრამ ეს მოსაზრება საკამათოა. Grabar-ი (1946, Martyrium, vol. I, p. 453) და 💣︎□︎♋︎♉︎♓︎□︎⧫︎⌘︎♒︎✂︎ მიიჩნევენ, რომ ეს გაყვანილობა და ეს მილები ძალიან დიდია მირონისთვის და სინამდვილეში ისინი წყლის გაყვანილობის ნაწილია. 💣︎♏︎❖︎■︎⧫︎⌘︎□︎✂︎-ი წერს 💣︎♏︎❖︎■︎⧫︎⌘︎□︎✂︎📭︎ 🗁︎🕾︎🕾︎🗐︎📭︎ ❄︎□︎🖃︎ □︎❒︎□︎⬧︎♉︎◆︎❖︎■︎♏︎❍︎♋︎📭︎ p. 49), რომ გვიანი ბიზანტიური წყაროების მიხედვით, მირონი გროვდებოდა კიბორიუმის გარშემო ჭურჭლებში. თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლებლად მიიჩნევს იმასაც, რომ მირონისთვის არსებობდა რაიმე სხვა გზა ხსენებულ გაყვანილობაში.

დიდი ხუთნავიანი ბაზილიკა[50]. ბაზილიკის მდებარეობის შესახებ წმ. დიმიტრის «წამების" უადრეს რედაქციაში ნათქვამია, რომ იგი აიგო პატარა სამლოცველო სახლის ადგილას, საჯარო აბანოებსა და სტადიონს შორის (◆☺□□▭ ⧫⬧♓■ □♏❒♓♌□❖●⬧■ ⧫□◆♓ ♎♒❍□⬧♓❖□◆ ●□◆⧫□□◆♓ ☝♋♓▭ ⧫□◆♓ ⬧⧫♋♎♓❖□◆◑. «წამების" შუალედურ რედაქციაში მითითება უფრო დაზუსტებულია. ავადმყოფი პრეფექტი ჩამოიყვანეს თესალონიკში და დააბრძანეს წმინდანის საფლავზე – მცირე შემორაგულ ადგილას, რომლის ქვემოთაც, გადმოცემით, ესვენა წმ. დიმიტრის ნაწილები. ტექსტში ეს ადგილი ასე იკითხება: ☝♋♓▭ ♋♏■♏☝●♓❖□♒ ♏♏■ ⧫⬧♓⬫ ⬧♏♌♋⬧❍♓❖⬧⬫ ⬧♒☝⬧♓⬫ ⬫ ♏☯■❑♋ ♒♏■ ◆☺□□▭ ♑♒♓■ ☝♏♓❖❍♏■□■ ⧫□◆♓ ♋☺♑♓❖□ ◆ ⧫□▭ ●♏♓❖⌧♋■□■[51] (ის დააწვინეს წმინდა ადგილზე, რომლის ქვემოთაც ესვენა წმინდანის ნაწილები). გამოჯანმრთელების შემდეგ პრეფექტმა ბაზილიკა სწორედ ამ ადგილას ააგო.

1917 წელს თესალონიკში მომხდარი დიდი ხანძრის დროს ძლიერ დაზიანდა წმ. დიმიტრის ტაძარი. რესტავრაციამდე ტაძარში ბერძენმა არქეოლოგებმა, George და Maria Soteriou-ებმა ჩაატარეს არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც საკურთხევლის ქვემოთ გამოჩნდა ლათინური ჯვრის ფორმის რელიქვარიუმი. რელიქვარიუმის ცენტრში იდგა კონუსის ფორმის ქვის ნაშენი. მის შიგნით აღმოჩნდა მარმარილოს ლარნაკი, რომელშიც შენახული იყო მინის ჭურჭელი გამხმარი სისხლისა და მიწის ნარჩენებით. არქეოლოგებმა მიიჩნიეს, რომ ეს იყო წმინდანის რელიქვიები[52].

---

[50] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 8.
[51] PG 116, 1181 C.
[52] Soteriou, 1952, Basilica▭⬫ pp. 62. ამ აღმოჩენამაც მეცნიერებში დავა გამოიწვია: Lemerle-ს (Saint Démétrius de Thessalonique, p. 663) აზრით, ეს მოყავისფრო ფხვნილი არის წმინდანის სისხლში დასველებული ორარიონის (თავსახვევის) ნარჩენები. 💣♏❖■⧫⌘□✂⬫o (❄□▭ □□□⬧☝◆❖■♏❍♋⬫ pp. 39, 41) ვარაუდობს, რომ ეს შეიძლება იყოს ე. წ. ლითრონი, მიწისა და სისხლის ნარევი, რასაც გვიანდელ შუასაუკუნეებში სცემდნენ თაყვანს. 💣□♋☝♓□⧫⌘♒✂ იზიარებს ამ აზრს და (1995, Le culte, p. 7) და ნარევს უკავშირებს იმ სურნელოვან მიწას, რომელიც რელიქვიის სახით გაეგზავნა იმპერატორებს იუსტინიანესსა და მავრიკიოსს.

ჯერ კიდევ C. Byeus-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ პრეფექტი ლეონტიუსი რეალური პიროვნება იყო და იგი მოღვაწეობდა ილირიკიაში 412-413 წლებში[53]. ეს აზრი შემდგომში სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს[54]. 1917 წელს ჩატარებული გათხრების დროს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე G. Soteriou-მ მიიჩნია, რომ ეკლესიის აგების თარიღი, მართლაც, შეიძლებოდა ყოფილიყო 412-143 წლები და, ამდენად, მხარი დაუჭირა ზემოთ მოყვანილ ვარაუდს[55]. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა 1948 წელს წარმოებული გათხრების დროს ტაძრის საკურთხეველსა და ბემას ადგილზე, იატაკის ქვემოთ აღმოჩენილ ნახევარწრის ფორმის მქონე მოზრდილ აბსიდას. G. Soteriou-მ ეს აბსიდა რომაული პერიოდით დაათარიღა და მიიჩნია აბანოების დიდი კომპლექსის ნარჩენად. ვინაიდან საკურთხეველს ქვემოთ აღმოჩენილი ჯვრის ფორმის რელიქვარიუმი ამ რომაული აბსიდაში მდებარეობდა, მეცნიერმა დაასკვნა, რომ აბსიდა თავის დროზე წარმოადგენდა «წამებაში" ნახსენები იმ სალოცავი სახლის აღმოსავლეთ მხარეს, რომელიც აგებული იყო წმინდანის დაკრძალვის ადგილას[56]. ეს აღმოჩენა ადასტურებდა ლიტერატურული წყაროების ცნობას, რომ ტაძარი აიგო წმ. დიმიტრის ტყვეობისა და სიკვდილის ადგილას. ეს კი იყო აბანოების ერთი ბნელი საკანი.

P. Lemerle არ დაეთანხმა ამ ჰიპოთეზას. მისი აზრით, წმინდანის წამების ამბავში არსებული ცნობები ტაძრის აგების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. «სასწაულების" ტექსტში არსად არის ჯვრის ფორმის რელიქვარიუმის ხსენება და წმინდანის ნაწილების შესახებაც ნათლად არის მინიშნებული, რომ ისინი არ არსებობს. ამის საფუძველზე Lemerle-მ მიიჩნია, რომ ხსენებულ აბსიდას არასოდეს ჰქონია რაიმე გამოყენება ან კავშირი ქრისტიანობასთან[57]. ამავე აზრისაა M. Vickers-იც. მან თესალონიკში არსებული ამავე პერიოდის სხვა შენობების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ თესალონიკში პრეფექტის რეზიდენციის სირმიუმიდან თესალონიკეში

---

[53] Acta SS 51, October 4, p. 68.

[54] Tafel, 1839, De Thessalonica, p. 116, n. 98; Texier, Pullan, 1864, Byzantune Architecture, pp. 123-130; Tarfali, 1909, Sur la date de l'église et des mosaïques, pp. 99-101; Grabar, 1946, Martyrium, I, p. 299; Hoddinott, 1963, Early Byzantine Churches, p. 125.

[55] Soteriou, Report on the work, pp. 1-47.

[56] Ibid, pp. 58-59.

[57] Lemerle, 1953, Saint Démétrius de Thessalonique, pp. 660-694.

გადმოტანასთან დაკავშირებით 441-442 წლებში ფართო აღმშენებლობითი პროგრამა დაიწყო. M. Vickers-ის აზრით, წმ. დიმიტრის ტაძარიც სწორედ ამ პერიოდში უნდა აშენებულიყო[58]. J. Skedros-ი ტაძრის არქიტექტურისა და შიდა გაფორმების სტილის თავისებურებებზე დაყრდნობით ნაგებობას ათარიღებს V საუკუნის ბოლო მეოთხედით[59].

მაგრამ ტაძრის ასეთი დათარიღება სულაც არ გულისხმობს წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციებში არსებული ცნობების სიყალბეს. V. Popovic-მა გამოთქვა მოსაზრება, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთესად ათანხმებს ერთმანეთთან არქეოლოგიურ, ისტორიულ და ლიტერატურულ მონაცემებს. მისი აზრით, «წამებაში" ნახსენები პრეფექტი ლეონტიუსი მართლაც ის ლეონტიუსია, რომელიც იყო ილირიკიის პრეფექტი 412-413 წლებში. გათხრებისას ნაპოვნი აბსიდა კი ეკუთვნის ლეონტიუსის მიერ V საუკუნის დასაწყისში აგებულ სამნავიან ბაზილიკას. მისი სტრუქტურა, მეცნიერის აზრით, დღესაც შეიმჩნევა არსებული ტაძრის ნართექსში[60]. ამ ვარაუდს J. Skedros-იც იზიარებს[61]. ეს ბაზილიკა დაინგრა და შემდგომში აშენდა ის ხუთნავიანი ტაძარი, რომელიც თესალონიკში დღესაც არსებობს.

## 1.3. დასკვნა

ბერძნულ ქრისტიანულ ლიტერატურაში წმ. დიმიტრი თესალონიკელთან დაკავშირებული მრავალი ტექსტი არსებობს. მათგან წმინდანის კულტის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია წმ. დიმიტრის «წამების" სამი რედაქცია და მისი გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ორი ციკლი.

წმ. დიმიტრი თესალონიკელის «წამების" სამივე რედაქციის მიხედვით, წმ. დიმიტრი ეწამა იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის თესალონიკში ყოფნის დროს. ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით ეს უნდა მომხდარიყო იმპერატორების დიოკლეტიანესა და გალერიუსის მიერ ქრისტიანეთა დევნის

---

[58] Vickers, 1974, Sirmium or Thessaloniki? p. 338.
[59] Skedros, 1999, Saint Demetrios, pp. 37-38.
[60] Popovic, 1969, Sirmium: Ville impériale p. 671; Popovic, 1987, Die Völker Südosteuropos im 6 bis 8 Jahr, p. 102.
[61] Skedros, 1999, Saint Demetrios, pp. 38-39.

შესახებ პირველი ედიქტის გამოქვეყნების შემდეგ, გალერიუსის თესალონიკში ერთ-ერთი ჩასვლის დროს, სავარაუდოდ, 304-308 წლებში. წმინდანის ხსენების დღედ დაწესდა 26 ოქტომბერი.

წმ. დიმიტრის კულტის წარმოშობა დღემდე საკამათოა. უძველეს სირიულ მარტიროლოგიუმში, რომელიც 411 წლით თარიღდება და ნიკომედიის 360-362 წლების დღეისათვის დაკარგული ბერძნული მარტიროლოგიუმის თარგმანს წარმოადგენს, წმ. დიმიტრი არ არის დასახელებული არც თესალონიკთან და არც 26 ოქტომბერთან კავშირში. სამაგიეროდ, 9 აპრილს მოხსენიებულია წმ. დიმიტრი, დიაკონი, რომელიც ეწამა ქალაქ სირმიუმში. დიმიტრი თესალონიკელის ხსენება ასევე არ არის შეტანილი რომში 431-450 წლებში შექმნილ Hieronymian Martyrology-ში.

ამ ვითარების გამო გამოითქვა აზრი (E. Lucius, H. Helehaye, H. Usener, M. Vickers, etc.), რომ დიმიტრი წარმოშობით იყო არა თესალონიკელი, არამედ სირმიელი დიაკონი და რომ მხოლოდ მოგვიანებით მისი ნაწილები გადაიტანეს სირმიუმიდან თესალონიკში.

ერთ-ერთი ბოლო ვარაუდი წმინდანის წარმომავლობის შესახებ (J. Skedros) მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილეში არსებობდა ორი წმინდანი დიმიტრი: ერთი – თესალონიკელი, ხოლო მეორე – სირმიელი დიაკონი. სირმიუმსა და თესალონიკში IV-VI სს.-ში შექმნილი პოლიტიკური ვითარების, ამ ქალაქებს შორის ოდითგანვე არსებული ქიშპობის გამო ეს წმინდანები ერთმანეთში აირია. სირმიელი დიაკონი დიმიტრი თანდათან დავიწყებას მიეცა და შემდგომში ორივე ქალაქი ერთსა და იმავე წმინდანს, დიმიტრი თესალონიკელს, სცემდა პატივს.

წმ. დიმიტრის კულტს ჰქონდა ერთი თავისებურება, რაც განასხვავებდა მას ყველა სხვა წმინდანისაგან – ეს იყო წმ. დიმიტრის ნაწილების არარსებობა. ჯერ კიდევ იოანე, თესალონიკის არქიეპისკოპოსი და წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ციკლის შემქმნელი, თავის თხზულებაში ცხადად მიუთითებდა წმინდანის ნაწილების არარსებობაზე. იგულისხმება ციკლის მე-5 სასწაული, სადაც აღწერილია იმპერატორ იუსტინიანეს მიერ წმინდანის ნაწილების მოთხოვნის საპასუხოდ წმ. დიმიტრის ტაძარში მომხდარი სასწაული. იმავეზე მიუთითებს «წამების" შუალედური

რედაქციის ის მონაკვეთიც, სადაც წმ. დიმიტრი ჩვენებაში გამოეცხადა პრეფექტ ლეონტიუსს და აუკრძალა თავისი ნეშტის ხელის ხლება. მაგრამ წმინდანის რელიქვიების არარსებობა კიდევ უფრო ამლიერებდა ხალხის მისდამი რწმენას, რადგან ეს ფაქტი აღიქმებოდა, როგორც წმინდანის მიერვე შექმნილი გადაულახავი დაბრკოლება მისი დაშორებისათვის თესალონიკისგან.

წმინდანის თაყვანისცემისთვის აუცილებელი იყო რელიქვიების ფუნქციის მატარებელი სხვა რამ, რაც მალევე გახდა წმინდანის დაკრძალვის ადგილზე განლაგებული კიბორიუმი, ანუ აკლდამა. კიბორიუმის აღწერილობა რამდენიმეჯერ გვხვდება იოანე თესალონიკელის ციკლში. იგი გვევლინება როგორც წმინდანის საფლავი და მისი სახლი, როგორც წმინდანის არსებობის სახვითი სიმბოლო, რომლის მნიშვნელობაც და მისი ძალის ავთენტურობა განმტკიცდება წმინდანის ნაწილების არარსებობით.

შემდგომში წმინდანის რელიქვიების მნიშვნელობა იტვირთა მირონმდინარების სასწაულმა. ამ საინტერესო მოვლენის წარმოშობის დათარიღება დღემდე საკამათოა. მართალია, პირველი ცნობა ამ მოვლენის შესახებ ჩნდება X საუკუნის მოღვაწის, იოანე კამინიატეს თხზულებაში, მაგრამ მეცნიერებმა იგი გვიანდელ დანამატად მიიჩნიეს (A. Kazhdan). შემდეგი ხსენება ამ მოვლენისა არის იოანე სკილიცას თხზულებაში, სადაც გადმოცემულია 1040 წლის ამბავი წმ. დიმიტრის ნაწილებიდან მირონმდინარების შესახებ. მაგრამ ამ სასწაულის სრული აღწერა პირველად გვხვდება მხოლოდ XIII საუკუნის თხზულებაში. ამის საფუძველზე მეციერები მიიჩნევენ, რომ მირონმდინარების სასწაული წმ. დიმიტრის კულტს შეემატა 904-1040 წლებში, მაგრამ კარგა ხანს ამბავი მის შესახებ არ გასცილებია თესალონიკის ფარგლებს. მხოლოდ XII-XIII საუკუნეებიდან მოყოლებული, ეს სასწაული ხდება წმ. დიმიტრის კულტის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ სასწაულს, გარდა წმინდანის რელიქვიების ჩანაცვლების ფუნქციისა, კიდევ სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც მიენიჭა. XIII საუკუნეში მირონმდინარების სასწაული გახდა თესალონიკის პოლიტიკური და ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება. ქალაქი, სადაც ჟონავდა სასწაულთმოქმედი მირონი, რომლითაც იმპერატორად იკურხებოდნენ, მიიჩნეოდა კონსტანტინოპოლის, დედაქალაქის, თანასწორად.

მირონით სავსე მცირე ზომის ჭურჭლებით კი, რომლებიც წმინდა ადგილების მომლოცველებს სახლში მიჰქონდათ, მთელს აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ვრცელდებოდა წმ. დიმიტრის ძლევამოსილების და მასთან ერთად, ქალაქ თესალონიკის დიდების ამბავი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XX საკუნეში თესალონიკის წმ. დიმიტრის ტაძარში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოჩნდა რელიქვარიუმი, სადაც იპოვნეს მინის ჭურჭელი, სავარაუდოდ, სისხლით დალტობილი მიწის ნარჩენებით. რელიქვარიუმის აღმოჩენამ გამოიწვია დავა მეცნიერებაში, ვინაიდან მისი ხსენება წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ თხზულებებში არსად ჩანს. სადაოა პრეფექტ ლეონტიუსის ვინაობა და თავად ტაძრის აშენების თარიღიც. მეცნიერთა მიერ გამოთქმულ სხვადასხვა ვარაუდს შორის ყველაზე მისაღებია V. Popovic-ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრეფექტი ლეონტიუსი მართლაც იყო ილირიკიის პრეფექტი 412-413 წლებში, რომელმაც V საკუნის დასაწყისში თესალონიკში ააგო წმ. დიმიტრის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა. ეს ბაზილიკა მოგვიანებით დაინგრა და მის მაგივრად აშენდა დიდი ხუთნავიანი ტაძარი, რომელიც დღესაც არსებობს.

# თავი 2

# წმ. დიმიტრის კულტთან დაკავშირებული თხზულებები ბერძნულ ლიტერატურაში

## 2.1. «წამება"

წმ. დიმიტრი თესალონიკელის წამების ამსახველი ტექსტების პირველი კლასიფიკაცია ეკუთვნის ბოლანდისტ მამას, Cornelius Byeus-ს[62]. მისი კლასიფიკაცია დღესაც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. წმ. დიმიტრის «წამების" უძველესი რედაქცია მოღწეულია სამი ტექსტით, რომელთაგანაც C. Byeus იცნობდა მხოლოდ ორს. მათგან პირველი, რომელსაც C. Byeus-მა უწოდა *Passio Prima* (ჩვენ ვუწოდებთ კიმენურს), არის ბერძნული ორიგინალის ლათინური თარგმანი, რომელიც შესრულებულია 876 წელს ანასტასიუს ბიბლიოთეკარის მიერ[63]. მსგავსი ვერსია ასევე დაცულია ფოტიოს, კონსტანტინოპოლის პატრიარქის (810-893 წწ.), «ბიბლიოთეკა"-ში[64]. ამავე რედაქციის მესამე ტექსტი გამოქვეყნა H. Delehaye-მ ორი ბერძნული ხელნაწერის მიხედვით[65]. ეს ტექსტი მცირე განსხვავების გარდა, ძირითადად მიჰყვება დანარჩენ ორ ტექსტს. H. Delehaye-მ მიიჩნია, რომ სამივე ზემოთაღნიშნული ტექსტი არის ერთი რედაქციისა და შეიცავს წმ. დიმიტრის «წამების" უადრეს ვერსიას.[66]

მეორე, ანონიმური რედაქცია (ჩვენ მას «შუალედურს" ვუწოდებთ), მართალია, შემორჩენილია მხოლოდ XI ს.-ით დათარიღებულ ხელნაწერში, Cod.

---

[62] Byeus, Commentarius praevus, pp. 50-87.

[63] ტექსტი გამოქვეყნებულია: Acta Sanctorum, 1866, Passio prima, pp. 87-89; იგივე ტექსტი გამოკვლევითურთ გადმობეჭდილია Migne-ს გამოცემაში PG 116, pp. 1167-72, ასევე PL, 129, pp. 715-718.

[64] ტექსტი გამოქვეყნებულია PG 104, col. 104-105.

[65] Delehaye, 1909, Les légendes grecques, pp. 103-109.

[66] იქვე.

Vat. Gr. 821[67], მაგრამ სწორედ ეს ვერსია არის მიჩნეული დიმიტრის «წამების" სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციის პროტოტიპად[68-69].

«წამების" მესამე რედაქცია ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტს და, შესაბამისად, თარიღდება X-XI სს.-ის მიჯნით[70].

წმ. დიმიტრის «წამების" კიმენური რედაქციის ტექსტები, როგორც ვხედავთ, შედარებით გვიანდელი პერიოდის ხელნაწერებითაა მოღწეული[71], მაგრამ ეს რედაქცია გაცილებით ადრე უნდა იყოს შექმნილი. არქიეპისკოპოსი იოანე წმ. დიმიტრის სასწაულების მისეული კოლექციის შესავალში ამბობს, რომ მისთვის შეუძლებელი იყო წმინდანის ყველა სასწაულის მოყოლა, და მოჰყავს ციტატა «წამებიდან": [illegible][72] («რა-მეთუ ვითარცა გასმიეს წიგნსა შინა წამებისა მისისასა, ვითარმედ მრავალნი სასწაულნი აღესრულებოდეს დღითგან წამებისა მისისაჲთ..." Mir. Euth. § 7). ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ციკლის მე-9 სასწაული[73]. იგი მოგვითხრობს შემდეგს: წმ. დიმიტრი სიზმარში გამოეცხადა ეგეოსის ზღვაში მდებარე ქიოსის კუნძულზე მცხოვრებ ერთ წარჩინებულ მოქალაქეს. მოქალაქემ ვერ იცნო წმინდანი და მიაკითხა წმ. ისიდორეს ეკლესიას, რათა იქ ეკითხა ჩვენების შესახებ. ერთმა მორწმუნემ უთხრა, რომ მას სიზმარში გამოეცხადა წმ. დიმიტრი, რომელიც შუბებით განგმირეს. ამდენად, თხზულების ეს მონაკვეთები ცხადად ამტკიცებს, რომ იოანე თესალონიკელის მოღვაწეობის პერიოდში, ანუ VI საუკუნის ბოლოს, წმ. დიმიტრის წამების ამბავი უკვე არსებობდა წერილობითი სახით.

---

67 Codicus Vaticani Graeci, recensivit Robertus Devresse, tomus III, 1950, p. 357.

68 Supplementum de S.Demetrio Martyre…Cornelii Byei commentarius praevius. PG 36, col. 1091.

69 ტექსტი გამოქვეყნებულია: Acta Sanctorum, 1866, Passio altera, pp. 90-95.; იგივე ტექსტი გამოკვლევითურთ გადმობეჭდილია Migne-ს გამოცემაში PG 116, col. 1173-1184.

70 ტექსტი გამოქვეყნებულია: Acta Sanctorum, 1866, Passio altera, pp. 90-95; იგივე ტექსტი გამოკვლევითურთ გადმობეჭდილია Migne-ს გამოცემაში PG 116, col. 1185-1202.

71 Lemerle I, 1979, pp. 13-30.

72 Lemerle I, 1979, p.53, 4-6.

73 Lemerle I; Col. I, Mir. 9; §§ 73-80, pp. 106-108.

წმ. დიმიტრის «წამების" ტექსტების C. Byeus-სეული კლასიფიკაციის მიხედვით უმოკლესი რედაქცია უადრესია. ამ აზრს H. Delehaye-ც ეთანხმება[74]. ✌📪 💣♏❖■⧫⌘□✂-მა გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება «წამების" რედაქციების ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ[75]. მისი აზრით, კიმენური რედაქციის სამი ტექსტი არის ე. წ. სინოპტიკური მარტირიუმები და წარმოადგენს უფრო ვრცელი რედაქციის შემოკლებულ ვერსიას. ვრცელი რედაქცია დაიწერა თესალონიკში ადგილობრივი საზოგადოებისათვის, ხოლო სინოპტიკური, შემოკლებული რედაქცია შეიქმნა უფრო ფართო მასშტაბის მოხმარებისათვის. ✌📪 💣♏❖■⧫⌘□✂-ს მიაჩნია, რომ ვრცელი რედაქცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა მოკლე (კიმენური) ვერსია, იყო ჩვენთვის ცნობილ შუალედურ რედაქციასთან დაახლოებული, მაგრამ მისგან მაინც განსხვავებული ტექსტი. ვრცელი ვერსია თავად შუალედურ რედაქციაზეც უფრო დეტალური და მოცულობითი უნდა ყოფილიყო. ეს პროტოტიპური რედაქცია, ალბათ, ჩამოყალიბდა 412-500 წლებში და შემდეგ გამოვიდა ხმარებიდან სწორედ თავისი დიდი მოცულობის გამო. Delehaye-ს მიერ მიკვლეულ ტექსტს და შუალედურ რედაქციას კი ✌📪 💣♏❖■⧫⌘□✂-ი მიაკუთვნებს VIII საუკუნეს.

ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული მეცნიერთა მიერ[76]. ✌📪 💣♏❖■⧫⌘□✂-ის მოსაზრება სინამდვილეს რომ შეესაბამებოდეს, მაშინ VI საუკუნის დასაწყისისათვის წმ. დიმიტრი თესალონიკელის კულტი ბევრად უფრო განვითარებული და გავრცელებული უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბევრი დეტალი ვრცელი რედაქციისა, რომელსაც გამოყოფს ✌📪 💣♏❖■⧫⌘□✂-ი, არანაირად არ აისახება წმ. დიმიტრის სასწაულების იოანე თესალონიკისეულ ციკლში.

შუალედურ ვერსიაში გამოიყოფა შვიდი ეპიზოდი, რომელიც განასხვავებს ამ რედაქციას მოკლე, კიმენური რედაქციისაგან. ესენია: 1) წმ. დიმიტრის მიერ საკანში გაჩენილი ღრიანკალის მოკვლა ჯვრის გამოსახვით; 2) და 3) ნესტორის მისვლა წმინდანთან და ამ უკანასკნელის ლოცვა ნესტორის გამარჯვებისათვის; 4) ნესტორის გამარჯვება და წამება, სადაც ხაზგასმულია წმ.

---

[74] Delehaye, Les legends grecques, p. 262. ამ აზრს იზიარებს ასევე Usener, 1839, Göttliche Synonyme, p. 370.

[75] 💣♏❖■⧫⌘□✂📭 1994, ❄□🖃 ◘❒□⬧&◆❖■♏❍♋📪 pp. 67-90.

[76] შემდგომი მსჯელობა მოგვყავს J. Skedros-ის ნაშრომის მიხედვით, Saint Demetrios, pp. 64-68.

დიმიტრის მონაწილეობის მნიშვნელობა ამ საქმეში; 5) ლუპუსის, წმინდანის მსახურის, და წმ. დიმიტრის სისხლით დასველებული თავსაფრის (ორარიონი) და ბეჭდის ამბავი; 6) ავადმყოფი პრეფექტის, ლეონტიუსის, განკურნება და მის მიერ წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესიის აშენება და 7) ლეონტიუსის მიერ წმ. დიმიტრის რელიქვიების შეწევნით ადიდებული მდინარის – დანუბეს გადალახვა. J. Skedros-ის აზრით, ეს შვიდი ეპიზოდი თითქმის არაფერს ჰმატებს წმინდანის ჰაგიოგრაფიულ სახეს. ამ ეპიზოდებში წმინდანის ძირითადი მახასიათებლები – საღვთო სჯულის უბრალო მასწავლებლობა, უფლის შეწევნა (რომლითაც დაამარცხებინა ნესტორს გლადიატორი) და სასწაულთმოქმედების უნარი – არ შეცვლილა. მათი არსებობა «წამების" შუალედურ რედაქციაში ასევე არაფერს ცვლის მოვლენათა იმ თანამიმდევრობაში, როგორადაც ისინი წარმოდგენილია წმ. დიმიტრის «წამების" ადრეულ ვერსიაში. J. Skedros-ს მიაჩნია, რომ აღნიშნული ეპიზოდების მთავარი დანიშნულება იყო წმინდანის გარდაცვალების შემდგომი ავტორიტეტის გამყარება, აღწერილი სასწაულებით დიმიტრის, როგორც წმინდანის, ძალაუფლების წარმოჩენა და დამტკიცება. მეცნიერის აზრით, «წამების" შუალედური რედაქცია არის ფაქტობრივად წმ. დიმიტრის უადრესი, ყველაზე პირველი სასწაულების კოლექცია.

დასაშვებია, რომ ეს სასწაულები «წამებისგან" ცალკე, სასწაულების მცირე კოლექციის ან ცალკეული ეპიზოდების სახით, ვრცელდებოდა საზოგადოებაში უკვე მაშინ, როდესაც არქიეპისკოპოსი იოანე ქმნიდა წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლს. როგორც ვნახეთ, თხზულების შესავალში იოანე წერს, რომ წმ. დიმიტრის ბევრი სასწაული ზეპირი გადმოცემით არის ცნობილი, თავის ციკლში კი მან შეიტანა ის სასწაულები, რომელთა თვითმხილველიც თავად იყო, ან რომელთა თვითმხილველებს იცნობდა. თავისი განცხადებით იოანე გვიჩვენებს, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში უკვე არსებობდა წმ. დიმიტრის სასწაულების ფართოდ გავრცელებული ზეპირი ტრადიცია.

მაგრამ თავად J. Skedros-ი გამოყოფს იმ ორ საყურადღებო გარემოებას, რომელიც ეწინააღმდეგება «წამების" შუალედური რედაქციის ზემოთხსენებული ეპიზოდების დათარიღებას VII საუკუნის დასაწყისით. პირველი გარემოება არის შუალედურ რედაქციაში სირმიუმის მოტივის არსებობა. პრეფექტმა ლეონტიუსმა სირმიუმში წაიღო წმ. დიმიტრის რელიქვიები და იქ ააგო წმ. დიმიტრის

სახელობის ტაძარი, სადაც დაასვენა რელიქვიები. ეს მონაკვეთი წარმოაჩენს წმინდანის კავშირს სირმიუმთან, რაც არ გვაქვს ადრეულ ვერსიაში და რაც, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლებოდა გაჩენილიყო არა უადრეს VIII საუკუნისა.

მეორე გარემოება არის წმ. დიმიტრის საერო კარიერა, რომელიც დეტალურად არის აღწერილი «წამების" შუალედურ ვერსიაში. ადრეულ ვერსიაში წმ. დიმიტრის ცხოვრება აღწერილია ძალიან მოკლედ: ახალგაზრდობიდან ცხოვრობდა სუფთა და უცოდველი ცხოვრებით და საღვთო სჯულის ცოდნას უზიარებდა სხვებს. შუალედურ რედაქციაში კი წმინდანის საერო ცხოვრება და კარიერა ფართოდ არის გაშლილი: წმინდანი წარმოშობით იყო მაღალი საზოგადოების სენატორების ოჯახიდან, თავისი საერო კარიერა დაიწყო როგორც სამხედრო პირმა, გახდა საბერძნეთის პროკონსული და საბოლოოდ მიიღო იმპერატორ მაქსიმიანესგან კონსულის თანამდებობა[77]. როგორც ვხედავთ, წმ. დიმიტრის პიროვნების მახასიათებლებში მოხდა დიდი ცვლილება: იგი წარმოჩნდა როგორც სანიმუშო მოქალაქე – რომაელთა მაღალი საზოგადობის წარმომადგენელი, სამხედრო და ადმინისტრაციული მაღალი თანამდებობის პირი.

იოანე თესალონიკელის სასწაულების ციკლის შესწავლამ აჩვენა, რომ იოანესთვის უცნობია წმ. დიმიტრის ასეთი საერო კარიერა. იოანესთვის წმ. დიმიტრის სახება საიტერესოა თესალონიკის მოქალაქეობის თვალსაზრისით. მას აინტერესებს წმინდანი – როგორც ცალკეულ პირთა მკურნალი და როგორც მთელი ქალაქის დამცველი და პროტექტორი გაჭირვების დროს. იოანესთვის საინტერესოა არა ის, თუ ვინ იყო წმ. დიმიტრი ადრე, გარდაცვალებამდე, არამედ ის, თუ რისი გაკეთება შეეძლო წმინდანს ქალაქისათვის იოანეს მოღვაწეობის პერიოდში. «სასწაულებში" არის ეპიზოდები[78], როდესაც იოანე წარმოადგენს წმ. დიმიტრის თეთრ ცხენზე ამხედრებულ ჯარის მთავარსარდლად ან ქალაქის კედელზე მდგომს სამხედრო ტანსაცმელში, და სხვა, მაგრამ არცერთ ამ ეპიზოდს იოანე არ უკავშირებს წმ. დიმიტრის საერო ცხოვრებას. ეს

---

[77] PG 116, col 1173 B 4-8.

[78] წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლებს დეტალურად განვიხილავთ უფრო ქვემოთ, ნაშრომის მეორე ნაწილის მეორე თავში.

გარემოება ცხადად აჩვენებს, რომ არქიეპისკოპოს იოანესთვის უცნობი იყო «წამების" შუალედური ვერსიის ზემოთ ხსენებული მონაკვეთები.

ამდენად, დღეისათვის ცნობილია წმ. დიმიტრის «წამების" სამი რედაქცია – მოკლე, შუალედური და მეტაფრასული. მათგან ყველაზე ადრეული არის მოკლე კიმენური ვერსია, რომელიც სავარაუდოდ, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე უკვე ცირკულირებდა თესალონიკის საზოგადოებაში. მეორე, ანუ შუალედური, რედაქცია შეიქმნა არაუადრეს VIII საუკუნისა, მესამე რედაქცია კი დაამუშავა სვიმეონ მეტაფრასტმა. შესაბამისად, იგი თარიღდება X-XI საუკუნეებით. «წამების" სამი რედაქციის დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თესალონიკის არქიეპისოპოს იოანეს მიერ შექმნილ წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლს.

## 2.2. წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციების დათარიღების ინტერპრეტაციისათვის

ჩვენ ვეთანხმებით წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციების ზემოთ მოყვანილ დათარიღებას და ამ ქვეთავში გვსურს დავამატოთ რამდენიმე კომენტარი, რომელიც მხარს უჭერს ამ დათარიღებას.

ვფიქრობთ, რომ წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციების დათარიღებისათვის, სასწაულების ციკლის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია «წამების" ადრეულ და შუალედურ რედაქციებს შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებები.

როგორც აღვნიშნეთ, J. Skedros-ის აზრით, «წამების" ადრეულ ვერსიასთან შედარებით, შუალედური რედაქციისათვის დამატებული შვიდი ეპიზოდი წმინდანის სახეს ფაქტობრივი მონაცემების თვალსაზრისით ბევრს არაფერს მატებს, გარდა მისი საერო კარიერის აღწერისა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ აზრს. მიგვაჩნია, რომ რედაქციებს შორის არსებული განსხვავებები მეტად საყურადღებოა. რედაქციების მიხედვით დროთა ვითარებაში წმ. დიმიტრის წამების თავდაპირველმა ისტორიამ არსებითი ცვლილებები განიცადა; დიმიტრის «წამების" ორი აღნიშნული რედაქცია

წარმოაჩენს დიმიტრის, როგორც მოწამის სახის ჩამოყალიბების პროცესს და ეს ფაქტობრივი ცვლილებაცაა.

თავდაპირველ, ადრეულ რედაქციაში გამოიყოფა თხრობის ორი ძირითადი მიმართულება – თავად დიმიტრის წამების ამბავი და თხრობა ნესტორისა და იმპერატორ მაქსიმიანეს დაპირისპირების შესახებ. კავშირი ამ ორ ამბავს შორის ძალიან სუსტია, – მხოლოდ მესამე პირის სიტყვით დასტურდება. დიმიტრი აქ წარმოდგენილია როგორც ახალგაზრდა, წმინდა ადამიანი, რომელიც თესალონიკში უქადაგებდა ხალხს საღვთო რჯულს. იმპერატორის მსახურებმა შეიპყრეს დიმიტრი, როგორც ქრისტიანობის მქადაგებელი, და მიჰგვარეს იმპერატორ მაქსიმიანეს მაშინ, როდესაც იგი მიემართებოდა თესალონიკის სტადიონისაკენ გლადიატორთა ორთაბრძოლის სანახავად. იმპერატორს იმ მომენტში სტადიონზე წასვლა ეჩქარებოდა, ამიტომ ორთაბრძოლის დასრულებამდე მან ბრძანა დიმიტრის დამწყვდევა სტადიონთან ახლოს მდებარე სახალხო აბანოში.

იმპერატორის ბრძანებით სტადიონზე გამოაცხადეს, რომ ვინც შეებრძოლებოდა იმპერატორის საყვარელ გლადიატორ ლიაიოსს, ის ფულითა და საჩუქრებით დაჯილდოვდებოდა. ამ გამოწვევის საპასუხოდ სტადიონზე გამოვიდა სრულიად ყმაწვილი ნესტორი. ყველას ეშინოდა გლადიატორისა მისი დიდი ფიზიკური ძალის გამო, ამიტომ იმპერატორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილი ნესტორის გაუგონარმა სიმამაცემ. მაქსიმიანემ დაუფასა ნესტორს სიმხნევე, დაენანა სასიკვდილოდ და მას ბრძოლის სანაცვლოდ ფული შესთავაზა. მაგრამ ნესტორმა არ მიიღო იმპერატორის შეთავაზება და განაცხადა, რომ მას სურდა ლიაიოსთან ბრძოლა არა გასამდიდრებლად, არამედ იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ლიაიოსზე უფრო ძლიერია. ნესტორის ამ პრეტენზიული განაცხადით აღშფოთებულმა იმპერატორმა მაშინვე ბრძანა ბრძოლის დაწყება. მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: ბრძოლაში ლიაიოსმა მალევა მიიღო სასიკვდილო ჭრილობა და სული განუტევა.

საყვარელი გლადიატორის სიკვდილით განრისხებულმა იმპერატორმა მაშინვე დატოვა სტადიონი და გაემართა თავისი სასახლისკენ. მისმა მრჩევლებმა იმპერატორს ჩააგონეს, რომ ნესტორის გამარჯვების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო დიმიტრი, ვისმა ლოცვებმაც განაძლიერა ნესტორი. განრისხებულმა

იმპერატორმა რჩევისთვის ჯერ თავის ღმერთებს მიმართა და კარგი შედეგი რომ ვერ მიიღო, მაშინვე ბრძანა დიმიტრი შუბებით განეგმირათ და მოეკლათ იქვე, სადაც იყო დატყვევებული.

ასე მიიღო დიმიტრიმ მოწამეობრივი სიკვდილი. იმ ღამეს ქრისტიანული სამმოს წევრებმა მალულად დაკრძალეს დიმიტრის გვამი მისი წამების ადგილას. წმინდანის დაკრძალვის ადგილზე შემდგომში სნეულთა განკურნება და სხვა სასწაულები ხდებოდა. ლეონტიოსმა, ილირიკიის პრეფექტმა, იქ ააგო ეკლესია წმ. დიმიტრის სადიდებლად.

შუალედურ რედაქციაში იგივე სიუჟეტური ხაზი ვითარდება, მაგრამ აქ დიმიტრის წამების ამბავი არა მხოლოდ გავრცობილია ახალი ეპიზოდებით და დეტალებით, არამედ აქცენტებიც სხვანაირადაა გადანაწილებული, რის შედეგადაც შუალედურმა რედაქციამ ადრეულისგან ბევრად განსხვავებული ჟღერადობა და მიზანდასახულობა შეიძინა.

თხზულების დასაწყისი ჰგავს ადრეულ ვერსიას – მოგვითხრობს იმპერატორ მაქსიმიანეს მიერ მორწმუნეთა დევნის შესახებ და აგვიწერს დიმიტრის უმანკო ცხოვრებასა და ვაჟკაცურ სულისკვეთებას – იგი არ შეუშინდა ქრისტიანების დევნის გამძაფრებას და კვლავ ღიად განაგრძო საღვთო სჯულის ქადაგება ხალხისათვის. მაგრამ უკვე მეორე პარაგრაფიდან დიმიტრის სახება მნიშვნელოვნად სცილდება ადრეულ რედაქციაში წარმოდგენილ მის სახეს. თუ ადრეულ რედაქციაში დიმიტრი არის ჩვეულებრივი მოკვდავი, რომლის მთავარი ღირებულება და მნიშვნელობა არის საღვთო სჯულის ქადაგება, შუალედურ ვერსიაში დიმიტრი არის წარჩინებულთა ოჯახის შვილი, მეტად წარმოსადეგი, ლამაზი გარეგნობის, იმდენად წარმატებული თავის საერო კარიერაში, რომ გახდა საბერძნეთში პროკონსული, და ამასთან ერთად დიდ დროს და მონდომებას უთმობდა წმინდა სჯულის ქადაგებას ხალხისათვის. საერო კარიერის აღწერა აქ არა მხოლოდ აამაღლებს წმინდანის სოციალურ სტატუსს, არამედ მიგვითითებს დიმიტრის იმ პიროვნულ თვისებებზე – სიძლიერე, სიმამაცე, განათლება, სიბრძნე, რის გარეშეც იგი ერობაში ასეთ პატივს ვერ მიაღწევდა. ეს არის კიდევ ერთი ფაქტობრივი შემატება «წამების" ადრინდელ რედაქციასთან შედარებით.

დიმიტრის შეპყრობისა და აბანოში დამწყვდევის ეპიზოდი მიჰყვება ადრეული რედაქციის შესაბამის მონაკვეთს. შუალედურ რედაქციაში ამას მოსდევს დიმიტრის პირველი სასწაული: საპყრობილეში დიმიტრისთან გამოჩნდა ღრიანკალი, დიმიტრიმ პირჯვარი გადაწერა მას და მორიელი მოკვდა. მაშინ დიმიტრისთან მოვიდა ანგელოზი უფლისა, შეამკო გვირგვინით და გაამხნევა.

სტადიონზე განვითარებული მოვლენების აღწერა კვლავ ზუსტად მიჰყვება ადრეულ რედაქციას. ამის შემდეგ გვაქვს ადრეული რედაქციისაგან განსხვავებული მეორე მნიშვნელოვანი მომენტი: ლიაიოსთან საბრძოლველად გამოვიდა ყმაწვილი ნესტორი, მაგრამ გამოსვლის წინ ნესტორი მივიდა საპყრობილეში დიმიტრისთან და სთხოვა კურთხევა ლიაიოსთან საბრძოლველად. დიმიტრიმ მას ჯვარი გადაწერა და უწინასწარმეტყველა, რომ იგი ლიაიოსსაც დაამარცხებდა და მოწამეობრივ აღსასრულსაც მიიღებდა.

ამ ეპიზოდში აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი, რომელიც არ დასტურდება ადრეულ რედაქციაში. უპირველეს ყოვლისა, აქ მკაფიოდ არის ნაჩვენები უშუალო, ფაქტიური კავშირი დიმიტრისა და ნესტორს შორის, რომელიც სრულებით არ ჩანს ადრეულ რედაქციაში. კიმენურ ვერსიაში ერთადერთი მონაკვეთი, რომელიც მიგვანიშნებს ნესტორისა და დიმიტრის კავშირზე, არის იმპერატორის მრჩევლების მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ, შესაძლოა, ნესტორმა გაიმარჯვა ვინმე დიმიტრის ლოცვის შეწევნით. საიტერესოა ისიც, რომ ადრეულ რედაქციაში გლადიატორთან შერკინების შემდეგ ნესტორი თხზულებიდან უკვალოდ იკარგება, აღარ ჩანს. გლადიატორთან ბრძოლით კიმენურ ვერსიაში წყდება ნესტორის სიუჟეტური ხაზი და გარკვეულ უკმარობას ტოვებს. შუალედურ რედაქციაში ნესტორთან დაკავშირებული სიუჟეტური ხაზი მჭიდროდ არის გადაბმული დიმიტრის ამბავთან და ლოგიკური დასასრულიც აქვს. ეს სულ ორი ეპიზოდის დამატებით განხორციელდა. ერთი არის ნესტორის მისვლა საპყრობილეში და დიმიტრისგან კურთხევის მიღება, მეორე – ნესტორის მოწამეობრივი აღსასრული. ამ უკანასკნელს ერთდროულად ორმაგი დატვირთვა აქვს: ლოგიკურად ამთავრებს, კრავს ნესტორის სიუჟეტურ ხაზს და ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ გამოკვეთს წმ. დიმიტრის დიდებას, ვინაიდან ნესტორმა იმპერატორს თავისი პირით აუწყა დიმიტრის წვლილის შესახებ მის გამარჯვებაში. იგი იყო დიმიტრის მოწაფე, მისი კურთხევით გავიდა

საბრძოლველად, მისი ლოცვის შეწევნით გაიმარჯვა და მისი წინასწარმეტყველების თანახმად მიიღო მოწამეობრივი გვირგვინი.

კიმენურ რედაქციაში, სხვათაშორის, არც ნესტორის რწმენაზე არის რამე ნათქვამი. იმპერატორის მრჩევლების მიერ გამოთქმული მოსაზრება დიმიტრის წვლილზე ამავდროულად არის ერთადერთი ფრაზა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მითითებად ნესტორის ქრისტიანობაზე. ადრეულ ვერსიაში ნესტორის სარწმუნოება სხვაგან არსად ჩანს.

შუალედურ ვერსიაში ნესტორის ქრისტიანობა რამდენჯერმე საგანგებოდ არის ხაზგასმული. პირველად ეპიზოდში, სადაც ნესტორი მივიდა დიმიტრისთან კურთხევის სათხოვნელად, ნათქვამია, რომ დიმიტრიმ თავად ასწავლა ნესტორს ქრისტე ღმერთის თაყვანისცემა. უკვე არენაზე, ბრძოლის დაწყების წინ, ნესტორმა პირჯვარი გადაიწერა, მიმართა ზეცას და სთხოვა შეწევნა, რათა დაემარცხებინა ლიაიოსი და მისი სახით – მაქსიმიანეს უსჯულოება, როგორც დავითმა დაამარცხა გოლიათი.[79] ლიაიოსის დამარცხების შემდეგ ნესტორი ადიდებს უფალს.[80] იმპერატორ მაქსიმიანეს ნესტორმა მარტივად აუხსნა უძლეველი გლადიატორის დამარცხების მიზეზი – იგი ნესტორის ხელით დიმიტრის ღმერთის ანგელოზმა დაამარცხა.[81] ამის შემდეგ იმპერატორმა ბრძანა ნესტორის, «რომელიც იყო ქრისტიანი”,[82] სიკვდილით დასჯა.

ნესტორთან დაკავშირებით გვინდა გამოვყოთ კიდევ ორი მომენტი. ორსავე რედაქციაში ერთნაირადაა აღწერილი ნესტორის გასვლა არენაზე, როდესაც მან მეტად თამამად უარყო იმპერატორის შეთავაზება და განაცხადა, რომ მას სურდა არა სიმდიდრის მოპოვება, არამედ დამტკიცება იმისა, რომ ის გლადიატორზე უფრო ძლიერი იყო. ადრეულ ვერსიაში მეტი არაფერია თქმული თუ განმარტებული და ჭაბუკის ასეთი განაცხადი ზედმეტად თვითდარწმუნებულად და პრეტენზიულად გამოიყურება, რაც, შეიძლება ითქვას, ნესტორს უარყოფით ელფერს სძენს და კარდინალურად განასხვავებს მას ქრისტიანი მოწამის ტრადიციული სახისაგან. შუალედურ რედაქციაშიც ეს

[79] PG 116; 1180 B 11 – C 3.
[80] PG 116; 1180 D 3-8.
[81] PG 116; 1180 D 4.
[82] ♏︎ℯ&♏︎❖●♏︎◆⬧♏︎■ ♋◆ℯ⧫☐▭■ ⬧☺✂ ♒❒♓⬧⧫♓♋❖■☐■ (PG 116; 1177; C, 8-9; § 11)

ეპიზოდი, როგორც ვთქვით, თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება. მაგრამ აქ დიალოგს მოსდევს მონაკვეთები, რომლებიც არ არის ადრეულ ვერსიაში. ეს ნაწილი სრულად განმარტავს ნესტორის პრეტენზიულ განაცხადს და უკვე სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს მას. ამ ჩანართების შედეგად თხზულების ეს ეპიზოდი, რომელიც ასეთი მშრალი და ცოტა გაუგებარია ადრეულ ვერსიაში, შუალედურ რედაქციაში განსხვავებულ ჟღერადობას იძენს – ეს არის არა პირადი უპირატესობის დამტკიცების სურვილი, არამედ უფლის სადიდებელი აქტი.

დიმიტრის მოწამეობრივი აღსასრულის აღწერა ორსავე რედაქციაში ერთმანეთს თანხვდება, იმ განსხვავებით, რომ შუალედურ რედაქციაში დაზუსტებულია წმ. დიმიტრის წამების ადგილმდებარეობა.

შუალედურ რედაქციაში წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ ჩნდება ახალი პერსონაჟი, დიმიტრის მსახური ლუპუსი, რომელმაც წმინდანის სისხლში ამოვლებული წმინდანისვე ბეჭდით და ორარიონით (თავსაფრით) სნეულთა განკურნების მრავალი სასწაულის განხორციელება შეძლო. როგორც ვხედავთ, შუალედურ ვერსიაში კურნებათა სასწაულები თავდაპირველად უკავშირდება წმინდანის სისხლსა და ბეჭედს. იმპერატორმა შეიტყო ლუპუსისა და მისი სასწაულების ამბავი და ისიც სიკვდილით დასაჯა.

ამ ჩანართის შემდეგ რედაქციებს შორის ისევ თანხვედრაა. ეს ეხება წმინდანის დაკრძალვის ეპიზოდს და მისი დაკრძალვის ადგილზე ეკლესიის აშენების ამბავს. ამის შემდეგ შუალედურ ვერსიაში მოყვანილია კიდევ ერთი სასწაული, რაც არა გვაქვს ადრეულ რედაქციაში. ეს არის პრეფექტ ლეონტიუსის მიერ წმ. დიმიტრის შეწევნით ადიდებული მდინარის, დანუბეს გადალახვა.

როგორც ვხედავთ, რედაქციების შედარების შედეგი მეტად საინტერესოა. ჩვენი აზრით, უდაოა, რომ შუალედური რედაქციის შემდგენელს წინ ედო ადრეული ვერსიის ტექსტი; გარკვეული მონაკვეთები სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. შემდგენელმა დაამუშავა ადრეული ვერსიის ტექსტი, დაურთო ახალი ეპიზოდები, გაამდიდრა დეტალებით – შეიტანა ფაქტობრივი ცვლილებები. მაგრამ მთავარია ის, რომ შუალედური რედაქციის შემდგენელმა შეცვალა თხზულების მიზანდასახულობა და ყველანაირი შევსება, ფაქტობრივი მასალა ამ მიზანდასახულობის მიხედვით შეიტანა.

ადრეული ვერსია სტრუქტურულადაც და შინაარსობრივადაც კიმენური ჰაგიოგრაფიის მეტად ტიპური ნიმუშია, რომელიც გამიზნულია მხოლოდ მომხდარის დაფიქსირებისათვის. აქ მთხრობელს აქვს ერთადერთი მიზანი: გადმოსცეს და დააფიქსიროს მხოლოდ ის, რაც მოხდა. შუალედური რედაქციის ავტორი კი ამ დაფიქსირებულ ამბავს განსხვავებულად უდგება, მას არ აკმაყოფილებს ამბის მხოლოდ თხრობა, ისტორიული რეალობის მარტივი აღწერა, მისი მიზანია გამოკვეთოს მოწამის დამსახურება, მისი ღვაწლის (მოწამეობრივი სიკვდილის) სიდიადე და მნიშვნელობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩანართი ეპიზოდები და დეტალები – თხრობის შეკვრა ერთი საერთო მიზანდასახულობით. ჩვენი აზრით, კიმენური რედაქცია მართლაც ძალიან ადრეულია (რომაული სამართლებრივი ოქმების მსგავსი) და შეძლებისდაგვარად დაახლოებულია რეალურ სინამდვილესთან. ზემოთ განხილული ჩანართები კი გვიანდელი დანამატია, გაპირობებული წმ. დიმიტრის განდიდების სურვილით, განსაზღვრული ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლიშეებით.

ის, რომ ადრეულ რედაქციაში არ ჩანს ნესტორის წამება[83], ჩვენი აზრით, მრავლისმეტყველი ფაქტია. ეს არ არის მხოლოდ სიუჟეტური ხაზის არდასრულება. ეს ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება ჰაგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნებს. ორთაბრძოლის შემდეგ ნესტორი მშვიდობით სცილდება სტადიონსა და თხზულების სიუჟეტს, რაც გარკვეულწილად ამცირებს მისი გამარჯვების მნიშვნელობას. ამას ემატება ისიც, რომ ადრეულ რედაქციაში ნესტორის განაცხადს სტადიონზე არანაირი განმარტება თუ კომენტარი არ მოსდევს, რის გამოც ჩანს, თითქოს ნესტორისათვის ლიაიოსთან შერკინების ერთადერთი მოტივი იყო ამპარტავნება. ნესტორის ამბის ასეთი მშრალი აღწერა ნესტორს უფრო ჩრდილს აყენებს, ვინაიდან ასეთი ქცევა, ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლასიკური მოდელის მიხედვით, მორწმუნისათვის შეუფერებელია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადრეულ რედაქციაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული დაპირისპირება ბოროტსა და კეთილს, წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. თუ დაპირისპირება არ არის მძაფრი, არც დიმიტრის

[83] აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ მისი ხსენების დღის – 27 ოქტომბერი – დაწესებაც უფრო გვიანდელი მოვლენა იყოს.

მოწამეობრივ სიკვდილსა და ქრისტიანობის გამარჯვებას ედება ფასი. თხრობაც შესაბამისად არის მდორე, ემოციას მოკლებული.

შუალედურ ვერსიაში კი, როგორც აღვნიშნეთ, მოვლენათა განვითარება ბევრად უფრო ლოგიკურია, ყოველი ჩანართი თუ დამატებითი დეტალი მიზანდასახულად აჩვენებს და გამოკვეთს წმ. დიმიტრის და მასთან ერთად, მოწამე ნესტორის ღვაწლსა და დამსახურებას. დიმიტრის არისტოკრატიული წარმოშობა და მაღალი თანამდებობები, სიცოცხლის დროისა და განსაკუთრებით, გარდაცვალების შემდგომი სასწაულები ბევრად ცვლის მოწამის სტატუსს. ვფიქრობთ, შუალედურ ვერსიაში ჩანართი ეპიზოდების არსებობა გაპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: 1) წმ. დიმიტრის, როგორც წმინდანის, განდიდებისა და სტატუსის ამაღლებისათვის; ეს ტენდენცია სათავეს იღებს იოანე თესალონიკელის მიერ შექმნილი წმ. დიმიტრის «სასწაულების" პირველ ციკლში; 2) ჰაგიოგრაფიული ჟანრის მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნებით. ეს ორივე გარემოება კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს იმ მოსაზრებას, რომ შუალედური რედაქცია შეიქმნა ადრეული რედაქციის შემდეგ, შედარებით გვიანდელ პერიოდში. ამდენად, ჩვენ ვეთანხმებით J. Skedros-ს წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციათა დათარიღებაში, მაგრამ მისგან განსხვავებით მიგვაჩნია, რომ «წამების" ადრეულსა და შუალედურ რედაქციებს შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებები მეტად საყურადღებოა წმინდანის კულტის ჩამოყალიბების ისტორიისა და «წამების" რედაქციების დათარიღებისათვის.

## 2.3. წმ. დიმიტრის «სასწაულები"

ბერძნულ ქრისტიანულ ლიტერატურაში წმ. დიმიტრის სახელთან დაკავშირებული სასწაულების რიცხვი დიდია. მათგან ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა სასწაულების ყველაზე ადრეულმა პირველმა ორმა და უფრო გვიანდელი პერიოდის მესამე კოლექციამ.

### 2.3.1. *წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი ციკლი*

წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი კოლექციის ავტორად ბერძნულ ხელნაწერებში მითითებულია თესალონიკის არქიეპისკოპოსი იოანე. მეცნიერთა აზრით, იოანე მოღვაწეობდა VII საუკუნის პირველ ნახევარში, დაახლოებით 610-649 წლებში[84]. ცნობები იოანეს შესახებ ძალიან მწირია. მის შესახებ ძირითადი წყაროა მისი საკუთარი თხზულება და წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე კოლექცია.

იოანემ ძალიან კარგად იცოდა წმ. დიმიტრის კულტი. იგი იყო წმინდანის დიდი მოამაგე, მქადაგებელი და პოპულარიზატორი. ყოველივე ეს მკვლევართ აფიქრებინებს, რომ იოანე იყო წარმოშობით თესალონიკელი, ადგილობრივ საეკლესიო პირთაგან აღზევებული[85]. გარდა სასწაულების ციკლისა, დღეისათვის ცნობილია იოანეს კიდევ ორი თხზულება – წმ. დიმიტრის საქებარი სიტყვა[86] და ჰომილია ღვთისმშობლის მიძინების შესახებ.[87] მაგრამ წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლი მიჩნეულია მის ყველაზე ცნობილ და ფართოდ გავრცელებულ თხზულებად, ამასთანავე ეს თხზულება ყველაზე უკეთესად წარმოაჩენს არქიეპისკოპოს იოანეს როლს და მნიშვნელობას ქალაქ თესალონიკის როგორც სასულიერო, ასევე საერო ცხოვრებაში.

იოანე ქალაქ თესალონიკთან დაკავშირებული თანადროული ისტორიული მოვლენების თვითმხილველი და მონაწილეა. თავის ნაწარმოებში იოანე მოგვითხრობს თანამედროვე და თავისი წინამორბედის, არქიეპისკოპოს ევსევის, დროს მომხდარ ამბებს. გვიანანტიკური პერიოდის ქალაქებში ეკლესიის მეთაურებს განსაკუთრებული ძალაუფლება და სტატუსი ენიჭებოდათ, რაც კარგადაა აღწერილი იმ პერიოდის სხვადასხვა ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროებში[88]. ეპისკოპოსები იყვნენ «სახალხო მოღვაწენი”, რომლებიც განაგებდნენ დიდ ტერიტორიებს. ისინი იღვწოდნენ თავისი სამწყსოს სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის.

სასწაულების მეორე კოლექციაში არქიეპისკოპოსი იოანე წარმოგვიდგება როგორც მტერთა შემოსევების დროს ქალაქის დაცვის ერთ-ერთი

[84] Laurent, 1895, Sur la date de églises, pp. 425, 431.
[85] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 107.
[86] Philippidis-Braat, ed., 1981, L'Enkômion de saint Démétrius, pp. 289-526.
[87] Daley, 1998, On the Dormition of Mary, pp. 47-67.
[88] Guillou, 1973, L'Évêque dans la société méditerranéene, pp. 5-19; Liebeschuetz, 1992, The End of the Ancient City, pp. 14-15.

მთავარი ორგანიზატორი, თესალონიკის დიდი პატრიოტი და მოქალაქეებთან დაახლოებული ადამიანი[89]. როგორც თესალონიკის რელიგიური ლიდერი, იოანე აერთიანებდა თავის საეკლესიო და მოქალაქებრივ მოვალეობებს და ქალაქში აქტიურად უწევდა პოპულარიზაციას წმ. დიმიტრის კულტს.

სასწაულების პირველი ციკლი შედგება 15 სასწაულისაგან. პირველად ეს კოლექცია გამოაქვეყნა Cornelius Byeus-მა 1780 წელს, შემდეგ ეს გამოცემა ხელახლა გამოქვეყნდა PG-ში[90]. 1979 წელს P. Lemerle-მ გამოაქვეყნა «სასწაულების" ტექსტების კრიტიკული გამოცემა[91], სადაც შევიდა იოანე თესალონიკელის მიერ შეკრებილი სასწაულები და ასევე მეორე, ანონიმური ციკლის ექვსი სასწაული. Lemerle-ს აზრით, იოანეს კოლექცია უნდა შემდგარიყო ჰერაკლე იმპერატორის მმართველობის პირველ წლებში[92]. იოანეს სასწაულები მოღწეულია ხელნაწერების საკმარისად დიდი რაოდენობით, რაც კვლავ ამ თხზულების დიდი პოპულარობაზე მეტყველებს. მათგან უადრესია VIII საუკუნის პალიმფსესტი, რომლიც შეიცავს კოლექციის ნაწილს. მაგრამ მხოლოდ XII საუკუნის ხელნაწერში გვხვდება პირველად ორივე კოლექციის ყველა სასწაული ერთად და იმ თანამიმდევრობით, რაც დღეისათვის არის ცნობილი[93]. Lemerle-ს მიაჩნია, რომ იოანემ თავისი ციკლის შესაქმნელად ძირითად წყაროებად გამოიყენა ამონაწერები საკუთარი და ევსევი არქიეპისკოპოსის ჰომილიებიდან და ასევე მის მიერვე ზეპირად წარმოთქმული ქადაგებები.

როგორც სხვა ბევრი ძველი თხზულების შემთხვევაში, აქაც ჩნდება კითხვა: ეს «სასწაულები" ჯერ ზეპირად იქნა წარმოთქმული და მერე მოხდა მათი ჩაწერა, თუ ისინი პირდაპირ წერილობითი სახით ვრცელდებოდა. «სასწაულებში" იოანე ახსენებს, რომ ეს თხრობა მოდის მისი ენიდან და არა ხელიდან ან კალამიდან (♑●◆🕯♦♦♋📪 ♎♓♋🖃 ❍♓♋🕯✂ ♑●◆❖♦♦♒✂✆[94]. იოანე მიმართავს მსმენელებს და არა მკითხველებს. ყოველი სასწაული მთავრდება უფლის დიდების ტრადიციული ფორმულით. სტილი «სასწაულებისა" გამორჩეულად

---

[89] იხ. Lemerle I, Col. II, Mir. 2, § 201.
[90] PG 116, 1203-1324.
[91] ტექსტი დადგენილი და გამოცემულია: Lemerle I, 1979.
[92] Lemerle, 1981, Commentaire, p. 80.
[93] Lemerle I, pp. 13-15.
[94] Lemerle II, 1981, Commentaire, p. 36; Lemerle I, § 6, p. 52, 12.

რიტორიკულია – დატვირთულია სხვადასხვა რიტორიკული ფიგურით. ყოველივე ეს თითქოს მიგვანიშნებს, რომ «სასწაულები” განკუთვნილი იყო მოსასმენად. მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია ისიც, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი არასოდეს წარმოთქმულა ზეპირად[95].

იოანეს «სასწაულები” გაერთიანებულია თემატურად. პირველი სამი სასწაული სხეულის კურნებას ეხება, მე-4–მე-7 სასწაულებში აღწერილია ეშმაკეულთა (სულით დაავადებულთა) განკურნების შემთხვევები. მე-8 სასწაულიდან მოყოლებული ლაპარაკია უკვე არა ცალკეულ პიროვნებებთან დაკავშირებულ სასწაულებზე, არამედ მთელი ქალაქის ან მოსახლეობის გადარჩენის ამბავზე. ეს სასწაულებია: დიდი შიმშილობა (მე-8 სასწაული), ფოკას მმართველობის დროს მომხდარი სამოქალაქო ომები (მე-9 და მე-10 სასწაულები). გამონაკლისს წარმოადგენს მე-11 სასწაული, სადაც ურჩი ეპარქოზის დასჯის ამბავია მოთხრობილი. კოლექციის ბოლოს შეტანილია უმნიშვნელოვანესი სასწაულები, სადაც ავტორი მოგვითხრობს წმინდანის მიერ ქალაქისათვის გაწეულ დახმარებაზე ბარბაროსთა შემოსევების დროს[96]. ამათგან მე-12 თავი ცალკე ეპიზოდია, მე-13–მე-15 სასწაულები კი მოგვითხრობს ერთი ისტორიული მოვლენის შესახებ. ამბავი დაყოფილია რამდენიმე სასწაულად, როგორც ჩანს, მისი სიგრძის გამო. იოანე თავის თხზულებაში არ იცავს ისტორიულ ქრონოლოგიას, რის შედეგადაც ერთ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ამბები სხვადასხვა სასწაულში აღმოჩნდა. ასე მაგალითად, მე-3 თავში აღწერილია ჭირის ეპიდემია, რომელიც თესალონიკეში წინ უძღოდა ავარების ერთ-ერთ შემოსევას, მე-13–მე-15 სასწაულებში მოთხრობილია თავად ამ შემოსევის შესახებ, მე-8 სასწაულში კი აღწერილია შიმშილობა, რომელიც მოჰყვა ამ შემოსევის დროს თესალონიკის ალყას. მე-12 სასწაული მოგვითხრობს დიმიტრის სახელობის ტაძარში მომხდარი ხანძრის შესახებ, მე-6 სასწაულში კი აღწერილია,

[95] Skedros, 1999, Saint Demetrios, p. 109.

[96] ამ სასწაულების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს თავად ავტორი მე-13 სასწაულის დასაწყისში:
“😐♋♓❒□🖃✂ ♒☯♎♒ ●□♓❒□🖃■ &♋♓🖃 ♦□◆🕯 &♏♐♋●♋♓⬥♎♏⬥♦♋❖♦ □◆ ♦⬥🕯■
❑♋◆❍♋⬥♓❖⬥■ ♋❀♐♋⬥❑♋♓✂📪📪📪” (Lem. I, § 116; p. 133, 4) (ბოლოს დადგა დრო გადავიდეთ უმთავრეს სასწაულებზე...)

თუ როგორ აღადგინეს ამ ხანძრის შედეგად განადგურებული წმ. დიმიტრის ვერცხლის კიბორიუმი.

სასწაულების პირველი ციკლის ყველაზე სრული ლიტერატურული და ტექსტობრივი ანალიზი ეკუთვნის P. Speck-ს[97]. მან გამოავლინა სტილისტური გასხვავებები, რომლებიც შეინიშნება როგორც სხვადასხვა სასწაულის შედარებისას, ასევე ზოგიერთი ცალკეული სასწაულის ფარგლებში. სასწაულების პირველი ციკლის ზოგიერთი სასწაული უფრო ნოველის ხასიათს ატარებს, სხვა უფრო ისტორიულ ქრონიკას ემსგავსება. სასწაულებიდან ბევრი შეიცავს ერთდროულად სასწაულებრივი ამბის, ლოცვისა და ქადაგების ელემენტებს[98]. Speck-ის აზრით, ასეთი განსხვავებები ძალიან ართულებს კოლექციის წარმომავლობის შესახებ თანამიმდევრული და ლოგიკურად გამართული ვარაუდის შექმნას. მაგრამ მიუხედავად ამისა, Speck-ი გამოყოფს ციკლის ჩამოყალიბების რამდენიმე ეტაპს.

კოლექციის პირველი და უძველესი ნაწილი უნდა შექმნილიყო ჰერაკლე იმპერატორის მმართველობის პერიოდში (610-649 წწ.). სხვა სასწაულები შეკრიბეს VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისში იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილია პალიმფსესტში Vat. Cod. Gr.1876, რომელიც თარიღდება VIII საკუნის დასაწყისით[99]. კოლექციების შემდეგ ეტაპს Speck-ი უწოდებს «საერთო პროტოტიპს" და ათარიღებს IX საუკუნით. ამ პროტოტიპიდან შემდეგ წარმოიქმნა კიდევ ორი პროტოტიპი, რომლებიც გახდა სასწაულების ორი ადრეული კოლექციის საფუძველი.

ამ კოლექციებზე საუბრისას Speck-ს მხედველობაში აქვს Lemerle-ს მიერ გამოქვეყნებული ტექსტი და ანასტასიუს ბიბლიოთეკარის ლათინური თარგმანი (876 წელი). Speck-ი სასწაულების ციკლების ჩამოყალიბების ეტაპებს უკავშირებს წმ. დიმიტრის კულტის განვითარების ისტორიას. მას მიაჩნია, რომ სირმიელი წარმოშობის დიმიტრის წმინდა რელიქვიები გადმოიტანეს თესალონიკში VII საუკუნის მეორე ნახევარში. Speck-ი წმ. დიმიტრის კულტის საბოლოო

---

97 Speck, 1993, De Miraculis, pp. 255-532; Speck, 1994, Nochmals zu den Miracula, pp. 317-429.
98 Speck, 1993, De Miraculis, p. 506.
99 Ibid, p. 508.

ჩამოყალიბებისა და გამყარების დროდ ვარაუდობს IX საუკუნეს და განიხილავს მას ბიზანტიურ რენესანსთან კავშირში[100].

J. Skedros-ი არ იზიარებს Speck-ის მოსაზრებებს და მიაჩნია, რომ ამ უკანასკნელის თეორია არ არის საფუძვლიანად დასაბუთებული წმ. დიმიტრის კულტის ისტორიის გადასათარიღებლად[101]. თავად Speck-იც ეთანხმება იმ აზრს, რომ VII საუკუნის ბოლოსთვის უკვე არსებობდა იოანეს ციკლის ნაწილი[102]. ამისი დოკუმენტია ამ პერიოდის პალიმფსესტი. ამ ხელნაწერის ტექსტისა და Lemerle-ს ტექსტის შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი თითქმის იდენტურია და ორსავე ტექსტში სრულად არის დაცული იოანეს მაღალი რიტორიკული სტილი. ამასთანავე, წმ. დიმიტრის იოანესეული ენკომია, თვით ტექსტში დაცული მონაცემების მიხედვით, განეკუთვნება VII საუკუნის მეორე ნახევარზე უფრო ადრინდელ პერიოდს, ამ ენკომიის და სასწაულების ხსენებული ნაწილის სტილი კი იდენტურია. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, Speck-ი წმ. დიმიტრის სასწაულების კოლექციების წარმოშობას უკავშირებს ბიზანტიურ რენესანსს და ათარიღებს IX საუკუნით. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, წმ. დიმიტრის კულტი თესალონიკში უკვე VII საუკუნის ბოლოსთვის სავსებით ჩამოყალიბებულია. J. Skedros-ის აზრით, სწორედ VII საუკუნის სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა განაპირობა წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლის შექმნა.

დავასკვნით, რომ იოანე თესალონიკელის უმთავრესი მიზანია თავის თხზულებაში აღწეროს წმ. დიმიტრის გმირობანი და განადიდოს იგი. ავტორი ხშირად უშვებს უზუსტობებს ისტორიული მოვლენების აღწერისას. ამასთანავე, თარიღების არარსებობა და მოვლენათა თანამიმდევრობის დარღვევა აძნელებს ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუქციას. ლიტერატურული თვალსაზრისით იოანეს თხზულება უფრო ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა (აგებულების, მიზანდასახულობის, ლექსიკის და სხვა მახასიათებლების მიხედვით), თუმცაღა იგი ისტორიოგრაფიის ელემენტსაც შეიცავს. სტილის თვალსაზრისით თხზულება რიტორიკული ხასიათისაა (მასში ჩანს მრავალი ზოგადი მსჯელობის შემცველი

---

[100] Ibid, pp. 258-259.
[101] Skedros, 1999, Saint Demetrios, pp. 111-115.
[102] Speck, 1993, De Miraculis, p. 508.

რიტორიკული ჩანართი), თუმცა თავად ამბავი გადმოცემულია მარტივი და უბრალო ენით, ხშირად საკმარისად ლაკონიურად.

### *2.3.2. წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე კოლექცია*

წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე, ანონიმურ, ციკლში გადმოცემულია ის მოვლენები, რომლებიც განვითარდა იოანეს ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში. წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე კოლექციის შესავალში მინიშნებულია, რომ არსებობდა იოანეს თხზულებების უფრო სრული ვერსია, რომელიც შემდგომში დაიკარგა[103]. თავად მეორე კოლექციის ავტორმა კი, მეცნიერთა ვარაუდით, თავისი ნაწარმოების საფუძვლად იოანეს ჩანაწერები გამოიყენა.[104]

წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე კოლექცია შეიქმნა როგორც პირველი კოლექციის უშუალო გაგრძელება. ეს ნათლად არის ნათქვამი თხზულების შესავალში. აქვე გაკვრით მინიშნებულია, რომ მეორე კოლექცია შეიქმნა პირველის დასრულებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ. ეს თხზულება მოღწეულია ერთადერთი თავნაკლული ბერძნული ხელნაწერით, ამიტომ კოლექციის ავტორის შესახებ არაფერია ცნობილი. მეცნიერთა აზრით, მეორე კოლექციის უმეტესი ნაწილი შექმნილი უნდა იყოს ერთი ადამიანის მიერ, რომელიც ცხოვრობდა თესალონიკში VII საუკუნის მეორე ნახევარში. თავად თხზულებას კი ათარიღებენ VII საუკუნის 80-90-იანი წლებით[105]. როგორც ჩანს, მისი ავტორი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა აუცილებლად თესალონიკის არქიეპისკოპოსი.[106]

მოცულობის თვალსაზრისით მეორე კოლექცია პირველზე ბევრად პატარაა, იგი მხოლოდ 6 სასწაულისაგან შედგება. «სასწაულებში" აღწერილია თესალონიკის იმდროინდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები – სლავებისა და ავარების მიერ ქალაქის ალყა, მიწისძვრა, ბულგარელების შეთქმულება და სხვა. ქრონოლოგიურად ეს სასწაულები იყოფა ორ ნაწილად. პირველ სამ სასწაულში მოთხრობილია არქიეპისკოპოს იოანეს დროინდელი ამბები (სწორედ ეს ნაწილი უნდა იყოს დაწერილი იოანეს ჩანაწერების

[103] Lemerle II, 1981, Commentaire, pp. 168-169.
[104] იქვე, p. 84.
[105] Barišić, 1953, Ćuda Dimitrija Solunskogkao, pp. 145-153 ; Lemerle II, 1981, Commentaire, pp. 84-85.
[106] იქვე.

გამოყენებით[107]). თხზულების დანარჩენ ნაწილში აღწერილ მოვლენებს, როგორც ჩანს, ავტორი თავად ესწრებოდა. ეს ნაწილი გამოირჩევა თხრობის უფრო დეტალური და ცოცხალი მანერით.

მეორე ციკლში განცალკევებით დგას ბოლო, მეექვსე სასწაული, სლავების მიერ აფრიკელი ეპისკოპოსის, კვიპრიანეს, დატყვევების შესახებ. P. Lemerle-ს აზრით, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენი სასწაულებისაგან და დაწერილი უნდა იყოს სხვა ავტორის მიერ, რომელიც, სავარაუდოდ, არ ცხოვრობდა თესალონიკში. არ არსებობს ამ სასწაულის დათარიღების არანაირი საშუალება. წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე კოლექციას ეს სასწაული შეიძლება თავად ამ კოლექციის ავტორმა მიამატა, შესაძლოა – ხელნაწერის გადამწერმა[108].

როგორც წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი კოლექციის, ისევე მეორე კოლექციის ავტორის მიზანია წარმოაჩინოს წმ. დიმიტრის დამსახურება და განადიდოს წმინდანი. ჰაგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნების შესაბამისად, აქაც არ არის დაცული ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მაგრამ თხრობა აქ ბევრად უფრო ცოცხალია და, საერთო ჯამში, სინამდვილესთან მეტი სიახლოვის შთაბეჭდილებას ქმნის. ფაქტობრივი მასალა და ზუსტი აღწერები (მაგალითად, ავართა და სლავთა საბრძოლო იარაღისა აღწერა), რაც არ არის დამახასიათებელი ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებისათვის, ამ კოლექციას ბიზანტიელი ავტორების ისტორიულ თხზულებებთან აახლოებს. P. Lemerle ამ თხზულებას «ქალაქის ქრონიკასაც” კი უწოდებს[109].

### 2.3.3. *წმ. დიმიტრის სასწაულების მესამე კოლექცია*

წმ. დიმიტრის სასწაულების მესამე კოლექცია თარიღდება X საუკუნის მეორე ნახევრით. იგი მოიცავს ხუთ სასწაულს, რომლებიც ძირითად მოგვითხრობენ წმინდანის კულტის გავრცელების შესახებ თრაკიაში, კაპადოკიასა და იტალიაში. მისი ავტორის შესახებ არაფერია ცნობილი[110].

### 2.3.4. *წმ. დიმიტრის სასწაულების ლათინური ციკლი*

---

[107] Lemerle II, 1981, Commentaire, p. 84.
[108] იქვე, pp. 163-169.
[109] იქვე, p. 174.
[110] იქვე, p. 203.

876 წელს ანასტასიუს ბიბლიოთეკარმა ბერძნულიდან ლათინურად თარგმნა წმ. დიმიტრის «წამება”. მოკლე მიძღვნით წერილში, რომელიც PG-ში წინ უძღვის «წამების” ლათინურ თარგმანს, ანასტასიუსი აღნიშნავს, რომ მან ლათინურად თარგმნა წმ. დიმიტრის «წამებაც” და «სასწაულებიც”[111]. თუმცაღა ამ გამოცემაში მოცემულია მხოლოდ «წამების” თარგმანი[112]. ანასტასიუსის თარგმანით მოღწეული სასწაულების ციკლი წარმოადგენს იოანეს ციკლის შემოკლებულ ვარიანტს. აქ არ არის შეტანილი იოანეს კოლექციია მე-3, მე-4, მე-5 და მე-10 სასწაულები, დანარჩენი კი მოცემულია ძალიან შემოკლებული სახით. ამ კოლექციაში სასწაულები წარმოდგენილია იმავე თანმიმდევრობით, როგორც ეს გვაქვს Lemerle-ს გამოცემაში. ანასტასიუსს თავისი კოლექციის ბოლოს შეტანილი აქვს ასევე წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე ციკლის ბოლო, მე-6 სასწაული. ანასტასიუსის თარგმანში მთლიანად ამოღებულია იოანეს სტილისთვის დამახასიათებელი რიტორიკული ჩანართები. მას გადმოაქვს სასწაულების მხოლოდ ძირითადი ამბავი, თუმცაღა ზოგჯერ აქ შეინიშნება ისეთი ელემენტებიც, რომლებიც არ გვხვდება ბერძნულ კოლექციაში.

## 2.4. დასკვნა

ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს წმ. დიმიტრი თესალონიკელის «წამების” სამი რედაქცია. მათგან პირველი, მოკლე, ე.წ. *Passio Prima,* მოღწეულია სამი, IX საუკუნის ბერძნული ხელნაწერით და ბერძნული ორიგინალის ლათინური თარგმანით, რომელიც შესრულებულია 876 წელს ანასტასიუს ბიბლიოთეკარის მიერ. ეს რედაქცია მიჩნეულია უძველესად.

«წამების” მეორე რედაქცია, ე.წ. *Passio Altera,* მოღწეულია მხოლოდ ერთი, IX საუკუნის ხელნაწერით. იგი მიჩნეულია წმ. დიმიტრის «წამების” სვიმეონ მეტაფრასტისეული რედაქციის პროტოტიპად.

«წამების” მესამე რედაქცია ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტს და შესაბამისად, თარიღდება X-XI საუკუნეების მიჯნით.

---

[111] PG 116, 1168 D.
[112] PG 116, 1167-1172.

ჯერ კიდევ იოანე თესალონიკელი VI საუკუნის ბოლოს თავისი სასწაულების ციკლის შესავალში მოიხსენიებს წმ. დიმიტრის «წამების" წერილობით ვერსიას. ასეთი მინიშნება გვხვდება ციკლის ერთ-ერთ სასწაულშიც. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ «წამების" პირველი, მოკლე ვერსია წერილობითი სახით არსებობდა უკვე VI საუკუნის ბოლოსთვის (C. Byeus, H. Delehaye, P. Lemerle, J. Skedros, etc.).

წმ. დიმიტრის «წამების" რედაქციების ასეთი კლასიფიკაცია წამოაყენა ჯერ კიდევ C. Byeus-მა. შემდგომში გამოითქვა სხვა ვარაუდებიც, რომლის მიხედვითაც მოკლე ვერსია «წამებისა" არ უნდა ყოფილიყო უძველესი. ამ ჰიპოთეზის მიხედვით არსებობდა სხვა ვრცელი ვერსია, შუალედურ რედაქციაზე უფრო მოცულობითი და დეტალური, რომელიც შემდგომში გამოვიდა ხმარებიდან სწორედ თავისი დიდი მოცულობის გამო. ამ თეორიის ავტორი ✌📬 💣♏❖■♦⌘□✂-ი შუალედურ რედაქციაში გამოყოფს შვიდ ეპიზოდს, რომელიც პროტოტიპური ვერსიიდან არის გადმოყოლილი, და რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს წმ. დიმიტრის სასწაულების უადრეს ციკლს[113].

✌📬 💣♏❖■♦⌘□✂-ის ეს ჰიპოთეზა არ იქნა გაზიარებული ორი ძირითადი მიზეზის გამო. «წამების" ვრცელი და დეტალური რედაქციის არსებობა VI საუკუნეში გულისხმობს ამ პერიოდში წმ. დიმიტრის კულტის გაცილებით მეტ განვითარებასა და პოპულარობას, რაც არ მტკიცდება სხვა დოკუმენტური თუ ისტორიულ-არქეოლოგიური მასალით. და მეორე, იოანე თესალონიკელის მიერ შექმნილ წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლში არ ჩანს ზემოთ ხსენებული შვიდი ეპიზოდის ინფორმაცია. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ იოანემ არაფერი იცის წმინდანის საერო-სამხედრო კარიერაზე და მის კავშირზე ქალაქ სირმიუმთან. სირმიუმის მოტივი კი ვერ გაჩნდებოდა წმინდანის კულტში VIII საუკუნეზე უფრო ადრე. ამდენად, წმ. დიმიტრის «წამების" მოკლე ვერსია უნდა იყოს უძველესი. წერილობითი სახით VI-VII საუკუნეების მიჯნაზე იგი უკვე ცირკულირებდა თესალონიკის საზოგადოებაში. მეორე ანუ შუალედური რედაქცია «წამებისა" ვერ შეიქმნებოდა VIII საუკუნეზე უფრო ადრე.

---

[113] 💣♏❖■♦⌘□✂📪 1994, ❄□⌨ □❐□⬧&◆❖■♏❍♋📬 pp. 67-90.

ჩვენ ვიზიარებთ წმ. დიმიტრის «წამების" ბერძნული რედაქციების ამგვარ კლასიფიკაციასა და დათარიღებას და მიგვაჩნია, რომ ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს რედაქციათა სტრუქტურული კვლევა. ჩვენი აზრით, ზემოთ ხსენებული შვიდი ეპიზოდი, რომელიც, მეცნიერთა აზრით, ინფორმაციული თვალსაზრისით ახალს არაფერს სძენს წმ. დიმიტრის სახეს, სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვანია და შეაქვს თხზულებაში ისეთი ფაქტობრივი ცვლილებები, რომლის შედეგადაც წმინდანი სულ სხვანაირად წარმოგვიდგება.

«წამების" მოკლე ვერსია არის მომხდარი ამბის მშრალი აღწერა, დაახლოებული რომაულ სამართლებრივ ოქმებთან. აქ შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებლად და დაუკავშირებლად ვითარდება ორი სიუჟეტური ხაზი. ერთი არის იმპერატორის და ნესტორის ხაზი და მეორე – მოწამე დიმიტრის ხაზი. კავშირი ამ ორ სიუჟეტურ ხაზს შორის ძალიან სუსტია. თხზულებაში იმპერატორისა და ნესტორის ამბავს უფრო მეტი ადგილი და დრო ეთმობა, ვიდრე თავად დიმიტრისას და საბოლოო ჯამში თითქმის გაუგებარი რჩება, თუ რას მატებს ეს ამბავი დიმიტრის, როგორც წმინდანის სახეს.

მოკლე ვერსიაში კავშირი დიმიტრისა და ნესტორს შორის ამოიწურება მხოლოდ ერთი ფრაზით. გლადიატორის სიკვდილის შემდეგ იმპერატორის დაახლოებული პირები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ, შესაძლოა, ნესტორმა გლადიატორი დაამარცხა დიმიტრის ლოცვების შეწევნით. აქ ნესტორის რწმენაზეც არაფერია თქმული. ბრძოლის შემდეგ ნესტორი საერთოდ აღარ ჩანს თხზულებაში, ეს სიუჟეტური ხაზი წყდება, დაუმთავრებელია და გარკვეული უკმარობის გრძნობას ტოვებს. ყოველივეს ამის გამო დიმიტრის ამბავი მოკლე ვერსიაში საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურება.

ამ თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულია წმ. დიმიტრის «წამების" შუალედური ვერსია. მთელი თხზულება ზემოთ ხსენებულ ეპიზოდებთან ერთად არის სტრუქტურულად შეკრული ერთი მიზანდასახულობით – მაქსიმალურად წარმოაჩინოს დიმიტრის, როგორც წმინდანის, ღვაწლი და დამსახურება. დიმიტრის საერო კარიერა საჭიროა არა მხოლოდ წმინდანის სოციალური სტატუსის ასამაღლებლად, არამედ იგი ასევე წარმოაჩენს წმინდანის არაორდინარულ ადამიანურ თვისებებსაც, რომლის გარეშეც იგი, ალბათ, ვერ

შეძლებდა ასეთი მაღალი მდგომარეობის მიღწევას. თხზულებაში საგანგებოდ არის გამოკვეთილი ნესტორის კავშირი დიმიტრისთან. ნათქვამია, რომ ნესტორი იყო დიმიტრის მოწაფე, ნესტორი საპყრობილეში მივიდა დიმიტრისთან ბრძოლაზე კურთხევის მისაღებად, ნესტორმა თავად უთხრა იმპერატორს, რომ მან გაიმარჯვა დიმიტრის ლოცვის ძალით. ასევე გამოკვეთილია ნესტორის სარწმუნოებაც: ბრძოლის წინ ნესტორმა უფალს შესთხოვა შეწევნა, გამარჯვების შემდეგ მას შესწირა მადლობა; ბოლოს იგი მოკლეს, ვინაიდან ის ქრისტიანი იყო. ნესტორის ამბის ასეთი გავრცობის შედეგად სრულიად გასაგები ხდება ამ სიუჟეტური ხაზის ფუნქცია და მიმართება დიმიტრის ამბავთან. ნესტორის გამარჯვება ფაქტობრივად არის დიმიტრის რწმენის გამარჯვება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შუალედურ რედაქციაში ნესტორის ხაზი არ წყდება, არამედ სრულდება ჰაგიოგრაფიული პარადიგმით და თხზულების საერთო მიზანდასახულობით გაპირობებული ეპიზოდით – ნესტორის მოწამეობრივი სიკვდილით.

«წამების" შუალედურ რედაქციაში ჩანართი ეპიზოდები, დიმიტრის წინასწარმეტყველება, აბანოს გახურებულ საკანში ყოფნა, ღრიანკალის მოკვლა, ანგელოზის მოვლინება – არის, ფაქტობრივად, დიმიტრის მიერ სიცოცხლეშივე განხორციელებული სასწაულები, რომლებიც გამოყენებულია წმინდანის ძლევამოსილების დასამტკიცებლად. ამდენად, ჩვენი დასკვნით, შუალედურ რედაქციაში დიმიტრი როგორც წმინდანი კარდინალურად განსხვავდება მოკლე ვერსიის წმინდანისაგან. შუალედური რედაქციის დიმიტრი არის დიდებული, ძლიერი წმინდანი და მისი ამბავი გამართულია ჰაგიოგრაფიული ჟანრის სრულიად ჩამოყალიბებული პარადიგმების მიხედვით. ამის საფუძველზე, J. Skedros-ისგან განსხვავებით, მივიჩნევთ, რომ რედაქციების სტრუქტურული კვლევაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ წმ. დიმიტრის «წამების" მოკლე ვერსია არის უადრესი, ხოლო შუალედური ვერსია შექმნილია უფრო გვიან.

ბერძნულ ლიტერატურაში, გარდა წმ. დიმიტრის «წამებისა", ასევე ძალიან პოპულარული იყო წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულები. მათგან ყველაზე ცნობილი და ფართოდ გავრცელებული იყო სასწაულების სამი ციკლი.

წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ციკლი შეადგინა VII საუკუნის პირველ ნახევარში თესალონიკის არქიეპისკოპოსმა იოანემ. წმ. დიმიტრის სასწაულების ცოტა უფრო გვიანდელ კოლექციაში, სადაც იოანეს დროინდელი ისტორიული მოვლენები არის აღწერილი, არქიეპისკოპოსი იოანე წარმოგვიდგება როგორც თესალონიკის დიდი პატრიოტი და რელიგიური ლიდერი, მტრების შემოსევების დროს ქალაქის დაცვის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, წმ. დიმიტრის კულტის დიდი მოამაგე და პოპულარიზატორი.

სასწაულების იოანესეული ციკლი მოღწეულია ხელნაწერების საკმარისად დიდი რაოდენობით, რაც ამ თხზულების დიდ პოპულარობაზე მიუთითებს. ხელნაწერებიდან უძველესია VII-VIII საუკუნეების პალიმფსესტი. მეცნიერთა აზრით, ციკლის შესაქმნელად იოანე იყენებდა საკუთარ ზეპირ ქადაგებებს, ამონაწერებს თავისი და მისი წინარმობედის, არქიეპისკოპოს ევსევის, ჰომილიებიდან.

სასწაულების ეს ციკლი შედგება 15 სასწაულისაგან. სასწაულები გაერთიანებულია თემატურად. მე-7 სასწაულის ჩათვლით მოთხრობილია ფიზიკური და სულიერი დაავადებებით სნეულთა განკურნების შესახებ. მე-8 სასწაულიდან მოყოლებული კი უკვე გვაქვს არა ცალკეულ პიროვნებების, არამედ მთელი ქალაქის გადარჩენასთან დაკავშირებული ამბები. იოანე თხზულებაში აღწერილი მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე იყო ან თვითხილველებს იცნობდა. ამდენად, ეს ციკლი მეტად საინტერესოა ისტორიული სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით. მაგრამ თხზულებაში არ არის დაცული ისტორიული ქრონოლოგია, რის შედეგადაც მეტად ჭირს რეალური სინამდვილის აღდგენა.

ამ ციკლის ჩამოყალიბების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. როგორც ცალკეულ სასწაულთა შორის, ასევე თვით ერთი სასწაულის ფარგლებშიც გამოვლინდა სტილისტური განსხვავებები. ზოგიერთი სასწაული უფრო ნოველის ხასიათისაა, ბევრი ერთდროულად შეიცავს ლოცვის, ქადაგების, ისტორიოგრაფიის ელემენტებსაც (P. Speck). ამ სტილისტური თავისებურებების საფუძველზე განხორციელდა ცდა ციკლის ჩამოყალიბების ეტაპების განსაზღვრისა და მისი გადათარიღებისა. მაგრამ ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას,

რომ ეს გადათარიღება არ უნდა ასახავდეს რეალურ ვითარებას, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ამას მხარს არ უჭერს თანადროული სხვა ისტორიული და არქეოლოგიური მასალა.

იოანე თესალონიკელის მიერ შედგენილი წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი ციკლის მთავარი მიზანია წმინდანის განდიდება, მისი ძალაუფლების ცხადყოფა, დამტკიცება და ზოგადად ამ წმინდანის კულტის პოპულარიზაცია.

წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე კოლექცია ანონიმურია და შექმნილია, როგორც სასწაულების პირველი კოლექციის უშუალო გაგრძელება. ეს ხაზგასმულია თხზულების შესავალში. აქვე მინიშნებულია ამ ციკლის შექმნის დრო – პირველი ციკლიდან სამოცდაათი წლის შემდეგ. ვარაუდობენ, რომ სასწაულების მეორე კოლექციის მეტი ნაწილი დაწერილი უნდა იყოს ერთი ადამიანის მიერ VII საუკუნის ბოლოს. მეორე კოლექცია პირველ კოლექციაზე ბევრად უფრო მცირეა, შეიცავს სულ ექვს სასწაულს. აქ აღწერილია არქიეპისკოპოს იოანეს და თავად თხზულების ავტორის თანადროული ისტორიული მოვლენები. ის ნაწილი, სადაც ავტორის თანადროული ამბებია გადმოცემული, გამოირჩევა თხრობის დეტალური მანერით. პირველი ციკლისგან განსხვავებით, რომელსაც გარკვეულწილად ამძიმებდა იოანეს მაღალი რიტორიკული სტილი, მეორე ციკლის თხრობა ბევრად უფრო ცოცხალია და მთლიანობაში სინამდვილესთან მეტი სიახლოვის შთაბეჭდილებას ქმნის. ამას ხელს უწყობს ასევე ფაქტობრივი მასალის სიმრავლე და დეტალური აღწერები.

ამ კოლექციაში განცალკევებით დგას მე-6 სასწაული აფრიკელ ეპისკოპოს კვიპრიანეს შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს სასწაული დაწერილია სხვა ავტორის მიერ, რომელიც არ იყო თესალონიკელი. ეს სასწაული მეორე კოლექციას შეიძლება კოლექციის ავტორმა ან რომელიმე გადამწერმა დაუმატა.

სასწაულების მესამე კოლექცია თარიღდება X საუკუნის მეორე ნახევრით და მოიცავს 5 სასწაულს, სადაც აღწერილია წმინდანის კულტის გავრცელება იმპერიის სხვადასხვა რეგიონში.

არსებობს სასწაულების მეოთხე, ლათინური კოლექცია, შექმნილი ანასტასიუს ბიბლიოთეკარის მიერ 876 წელს. ეს არის ბერძნული პირველი

კოლექციის მნიშვნელოვნად შემოკლებული ვარიანტი, რომელსაც დამატებული აქვს მეორე კოლექციის მე-6 სასწაულის ასევე შემოკლებული ვერსია.

ამდენად, წმ. დიმიტრის კულტთან დაკავშირებული თხზულებების სიმრავლე გვიჩვენებს, რომ წმინდანი ადრექრისტიანული ეპოქიდან საკმარისად პოპულარული იყო, განსაკუთრებით, თესალონიკსა და მის შემოგარენში. წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების კვლევა იძლევა მეტად საინტერესო მასალას როგორც თავად კულტის ჩამოყალიბების, ასევე იმ ეპოქის თესალონიკისა და მისი მიმდებარე რაიონების ისტორიისათვის.

# ნაწილი 2

# წმ. დიმიტრი ძველ ქართულ ლიტერატურაში

## თავი 1.

## წმ. დიმიტრის «წამება”

### 1.1. ხელნაწერები

როგორც უკვე ვნახეთ, ბერძნულ ლიტერატურაში გამოვლენილია წმ. დიმიტრის «წამების” სამი რედაქცია. ამ რედაქციათგან უძველესი (*Passio Prima*), სავარაუდოდ, არსებობდა უკვე VII საუკუნის დასაწყისში. მეორე, ანუ შუალედური რედაქცია (*Passio Altera*), შეიქმნა არა უადრეს VIII საუკუნისა, ხოლო მესამე, მეტაფრასული რედაქცია, ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტს და შესაბამისად თარიღდება XI საუკუნით.

დღეისათვის წმ. დიმიტრის «წამების” ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი დაცულია სხვადასხვა დროის 20 ხელნაწერში. ქვემოთ მოგვყავს ამ ხელნაწერთა ქრონოლოგიურად გაწყობილი ჩამონათვალი, თანდართული მოკლე აღწერილობებით. ჩამონათვალის შემდეგ ცალკე განვიხილავთ ორ ხელნაწერს, H 341-ს და Sin. 80-ს, როგორც ამ ჩამონათვალიდან ყველაზე ადრეულებსა და მნიშვნელოვანს.

1. **H 341**[114]

XI ს.-ის პირველი ნახევარი, ჰაგიოგრაფიული კრებული

434 ფ., 33,8 x 20,5; ქაღალდი, ნაკლული, გადამწერი: იოვანე.

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, გვ. 49-59[115],

«სასწაულები”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა,

«შესხმა”.

---

[114] H კოლექციის აღწერილობა, 1946, ტომი I, გვ. 247-252; ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 199-200.

[115] 1946 წელს გამოცემულ ხელნაწერთა აღწერილობაში ხელნაწერთა ფურცლების ათვლა ხდებოდა გვერდების მიხედვით, ითვლიდნენ და უთითებდნენ გვერდების რაოდენობას.

2. **Sin. 80**[116]

XI ს., ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული

200 ფ., 18,5 x 14; ქაღალდი ბომბიცინის, ნაკლული, გადამწერი: იოანე.

*შეიცავს*: «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 122r-127r,

«სასწაულები", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 127v-147v,

«შესხმა", 148r-154v *(წყდება, დაახლოებით ერთი გვერდი აკლია ბოლოში).*

3. **Ath. 17** *(ცაგარელი, 87)*[117]

X-XI სს.-ის მიჯნა., ჰაგიოგრაფიული კრებული

ეტრატი, 32 x 26; გადამწერი ბასილი, ნაკლული.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, 126r-137r,

«სასწაულები", თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, 137v-139v.

4. **Q 39**[118]

1560–1578 წწ., მეტაფრასი

489 ფ; 32 x 22; ქაღალდი, თავნაკლული, აკლია შიგნითაც, მომგებელი – მოქველი ეპისკოპოსი ეფთჳმე საყვარელიძე, გადამწერი – ნავკრატიოზს ციმცაძე.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 11r-16r.

5. **Q 652**[119]

XVII ს. მეორე ნახევარი, კრებული (მეტაფრასი)

255 ფ., 38 x 25, აქვს ჭვირნიშანი, დამკვეთი – გულქან ლორთქიფანიძის ასული, გადამწერნი – დავით, თევდორე, იოანე, ნიკოლოზ.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 17r-20r.

---

შემდგომ პერიოდში ეს სისტემა შეიცვალა და დამკვიდრდა ფურცლების recto-verso-თი მითითების ტრადიცია. ამიტომ წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების პაგინაცია H 341-ის ძველსა და თ. ბრეგაძისეულ აღწერილობაში ერთმანეთისაგან განსხვავდება. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ვუთითებთ გვერდების პაგინაციას ორივე აღწერილობიდან: გვერდების მითითება – H ფონდის 1946 წელს გამოცემული აღწერილობიდან, ფურცლების recto-versoს მითითება – თ. ბრეგაძის 1988 წელს გამოცემული აღწერილობიდან.

[116] ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 201; Garitte, 1956, Catalogue, pp. 237-253.

[117] ათონური კოლექცია, 1986, ნაკვეთი 1, გვ. 57-63.

[118] Q კოლექციის აღწერილობა, 1957, ტომი I, გვ. 46-53.

[119] Q კოლექციის აღწერილობა, 1958, ტომი II, გვ. 100-108.

6. **Q 662**[120]

XVII ს.,მ გულანი

250 ფ., 26,7 x 40,5; ქაღალდი, ჭვირნიშანი აქვს.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 147r-149v.

7. **S 1513**[121]

XVII ს., კრებული (მეტაფრასი)

242 ფ., 35,5 x 24; ქაღალდი, ნაკლული. გადამწერები: ლაზარე, მანასე, გაბრიელ. მომგებელი: ლეონ დადიანი.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 14r-19v.

8. **H 2077**[122]

1736 წ., წმიდათა ცხოვრება

335 ფ., 29,8 X 20,5; ქაღალდი, გადამწერი: სვეტიცხოვლის დეკანოზი ალექსი.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 308r-331r.

9. **ქუთ. 89**[123]

1771 წ., მეტაფრასი (*შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებსაც)*

334 ფ., 28 x 19; ქაღალდი, გადამწერი: ქართველი ლაზარე. დამკვეთი: მთავარეპისკოპოზი ანტონ ჩიჯავაძე. ადგილი: ხონი.

*შეიცავს*: «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 24v-28v.

10. **S 300**[124]

1779 წ., ჰაგიოგრაფიულ-მეტაფრასტული კრებული *(შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებსაც)*

364 ფ., 27 x 17; ქაღალდი, გადამწერები: თომა კალოუბნელი, გოგია. მომგებელი: თომა კალოუბნელი.

შეიცავს: «წამება", თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 75r-78r.

11. **ქუთ. 437**[125]

---

[120] იქვე, გვ. 134-140.

[121] ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 226-227; S კოლექციის აღწერილობა, 1961, ტომი II, გვ. 295-302.

[122] H კოლექციის აღწერილობა, 1949, ტომი V, გვ. 44-47.

[123] ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 238-239; ნიკოლაძე, I, გვ. 227.

[124] ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 237-238; S კოლექციის აღწერილობა, 1959, ტომი I, გვ. 330-341.

1795 წ., მეტაფრასი *(შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებსაც).*

341 ფ., 28 x 20; ქაღალდი, გადამწერი: ოსე გაბაშვილი.

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 12v-17r.

12. **A 592**

XVIII ს.

13. **S 4744**[126]

XVIII ს., კრებული

77 ფ., 15 x 10; ქაღალდი.

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 24r-35r.

14. **ქუთ. 44**[127]

XVIII ს., კრებული

133 ფ., 41,5 x 30; ქაღალდი, ნაკლული და დაზიანებული.

*შეიცავს*: «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 127r-129v.

«წამება”, თარგმანი ეფრემ მცირისა, 129v-133r.

15. **Q 273**[128]

XVIII ს., მეტაფრასი

191 ფ., 29,5 x 21, ქაღალდი, ჭვირნიშანი

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, გვ. 15-19.

*ხელნაწერი შედგენილობით მისდევს Q 39-ს*[129].

16. **S 1358**[130]

XVIII-XIX სს., კრებული

277 ფ., 29,5 X 20; ქაღალდი, სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ხელი; XIX ს.-ში წიგნი შეუვსია და შეუკრავს იასე გარსევანიშვილს.

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 1r-3r.

17. **Q 112ა**[131]

---

125 ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 244-245; ნიკოლაძე, 1964, აღწერილობა, II, გვ. 114-120.
126 S კოლექციის აღწერილობა, 1969, ტომი VI, გვ. 89.
127 ნიკოლაძე, I, 1953, აღწერილობა, გვ. 161-164.
128 Q კოლექციის აღწერილობა, 1957, ტომი I, გვ. 283-286; ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 264-265.
129 ხელნაწერის აღმწერლის, თამარ ბრეგაძის დასკვნა. ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 264.
130 S კოლექციის აღწერილობა, 1961, ტომი II, გვ. 166-168.

1801 წ., მეტაფრასი

446 გვ., 33 x 21, ქაღალდი, გადამწერი – ოსე გაბაონი, მომგებელი – სჳმეონ იშხნელი, გადაწერის ადგილი – წმ. გიორგის ჩხარის ეკლესია.

*შეიცავს*: «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 74v-85r.

18. **ქუთ. 167**[132]

1808 წ., მეტაფრასი

184 ფ., 30 x 22; ქაღალდი, გადამწერი ოსე გაბაონი, დამკვეთი არქიეპისკოპოზ სოფრონიოს

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 21v-29v.

19. **Q 702**[133]

1817 წ., კრებული, მეტაფრასი (*შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებსაც)*

307 ფ., 31 x 21; ქაღალდი; გადამწერილი: მდივანი გიორგი. დამკვეთი: ნიკოლოზ დადიანი.

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 3r-7v.

20. **S 4014**[134]

XIX ს., კრებული

78 ფ., 21,5 x 18, ქაღალდი, ჭვირნიშანი – 1816 წ.

*შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, 74r-78v.

### *1.1.1 H 341*

*XI ს.-ის პირველი ნახევარი, ჰაგიოგრაფიული კრებული*

წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების შემცველი ნუსხებიდან ეს არის ერთადერთი, რომელიც შეიცავს დიმიტრის ციკლს მთლიანად: «წამებას”, «სასწაულებს” და «შესხმას”. ეს უძველესი ნუსხა შინაარსით წარმოადგენს გარკვეული ტიპის მრავალთავს – „მარტიროლოღონს” და შეიცავს კალენდარულ რიგზე გაწყობილ წამება-ცხოვრებათა წიგნებს.

---

131 Q კოლექციის აღწერილობა, 1957, ტომი I, გვ. 132-137.
132 ნიკოლაძე, I, 1953, აღწერილობა, გვ. 318-321.
133 ბრეგაძე, 1988, აღწერილობა, გვ. 279; Q კოლექციის აღწერილობა, 1958, ტომი II, გვ. 167-171.
134 S კოლექციის აღწერილობა, 1967, ტომი V, გვ. 304-306.

ხელნაწერისათვის დართულ ორ ანდერძში ნუსხის გადამწერად დასახელებულია იოვანე უცბადმჩხრეკალი (გვ. 197, 830).[135] მაგრამ ხელწერაზე დაკვირვებამ გამოვლინა, რომ ნუსხის ყველა ნაწილში გადამწერი ერთი არ არის. როგორც ჩანს, ნუსხის გადაწერაში იოვანეს გარდა კიდევ რამდენიმე სხვა გადამწერიც იღებდა მონაწილეობას.[136] ამას გარდა, ხელნაწერის შიგნით რვეულების დამოუკიდებელი სათვალავის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ნუსხა იყოფა ხუთ ნაწილად. ძნელია იმის დადგენა, ხელნაწერის გადაწერაში რამდენი გადამწერი იღებდა მონაწილეობას ან ხელნაწერის რომელი ნაწილი ვისი გადაწერილია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იოვანე უცბადმჩხრეკალს უნდა გადაეწერა H 341-ის ის ნაწილები, რომლებსაც ერთვის მისი ანდერძები.[137] იოვანე უცბადმჩხრეკალის პირველი ანდერძი გვხვდება ნუსხის 197-ე (99r) გვერდზე, და იგი შედის ხელნაწერის პირველ ნაწილში, რომელიც, ც. ქურციკიძის ვარაუდით, მოიცავს ხელნაწერის 1-213 გვერდებს.[138] ამდენად, ხელნაწერის პირველი ნაწილი და, შესაბამისად, წმ. დიმიტრის ციკლიც იოვანეს გადაწერილი უნდა იყოს.

ტექსტი რომ მართლაც ნაჩქარევადაა გადაწერილი, ამაზე მიგვითითებს ბევრი ორთოგრაფიული შეცდომა, განსაკუთრებით „ჳ“-ს, „უ“-სა და „ო“-ს მეტად ხშირი აღრევა. მაგალითად, „შესხმის“ ტექსტში ხშირია ასეთი ფორმები: ახუვანი (ახოვანი) (55v), იყუ (იყო) (58r), ოზეშთაესცა (უზეშთაესცა) (53r), გჳელი (გუელი) (54r), მოღჳაწეთა (მოღვაწეთა) (55r), ჯაჭუი (ჯაჭჳ) (55r). ასევე გვხვდება „ჱ“-ს არასწორად ხმარების შემთხვევაბი, მაგალითად, თესალონიკჱ (თესალონიკე), ესრჱთ (ესრეთ) (58v); ასევე ბევრია გრაფიკული მსგავსების გამო სიტყვების შეცდომით გადმოწერის შემთხვევები: „საყუდელო“ „საწადელო“-ს მაგივრად (59v), „მძინარისა“ „მდინარისა“-ს ნაცვლად (53r), „აღსარებაჲ“ „აღძრვაჲ“-ს ნაცვლად (53v) და სხვა.

---

[135] Kekelidze, Peeters, La Passion géorgienne…; ხელნაწერთა H ფონდის აღწერილობა, გვ. 247.
[136] იქვე, გვ. 012-013.
[137] ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, 1959, გვ. 013. H 341-ის გადამწერების რაოდენობის და ნუსხის ამ გადამწერთა მიხედვით დანაწილების შესახებ ვარაუდი გამოთქმული აქვს P. Peeters-ს მე-9 შენიშვნაში დასახელებული სტატიის 70-ე გვერდზე, მაგრამ ც. ქურციკიძე Peeters-ის ამ მოსაზრებას არ იზიარებს, იხ. ქურციკიძე, 1959, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა, გვ. 013, შენ. 1.
[138] იქვე, გვ. 012.

### *1.1.2 Sin. 80 (Tsag.87)*

*XI ს., ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული*

200 ფურცლისაგან შემდგარი ამ ხელნაწერის ნახევარზე მეტი (111 ფურცელი) უკავია ისააკ ასურის «სწავლანებს". ისააკის თხზულებას მოსდევს «ხარალამპეს წამება", ამის შემდეგ კი ხელნაწერში განთავსებულია წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ თხზულებათა მთლიანი ციკლი: ეფთვიმეს თარგმნილი «წამება", «სასწაულები" და „შესხმა". აღსანიშნავია, რომ ჟერარ გარიტს ამ ხელნაწერის აღწერისას შეუნიშნავს წმ. დიმიტრის „შესხმისა" და გრიგოლ ღვთისმეტყველის 24-ე ჰომილიის მსგავსება და „შესხმასთან" მითითებული აქვს მღდელმოწამე კვიპრიანეს გრიგოლისეული შესხმის ნომერი BHG-დან.[139] ხელნაწერის ბოლოს შეტანილია აპოკრიფული თხზულება, კლიმენტი რომაელის თხრობა პეტრე მოციქულის მიმოსვლაზე.

## 1.2. ტექსტის სტრუქტურა

კ. კეკელიძის მიხედვით, წმ. დიმიტრის «წამების" ეფთვიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ტექსტი არის «წამების" კიმენური რედაქცია[140]. მაგრამ წმ. დიმიტრის «წამების" სამი რედაქციის ბერძნული ტექსტების შედარებამ ეფთვიმეს თარგმანთან გვიჩვენა, რომ მან წმ. დიმიტრის ქართული ციკლის შესაქმნელად ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო არა უძველესი, კიმენური, არამედ შუალედური რედაქცია. ტექსტი თარგმნილია ეფთვიმესთვის დამახასიათებელი კლება-მატებისა და ცალკეული ადგილების გადასხვაფერების მეთოდით.[141] მაგრამ ეფთვიმე არ შემოიფარგლა ასეთი ცვლილებებით. მან

---

[139] Garitte, Catalogue, p. 253.

[140] კეკელიძე, 1980, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 207.

[141] ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ იხ.: კეკელიძე, 1945, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში; მისივე, 1956, მთარგმნელობითი მეთოდი; ბეზარაშვილი, 2004, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა; ქურციკიძე, 1995, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილია; მისივე, 1982, ბასილი კესარიელის «სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი; მისივე, 1978, ისევ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ; მელიქიშვილი, 1987, რამდენიმე დაკვირვება; მარგიანი, 1999, გრიგოლ ღვთისმეტყველი ცხოვრების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი; ჩიკვატია, 1996, ეფთვიმე მთაწმიდლის «წინამძღუარი";

შუალედური რედაქციის ტექსტში შეიტანა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილება, რითაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა მთავარი პერსონაჟების სახეები და თხზულების საერთო მიზანდასახულობა.

«წამების" ქართული თარგმანში შეტანილი ცვლილებების უკეთ წარმოსაჩენად ქვემოთ მოგვყავს ბერძნულ-ქართული ტექსტების ურთიერთმიმართების ცხრილი. შედარების გასაადვილებლად თხზულების ბერძნული და ქართული ტექსტები პირობითად დავყავით პარაგრაფებად და წარმოვადგინეთ მათი ერთმანეთთან შესაბამისობა. ცხრილის პირველ სვეტში წარმოდგენილია ბერძნული ტექსტის თავები, მეორე სვეტში – პირობითი პარაგრაფები ბერძნული ტექსტის სტრიქონების მითითებით. მესამე და მეოთხე სვეტში მითითებულია ქართული თარგმანში თავები (ქართული ტექსტი თავებად დავყავით ორიგინალის მიხედვით) და პარაგრაფები, მეხუთე სვეტი კი ეთმობა კომენტარებს.

ქვემოთ განვიხილავთ ეფთვიმეს მიერ «წამების" თარგმანში შეტანილ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს.

*ცხრილი 1*

| ბერძნული | | | ქართული | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| *თავი* | *§* | *კოლ., სტრ.,* | *თავი* | *§* | |
| 1 | 1 | 1173 A 1-9 | 1 | 1 | |
| | 2 | 1173 A 10 – B 3 | | 2 | |
| 2 | 3 | 1173 B 4-8 | 2 | 3 | |
| | 4 | 1173 B 8 – 1176 A 6 | | 4 | |
| 3 | 5 | 1176 A 7-15 | 3 | 5 | თარგმანში დიმიტრის მიერ წარმართებისათვის ქრისტიანული რწმენის ქადაგება მოხსენებულია როგორც «კურნება". იგულისხმება, რომ ქადაგებით წარმართთა სულებს განკურნავდა. |

---

ხოფერია, 1998, მაქსიმე აღმსარებლის «პიროსთან სიტყჳსგების" ძველი ქართული თარგმანები; ხოფერია, 2001, თავისუფალ და ზუსტ თარგმანთა თავისებურებანი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 1176 A 15 – B 10 | | 6 | თარგმანის მიხედვით, დიმიტრი იმპერატორის მსტოვრებმა კი არ შეიპყრეს, არამედ თვითონ ნებით ჩაბარდა მათ. |
| 4 | 7 | 1176 B 11 – C 4 | 4 | 7 | სტადიონის მთარგმნელისეული აღწერა; სტადიონი მოხსენებულია როგორც «თიატროჲ”. |
| | 8 | 1176 C 4-13 | | 8 | |
| 5 | 9 | 1176 C 14 – 1177 A 5 | 5 | 9 | |
| | 10 | 1177 A 5-8 | | | |
| 6 | 11 | 1177 A 10-15 | | | |
| | | | 6 | 10 | ბერძნული ტექსტის §§ 10-11 არის იმპერატორისა და მოწამის პირისპირ შეხვედრის ძალიან მოკლე აღწერა. ამის მაგივრად თარგმანში შეტანილია დიმიტრისა და მაქსიმიანეს ვრცელი დიალოგი, რომელიც მოიცავს ქართული ტექსტის |
| | | | | 11 | |
| | | | | 12 | |
| | | | | 13 | |

| ბერძნული | | | ქართული | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| *თავი* | *§* | *კოლ., სტრ.,* | *თავი* | *§* | |
| | | | | | შემდეგ პარაგრაფებს: 10, 11, 12, 13. |
| | 12 | 1177 A 15 – B 2 | | 14 | |
| | | | | 15 | თარგმანში აქ შეტანილია აბანოს საკნის გაუსაძლისი პირობების აღწერა. |
| | 13 | 1177 B 3-7 | | 16 | ღრიანკალი, რომელიც დიმიტრიმ პირჯვარის გადასახვით მოკლა, თარგმანის მიხედვით იყო «ფრიად დიდი, რომელი არა იყო მსგავსი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ღრიაკალისაჲ". |
| | 14 | 1177 B 7-10 | | 17 | |
| 7 | 15 | 1177 B 11 – C 5 | 7 | 18 | |
| | 16 | 1177 C 5-12 | | 19 | |
| 8 | 17 | 1177 D 1 – 1180 A 11 | 8 | 20 | |
| 9 | 18 | 1180 A 11 – B 10 | 9 | 21 | |
| 10 | 19 | 1180 B 11 – C 8 | 10 | 22 | |
| 11 | 20 | 1180 C 9 – D 3 | 11 | 23 | |
| | 21 | 1180 D 3-13 | | 24 | ნესტორის თავის კვეთა. თარგმანში მითითებულია ნესტორის წამების დღე – 27 ოქტომბერი. |
| 12 | 22 | 1180 D 14 – 1181 A 4 | 12 | 25 | |
| | | | | 26 | იმპერატორს გაუკვირდა, აბანოს საკნის საშინელ პირობებში როგორ გაძლო დიმიტრიმ. იმპერატორმა უბრძანა მთავრებს, მასთან მოეყვანათ დიმიტრი. |
| | | | | 27 | მთავრების რჩევა. |
| | 23 | 1181 A 4-5 | | 28 | |
| ბერძნული | | | ქართული | | კომენტარი |
| *თავი* | *§* | *კოლ., სტრ.,* | *თავი* | *§* | |
| | | | | 29 | მთავრები მივიდნენ დიმიტრისთან და მისი გადმობირება სცადეს. |
| | | | | 30 | დიმიტრიმ უარი თქვა. |
| | | | | 31 | მთავრებმა დაიწყეს მისი აკუწვა, მერე კი შუბით განგმირეს. |
| | 24 | 1181 A 5-9 | | 32 | თარგმანში მითითებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | წმინდანის წამების დღე – 28 ოქტომბერი. |
| 13 | 25 | 1181 A 10 – B 7 | 13 | 33 | |
| 14 | 26 | 1181 B 8-14 | 14 | 34 | |
| | 27 | 1181 B 14 – C 6 | | 35 | |
| | | | | 36 | იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილის აღწერა. |
| 15 | 28 | 1181 C 8 – 1184 A 1 | 15 | 37 | |
| | 29 | 1184 A 1-10 | | 38 | |
| 16 | 30 | 1184 A 11-14 | 16 | 39 | |
| | 31 | 1184 A 14 – B 1 | | | ბერძნული ტექსტის ეს ნაწილი არის პრეფექტ ლეონტიუსის ჩვენების ძალიან მოკლე აღწერა. ქართული თარგმანის §§ 40-41-ში ჩართულია ჩვენებაში დიმიტრის სიტყვა; მან აუკრძალა პრეფექტს თავისი ნეშტის ხელის ხლება და უბრძანა ლუსკუმის გაკეთება. ლეონტიუსმა გაღვიძებისთანავე გააკეთებინა წმინდანის სალხინობელი და შიგნით მოათავსებინა ლუსკუმა, სადაც მაშინვე მირონმა იწყო აღმოცენება. |
| | | | | 40 | |
| | | | | 41 | |
| | 32 | 1184 B 1-9 | | 42 | |
| 17 | 33 | 1184 B 10 – C 4 | 17 | 43 | |
| | 34 | 1184 C 4-9 | | 44 | |

### *1.2.1. იმპერატორ მაქსიმიანესა და დიმიტრის შეხვედრა*

წმ. დიმიტრის «წამების" სამსავე რედაქციაში არის მხოლოდ ერთი მეტად მოკლე ეპიზოდი, როდესაც დიმიტრი და იმპერატორი უშუალოდ ხვდებიან ერთმანეთს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სტადიონზე შესვლის წინ იმპერატორს მიჰგვარეს დატყვევებული დიმიტრი. «წამების" პირველ ორ რედაქციაში ეს ეპიზოდი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება: იმპერატორი იმდენად იყო გატაცებული გლადიატორების მომავალი ორთაბრძოლით, რომ მან დიმიტრის დაკითხვა ბრძოლის დასასრულამდე გადადო და ბრძანა მისი დამწყვდევა იქვე ახლოს, სტადიონთან განლაგებული საზოგადო აბანოების ბნელ, გახურებულ საკანში[142].

ეფთვიმეს თარგმანში სწორედ ამ ადგილას ჩართულია დიმიტრისა და იმპერატორის სიტყვიერი პაექრობის ამსახველი მოზრდილი პასაჟი. იმპერატორმა ჰკითხა დიმიტრის, იგი მართლა ქრისტეს მიმდევარი იყო თუ არა. დიმიტრის არ შეშინებია თავისი ნადვილი რწმენის გამოაშკარავებისა. იმპერატორმა სცადა მისი გადმობირება და დასაწყისისათვის მეტ პატივსა და წარჩინებას დაჰპირდა. დიმიტრიმ უპასუხა ტრადიციული ამაღლებული ფრაზით: «ყოველივე დიდებაჲ შენი შენდა იყავნ წარსაწყმედელად, ხოლო ჩემდა ცხორებაჲ ქრისტე არს და სიკუდილი მისთჳს სიხარულ არს" (Passio Euth. § 12) და ა.შ. მაშინ იმპერატორი დიმიტრის წამებით დაემუქრა. დიმიტრი არ შეეპუა იმპერატორის მუქარას, მოიხსნა სარტყელი[143], მაქსიმიანეს წინ დაუგდო და მიმართა ანტითეზებით გამართული სიტყვით, სადაც ერთმანეთთან დაპირისპირებულია პატივი ამქვეყნიური და პატივი უხრწნელი: «აჰა ესერა, სარტყელი *პატივისა შენისა* შენდავე იყავნ, მეფეო. ხოლო ჩემდა იყავნ ქრისტჱ და სასოებაჲ, რომელმან-იგი მომცეს მე *პატივი უხრწნელი და წარუვალი საუკუნოჲ* უკუნისამდე" (Passio Euth. § 13). აქ დიალოგი მთავრდება. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა დიმიტრის დამწყვდევა აბანოს საკანში. ამის შემდეგ ეფთვიმეს თარგმანი კვლავ მეტ-ნაკლები ცვლილებებით მიჰყვება ბერძნულ ტექსტს.

---

[142] PG 116, col. 1177 A 5 – B 2.

[143] ეს სახე, შესაძლოა, მომდინარეობდეს ძველი აღთქმიდან, იხ: «და უქმნე შესამოსელი წმიდა აჰრონს, ძმასა შენსა, უქმნე პატივად და დიდებად" (გამოსლვ. 28, 2); «და ესე სამოსელნი არიან, რომელნი უქმნე მას: სამკერდე და სამჴრე და ფერჴთა სასხმელი, სამოსელი ფესუედი და ვარშამანგი, და სარტყელი" (გამოსლ. 28, 4).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს მონაკვეთი გარკვეულად ეხმიანება დიმიტრის სვიმეონისეულ მეტაფრასს. აქ მოწამისა და იმპერატორის პირველი შეხვედრის აღწერა ეფთვიმეს თარგმანში ჩართულ სცენაზე ბევრად უფრო მცირეა და დიმიტრისა და იმპერატორის ვრცელი დიალოგის ნაცვლად მოყვანილია მხოლოდ დიმიტრის მიერ წარმოთქმული მოკლე სიტყვა[144], მაგრამ საგულისხმოა ორი მომენტი: 1) დიმიტრი თავის სიტყვაში, ქართულ თარგმანშიც და ბერძნულ მეტაფრასშიც, როგორც შეჰფერის ჭეშმარიტ ქრისტიანს, უარყოფს იმპერატორის მიერ მონიჭებულ ამქვეყნიურ პატივს. აქ ფრაზებიც კი მსგავსია: ❄♓❍♋♓▭ ♎♏▭📪 ♐♒⬧♓▭❖📪 ♋♓☺ ◘♋❐♋▭ ⬧◘◆🕯📪 ♌♋⬧♓●♏ ◆🕯📂🗐, – «ყოველივე დიდებაჲ შენი შენდა იყავნ წარსაწყმედელად...” (Passio Euth. § 12), «აჰა ესერა, სარტყელი პატივისა შენისა შენდავე იყავნ, მეფეო...” (Passio Euth. § 13), თუმცა სვიმეონის რედაქციაში ამ ეპიზოდში დიმიტრის მიერ რეგალიების ძირს დაყრა არ ჩანს; 2) იმ მონაკვეთში კი, სადაც სვიმეონი მოგვითხრობს დიმიტრისათვის ანთიპატოსის პატივის მინიჭებაზე, იგი აღნიშნავს, რომ დიმიტრის გადაეცა მისი საპატიო წოდების აღმნიშვნელი რეგალიაც (რა რეგალია, არ ჩანს)[146]. შესაძლოა, სწორედ ამ ორი მომენტის გავლენით გაჩნდა ეფთვიმეს თარგმანში შეტანილ სცენაში სარტყელი, რომელიც, ალბათ, იყო საპატიო რეგალია. იმპერატორის წინაშე სარტყლის ძირს დაგდების მომენტი მეტი შთამბეჭდაობით გამოხატავს მოწამის მიერ ამქვეყნიური პატივის უგულებელყოფას.

### *1.2.2. წმ. დიმიტრის მოწამეობრივი აღსასრული*

«წამების” ბერძნული კიმენური და შუალედური რედაქციების მიხედვით, გლადიატორ ლიოისის დამარცხების შემდეგ იმპერატორმა დაიბარა ნესტორი. როდესაც მაქსიმიანემ შეიტყო, რომ ნესტორი ქრისტიანი იყო და მან თავისი რწმენის ძალით დაამარცხა გლადიატორი, იგი სასტიკად განრისხდა და ნესტორი სიკვდილით დასაჯა. იმპერატორის დაახლოებულმა პირებმა მას ჩააგონეს, რომ ნესტორის გამარჯვება, შესაძლოა, ქრისტიანი დიმიტრის

---

[144] PG 116, col. 1189 B 14 – C 8.
[145] PG 116, col. 1189 B 14.
[146] PG 116, col. 1185 C 8 – 1188 A 1.

ლოცვებმა განაპირობა. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა დიმიტრის მოკვლა და იგი აბანოს საკანშივე შუბებით განგმირეს[147].

ეფთვიმეს თარგმანში დიმიტრის მოწამეობრივ აღსასრულს მეტად საინტერესო ჩანართი უძღვის წინ. მას შემდეგ, რაც მთავრებმა იმპერატორთან დიმიტრი დაადანაშაულეს გლადიატორის დამარცხებაში, იმპერატორმა კვლავ მოინდომა დიმიტრისთან შეხვედრა, მაგრამ მთავრები არ დაეთანხმნენ დიმიტრის მოყვანაზე და უარის მიზეზი ასე აუხსნეს: «უკუეთუ წარმოადგინო იგი, მეფეო, წინაშე შენსა, ვიცნობთ ჩუენ სიფიცხესა დემეტრესსა, ვითარმედ სიტყუთა ვერ სძლო. უკუეთუ კულა სტანჯვიდე, აღიძრას ერი ესე ქალაქისა შენ ზედა, რამეთუ ყოველნივე მეგობარ მისსა არიან, და ქნან შფოთი და ამბოხება დიდი; არამედ ნუ მიიყვანებ მას წინაშე შენსა, გარნა წარავლინენ, რაჲთა მოკლან იგი საპყრობილესა შინა, სადა-იგი აწ მკჳდრ არს ბნელსა შინა” (Passio Euth. § 27). იმპერატორი დაჰყვა მთავართა რჩევას და გააგზავნა ისინი დიმიტრის საპყრობილეშივე მოსაკლავად. საპყრობილეში გაიმართა კიდევ ერთი დიალოგი, ახლა უკვე დიმიტრისა და მთავართა შორის, სადაც მთავარნი ჯერ შეეცადნენ დაერწმუნებინათ დიმიტრი ნებით უარეყო თავისი რწმენა, ვინაიდან «საყუარელ” იყო მათთვის. როდესაც დიმიტრიმ უარყო მათი შემოთავაზება, მთავრებმა მისი ასო-ასო აკუწვა დაიწყეს. დიმიტრიმ კვლავ ტრადიციული ფრაზით მიმართა მათ. ამ სიტყვის ანტითეზებში დაპირისპირებულია ასოთა, ანუ სხეულის, სიკვდილი და სულის გაბრწყინება: «ესე არს დღე სიხარულისაჲ და მხიარულებისა ჩემისაჲ, ჵ უსჯულონო, ჭრიდით *ასოთა* ჩემთა, რამეთუ უფროჲსად განაბრწყინვებთ *სულსა* ჩემსა” (Passio Euth. § 31). ქრისტეს მეომარი სიხარულით შეხვდა ტანჯვას. ბოლოს იგი ლახვარით განგმირეს.

### *1.2.3. იმპერატორის სიკვდილი*

იმპერატორმა მაქსიმიანემ მოაკვლევინა ჭაბუკი ნესტორი, დიმიტრი. სულ ცოტა ხანში მათი ბედი გაიზიარა დიმიტრის მსახურმა ლუპუსმა (ქართულ თარგმანში – ილოთანე), რომელიც უფლის ნებით წმინდანის სისხლში დამბალი სახუევლითა და მისივე ბეჭდით «იქმოდა სასწაულთა”. შუალედური რედაქციის ბერძნულ ტექსტში ამის შემდეგ იმპერატორი საერთოდ აღარ ჩანს. მაგრამ

[147] PG 116, col. 1180 D 14 – 1181 A 5.

ქართულ თარგმანში იმპერატორს, როგორც განხორციელებულ სიბოროტესა და ეშმაკეულს, შესაფერი საზღაური მიეზღო: «ხოლო მაქსიმიანე მეფესა ზედა მოიწია რისხვაჲ ღმრთისაჲ და შეედვა მას სენი ბოროტი და დაესხა მატლი ყოველსა გუამსა მისსა და წაჰრჳდა მას უბადრუკი სული მისი მისლვად საკუნესა მას ცეცხლსა და ესრეთ საცთური იგი კერპთაჲ დაიჴსნა და გამობრწყინდა მართლმადიდებელთა კეთილი სარწმუნოებაჲ” (Passio Euth. § 36).

## *1.2.4. წმ. დიმიტრის მირონმდინარების სასწაული*

წმინდანის მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ, «წამების” სამივე რედაქციის ბერძნული ორიგინალის მიხედვით, წმ. დიმიტრის სულიერმა ძმებმა მისი ნეშტი მალულად დაკრძალეს. წმინდანის დაკრძალვის ადგილს მალევე უფლის ნებით სასწაულმოქმედი ძალა მიენიჭა და იქ მისული მორწმუნეები სხვადასხვა დაავადებებისგან იკურნებოდნენ. ამ ადგილის მადლით განიკურნა ასევე ილირიკიის პრეფექტი ლეონტიუსი, რომელმაც შემდეგ წმ. დიმიტრის დაკრძალვის ადგილას წმინდანის სამადლობელად და საპატივსაცემოდ ტაძარი ააგო. ილირიკიაში დაბრუნებისას ლეონტიუსმა განიზრახა წმინდანის რელიქვიების ნაწილის თან წაღება. მაგრამ ღამე პრეფექტს თავად წმინდანი მოევლინა და აუკრძალა ნეშტის ხელის ხლება[148].

ქართულ თარგმანში ამბავი ანალოგიურად ვითარდება, მაგრამ აქ პრეფექტის ჩვენება ბევრად გავრცობილია. სიზმარში წმ. დიმიტრი ლეონტიუსს ეუბნება: «ნუ აკადრებ ჴელისა მიყოფად საქმისა მაგის, არამედ აღდეგ განთიად და ქმენ ლუსკუმა ადგილსა მას, სადაცა განიკურნე შენ, და აღმოვაცენო ნელსაცხებელი სულნელებისაჲ, რომელი მომმადლა მე ღმერთმან საკურნებელად ყოვლისა სენისა, რომელნი სარწმუნოებით მოვიდოდიან” (Passio Euth. § 40).

ამ ჩვენების პასუხად ლეონტიუსმა გააკეთებინა ლუსკუმა და «ზედა კერძოჲ მისსა კუბოჲ” (Passio Euth. § 41). სამუშაოების დასრულებისთანავე წმინდა მირონმა იწყო აღმოცენება და დაგროვება ლუსკუმაში.

როგორც ვხედავთ, ოთხსავე შემთხვევაში ეფთვიმეს ჩანართები შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც «წამების” არცერთ ბერძნულ რედაქციაში არ დასტურდება. მოყვანილი მასალა ერთდროულად რამდენიმე კითხვას ბადებს:

---

148 PG 116, 1181 B 8 – 1184 B 9.

ეფთვიმეს თარგმანში ჩართული სცენები უნდა მომდინარეობდეს დღეისათვის უცნობი ბერძნული დედნიდან თუ შეიძლება ისინი ეფთვიმეს მივაკუთვნოთ? თუ ამ ჩანართებს ეფთვიმეს მივაკუთვნებთ, მაშინ საკითხავია, იცნობდა და იყენებდა თუ არა ეფთვიმე სვიმეონის მეტაფრასს? ან როგორ შეიძლება აიხსნას დამთხვევები სვიმეონის მეტაფრასსა და ეფთვიმეს თარგმანს შორის?

ამ კითხვათაგან არც ერთს ზუსტი პასუხი არა აქვს და ჩვენი მოსაზრებები მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება. პირველ კითხვასთან დაკავშირებით, – ჩანართი სცენები ვის მივაკუთვნოთ, ეფთვიმეს თუ უცნობ ბერძნულ ორიგინალს, – ორივე ვარაუდი, ჩვენი აზრით, თანაბარუფლებიანია. ეფთვიმეს თანადროულ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში კომპილაციების შედგენა ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო[149]. ამიტომ სავსებით დასაშვებია, რომ ამ ეპოქაში, ანუ სწორედ X ს.-ში, გაჩნდებოდა ამ მეთოდით შედგენილი ბევრი ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. შესაძლოა, არსებობდა კიდევ ერთი ვერსია, გავრცობილი ვარიანტი შუალედური რედაქციისა, რომელიც გამოიყენა ეფთვიმემ და შემდგომში სვიმეონმაც მეტაფრასული რედაქციის შესაქმნელად. ამით შეიძლება აიხსნას ზემოთ აღნიშნული დამთხვევებიც ეფთვიმეს თარგმანში დაცულ რედაქციასა და სვიმეონის მეტაფრასს შორის. ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ასეთი რედაქცია შეიძლებოდა გაჩენილიყო სვიმეონის მეტაფრასის შექმნის შემდეგ, მიუღებელია, ვინაიდან ეს არ ექვემდებარება ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების ლოგიკას; სვიმეონმა თავის მეტაფრასებში ადრეული წამებები და ცხოვრებები ისე დახვეწა, მისი ნაღვაწის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს მის მიერ უკვე გამშვენიერებული რედაქციების ხელახლა გადაკეთება დაეწყო.[150]

მაგრამ თუ ეფთვიმეს თანადროულ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში კომპილაციების შედგენა ესოდენ ჩვეულებრივი რამ იყო, და

---

[149] Ševčenko, 1975, Hagiography of the Iconoclastic Period, p. 14. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. წინამდებარე ნაშრომი, ნაწილი I, თავი 3, გვ.

[150] სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის შესახებ იხ.: Кекелидзе, 1957, Симеон Метафраст; მახარაშვილი, 2002, თეოფილე ხუცესმონაზონი, გვ. 59-71; Rosenquist, Changing Styles and Changing Mentalities; Hogel, The Redaction of Symeon Metaphrastes.

რადგან თავად ეფთვიმესაც შექმნილი აქვს სხვა კომპილაციები[151], ვფიქრობთ, სრულიად თავისუფლად შეიძლება ჩანართი სცენების ავტორად მივიჩნიოთ თავად ეფთვიმე ათონელი. ის მსგავსება, რაც შეინიშნება ეფთვიმეს თარგმანის ჩანართ მონაკვეთსა და სვიმეონის მეტაფრასს შორის, არ გულისხმობს აუცილებელ პირობად ამ ორი ტექსტის ერთი დედნიდან მომდინარეობას. იმპერატორისა და დიმიტრის დაპირისპირების სცენა არის ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულების კლასიკური პარადიგმა. ეს არის სიკეთისა და ბოროტების, სიწმინდისა და ეშმაკეულობის დაპირისპირება, სრულიად აუცილებელი მომენტი, რომლის გარეშეც მოწამე და მისი ღვაწლი ვერ იქნება საკმარისად შთამბეჭდავი. ფრაზების მსგავსებაც მომდინარეობს სცენის, როგორც კლიშეს ტრაფარეტულობიდან. ეფთვიმესთვის, როგორც თავისი თანადროული ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო მცოდნესთვის, ბუნებრივი იყო სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრების კლიშეების ცოდნა და გამოყენება.[152] ამდენად, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ეს ჩანართი ეპიზოდები თავად ეფთვიმე ათონელს შეიძლება ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება ისეთ ფაქტობრივ მატებას, როგორიცაა წმ. დიმიტრის «წამება" ორი სხვადასხვა იარაღით და მირონმდინარების სასწაულის წარმოშობა, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ეფთვიმე სარგებლობდა ან დღეისათვის დაკარგული წყაროთი, ან ეყრდნობოდა ზეპირ გადმოცემას, ანუ ეს ფაქტობრივი მატება არ მიგვაჩნია მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფად.

## 1.3. წმ. დიმიტრის «წამების" ქართული სვინაქსარული რედაქცია

წმ. დიმიტრის «წამების" შემოკლებული ვარიანტი დაცულია ასევე კონსტანტინოპოლის სვინაქსარში[153], რომელიც XI საუკუნეში ქართულად თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა[154]. ჩვენთვის საინტერესო იყო წმ. დიმიტრის

---

[151] ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ წინამდებარე ნაშრომის ამავე ნაწილის მე-3 თავში «წმ. დიმიტრის «შესხმა".

[152] ბეზარაშვილი, 2004, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 79-87.

[153] Acta Sanctorum Novembris, pp. 163-166.

[154] ტექსტი გამოცემულია: დოლაქიძე, 2003, დიდი სჳნაქსარი, გვ. 230.

«წამების" ამ რედაქციის შესწავლა იმისათვის, რათა გაგვერკვია, არსებობდა თუ არა კავშირი «წამების" სვინაქსარულ რედაქციასა და ეფთვიმეს თარგმანში არსებულ ჩანართებს შორის. ასეთი მსგავსების გამოვლინება მოგვცემდა საშუალებას გვევარაუდა, რომ ეფთვიმეს თარგმანში არსებული ჩანართები მართლაც მომდინარეობს დღეისათვის დაკარგული ბერძნული წყაროდან.

სვინაქსარის ქართულ-ბერძნული ტექსტების შედარებამ მეტად საინტერესო ვითარება წარმოაჩინა. აღმოჩნდა, რომ გიორგი მთაწმიდლის ტექსტი სრულიად განსხვავდება სვინაქსარის ბერძნული ტექსტისაგან და ამასთანავე გარკვეულწილად მისდევს «წამების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს. თავად ბერძნულ ტექსტში შეტანილია არა მხოლოდ «წამების" შემოკლებული ვერსია, არამედ რამდენიმე სასწაულიც. პირველი სასწაული[155] ეხება იმპერატორის მოთხოვნას წმ. დიმიტრის რელიქვიების გადატანის შესახებ. მაგრამ ეს არის არა იოანე თესალონიკელის ციკლის მეხუთე სასწაული იმპერატორ მავრიკიოსსა და ევსევი არქიეპისკოპოსის შესახებ, არამედ ის ამბავი, რის შესახებაც ევსევიმ მისწერა მავრიკიოსს. აქ, როგორც წერილშია დაწერილი, იმპერატორმა იუსტინიანემ მოითხოვა წმინდანის ნაწილები. შემდეგ მოკლედ აღწერილია, როგორც დაიწყეს ეკლესიაში თხრა, ამოვარდა ალი და გაისმა ხმა, რომელმაც აკრძალა წმინდანის ნეშტის ძებნა. ამ ამბის სასწაულად გამოტანა ძალიან ლოგიკურია. იოანეს ციკლში ეს ეპიზოდი წარმოდგენილია, როგორც ვთქვით, არქიეპისკოპოს ევსევის მიერ იმპერატორისადმი მიწერილი წერილის სახით, მაგრამ ეს არის მხოლოდ გაფორმება; თავად სასწაული არის ის, რაც შეტანილია სვინაქსარში.

მეორე სასწაული[156] არის ანონიმური კოლექციის მე-6 სასწაულის (აფრიკელი ეპისკოპოსის, კვიპრიანეს, შესახებ) შემოკლებული ვერსია. ოღონდ აქ ეპისკოპოსის სახელი მითითებული არ არის.

მესამე[157] და მეოთხე[158] სასწაულები არის ავართა შემოსევასთან დაკავშირებული ამბების მეტად შემოკლებული ვარიანტი. ამათგან მეორე სასწაული ეხება ვერცხლის კივორიუმს და შეესაბამება იოანეს ციკლის მე-6

[155] Acta Sanctorum Novembris, 163, 37 – 164, 10.
[156] Ibid., 164, 11-41.
[157] Ibid., 164, 42 – 165, 19.
[158] Ibid., 165, 20-46.

სასწაულს. ბოლო, მეხუთე სასწაული[159] კი შეესაბამება იოანეს ციკლის მე-7 სასწაულს.

აღმოჩნდა, რომ წმ. დიმიტრის «წამების” ქართული სვინაქსარული რედაქცია შეიცავს მხოლოდ «წამებას” და ამჟღავნებს აშკარა მსგავსებას ეფთვიმეს თარგმანთან. ასე მაგალითად, აქ ნესტორის სიკვდილით დასჯის შემდეგ შეტანილია იმპერატორისა და მისი მთავრების თათბირი, რომელიც ეფთვიმეს ტექსტში ჩანართი მონაკვეთია და ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტებში ანალოგი არ მოეპოვება. მოგვყავს ეფთვიმეს თარგმანისა და სვინაქსარული რედაქციის პარალელური ადგილები:

| ეფთვიმე | სვინაქსარი |
|---|---|
| «უკუეთუ წარმოადგინო იგი, მეფეო, წინაშე შენსა, ვიცნობთ ჩუენ სიფიცხესა დემეტრესსა, ვითარმედ სიტყუთა ვერ სძლო. უკუეთუ კულა სტანჯვიდე, აღიძრას ერი ესე ქალაქისა შენ ზედა, რამეთუ ყოველნივე მეგობარ მისსა არიან, და ქნან შფოთი და ამბოხება დიდი; არამედ ნუ მიიყვანებ მას წინაშე შენსა, გარნა წარავლინენ, რაჲთა მოკლან იგი საპყრობილესა შინა, სადა-იგი აწ მკჳდრ არს ბნელსა შინა» (Passio Euth. § 27) | ასი ჴელ-ვყოთ, აღიძრას ჩუენ ზედა ყოველი ესე ქალაქი, და უკუეთუ სიტყჳთ დარწმუნებაჲ მისი ვინებოთ, არა ისმინოს ჩუენი, ვითარცა-იგი პირველ”[160]. |

ასევე ძალიან საინტერესოა წმინდანის მოწამეობრივი აღსასრულის აღწერა. სვინაქსარშიც, ისევე როგორც ეფთვიმეს თარგმანში, «წამების” არსებული ყველა ბერძნული რედაქციისაგან განსხვავებით, წმინდანი მოკლეს ორი სხვადასხვა იარაღით – ხმლით და შუბით: «და უბრძანა, რაჲთა მუნვე შინა,

[159] Ibid., 166, 1-25.
[160] დოლაქიძე, 2003, დიდი სვინაქსარი, გვ. 230.

სადა-იგი შეყენებულ იყო, დაჭრან მახჳლითა და განგურიმონ ლახურითა".[161] უნდა ითქვას, რომ წმ. დიმიტრის ციკლის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვითაც დიმიტრის წამების ასეთი აღწერა არსადაა დაფიქსირებული.

დაბოლოს, წმ. დიმიტრის მირონმდინარების სასწაული სვინაქსარულ ვერსიაშიც ჩანს: «ხოლო რომელსა ენებოს სასწაულთა მისთა გულისჴმის-ყოფად და წმიდისა მის ნელსაცხებლისა, რომელი აღმოაცენა, წიგნი მისი ჭელად მიიღენ და აღმოიკითხენ"[162].

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

სვინაქსარის ბერძნული ტექსტის გამოცემაში გამოყენებულია სხვადასხვა დროის ხელნაწერები, როგორც X საუკუნის, ასევე უფრო გვიანდელი პერიოდისაც. ჩვენთვის უცნობია, გამოცემაში მოცემული სვინაქსარის ბერძნული ტექსტი ასეთი სახით არის დაცული რომელიმე ადრეულ ხელნაწერში თუ შევსებულია გვიანდელი ხელნაწერების საფუძველზე. ამ საკითხის გარკვევა გულისხმობს კონსტანტინოპოლის სინაქსარის წარმომავლობის, შედგენილობისა და დათარიღების კვლევას, რაც აღემატება ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობას. რაც შეეხება გიორგი მთაწმიდლის ტექსტს, ვფიქრობთ, რომ ეს არის არა ბერძნული ტექსტის თარგმანი, არამედ ეფთვიმეს არსებული თარგმანის შემოკლება. მხოლოდ ასე აიხსნება, ჩვენი აზრით, ეფთვიმესეული ჩანართების არსებობა გიორგი მთაწმიდლის ტექსტში.

## 1.4. დასკვნა

წმ. დიმიტრის «წამების" ქართული თარგმანი დღეისათვის მოღწეულია 20 სხვადასხვა ხასიათისა და პერიოდის ხელნაწერით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია XI საუკუნის პირველი ნახევრის ორი ნუსხა, ჰაგიოგრაფიული კრებული H 341 და ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული Sin. 80. წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების შემცველი ნუსხებიდან მხოლოდ

---

[161] იქვე.
[162] იქვე.

ეს ორი ხელნაწერი შეიცავს დიმიტრის ციკლს მთლიანად: «წამებას", «სასწაულებს" და «შესხმას". ტექსტში შეინიშნება ბევრი ორთოგრაფიული შეცდომა და გრაფიკული მსგავსების გამო სიტყვების შეცდომით გადმოწერის შემთხვევები.

წმ. დიმიტრის «წამების" ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებამ ცხადყო, რომ ეფთვიმე ათონელმა დიმიტრის ციკლის შესაქმნელად ბეძნულიდან ქართულად გადმოიღო «წამების" არა უძველესი, კიმენური, როგორც ეს კ. კეკელიძეს მიაჩნდა, არამედ შუალედური რედაქცია. თხზულება თარგმნილია ეფთვიმესთვის დამახასიათებელი მეთოდით: ტექსტში შეტანილია როგორც მცირე ტექსტობრივი, ასევე დიდი კომპოზიციური ცვლილებები. «წამების" ქართულ თარგმანში შეტანილია რამდენიმე, ძალიან მნიშვნელოვანი ჩანართი მონაკვეთი, რომელთაც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ წყაროებში შესატყვისი არ მოეპოვებათ.

ასეთი ჩანართი ეპიზოდი სულ ოთხია. მათგან პირველი არის იმპერატორ მაქსიმიანესა და მოწამე დიმიტრის შეხვედრა იმპერატორის სტადიონზე შესვლის წინ. «წამების" კიმენურსა და შუალედურ ბერძნულ რედაქციებში ეს შეხვედრა სულ რამდენიმე წუთი გრძელდება. იმპერატორს იმდენად ეჩქარებოდა გლადიატორთა ორთაბრძოლის ნახვა, რომ შეიტყო თუ არა დიმიტრის ქრისტიანობა, დაკითხვა ბრძოლის დასასრულამდე გადადო და ბრძანა წმინდანის დამწყვდევა აბანოს ბნელ საკანში. ორსავე რედაქციაში ეს მონაკვეთები თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ერთმანეთს.

«წამების" ბერძნულ მეტაფრასულ რედაქციაში ეს მონაკვეთი ცოტათი უფრო ვრცელია. აქ შეტანილია დიმიტრის მოკლე სიტყვა იმპერატორისადმი, სადაც იგი უარყოფს ამქვეყნიურ პატივს და ემზადება მოწამეობრივი აღსასრულისათვის.

ქართულ თარგმანში ამ ადგილას ჩართულია დიმიტრის და იმპერატორის ვრცელი სიტყვიერი პაექრობა. იმპერატორი ცდილობს წმინდანის გადმობირებას: ჯერ დიდებას და სიმდიდრეს ჰპირდება, შემდეგ წამებით აშინებს. კულმინაციურ მომენტში წმინდანი თავის საპატიო სარტყელს იმპერატორს წინ დაუგდებს. განრისხებული იმპერატორი ბრძანებს დიმიტრის დამწყვდევას აბანოს საკანში. ეპიზოდი აქ მთავრდება.

ეს ჩანართი ეპიზოდი ამჟღავნებს სიახლოვეს სვიმეონის მეტაფრასტისეულ ბერძნულ ტექსტთან. ეს აისახება ორ მნიშვნელოვან დეტალში. ქართულ თარგმანსა და ბერძნულ მეტაფრასშიც დიმიტრი ერთნაირად უარყოფს ამქვეყნიურ პატივს, თუმცა ქართულ ტექსტში ეს მომენტი უფრო გამომსახველია. სვიმეონის მეტაფრასში ნათქვამია, რომ დიმიტრის ანთიპატოსის პატივის მინიჭებისას გადაეცა საპატიო რეგალიაც. შესაძლოა, ამ ორი მომენტის გავლენით ეფთვიმეს თარგმანში გაჩნდა საპატიო სარტყლის ძირს დაგდების დეტალი.

მეორე ვრცელი ჩანართი მონაკვეთი ეხება იმპერატორის და მისი დაახლოებული პირების დიმიტრისთან დაკავშირებულ თათბირს და წმინდანის მოწამეობრივ აღსასრულს. ამ ეპიზოდში ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დიმიტრის ორი სხვადასხვა იარაღით კლავენ: ჯერ ასო-ასო აკუწავენ ხმლით, შემდეგ შუბით განგმირავენ. წმინდანის ასეთი სიკვდილი არ არის ცნობილი არც ერთ ბერძნულ წყაროში და არც სამეცნიერო ლიტერატურაში.

მესამე ჩანართი აღწერს იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილს. «წამების" სამსავე ბერძნულ რედაქციაში დიმიტრის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ იმპერატორი თხზულებაში აღარ ჩანს, მან თავისი ფუნქცია შეასრულა და მთხრობელისთვის აღარ არის საინტერესო. მაგრამ ქართულ ტექსტში იმპერატორს მისი ბოროტების საკადრისი საზღაური მიეზღვება, იგი ავადმყოფი და მატლდასეული კვდება.

მეოთხე ჩანართი ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხება წმ. დიმიტრის მირონმდინარების სასწაულს. როგორც ნაშრომის პირველ თავში ვნახეთ, მირონმდინარების სასწაული, მეცნიერთა აზრით, გვიანდელი პერიოდს განეკუთვნება და თან «წამების" არცერთ დღეისათვის ცნობილ ბერძნულ რედაქციაში არ ჩანს. ეფთვიმეს თარგმანში კი ამ სასწაულის წარმოშობა უკავშირდება პრეფექტ ლეონტიუსს, რომელიც ჩვენებაში გამოცხადებული წმინდანის ბრძანების მიხედვით მისი დაკრძალვის ადგილზე დადგამს მირონის შესაგროვებლად ლუსკუმას და გააკეთებინებს კუბოს, ანუ კიბორიუმს, სალხინობელს.

ყველა ეს ჩანართი ძალიან საინტერესოა, ვინაიდან შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ წყაროებში არ დასტურდება. ამ ჩანართების წარმომავლობა უცნობია. ეფთვიმეს თანადროულ

ბიზანტიურ მწერლობაში, განსაკუთრებით, ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში კომპილაციების შედგენა, თხზულებების შევსება და გამშვენიერება სხვა ნაწარმოებების მონაკვეთებით, დამკვიდრებული და გავრცელებული პრაქტიკა იყო. შესაძლოა, არსებობდა კიდევ ერთი კომპილაციური, გავრცობილი ვერსია «წამების" შუალედური რედაქციისა, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, რომელიც დედნად გამოიყენეს ეფთვიმემაც და სვიმეონ მეტაფრასტმაც. ასეთი ვარაუდი ხსნის ეფთვიმეს თარგმანსა და სვიმეონის რედაქციას შორის გამოვლენილ მსგავსებას.

მეორეს მხრივ, ეფთვიმე თავად იყო კომპილაციების უბადლო ოსტატი და სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ამ ჩანართი მონაკვეთების ავტორი თავად ეფთვიმე ყოფილიყო. მსგავსება ეფთვიმეს თარგმანსა და სვიმეონის მეტაფრასულ ვერსიას შორის, ჩვენი აზრით, გაპირობებული უნდა იყოს არა საერთო დედნით, არამედ ერთი ჟანრით, ჰაგიოგრაფიული პარადიგმებით. რაც შეეხება ისეთ ფაქტობრივ მატებას, როგორიცაა წმ. დიმიტრის წამება ორი სხვადასხვა იარაღით და მირონმდინარების სასწაულის წარმოშობა, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ეფთვიმე სარგებლობდა სხვა, დღეისათვის დაკარგული, წყაროთი, სავარაუდოა, ეყრდნობოდა ზეპირ გადმოცემას, ანუ ეს ფაქტობრივი მატება არ მიგვაჩნია მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფად.

გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნ კონსტანტინოპოლურ სვინაქსარში ასევე შეტანილია წმ. დიმიტრისა და წმ. ნესტორის სვინაქსარული წამებები. წმ. დიმიტრის სვინაქსარული «წამების" ბერძნულ-ქართული ტექსტების კვლევამ აჩვენა, რომ ქართული ტექსტი სრულიად განსხვავდება ბერძნულისაგან. ბერძნულ სვინაქსარში შეტანილია არა მხოლოდ «წამების" შემოკლებული ვარიანტი, არამედ რამდენიმე სასწაულიც. კერძოდ, აქ შეტანილია წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლებიდან ხუთი სასწაული. მათგან პირველი ეხება იმპერატორ იუსტინიანეს მიერ წმინდანის რელიქვიების გადატანის მოთხოვნას, რაც აღწერილია იოანე თესალონიკელის ციკლის მე-5 სასწაულში. მაგრამ თუ იოანესთან ეს სასწაული წარმოდგენილია, როგორც იმპერატორი მავრიკიუსის ანალოგიურ მოთხოვნაზე არქიეპისკოპოს ევსევის მიერ გაგზავნილი პასუხის ნაწილი, სინაქსარში მოცემულია თავად სასწაული წმინდანის საფლავის გათხრის, და ალნაცემი სურნელოვანი მიწის გაჩენის

შესახებ. მეორე ეპიზოდი არის სასწაულების მეორე, ანონიმური კოლექციის ბოლო, მე-6 სასწაული, აფრიკელი ეპისკოპოსის, კვიპრიანეს, სლავების ტყვეობისაგან სასწაულებრივი გათავისუფლების შესახებ. მესამე და მეოთხე სასწაულები გადმოგვცემენ ავართა შემოსევის ამბებს. სვინაქსარის მეოთხე სასწაული არის იოანეს ციკლის მე-6 სასწაულის (ვერცხლის ტახტის შესახებ) მოკლე ვარიანტი, ხოლო სვინაქსარის მე-5 ეპიზოდი შეესაბამება იოანეს ციკლის მე-7 სასწაულს (უკეთური ონესიფოროსის შესახებ). ამდენად, ბერძნულ სვინაქსარში წმ. დიმიტრისთან დაკავშირებით შეტანილი ტექსტი შეიცავს «წამების" მოკლე ვერსიას და ასევე 5 სასწაული მისი გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ორი ციკლიდან.

ქართულ სვინაქსარში წმ. დიმიტრის ხსენების დღეს შეტანილი ტექსტის კვლევამ აჩვენა, რომ იგი სრულიად განსხვავდება ბერძნულისაგან. უპირველეს ყოვლისა, აქ არის მხოლოდ წმ. დიმიტრის «წამების" შემოკლებული ვერსია, სასწაულების გარეშე. მეორეც, «წამების" ქართული და ბერძნული შემოკლებული ვერსიები ასევე სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან; სვინაქსარის ბერძნული ვარიანტი მისდევს «წამების" ბერძნულ შუალედურ რედაქციას, ქართული ვერსია კი ამჟღავნებს აშკარა მსგავსებას «წამების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანთან. მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ ქართულ სვინაქსარში გიორგი მთაწმიდლის მიერ შეტანილ ტექსტში მეორდება შემოკლებული სახით ის ჩანართი მონაკვეთები, რომლებიც გვაქვს წმ. დიმიტრის «წამების" ეფთვიმესეულ თარგმანში და არ გვხვდება ბერძნულ წყაროებში. ეს ეხება იმპერატორისა და მის დაახლოებულ პირთა თათბირს დიმიტრის შესახებ, დიმიტრის წამებას ორი იარაღით და მირონმდინარების სასწაულს. ცხადია, რომ გიორგი ათონელს სვინაქსარის ქართულ თარგმანში წმ. დიმიტრისთან დაკავშირებით შეტანილი აქვს არა კონსტანტინოპოლური სვინაქსარის შესაბამისი ბერძნული ტექსტის თარგმანი, არამედ წმ. დიმიტრის «წამების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის შემოკლებული ვერსია. ეს გარემოება მეტად საინტერესოა ქართული სვინაქსარის შექმნის ისტორიისათვის, დასაშვებია, რომ ანალოგიურად სხვა წმინდანების შემთხვევაშიც გიორგი აკეთებდეს არა შესაბამისი ბერძნული ტექსტის თარგმანს, არამედ იყენებდეს არსებულ ქართულ თარგმანებს.

# თავი 2

# წმ. დიმიტრის «სასწაულები”

## 2.1. ხელნაწერები

1. **H 341**[163]

   XI ს.-ის პირველი ნახევარი, ჰაგიოგრაფიული კრებული.

2. **Ath. 28**[164]

   1003 წ., ჰაგიოგრაფიული კრებული

   ეტრატი, 29,5 x 19,3; გადაწერილი შაორში, გადამწერი აკულა მტბევარი.

   *შეიცავს:* «სასწაულები”, 88r-118v.

3. **Sin. 80**[165]

   XI ს., ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული.

4. **Ath.17**[166]

   X-XI სს.-ის მიჯნა, ჰაგიოგრაფიული კრებული,

   ეტრატი, 32 x 26; გადამწერი ბასილი, გადაწერილია ათონზე, ნაკლული.

   *შეიცავს:* «წამება”, თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, 126r-137r;

   «სასწაულები”, თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, 137r-139v.

5. **ქუთ. 4**[167]

---

163 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 55.
164 Blake, 1933-1934, Catalogue des manuscrits au Mont Athos, pp. 114-116.
165 იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 56.
166 ათონური კოლექცია, 1986, ნაკვეთი 1, გვ. 57-63.
167 ნიკოლაძე, I, 1953, აღწერილობა, გვ. 25-35.

1565 წ., მეტაფრასი

669ფ., 42 x 48; ქაღალდი, ნაკლული და დაზიანებული.

*შეიცავს:* «წამება", თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, 588r-593v;

«წამება", თარგმანი ეფრემ მცირისა, 593v-602v;

«სასწაულები", თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა, 602v-621v.

6. **ქუთ. 44**[168]

XVIII ს., კრებული.

## 2.2. ტექსტის სტრუქტურული ანალიზი

წმ. დიმიტრის «სასწაულების" ეფთვიმესეული თარგმანის ბერძნულთან შედარებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლების PG-ს და P. Lemerle-ს მიერ გამოცემული ტექსტები. ეფთვიმეს თავის თარგმანში შეტანილი აქვს სასწაულები წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი ორი ციკლიდან. PG-ში გამოცემული სასწაულების მესამე ციკლიდან ეფთვიმეს არცერთი სასწაული არა აქვს გამოყენებული. ზოგადი დახასიათების სახით უნდა ითქვას, რომ ეფთვიმეს თარგმანი მნიშვნელოვნად სხვაობს ბერძნული ტექსტისაგან. თარგმანში გამოყენებული ყველა სასწაული მნიშვნელოვნად შემოკლებულია. ანასტასი ბიბლიოთეკარის მსგავსად[169], ეფთვიმეს თარგმანში მოაქვს სასწაულების მხოლოდ ძირითადი ამბავი, არ გადმოაქვს იოანესათვის ესოდენ დამახასიათებელი რიტორიკული ჩანართები. სტილისტურადაც ეფთვიმეს თარგმანი განსხვავდება იოანეს ციკლისაგან: თხზულება, «წამების" თარგმანის მსგავსად, დაწერილია მეტად სადა, მარტივი და გასაგები ენით, რიტორიკული ფიგურების მინიმალური გამოყენებით. სასწაულების შემოკლების გარდა, ეფთვიმეს სასწაულების ნაწილი თავის თარგმანში სულ არ გადმოაქვს, სხვებიდან კი გადმოტანილი აქვს მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები და ეს ეპიზოდები ჩართულია სხვა სასწაულში ისე, რომ ბერძნული ტექსტის არმცოდნე მკითხველისთვის სრულიადაც არ შეიმჩნევა თხრობის ლოგიკის დარღვევა ან

[168] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 58.

[169] აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ეფთვიმეს თარგმანი არც ანასტასი ბიბლიოთეკარის თარგმანში დაცულ ტექსტს არ მიყვება.

ჩართული მონაკვეთების ხელოვნურობა. ამას გარდა, ეფთვიმეს თარგმანში ჩამატებულია ისეთი სასწაულები და სასწაულების ფარგლებში ცალკეული დეტალები, რომლებიც ჩვენს ხელთ არსებული ოთხი ციკლის (სამი ბერძნული და ერთი ლათინური) ტექსტებში და ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში არსად ჩანს.

მართალია, როგორც ვთქვით, ეფთვიმეს თარგმანში სასწაულები შემოკლებული და კომპილირებულია, მაგრამ მათი თანამიმდევრობის თვალსაზრისით გვინდა აღვნიშნოთ ორი მომენტი: 1) სასწაულების კომპილირება ხდება ციკლების ფარგლებში, ანუ არა გვაქვს სხვადასხვა ციკლის სასწაულების კომპილირების შემთხვევა; 2) როგორც ვნახეთ, ბერძნულ ხელნაწერებში უფრო ხშირია შემთხვევა, როდესაც წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი ციკლი წარმოდგენილია მეორე ციკლის მეექვსე, ბოლო სასწაულთან ერთად. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მეორე ციკლის მეექვსე სასწაული ცალკე ეპიზოდის სახით ეფთვიმეს თარგმანში ჩასმულია პირველი ციკლის სასწაულებს შორის: იოანეს ბერძნული ციკლის მე-11 სასწაულის შესაბამისი მონაკვეთის შემდეგ ქართულ თარგმანში ჩასმულია ორი უცნობი სასწაული, შემდეგ შეტანილია მეორე ციკლის მე-6 სასწაული და ამას შემდეგ მოსდევს ისევ პირველი ციკლის მე-13, მე-14 და მე-15 სასწაულების კომპილირებული ვერსია.

ეფთვიმეს თარგმანის ბერძნულ ტექსტებთან მიმართების უკეთ წარმოსაჩენად ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ ცხრილს, სადაც დეტალურად არის ნაჩვენები ტექსტების ურთიერთმიმართება. შედარების გასაადვილებლად ეფთვიმეს თარგმანი პირობითად დავყავით პარაგრაფებად და მოვიძიეთ თითოეული პარაგრაფის შესაბამისი მონაკვეთები ბერძნულ ტექსტში. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია სასწაულები ქართულ ტექსტის მიხედვით. სასწაულების სათაურები და ნუმერაცია მოყვანილია ტექსტის მიხედვით იქ, სადაც ეს გვაქვს. ზოგიერთ ადგილას თარგმანისეული დასათაურება და ნუმერაცია ტექსტში არ არის, მაგრამ თხრობის სტრუქტურაში სასწაული გამოიყოფა როგორც დამოუკიდებელი ეპიზოდი, ამიტომ მას ცხრილშიც და

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოვადგენთ ჩვენი პირობითი დასათაურებით[170]. სათაურების შემდეგ მოცემულია ქართულ ტექსტში გამოყოფილი პარაგრაფების ნუმერაცია.

ცხრილის შემდეგი სამი სვეტი ეთმობა ბერძნულ ტექსტს. პირველ სვეტში მითითებულია კოლექცია და სასწაულის ნომერი, მეორე და მესამე სვეტში მოყვანილია ქართული პარაგრაფის შესაბამისი ბერძნული ტექსტის მაჩვენებლები PG-ს და P. Lemerle-ს გამოცემების მიხედვით.

ცხრილის ბოლო სვეტში შევიტანეთ კომენტარები. აქ ქართული თარგმანის ცალკეული პარაგრაფების ფარგლებში აღწერილია ის საინტერესო მომენტები, რომლებიც გამოჩნდა ბერძნულ ტექსტთან შედარების შედეგად.

| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116**[171] | **Lem. II**[172] | |
| *შესავალი* | | | | |
| 1 | Col. I | NA | § 1; 50, 3-6 | შესავალი ნაწილში მთლიანად თხრობა წარმოდგენილია პირველ პირში, ავტორისაგან. |
| 2 | Col. I | NA | § 2; 50, 6-18 | |
| 3 | Col. I | NA | § 3; 50, 19 – 51, 7 | |
| 4 | Col. I | NA | § 4; 51, 8-17 | |
| 5 | Col. I | NA | § 5; 51, 17 – 52, 2 | |
| 6 | Col. I | NA | § 7; 52, 18-31 | |
| 7 | Col. I | NA | § 8; 53, 1-14 | 1) წამების ხსენება: «...ვითარცა გასმიეს წიგნსა შინა წამებისა მისისასა...” 2) წყაროების მითითება: «ვინებე მე ძალისაებრ ჩემისა თქუმად, რომელთა თუალითა მხილველ ვიქმენ, და პირველ ჩემსა ყოფილისა მის მწყემსისა მიერ მესმა...” |

[170] ცხრილში ასეთი პირობითი დასათაურება ჩასმულია ფრჩხილებში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | Col. I | NA | § 9; 53, 14-20 | |
| *მარინოსისა თჳს ეპარხოსისა თჳს* | | | | |
| 9 | Col. I; Mir.1 | 1204 A 1-7 | § 10; 57, 5-8 | |
| 10 | Col. I; Mir.1 | 1204 A 7 – 1205 B 6 | §§ 10-13; 57, 9 – 58, 18 | |
| 11 | Col. I; Mir.1 | 1205 B 7 – 1208 C 14 | §§ 13-14; 58, 19 – 60, 17 | |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem.II** | |
| 12 | Col. I; Mir. 1 | 1208 D 1 – 1209 A 6 | § 14; 60, 17 – 61, 1 | |
| 13 | Col. I; Mir. 1 | 1209 A 6 – C 1 | § 15; 61, 1-16 | |
| 14 | Col. I; Mir. 1 | 1209 C 1-12 | § 15; 61, 16-23 | ბიბლიური ციტატის პერეფრაზი, შდრ. ეფეს. 5, 13-14. |
| 15 | Col. I; Mir. 1 | 1212 A 8 – 1213 A 3 | § 16; 62, 1 – 63, 1 | დიალოგი წმ. დიმიტრისა და მარიანოსს შორის სიზმარში; ქართული დიალოგი ბევრად მოკლე და უფრო გამომსახველია. |
| 16 | Col. I; Mir. 1 | 1213 A 3 – C 7 | § 17; 63, 1 – 64, 2 | |
| 17 | Col. I; Mir. 1 | 1213 C 7 – D 9 | § 18; 64, 1-13 | *შდრ. § 28: «დამაგდეთ მე ქუეყანასა ზედა”.* |
| 18 | Col. I; Mir. 1 | 1213 D 9 – 1216 C 10 | § 19; 64, 14 – 65, 10 | |
| 19 | Col. I; Mir. 1 | 1216 C 10 – 1217 B 11 | § 20-21; 65, 11 – 66, 8 | *შდრ. § 35: «სასწაული 3” (კაცნი კალადიიდან)* |
| 20 | Col. I; Mir. 1 | 1217 B 11 – D 5 | § 22; 66, 9-22 | |
| 21 | Col. I; Mir. 1 | 1217 D 5 – 1220 A 10 | § 22; 66, 22 – 67, 5 | მირონმდინარების სასწაულის პირველი ხსენება: გამოჯანმრთელებული მარიანოსი «იცხებდა ევლოგიასა მას მის მიერ აღმოცენებულსა”. |
| 22 | | 1220 A 10 – C | § 23; 67, | |

[171] ტექსტის მითითება: კოლოფონის ნომერი, კოლოფონის ნაწილი, სტრიქონების ნუმერაცია კოლოფონის ნაწილის შიგნით.
[172] ტექსტის მითითება: პარაგრაფის ნომერი, გვერდი, სტრიქონების ნუმერაცია.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 | 6-19 | |
| *სასწაული ბ, წმიდისა მოწამისა დემეტრესი* | | | | |
| 23 | Col. I; Mir. 2 | 1220 C 4 – 1225 A 15 | § 25-28; 69, 3 71, 20 | მირონით განკურნება: «ვითარცა იცხო ევლოგიაჲ იგი, რომელი აღმოსცენდა მის მიერ, მეყსეულად |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II §, გვ., სტრ.** | |
| | | | | დაცხრა დინებაჲ სისხლისა მისისაჲ”. |
| *(სასწაული გ)* | | | | |
| 24 | Col. I; Mir. 3 | 1225 B 1 – 1228 B 11[173] | §§ 29-37; 75, 3 – 78, 20 | |
| 25 | Col. I; Mir. 3 | | § 38; 78, 20 – 79, 4 | |
| 26 | Col. I; Mir. 3 | 1228 B 14 – 1233 C 9 | § 39-45; 79, 4 – 82, 10 | |
| *(სასწაული დ)* | | | | |
| 27 | | NA | NA | ქვრივის მხოლოდშობილი ძის სიკვდილი. |
| 28 | | NA | NA | ქვრივის ვედრება. ვედრების ბოლოს საინტერესო შეძახილია: «ჰე, ყოვლად წმიდაო, ნუ გარე-მიმაქცევ მე სირცხუილეულსა!” |
| 29 | | NA | NA | ძის აღდგინება. თხრობა პირველ პირში, ანუ თვითმხილველისაგან: «მეყსეულად გუესმა ჴმაჲ, რომელნი მუნ ვდეგით ლუსკუმით გამო მისით”. |
| 30 | | NA | NA | თხრობა პირველ პირში: «...რომელთა თითოეულად წერაჲ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ”. |
| 31 | Col. I; Mir. 4 | 1233 C 12 – 1236 A 6 | § 46; 84, 3-19 | ქართულ ტექსტში ეს მონაკვეთი ასრულებს მე-3 სასწაულს, ბერძნულ ტექსტში კი წარმოადგენს მე-4 სასწაულის შესავალს. |
| *სასწაული ე* | | | | |
| 32 | Col. I; Mir. 4 | 1236 B 7 – 1237 D 10 | §§ 47-49; 84, 20 – 86, 22 | მირონით კურნება: «და სცხეს რაჲ ევლოგიისა მისგან, მეყსეულად განვიდა მისგან ეშმაკი”... |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| *სასწაული ვ* | | | | |
| 33 | | NA | NA | კალადიიდან მოსული ორი მამაკაცი. |
| 34 | | NA | NA | მთავარეპისკოპოსის ლოცვა და კითხვა. |
| 35 | | NA | NA | წმ. დიმიტრის პასუხი. |
| *სასწაული ზ* | | | | |
| 36 | Col. I; Mir. 5 | 1240 A 1 – C 1 | § 50-51; 88, 3 – 89, 16 | |
| 37 | Col. I; Mir. 5 | 1240 C 2 – 1241 A 3 | § 52; 89, 17-25 | წმინდანის ნაწილების ადგილმდებარეობის განსაზღვრა: «დამართებით ლუსკუმისა მისისსა არს სიღრმესა შინა ქუეყანისასა”. |
| 38 | Col. I; Mir. 5 | 1241 A 4 – 1241 B 8 | § 53; 89, 25 – 90, 7 | ისევ ადგილმდებარეობაზე საუბარი: «ვიწყეთ თხრად ... ლუსკუმასა მას ქუეშე”. |
| 39 | Col. I; Mir. 5 | 1241 B 8 – C 4 | § 53; 90, 7 – 13 | |
| 40 | Col. I; Mir. 5 | 1241 C 4-10 | § 54; 90, 13-17 | |
| *სასწაული სიყმილისათჳს ჱ* | | | | |
| 41 | Col. I; Mir. 8 | 1252 C 1-9 | § 68; 101, 3-8 | თხრობა პირველ პირში: «...ყოველსავე ზედა ქალაქსა მცირედ რაჲმე ვთქუათ”. |
| 42 | Col. I; Mir. 8 | 1252 C 9 – 1253 A 4 | 69; 101, 8-14 | თხრობა პირველ პირში: «... რომლისათჳს უკუანაჲსკნელ ვთქუათ ... წინამდებარესა ამას ვიტყოდით...”. |
| 43 | Col. I; Mir. 8 | 1253 A 4-9 | § 69; 101, 14 – 102, 3 | |
| 44 | Col. I; Mir. 8 | 1253 A 9 B 8 | § 70; 102, 3-10 | გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ემთხვევა ბერძნულ ტექსტს: 👍♓□◆🕯 ♦♒🕯✂ ■♏⬧□◆🕯 📫 »ჭალაკს ა შინა ქიონსა”. |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| 45 | Col. I; Mir. 8 | 1253 B 8 – C 7 | § 70-71; 102, 10-19 | |
| 46 | Col. I; Mir. | 1253 C 7-11 | § 71; 102, | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8 | | 19-21 | |
| 47 | Col. I; Mir. 8 | 1253 C 11 – 1256 A 12 | § 72; 102, 22 – 103, 3 | |
| *სასწაული* | | | | |
| 48 | Col. I; Mir. 9 | 1256 B 1-7 | § 73; 106, 3-6 | თხრობა პირველ პირში: «დამაკლებს მე ჟამი...”. |
| 49 | Col. I; Mir. 9 | 1256 B 7 – C 8 | § 73; 106, 6-16 | |
| 50 | Col. I; Mir. 9 | 1256 C 9 – 1257 – B 6 | § 74-75; 106, 17 – 107, 17 | |
| 51 | Col. I; Mir. 9 | 1257 B 6-11 | § 76; 107, 18-20 | გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ემთხვევა ბერძნულ ტექსტს: 🗁✆ &♋♦♋🖃 ♦♒🖃■ ☯✌♌◆♎□■ 📬 »ქალაქსა შინა აბიდინოს”. 🗎✆ ♦♒🖃■ 👍♓❖⬥■ ■♒🕯⬥□■ 📬 »ქიონს ჭალაკსა”. |
| 52 | Col. I; Mir. 9 | 1257 B 11 – C 1 | § 76; 107, 20-24 | |
| 53 | Col. I; Mir. 9 | 1257 C 1 – 1260 A 8 | § 76; 107, 24 – 108, 1 | წმ. დიმიტრის წამების აღწერა: «რომელი მოიკლა ლახურითა და მახჳლითა”. |
| 54 | Col. I; Mir. 9 | 1260 A 9 – B 12 | § 77; 108, 1-14 | |
| 55 | Col. I; Mir. 9 | 1260 B 13 – 1261 A 10 | § 78-80; 108, 14-35 | |
| *სასწაული ეპარხოზისა თჳს ი* | | | | |
| 56 | Col. I; Mir. 11 | 1269 B 1 – 1272 A 1 | § 94-95; 118, 3 – 119, 14 | |
| 57 | Col. I; Mir. 11 | 1272 A 1 – C 6 | §§ 96-97; 119, 15 – 120, 4 | ბერძნული ტექსტის მიხედვით ეპარქოზი იყო უფლის მაგინებელი. თარგმანში უფლის გინებაზე |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| | | | | არაფერი წერია, ეპარქოზის დანაშაული კი წმ. დიმიტრის უპატივცემულობაა. მან ხალხს უთხრა: «დიმიტრი ჴელთაგან ჩემთა ვერ გიჴსნეს თქუენ”. |
| 58 | Col. I; Mir. 11 | 1272 C 7 – D 4 | § 98; 119, 5-12 | |
| 59 | Col. I; Mir. 11 | 1272 D 4-14 | § 99; 119, 12-19 | თარგმანში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ ეპარქოზი დაისაჯა სწორედ დიმიტრის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | უპატივცემულობის გამო. |
| *ღელვა გუემულთა თჳს, თავი ი῀ა* | | | | |
| 60 | | NA | NA | გემი ქარიშხალში. |
| 61 | | NA | NA | წყალზე მავალი წმ. დიმიტრი იხსნის გემს დაღუპვისაგან. |
| *... თავი ი῀ბ* | | | | |
| 62 | | NA | NA | სხვა გემი ქარიშხალში. |
| 63 | | NA | NA | მშვენიერი ჭაბუკი მესაჭე. |
| 64 | | NA | NA | მეზღვაურები ხვდებიან, ვინ იყო მესაჭე. |
| *სასწაული კჳპრიანესთჳს თავი ი῀გ*[174] | | | | |
| 65 | Col. II;<br>Mir. 6 | 1377 A 1 | § 307; 237, 3-4 | |
| 66 | Col. II;<br>Mir. 6 | | § 307, 237. 4-12 | |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| 67 | Col. II;<br>Mir. 6 | | § 308; 237, 13-238, 7 | |
| 68 | Col. II;<br>Mir. 6 | | § 309; 238, 8-17 | |
| 69 | Col. II;<br>Mir. 6 | | § 310; 238, 18-23 | 1) ბერძნული ტექსტის მიხედვით, კვიპრიანე დღის განმავლობაში საზრდოობდა მწვანილითა და ხილით: ♋◆♏⧫□▭■ ♏⌧ ♋♏&❐□♎❐◆❖⬥■ &♋♓▭ ♌⬥⧫♋■⬥🕯■. თარგმანის შესაბამისი მონაკვეთის მიხედვით, წმ. დიმიტრი ეპისკოპოსს «დღისი მოართუას ... საზრდელად მანანაჲ"...<br>2) ორიგინალშიც და თარგმანშიც ერთნაირად არის განსაზღვრული კვიპრიანეს მოგზაურობის დრო: □♏&⧫⬥▭ ⧫♋▭✂ ❑♋❖⬥♋✂ ❍□■ ♋❖✂ 📪 »... მერვესა ღამესა...". |
| 70 | Col. II; | | § 311; 238, | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | Mir. 6 | | 23 – 239, 8 | |
| 71 | Col. II; Mir. 6 | | § 312; 239, 9-17 | |
| 72 | Col. II; Mir. 6 | | § 313; 239, 17-27 | |
| 73 | Col. II; Mir. 6 | | § 314; 239, 28 – 240, 3 | |
| 74 | Col. II; Mir. 6 | | § 314; 240, 3-12 | |
| 75 | Col. II; Mir. 6 | | § 315; 240, 13-18 | |
| 76 | Col. II; Mir. 6 | 1384 B 5 | § 315; 240, 19-26 | ქალაქის გაწმენდა ღრიანკალებისაგან. რემინისცენცია წმ. დიმიტრის წამებასთან. |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| *სასწაული ბარბაროზთათჳს ი˜გ* | | | | |
| 77 | Col. I; Mir. 13 | 1285 B 5 – C 12 | § 117; 134, 1-16 | ბერძნულ ტექსტის მიხედვით, თესალონიკი ყველა ქალაქს აღემატებოდა თრაკიასა და ილირიკიაში. თარგმანში ვკითხულობთ: «არცა ერთი იყო კერძოთა მაკიდონიისათა და ილურიკიისათა მსგავსი თესალონიკე ქალაქისაჲ...” |
| 78 | Col. I; Mir. 13 | 1288 A 1 – B 1 | § 118; 134, 17-25 | ბერძნული ტექსტი: ავართა მეფემ თესალონიკზე გასალაშქრებლად დიდი ლაშქრის შეკრება გადაწყვიტა და ამ მიზნით მოუწოდა სლავების მთელ ველურ ტომს: &♋●♏♓ ❒❐❑✉✂ ♏☺♋◆⧫❑✉■ ⧫ ♒✉■ ♋❀❑♋⬧♋■ ⧫⬥🕯■ 💧&●♋♌♒■⬥🕯■ ❏ ♒❐♓⬥❖♎♒ ♐◆●♒❖■[175]. თარგმანი: «და მოიყვანა სხუაჲცა ერი ურიცხჳ წარმართთაჲ და თურქნი და პაჭანიკნი და წარმოემართა ბრძოლად ჩუენდა” (თხრობა პირველ პირში). |
| 79 | Col. I; Mir. 13 | 1288 B 2-3 | § 119; 134, 26-27 | ორიგინალსა და თარგმანში ერთნაირადაა მითითებული ავართა შემოსევის თარიღი: ⧫♒🕯📪 ♏♓⧉&♋❖♎♓ ♎♏◆❖⧫♏❐♋ 📪 ⧫❑◆🕯 ⬥♏❑⧫♏❍♌❐♓❖❑◆ ❍♒■ ❑❖✂ 📫 »ოცდაორ-სა სეკდენბერსა, დღესა კჳრიაკესა მიმწუხრი”. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 80 | Col. I; Mir. 13 | 1288 B 9-14 | § 119; 134, 30 – 135, 2 | |
| 81 | | NA | NA | 1) ეს მონაკვეთი ორიგინალში არათუ არ არის, არამედ შინაარსობრივად მას კიდეც |

| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| 81 | | NA | NA | ეწინააღმდეგება. დედანში მოქალაქეები მოუმზადებელი არიან მტერთან საბრძოლველად: &♋♑■♦♏◆🕯❑♏■ ♋♑❍♏●♏❖⬩♦♏❒ □■ □♏❒♓🖃 ♦♒🖃■ ♋◆♑♦♒🕯✂ ♐ ◆●♋&♒🖃■ ♎♓♋❍♏♓■♋❖■♦⬩■🗁🖮⌛ (მოქალაქეები ქალაქის დასაცავად მომზადებაში უდარდელად იქცეოდნენ), ქართულ ტექსტში კი სწორედ მოქალაქეთა სულიერ და ფიზიკურ სამზადისზეა ლაპარაკი.<br>2) თხრობა პირველ პირში: "... ჩუენ ... განვაძლიერენით ... ძალისაებრ ჩუენისა, განვემზადენით..." |
| 82 | Col. I; Mir. 13 | 1292 A 12-13 | § 124; 136, 17-18 | |
| 83 | Col. I; Mir. 13 | 1292 C 9-13 | § 127; 137, 9-12 | |
| 84 | Col. I; Mir. 13 | 1292 C 13 – D 9 | § 127; 137, 12-16 | |
| 85 | Col. I; Mir. 13 | 1292 D 9 – 1293 A 3 | § 128; 137, 16-19 | |
| 86 | Col. I; Mir. 13 | შდრ. 1292 C 3-8 | შდრ. § 126; 137, 5-8 | 1) ორიგინალში ავართა ჯარის რაოდენობა განსაზღვრული არ არის, შედარების გამოყენებით მიანიშნებს მკითხველს მტრის ჯარის სიდიდეზე. თარგმანში დაზუსტებულია: « ... რამეთუ ვითარცა ჭეშმარიტი ვცანთ, იყო რიცხვი მათი ასი ათასი".[177]<br>2) თხრობა პირველ პირში: «ესევითარი უჰრებაჲ ჩუენი..." |

| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| 87[178] | | | | 1) მე-13 სასწაულში ბერძნულ ტექსტში არსად არის ნახსენები წმ. დიმიტრის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | მიმართ მოქალაქეთა ერთობლივი ვედრება. სამაგიეროდ ეს ეპიზოდი გვაქვს თარგმანში. 2) თხრობა პირველ პირში: «სასოებაჲ წარვიწირეთ... შევკერბით... ეკლესიად სასოჲსა მის ჩუენისა... და ვევედრებოდეთ”.[179] |
| 88 | Col. I; Mir. 14 | 1296 A 12 – B 3 | § 132; 146, 12-15 | 1) ბერძნული ტექსტის მიხედვით, ევსევის ჩუენება ჰქონდა შემოსევის დაწყებამდე 8 ან 10 დღით ადრე. თარგმანში ვკითხულობთ: «მთავარეპისკოპოსს ევსევის უწინარეს რვისა დღისა ეხილვა...”.<br>2) ბერძნული ♏♋■ ⧫⬥📪🕯 ❑♏♋❖⧫❒⬥📪 (PG 116, A 14; Lem. II, 132; 146, 13) თარგმანში შემდეგნაირად არის განმარტებული: «ჯდა ცხენთსარბიელსა მას |

| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| | | | | ქალაქისასა, რომელსა ეწოდების იპოდრომი”. |
| 89 | Col. I; Mir. 14 | 1296 B 3-11 | § 132; 146, 15 – 147, 2 | |
| 90 | Col. I; Mir. 14 | 1296 B 11 – C 15 | § 133; 147, 2-13 | |
| 91 | Col. I; Mir. 14 | 1296 C 15 – D 9 | § 134; 147, 13-18 | თარგმანში აქ კვლავ შეტანილია წმინდანისადმი მოქალაქეთა ერთობლივი ვედრების აღწერა, რაც ბერძნულში ასეთი სახით არ არის.<br>თხრობა პირველ პირში: «ვევედრებოდეთ... ჩუენსა მას სასოსა...”. |
| 92 | Col. I; Mir. 10 | 1265 A 14 – C 7 | § 87; 114, 20 – 115, 2 | კიბორიუმის ადგილმდებარეობა წმ. დიმიტრის ტაძარში და მისი აღწერა: «ენება შესლვაჲ კუბოსა მას შინა, სადა არს ლუსკუმაჲ წმიდისაჲ, და იხილა, რამეთუ თავით კერძო ლუსკუმისა მის დგა საყდარი...”. |
| 93 | Col. I; Mir. 10 | 1265 D 9 – 1268 B 4 | § 89-90; 115, 12-27 | |
| 94 | Col. I; Mir. 10 | 1268 B 4 – C 7 | § 91; 115, 28 – 116, 3 | ორიგინალში ქალბატონი, რომელიც წმ. დიმიტრის გვერდით, მეორე საყდარზე ზის, მოხსენებულია სახელით ☜◆♋⧫♋⌧❖♓❖♋. მისი ვინაობა შემდგომ არის განმარტებული. თარგმანში სახელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | მითითებული არ არის, პირდაპირ განმარტებულია: «იგი არს მშჳდობაჲ ამის ქალაქისაჲ, რომელი გამოისახვის სახედ დედაკაცისა”. |
| 95 | Col. I; Mir. 10 | 1268 C 7 – D 12 | § 92; 116, 4-16 | |
| 96 | Col. I; Mir. 13 | 1288 B 14 – C 6 | § 119; 135, 2-6 | |
| 97 | Col. I; Mir. 13 | 1288 C 6 – 1289 – A 5 | § 120; 135, 7-12 | |
| 98 | Col. I; Mir. 13 | 1289 A 14 – B 3 | § 121; 135, 18-21 | |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |
| **სასწაული, §** | **კოლექცია, სასწაული** | **PG 116** | **Lem. II** | |
| 99 | Col. I; Mir. 13 | 1289 B 12 – C 1 | § 122; 135, 27-30 | |
| 100 | | | | 1) აქ ჩანართი მონაკვეთია – მოქალაქეების ვედრება მოწამისადმი.<br>2) თხრობა პირველ პირში: «... ჩუენ... ვევედრებოდეთ... ვხედევდით...”. თხრობის ლოგიკის მიხედვით, ეს ჩანართი კარგად თავსდება ტესტში. |
| 101 | | NA | NA | |
| 102 | Col. I; Mir. 15 | 1317 A 9 – B 3 | § 166; 162, 3-9 | 1) ეს სასწაული ეფთვიმეს ჩართული აქვს ავართა შემოსევის თხრობაში (ბერძნულში ეს სასწაული ცალკეა და ავართა შემოსევასთან დაკავშირებული არ არის). ევსევის ჩვენების მსგავსად, ეს არის წინასწარმეტყველება და დასტური იმისა, რომ წმინდანი არასოდეს მიატოვებს თავის ქალაქს.<br>2) თარგმანში შემოსევის მესამე ღამეს ერთ მღდელს, სახელად უნესიფორეს, მოევლინა ჩვენება. ბერძნულ ტექსტში მე-15 სასწაულში არ არის მითითებული სახელი იმ პიროვნებისა, ვისაც მოევლინა ეს ჩვენება. სამაგიეროდ, პირველი კოლექციის მე-7 სასწაულში არის ამბავი ვინმე ონესიფოროსის შესახებ, რომელიც წმ. დიმიტრის ტაძარში სანთლებს იპარავდა, რის გამოც იგი დაისაჯა წმინდანისაგან.<br>3) თხრობა პირველ პირში: «გუთხრა ჩუენ”... |
| 103 | Col. I; Mir. 15 | 1317 B 3 – C 5 | § 167; 166, 9-20 | წმ. დიმიტრის კიბორიუმის აღწერა: «დაჰრეკა კართა მათ ვეცხლისათა, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | რომელნი არიან კუბოსა მას ლუსკუმისა მისისასა”. |
| 104 | Col. I; Mir. 15 | 1317 C 5 -1320 A 13 | § 168; 166, 21 – 167,2 | |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| 105 | Col. I; Mir. 15 | 1320 A 13 – B 4 | § 168; 167, 2-5 | |
| 106 | Col. I; Mir. 15 | 1320 B 5 – C 5 | § 169; 163, 6-15 | |
| 107 | Col. I; Mir. 15 | 1320 C 5-10 | § 170; 163, 16-30 | |
| 108 | Col. I; Mir. 15 | 1321 A 10-14 | § 171; 164, 5-7 | |
| 109 | Col. I; Mir. 15 | 1321 A 15 – B 5 | § 172; 164, 8-11 | თარგმანში თხრობის ლოგიკის დარღვევა: უნესიფორემ მოუთხრო ჩვენება მსმენელებს (მათ შორის ავტორსაც). ჩვენება მოთხრობილია პირველ პირში მთხრობელისაგან. § 108-ში ჩვენების თხრობა მთავრდება. § 109 კი იწყება: «ხოლო რომელმან ესე იხილა, განიღვიძა რაჲ, ეტყოდა ყოველთა...” |
| 110 | | NA | NA | წმ. დიმიტრიმ მრავალი მტერი მოსპო. |
| 111 | Col. I; Mir. 14 | 1297 B 7 – C 6 | § 136; 148, 5-11 | |
| 112 | | NA | NA | თესალონიკს დანებებულ წარმართთა მონაყოლის გაგრძელება, სადაც წმ. დიმიტრი ჭაბუკის სახით მოევლინა მათ, მრავალი გაანდაგურა და თავისი ვინაობაც გაუმხილა: «მე ვარ დემეტრჱ, მონაჲ ღმრთისაჲ”. ბერძნულში ეს პასაჟი არ არის. |
| 113 | Col. I; Mir. 14 | | § 145; 158, 26-28 | |
| 114 | Col. I; Mir. 14 | | § 145; 151, 28-29 | ბერძნული ტექსტის მიხედვით, ავართა მიერ აგებული ხიდის ზღვაში დანთქმა მხოლოდ უფლის ნების შედეგი იყო: □☺ ❑♏□▭✂ ♏☞❍♒☒♋■♒❖⬩♋⧫□ ✍♋♓▭ □◆☞✍ ♋☯■❑❒⬩□□✂ (ეს მხოლოდ უფალს შეიძლებოდა გაეკეთებინა და არა ადამიანს). ქართულ თარგმანში ხიდის დანგრევა მხოლოდ წმ. დიმიტრის მიეწერება: «მეყსეულად ეჩუენა მათ ჭაბუკი იგი, რომელი მარადის ებრძვინ მათ, და |

| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | PG 116 | Lem. II | |
| | | | | უპყრა ხიდსა მას და მიზიდა ზღუად....” |
| 115 | Col. I; Mir. 14 | | § 139; 148, 16 – 149, 6 | ❑♏♦❒□♌□❖●□◆✂ ◆☺❑♏❒❍♏♑♏ ❖❒♏♓✂ 📪 »აღმართნეს ქვის სატყორცები, რომელსა ეწოდების ფილეკავან”. |
| 116 | Col. I; Mir. 14 | 1309 D 10 – 1312 A 4 | § 153; 155, 6-12 | |
| 117 | | NA | NA | ავართა იარაღი დაიწვა. |
| 118 | Col. I; Mir. 14 | 1312 C 10 – D 9 | § 157; 156, 11-20 | თხრობა პირველ პირში: «ხოლო ჩუენ ვითარ გუეუწყა... ძრწოლასა შინა ვიყვენით...”. |
| 119 | Col. I; Mir. 14 | 1312 D 9 – 1313 A 7 | § 158; 156, 20-27 | დროის განსაზღვრა: ♋☯♐■⬥ ❑♏❒♓⌨ ⬥❀❒♋■ ♦♒🕯✂ ♋◆♉♦♒🕯✂ ♒☺❍♏❖❒♋✂ (იმავე დღის რვა საათზე) – «და მას დღესა კჳრიაკესა მეშჳდით ჟამითგან....”. |
| 120 | Col. I; Mir. 14 | 1313 A 7 – B 3 | § 159; 156, 28-33 | თხრობა პირველ პირში: «... გუევედრებოდეს ჩუენ... შევიწყნარნეთ... ჩუენ ვჰგონებდით... არა შევიწყნარენით...”. |
| 121 | | NA | NA | ეს არის თესალონიკს დანებებული წარმართების ვედრება მოქალაქეებისადმი ქალაქში შეშვებაზე, რომელიც ბერძნულ ტექსტში არ არის, მაგრამ იგულისხმება. თარგმანის ჩანართი გვევლინება თხრობის სრულიად ბუნებრივ ნაწილად. |
| 122 | Col. I; Mir. 14 | 1313 B 3-7 | § 159; 156, 33 – 157, 3 | დროის განსაზღვრა: ❍□❖●♓✂ ❑♏❒♓⌨ ❑♏❖❍□♦♒■ ⬥ ☯❒♋■ ♦♒🕯✂ ♒☺❍♏❖❒♋✂ (დღის ხუთ საათზე) – «მეოთხესა ოდენ ჟამსა დღისასა...”. |
| 123 | Col. I; Mir. 14 | 1313 B 7 – C 7 | § 160; 157, 3-12 | ბერძნულ ტექსტში დროის დაზუსტება ქართული თარგმანის ამ მონაკვეთში გადმოტანილი არ არის. |
| 124 | | NA | NA | ხაზგასმა, რომ წმ. დიმიტრის დამსახურებაა მტრის დამარცხება. ავართა მონაყოლი: « ერთი იგი წინამძღუარი ... ბოროტად მოსწყუედდა ერსა”. |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია | PG 116 | Lem. II | |

| | , სასწაული | | | |
|---|---|---|---|---|
| 125 | Col. I; Mir. 14 | 1313 C 10 – D 4 | § 161; 157, 15-20 | 1) წმ. დიმიტრის გარეგნობის აღწერა: «კაცი იყო ჭაბუკი ჰასაკითა, მოწაბლე თმითა, დიდებული ფრიად და ბრწყინვალე და მჯდომარჱ ცხენსა ზედა სპეტაკზა და აქუნდა ჴელთა მისთა ჴრმალი და ჰოროლი და ორითავე მოსრვიდა უწყალოდ”. ბერძნულ ტექსტში წმინდანის თმის ფერი და იარაღის ჩამოთვლა არ არის. 2) თხრობა პირველ პირში: «ჩუენ ვჰკითხევდით... მათ გურქუეს...”. |
| 126 | | NA | NA | 1) თარგმანში აღრიცხულია წმ. დიმიტრის ხელით მოკლული მტრის რაოდენობა: «... ვპოვეთ სამეოცდაათხუთმეტი ათასი”, შდრ. § 86, წმინდანს გაუნადგურებია მტრის ჯარის სამი მეოთხედი. 2) თხრობა პირველ პირში: «... ტყუე ვყავთ განრომილ...” |
| 127 | | შდრ. 1316 A 9 – B 11 | შდრ. § 165; 158, 14-27[180] | |
| *სასწაული მოხარკეთა თჳს ი~დ* | | | | |
| 128 | | NA | NA | მეფისგან მოვლინებული ერისთავი ჩამოვიდა თესალონიკში ხარკის ასაღებად. |
| 129 | | NA | NA | მოქალაქეებმა წმ. დიმიტრის თხოვეს შველა. |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| | | | | თხრობა პირველ პირში: «... სასოჳსა ჩუენისა...” |
| 130 | | NA | NA | წმ. დიმიტრი ღამე გამოეცხადა მეფეს. |
| 131 | | NA | NA | მეფემ სასწრაფოდ გამოიხმო ერისთავი უკან. |
| *სასწაული ავართათჳს თავი ი~ე* | | | | |
| 132 | | NA | NA | ავართა შემოსევა. |
| 133 | | NA | NA | სამი დღის სავალზე წმ. დიმიტრი უკან დაედევნა ავარებს ტყვეების დასახსნელად. |

| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| | | | | წმინდანის გარეგნობის აღწერა: «... ჭაბუკი ვინმე მომავალი, მჯდომარჱ ცხენსა ზედა სპეტაკსა, რომელი ელვიდა, ვითარცა ელვაჲ”. |
| 134 | | | | გათავისუფლებულმა ტყვეებმა წმინდანის შეწევნით სამი დღის სავალი ერთ დღეში განვლეს და ქალაქში დაბრუნდნენ. მთხრობელი ამბის დამსწრე ან თანამონაწილე არ არის, მაგრამ პირველი პირის ფორმებს მაინც იყენებს: «... სასოსა ჩუენსა...”. |
| *სასწაული ბრძოლისათჳს საკლოველთაჲსა ი˜ვ* | | | | |
| 135 | Col. II; Mir. 1 | 1325 A 1-15 | § 179; 175, 3-12 | 1) ბერძნულ ტექსტში მითითებულია, რომ გადმოცემული ამბავი მოხდა გარდაცვლილი იოანეს არქიეპისკოპოსობის დროს. ქართულ თარგმანში დროის ეს განსაზღვრა არ ჩანს.<br>2) თარგმანში პირველად ჩნდება სლავთა მითითება: «ნათესავი სკალვალთაჲ”.<br>3) სლავთა შემადგენლობაში შესული ტომების ჩამოთვლა: 👎❒□♑□◆♌♓⧫⬩🕯■📪 💧♋♑□◆♎♋⧫⬩🕯■📪 👌♏●♏♑♏⌘♒⧫⬩🕯■📪 👌♋♓⨺□◆■♒⧫⬩🕯■📪 👌♏❒⌘♒⧫⬩🕯■ &♋♓🖃 ●□♓□⬩🕯■ ♏ℯ❑■⬩🕯■ 📫 »... იყვნეს კრებული დოღუვიტთაგან და საღოდიანთაჲ, გელეგეზელთაჲ და ბაიუნელთა და ბერზიტელთაჲ და სხუათა მათ წარმართთაჲ”.<br>4) ბერძნულ ტექსტის მიხედვით სლავების ტომებს განზრახული ჰქონდათ საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონის და თესალონიკის დაკავება. თარგმანში რეგიონების აღება მოხსენებულია როგორც უკვე განხორციელებული ქმედება. ამის შემდეგ დაიწყეს ფიქრი თესალონიკის აღებაზე. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 5) ბერძნულ ტექსტში მითითებულია საბერძნეთის ბევრი რაიონი, რომლის დაკავებაც განიზრახეს სლავებმა: თესალია, მისი და ელადის მიმდებარე კუნძულები, მთელი აქაია, ეპირი, ილირიკიის მეტი ნაწილი და ასიის ნაწილი. თარგმანის შესაბამის მონაკვეთში ვკითხულობთ: «და ყოველნი ჴალაკნი ელადისანი და აქავისანი და ასიაჲს კერძოთანი გამოიხუნეს და მოაოჴრეს...”. |
| 136 | Col. II; Mir. 1 | 1325 A 16 – B 10 | § 180; 175, 12-18 | |
| 137 | | NA | NA | ქალაქის მოსახლეობის ვედრება წმ. დიმიტრისადმი. |
| 138 | Col. II; Mir. 1 | 1328 B 5 – C 8 | § 182; 176, 5-16 | |
| 139 | | NA | NA | წმინდანმა ზღვა აღძრა და სლავთა გემები დაძირა. |
| 140 | Col. II; Mir. 1 | 1328 B 1 – C 1 | § 185; 177, 6-15 | |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |
| **სასწაული, §** | **კოლექცია, სასწაული** | **PG 116** | **Lem. II** | |
| 141 | Col. II; Mir. 1 | 1329 C 2-14 | § 186; 177, 15-23 | თხრობა პირველ პირში: «... სადა-იგი ჯაჭუჲ განგუება”. |
| 142 | Col. II; Mir. 1 | 1332 A 8-13 | § 188; 177, 30 – 178, 2 | თხრობა პირველ პირში: «მაშინ ჩუენ... ჴმისა ჩუენისაჲ... ჩუენდა ზღუდეს მომავალად... კუალად ვხედევდით...” |
| 143 | Col. II; Mir. 1 | 1332 B 2-13 | § 189; 178, 5-12 | |
| 144 | Col. II; Mir. 1 | 1332 C 8 – 1333 A 5 | § 191; 178, 18-30 | |
| 145 | Col. II; Mir. 1 | 1333 B 1-9 | § 193; 179, 4-9 | 1) ბერძნულ ტექსტში სლავთა წინამძღოლი მოხსენებულია ბერძნული წოდებით ♦&●♋♌♓❖■◆■ ♏☯☒♋❐♍□✂ (სლავთა ეგზარქოსი), თარგმანში გადმოტანილია ქართული ვარიანტით: «წინამძღუარი თავადი”.<br>2) თარგმანში სლავთა წინამძღოლი ხატონი მოხსენებულია როგორც ჯადოქარი – «იყო გრძნეული” და თავისი ჯადოქრობით განსაზღვრავდა თავის მოქმედებას. ბერძნულ ტექსტში ნათქვამია, რომ ხატონი ხშირად მკითხაობდა, ანუ მკითხავებს ამკითხავებინებდა. ამჯერადაც მკითხაობით |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | მიიღო კარგი წინასწარმეტყველება, სხვამ უმკითხავა. |
| 146 | Col. II; Mir. 1 | 1333 B 11 – C 8 | 193; 179, 9-16 | 1) ხატონი შევიდა ქალაქში და იქ დაიღუპა. ბერძნული ტექსტის მიხედვით ხატონის დაღუპვა უფლის განგებით მოხდა (♋♏●●’ ❑☺ ♋♏●●❑♓⬧🕯■ ♐♋♓❒❑ ◆▭✂ ♐♋♓▭ ♍❒❑❖■❑◆✂📁🖰📁📪 ♐♋♓▭ ♎♓♋⬧♐♏♎♋❖⌘⬧■ ♌❑◆●♋▭✂ ♏♐♍❒❑⬧🕯■📁🖰🗏 📫 მაგრამ ის, ვინც ცვლის დროს და ჟამს, აცამტვერებს |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |
| **სასწაული, §** | **კოლექცია, სასწაული** | **PG 116** | **Lem. II** | |
| | | | | მტერთა ჩანაფიქრს). თარგმანში ეს წმ. დიმიტრის დამსახურებაა: «არამედ წმიდამან მოწამემან დიმიტრჱ ესრეთ ყო შესლვაჲ მისი ქალაქად”. 2) ბერძნულ ტექსტში აღწერილი ხატონის სიკვდილი, ვფიქრობთ, ისტორიული რეალობა იყო. ხატონი ქალაქში შეიპყრეს. ქალაქის რამდენიმე მოთავემ სცადა მისი დამალვა და გადარჩენა (ჩანს, ხატონს მათთან რაღაც მოლაპარაკება ჰქონდა), მაგრამ თესალონიკელმა ქალებმა მიაგნეს მას, გამოათრიეს და ქვებით ჩაქოლეს. თარგმანში ხატონის სიკვდილი უფრო სხვანაირად არის აღწერილი: «რამეთუ რაჟამს იგი ნავნი დააქცინა[183], იგი (ანუ ხატონი – მ.მ.) მათ შინა იყო და გამოვიდა ზღვისა კიდედ და იხილეს იგი ქალაქისათა, შეიპყრეს და ქვაჲ დაჰკრიბეს მას შინა ქალაქსა”. |
| 147 | | NA | NA | თხრობა პირველ პირში: «ხოლო ჩუენ ვჰმადლობდით...”. |
| 148 | Col. II; Mir. 2 | | § 196; 186, 4-10 | ბერძნულ ტექსტში ეს მონაკვეთი შემდეგი სასწაული დასაწყისშია: სლავთა დამარცხების შემდეგ ყველა მათი ტყვე გაიქცა და თესალონიკში |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |

| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | PG 116 | Lem. II | |
|---|---|---|---|---|
| | | | | დაბრუნდა.[184] |
| *სასწაული ავართათჳს თავი იˆზ* | | | | |
| 149 | Col. II; Mir. 2 | | § 197; 185, 21-15 | ავართა წინამძღოლის წოდება «ქაგანი” (♦⬥🕯■ ♋✌♌♋❖❒⬥■ ♍♋♑♋❖■⬥📪) ქართულ თარგმანში |
| | | | | გადმოტანილია როგორც საკუთარი სახელი «ქაგანოზი”. |
| 150 | Col. II; Mir. 2 | 1337 A 9-15 | § 198; 185, 23-26 | 1) ბერძნულ ტექსტში არის ჩამონათვალი იმ ტომებისა, რომლებიც შეკრიბა ავართა წინამძღოლმა თავის ლაშქარში. თარგმანში ჩამონათვალი გადმოტანილი არ არის.<br>2) ქართული თარგმანი მიჰყვება ბერძნულს და ზუსტად ასახელებს დროს – ორი წელი, რაც დასჭირდა ავართა ქაგანს ჯარის შესაკრებად.<br>3) თხრობა პირველ პირში: «... ქალაქსა ამას ჩუენსა...”. |
| 151 | | NA | NA | 1) ბერძნული ტექსტის მიხედვით თესალონიკს მოსახლეობა სრულიად მოუმზადებელი დახვდა მტერს. ხალხი ძალიან შეშინდა და ერთმანეთს ამხნევებდა სიტყვებით. თარგმანში ამ გასაჭირის ჟამს ქალაქის მთავარეპისკოპოსს ღამე წმ. |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem. II** | |
| | | | | დიმიტრი გამოეცხადა და დახმარება და მფარველობა აღუთქვა. ამის გამგონე ხალხი უშიშრად იყო.<br>2) თხრობა პირველ პირში: «... იყო უშიშოებაჲ ჩუენ შორის”. |
| 152 | Col. II; Mir. 2 | 1340 B 1-5 | § 203; 186, 20-23 | |
| 153 | Col. II; Mir. 2 | 1341 B 10 – C 6 | § 206; 187, 21-29 | |
| 154 | | NA | NA | |
| 155 | Col. II; Mir. 4[185] | 1349 A 11 | § 261; 216, 15-18 | 1) ბერძნული ტექსტის მიხედვით, წმ. დიმიტრიმ არგნით სცემა ქალაქის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | კარიბჭეში შემოჭრილ სლავებს. თარგმანი: «ყოველთა ზედა კოშკთა იპოის და სცემნ მათ არგნითა მით...”<br>2) თარგმანში გავრცობილია წმინდანის შემახილი:<br>☹♋&♦🕯✂ ❑☺ ❑♏❑♒✂ ♒☯♑♋♑ ♏♓■ ♋◆♏♦❑◆❖✂💻 ●❑♓❑❑♒■ ♏ ♏♑♦♒ ♦♓❖ ❑❑♓♦🕯 ♦❁♎♏♉ (ისინი უფალმა შეახვედრა უბედურებას, მაშ მე რისთვის ვარ აქ?) – «ბოროტად მოხუედით აქა, ანუ მე სადა ვარ, უკუეთუ თქუენ თესალონიკე გამოიღოთ?!”<br>3) თხრობა პირველ პირში: «... სასოჲ ჩუენი... ვიხილეთ იგი ჩუენდა მათცა...” |
| 156 | Col. II; Mir. 2 | 1344 A 15 – B 5 | § 209; 188, 17-20 | |
| 157 | Col. II; Mir. 2 | 1345 A 1-5 | § 212; 189, 4-6 | 1) ბერძნული ტექსტის მიხედვით, მარცხით განრისხებულმა ავართა ქაგანმა თესალონიკის გარშემო მთელი მიდამო მოაოხრა. ქალაქი 33 დღე იყო ალყაში. მტერი ხარკს ითხოვდა. მაშინ |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |
| **სასწაული, §** | **კოლექცია, სასწაული** | **PG 116** | **Lem.II** | |
| | | | | მოქალაქენი შეთანხმდნენ და მშვიდობის დასამყარებლად ავარებს მისცეს საჩუქრები (❑♓☺ ♦♒🕯✂ ❑❑❖●♏♦✂ ♑♏♑❑■ ❑❖♦♏✂ ❑♋❐♏❖♦♍❑■♦❑❖ ♦♓■♋ ♦♋♒ ❑❑❑♒✂ ♏♓♏❐♒❖■♒■ ❑❑❑❑♏❖♦ ♏♦✂☽✍) თარგმანი: «მაშინ ითხოვა ხარკი აღებად, ხოლოჲ ქალაქისათა არა მისცეს”.<br>2) ბერძნულ ტექსტში საჩუქრების გაცემით დამთავრდა თესალონიკს ალყა და სლავები წავიდნენ. თარგმანი: «მაშინ უმეტესად განრისხნა და ფიცით უთქუმიდა მათ არა დაცხრომად,ვიდრემდის არა მოაოჴროს ქალაქი იგი”. |
| 158 | | NA | NA | 14 დღის განმავლობაში ავართა წინამძღოლი ფიქრობდა, როგორ აესრულებინა მუქარა და დაეპყრო ქალაქი თესალონიკი. წინა ეპიზოდში ავარებისთვის ხარკის მიცემით მთავრდება ქალაქის ალყა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | და სასწაულიც. თარგმანის ასეთი ჩანართით შემდგომი ეპიზოდები ბუნებრივად ებმის ამბის თხრობას. |
| 159[186] | Col. II; Mir. 4 | | § 272; 218, 27 – 219, 6 | |
| 160 | Col. II; Mir. 4 | | § 273; 219, 7-15 | |
| 161 | Col. II; Mir. 4 | | § 274; 219, 15-24 | |
| **ქართული ტექსტი** | **ბერძნული ტექსტი** | | | **კომენტარი** |
| **სასწაული, §** | **კოლექცია, სასწაული** | **PG 116** | **Lem.II** | |
| 162 | | NA | NA | ბერძნულ ტექსტში არაფერია ნათქვამი ავართა წინამძღოლისა და მისი ჯარის დაღუპვაზე. თარგმანის ამ მონაკვეთში აღწერილია, თუ როგორ დაწვა და გააუჩინარა წმ. დიმიტრიმ ცეცხლის ალით ქაგანოზი და მისი ჯარი. |
| 163 | Col. II; Mir. 4 | | § 275; 219, 25-31 | თარგმანში გოდლის მაშენებელი თვითონ ყვება წმ. დიმიტრის გამოცხადების შესახებ. მითითებულია წმინდანის თმის ფერი («თმითა მოწაბლე”), რაც არ არის ბერძნულში. ბერძნულ ტექსტში წმინდანმა სილა გააწნა და ისე წაართვა ცნობიერება გოდლის მაშენებელს (❐☺♋◘♓❖⬧❍♋⧫♓ &♋⧫♋⌨ ⧫♒🕯✂ □☯⍓♏⬥✂ ♋◆♏⧫ □◆🕯 &❐□◆🕯⬧♋✂), თარგმანში |
| | | | | სხვანაირადაა: «ლახურითა მცა მე ყურიმალსა”, – ყვებოდა სლავი. |
| 164 | Col. II; Mir. 4 | 1360 B 13 | § 276; 219, 31 – 220, 4 | |
| *კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი~ც* | | | | |
| 165 | | | | შესავალი, რომელიც არ მიჰყვება დედნის § 283-ს. |
| 166 | Col. II; Mir. 5 | 1361 B 1 – 1364 A 2 | § 284; 227, 16 – 228, 14 | |
| 167 | Col. II; Mir. 5 | 1364 A 9-14 | § 285; 228, 11-14 | |
| 168 | Col. II; Mir. 5 | 1364 B 1 - 1365 | § 286; 228, 15-19 | ბერძნულსა და ქართულ ტექსტებში ერთნაირია დროის განსაზღვრა – 60 წელი. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ავართა მეფემ (ქაგანმა) დაადგინა ახალ მოსახლეთა უფროსად კუვერი. ბერძნულ ტექსტში |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem.II** | |
| | | | | გამოყენებულია წოდების ბერძნული სახელი (♋☯❒♍❑■♦❑✂), თარგმანში ქართული წოდება გვაქვს: «დაადგინა მათ ზედა... მთავრად”. |
| 169 | Col. II; Mir. 5 | 1365 A 1-13 | § 287; 228, 20-28 | |
| 170 | Col. II; Mir. 5 | 1365 A 13 – B 2 | § 288; 228, 28-31 | ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირადაა განსაზღრული კუვერისა და მისი ჯარის პირველი ადგილმდებარეობა: ♦❑▭■ ☹♏❒♋❍♒❖⬧♓❑■ ♐♋❖❍❑❑■ – კერამისიის ველი. |
| 171 | Col. II; Mir. 5 | შდრ. 1365 B 10 – C 10 | შდრ. § 289; 229, 4-12 | ბერძნული ტექსტის მიხედვით, კუვერმა განიზრახა არ დამორჩილებოდა ბიზანტიის იმპერატორს და თავად ჩაეგდო სამეფო ძალაუფლება ხელში. თარგმანში კი აქცენტი გაკეთებულია თესალონიკის დაპყრობის სურვილზე: „არამედ ზრახვა-ყო, რაჲთამცა ღონისძიებით გამოიღო ქალაქი თესალონიკისაჲ...“. |
| 172 | Col. II; Mir. 5 | 1368 B 12 | § 292; 230, 1 | ქართულ თარგმანში სახელი „შავი“ წარმოადგენს ბერძნული სახელის ⬤♋◆🕯❒❑✂ პირდაპირ თარგმანს. |
| 173 | Col. II; Mir. 5 | 1368 A 7 – B 1 | § 291; 229, 20-25 | ბერძნულ ტექსტში მითითებულია, რომ შავმა იცოდა „ჩვენი ენა და ენები რომაელთა, სლავთა და ბულგართა“ (♦♒▭■ ♐♋❑' ♒☺❍♋🕯✂ ♏♑❑♓⬧♦ ♋❖❍♏■❑■ |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem.II** | |
| | | | | ♑●⬧🕯⬧⬧♋■ ♐♋♓▭ ♦♒▭■ ☺☼⬧❍♋ ♓❖⬧■🖃 ⧫♐●♋❖♌⬧■ ♐♋♓▭ ✍❑◆ ●♑♋❖❒⬧■◑[187]. ქართულ თარგმანში „ჩვენი ენა“ ხსენებული არ არის, მხოლოდ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | წერია: „იცოდა მან ენაჲ ბერძული“. ბერძნულ ტექსტში კუვერის ჩანაფიქრი აღწერილია მესამე პირში. თარგმანში კუვერი პირდაპირ მიმართავს და უბრძანებს შავს, რაც თხრობას უფრო აცოცხლებს. |
| 173 | Col. II; Mir. 5 | 1368 A 7 – B 1 | § 291; 229, 20-25 | ბერძნულ ტექსტში მითითებულია, რომ შავმა იცოდა „ჩვენი ენა და ენები რომაელთა, სლავთა და ბულგართა“ (♦♒▭■ ♐♋❑' ♒☺❍♋✋ ♏♑❏♓⬩♦ ♋❖❍♏■◻■ ♑●⬥✋⬩⬩♋■ ♐♋♓▭ ♦♒▭■ ☺☼⬥❍♋ ♓❖⬥■◩ ⬧♐●♋❖♌⬥■ ♐♋♓▭ ✌◻◆ ●♑♋❖❒⬥■◑[188]. ქართულ თარგმანში „ჩვენი ენა“ ხსენებული არ არის, მხოლოდ წერია: „იცოდა მან ენაჲ ბერძული“. ბერძნულ ტექსტში კუვერის ჩანაფიქრი აღწერილია მესამე პირში. თარგმანში კუვერი პირდაპირ მიმართავს და უბრძანებს შავს, რაც თხრობას უფრო აცოცხლებს. |
| 174 | Col. II; Mir. 5 | 1368 B 13 – C 13 | § 292; 230, 1-10 | |
| 175 | | NA | NA | კუვერის მიერ გამოგზავნილი ხალხით შავის ერი ძალიან გაიზარდა. მან განიზრახა თესალონიკის დაპყრობა. |
| 176 | Col. II; Mir. 5 | 1369 B 4-7 | § 294; 230, 23-25 | ბერძნული ტექსტის მიხედვით ქალაქზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო დიდმარხვას, დიდი შაბათის |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem.II** | |
| | | | | ღამეს, აღდგომის წინ (♦♒✋◩ ■◆♐♦♓▭ ♦♒✋✋ ❍♏♑♋❖ ●♒✋ ♏☺❏❒♦♒✋✋ ♦◻◆✋ ♋☺♑♓◻◆✋ ⬩♋♌♌♋❖♦◻◆). თარგმანში დიდმარხვის კვირის ხუთშაბათია მითითებული: „ხოლო იყვნეს წმიდანი მარხვანი და ყო შავმან განზრახვაჲ, რაჲთა დიდსა ხუთშაბათსა განაცხადოს ზაკულებაჲ თჳსი და აღიღოს ქალაქი“. |
| 177 | Col. II; Mir. 5 | შდრ. 1369 B 11-14 | შდრ. § 295; 230, 27-30 | ბერძნული ტექსტის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორმა არაფერი იცოდა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | თესალონიკის წინააღმდეგ შეთქმულების არსებობის შესახებ და მან გაფრთხილების უჩინარი ნიშანი (♋♏❐❐♋❖♦⬧📪 ♏♏❍❏■♏◆⬥❑♏♓🖃✂ ■♏◆❖❍♋♦♓✆ მიიღო. თარგმანში იმპერატორს წმ. დიმიტრი გამოეცხადა სიზმარში, შავის მზაკვრობის შესახებ აუწყა და მოსთხოვა თესალონიკში სასწრაფოდ ჯარის გაგზავნა. |
| 178 | Col. II; Mir. 5 | 1369 C 1-10 | § 295; 230, 30 – 231, 5 | |
| 179 | Col. II; Mir. 5 | 1369 C 10 – D 7 | § 296; 231, 6-13 | ბერძნულ და ქართულ ტესტებში ეს პასაჟი ერთნაირია: არახელსაყრელი ქარის გამო სისინე ბზობის კვირას აღმოჩნდა კუნძულ სკიაფაზე (💧&♓♋❑♓❖♋✂ - კიათია). |
| 180 | Col. II; Mir. 5 | 1372 B 13 – D 3 | § 298; 231, 29 – 232, 8 | |
| 181 | Col. II; Mir. 5 | 1372 D 3 – 1373 A 13 | § 299; 232, 8-19 | |
| 182 | Col. II; Mir. 5 | 1372 A 13 – C 1 | § 300; 232, 20-30 | ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირადაა მითითებული, რომ სისინე ჩავიდა თესალონიკში წმინდა კვირის ოთშაბათს შვიდ საათზე. |
| ქართული ტექსტი | ბერძნული ტექსტი | | | კომენტარი |
| სასწაული, § | კოლექცია, სასწაული | **PG 116** | **Lem.II** | |
| 183 | Col. II; Mir. 5 | 1372 C 5-7 | § 301; 232, 32-33 | |
| 184 | | NA | NA | ბერძნული ტექსტის მიხედვით, მიუხედავად ღალატისა, ბასილევსი ლმობიერად მოეპყრო შავს და გადასახლება აკმარა. თარგმანში ავადმყოფ შავს წმ. დიმიტრი მოევლინა, უთხრა: «ბოროტო, ბოროტად განგიყვანო შენ ამიერ”. და ესრეთ ბოროტად მოკუდა შავი”. |
| 185 | | NA | NA | მოქალაქეებმა მადლობა უძღვნეს წმინდანს. თხრობა პირველ პირში: «... ჩუენ... შევწირეთ...” |
| *(სასწაული)* | | | | |
| 186 | | NA | NA | შესავალი ბოლო სასწაულისათვის. |
| 187 | | NA | NA | თესალონიკში მოსული ვინმე მთავარი დაეჭვდა წმ. დიმიტრის ნაწილებიდან მირონმდინარების სასწაულში. |
| 188 | | NA | NA | მთავარმა ლუსკუმა გაწმინდა და ეკლესიის კარები დაბეჭდა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | | NA | NA | მეორე დღეს შევიდა და ნახა, რომ ლუსკუმა ცარიელი იყო. მთავარმა მღვდლებს გინება დაუწყო, როგორც მატყუარებს. |
| 190 | | NA | NA | ამ სიტყვებზე ლუსკუმიდან მირონმა იწყო დენა, მთავარს კი თვალისჩინი წაერთვა. |
| 191 | | NA | NA | ორი დღის ვედრების შემდეგ, მესამე დღეს მთავარს თვალებზე მირონი სცხეს და მხედველობა დაუბრუნდა. |
| 192 | | NA | NA | თხზულების დასასრული. |

2.3. სასწაულები, რომლებიც არ არის ქართულ თარგმანში

ეფთვიმეს თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შედარებამ გვიჩვენა, რომ, მართალია, ეფთვიმე მნიშვნელოვნად ამოკლებს სასწაულების ტექსტს, ადგილს უცვლის და მათ კომპილირებას აკეთებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის თარგმანში გადმოცემული აქვს წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი და მეორე ციკლის თხზულებების მეტი ნაწილი. ორივე ციკლის 21 სასწაულიდან თარგმანში არ არის შეტანილი მხოლოდ ოთხი. იოანეს ციკლიდან ეფთვიმეს თარგმანს აკლია სამი სასწაული. ესენია:

✈♋◆♏❍♋ ✂✍ ✎♏❐♓✏ ⧫◻⧫♏ ♋❐♑◆❐♏❖◻◆ ❑❐◻❖■ ◻◆ [189]

(მე-6 სასწაული, ვერცხლის ტახტის შესახებ)

✈♋◆♏❍♋ ⌘✍ ✎♏❐♓✏ ♐✑■♒⧫♓⌧◻❖❐◻◆ ⧫◻⧫♏ ◻♋❐ ♋❍◻■♋❐♓◻◆♏[190]

(მე-7 სასწაული, მეკუჭნავე ონესიფოროსის შესახებ)

✈♋◆♏❍♋ ♓♌✍ ✎♏❐♓✏ ⧫◻⧫♏ ♏♐■ ⧫⧫♏✍ ♎♓♌⧫❐♓ ❖⧫✍ ♑♏■◻❍♏❖■◻◆ ♏❍◻❐♒⧫❍◻◆♏[191]

(მე-12 სასწაული, კიბორიუმში მომხდარი ხანძრის შესახებ)

მეორე, ანონიმის ციკლიდან თაგმანს აკლია ერთი (მე-3) სასწაული:

✎♏❐♓✏ ⧫⧫♏■ ♑♏■◻❍♏❖■⧫■ ❑♏♒●♋❖⧫⧫■ ⧫♏♓⧫❍⧫♏■ ♎♋♓✏ ♏♐❍◻❐♒⧫❍◻◆♏ ⧫◻⧫♏ ■♋◻◆♏🗁🖎

(უფლისგან მოვლინებული მიწისძვრისა და ტაძარში მომხდარი ხანძრის შესახებ)

## 2.4. სასწაულები, რომლებიც არ არის ბერძნულ ტექსტში

აქ განვიხილავთ ეფთვიმეს თარგმანში შეტანილ იმ სასწაულებს, რომლებიც ჩვენ ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტებში არ არის. ასეთი სასწაული სულ შვიდია.[193]

- *ქვრივის შვილის აღდგინება (Mir. Euth. §§ 27-30)*

წმ. დიმიტრის სასწაულების იოანე თესალონიკელისეული ციკლის მესამე თავში აღწერილია თესალონიკში ჭირის ეპიდემია. მოსახლეობა მასიურად იღუპებოდა ჭირისა და სხვა დაავადებებისაგან. ტაძარში მოსული მორწმუნეებისაგან წმ. დიმიტრიმ მრავალი განკურნა. აქ ქართულ თარგმანში ჩართულია ეპიზოდი ქვრივსა და მის მხოლოდშობილ ძეზე.

სენისაგან გარდაცვლილი ერთადერთი შვილის გვამი ქვრივმა წმინდანის ტაძარში მიიტანა და მოწამის ლუსკუმის წინაშე «დააგდო". ტირილით შეევედრა წმინდანს, რათა როგორც უფალმა იესომ აღადგინა ქვრივის შვილი, ისე გაეცოცხლებინა მისი ერთადერთი ვაჟი. მაშინ გაისმა ხმა ლუსკუმიდან: «წარვედ, დედაკაცო, ცოცხალ არს ძჱ შენი" (Mir. Euth. § 29) და გარდაცვლილი აღდგა. ეპიზოდს მოჰყვება რეზიუმირება: «და მრავალნი უკუჱ განწირულნი აღადგინნა, რომელთა თითოეულად წერაჲ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ" (Mir. Euth. § 30).

- *კაცნი კალადიიდან (Mir. Euth. §§ 33-35)*

ბერძნული პირველი კოლექციის მე-4 სასწაულის შემდეგ ეფთვიმეს თარგმანში ჩართული აქვს ამბავი კალადიიდან მოსული კაცების შესახებ. ეს ეპიზოდიც კურნების თემატიკის სასწაულებს განეკუთვნება.

წმ. დიმიტრის ტაძარში კალადიიდან ჩამოსულმა ორმა კაცმა ევლოგია იცხო. ერთი სასწაულებრივად განიკურნა, ხოლო მეორემ «არა პოვა ყოლადვე ლხინებაჲ". ამ ამბავს მთავარეპისკოპოსი შეესწრო და წმინდანს შეევედრა აეხსნა ეს უჩვეულო ამბავი. ღამე მთავარეპისკოპოსს მოწამე გამოეცხადა და კურნების სასწაული ასე აუხსნა: «მე ვითხოვე ღმრთისაგან და ჩემგან აღმომდინარჱ ევლოგიაჲ საკურნებლად იყოს მათდა, რომელთა ეგულებოდის შემდგომად

განკურნებისა კეთილსა ზედა ყოფად. ხოლო რომელნი სიმართლესა მათსა ცოდვასავე ზედა მიიქცევდეს, არა მიეცემის მათ ჩემ მიერ კურნებაჲ” (Mir. Euth. § 35). ასეთი განმარტებით მთავარეპისკოპოსი «მოეგო გუნებასა თჳსსა და ჰმადლობდა ღმერთსა” (Mir. Euth. § 35).

➢ *«ღელვა გუემულთათჳს” (Mir. Euth. §§ 60-61)*

სასწაულების ბერძნული პირველი კოლექციის მე-10 სასწაულის შემდეგ ეფთვიმეს ტექსტში ჩართულია ეპიზოდი ქარიშხალში მოყოლილი მეზღვაურების შესახებ.

კონსტანტინოპოლიდან თესალონიკში მიმავალი გემი ქალაქ აბიდოსიდან გამოსვლის შემდეგ მოჰყვა დიდ ქარიშხალში. ქარმა და ტალღებმა აფრები და «ყოველი ჭურჭელი ნავისაჲ” გაანადგურა. მეზღვაურები ტირილით შეევედრნენ წმ. დიმიტრის და დახმარება სთხოვეს. წმინდანი მაშინვე გამოჩნდა გემის წინ წყალზე მავალი და მშვიდობით შეიყვანა გემი თესალონიკის ნავსადგურში.

➢ *გემი ქარიშხალში (Mir. Euth. §§ 62-64)*

ეს სასწაული ეფთვიმეს თარგმანში გამოყოფილია ნუმერაციით, როგორც ცალკე ეპიზოდი, მაგრამ ტექსტში იგი უშუალოდ ებმის წინა სასწაულს და თემატურადაც მის ერთგვარ გარძელებას წარმოადგენს. ეს ტექსტშიც მინიშნებულია. ეპიზოდი ასე იწყება: «*სხუაჲ* ნავი, *კუალად ეგრეთვე მსგავსად* მიმავალი კოსტანტინეპოვლით, ღელვათა შინა შთავარდა ბოროტთა” (Mir. Euth. § 62). აქ წმ. დიმიტრი უკვე მესაჭის როლში გამოეცხადა მეზღვაურებს – «ჭაბუკი ვინმე შუენიერი”, რომელიც საჭესთან იჯდა და თავად მართავდა გემს. მეზღვაურები გაკვირვებულები იყვნენ, ვინაიდან მათი მესაჭე ხანშიშესული კაცი იყო, მაგრამ არაფერი თქვეს, სანამ გემი ნავსაყუდელში არ შევიდა. მესაჭეს რომ შეხედეს, მის ადგილას ისევ ხნოვანი ბერიკაცი დაინახეს. მაშინ მიხვდნენ, რომ მშვენიერი ჭაბუკი წმ. დიმიტრი იყო და სამადლობელი ლოცვა აღავლინეს.

➢ *«სასწაული მოხარკეთათჳს” (Mir. Euth. §§ 128-131)*

ამ ეპიზოდში მოთხრობილია, თუ როგორ სცადა მეფემ თესალონიკისგან ხარკის აღება, ვინაიდან განრისხებული იყო ქალაქზე. მეფეში, როგორც ჩანს, იმპერატორი იგულისხმება. ამ მოთხოვნით შეწუხებული მოსახლეობა შეიკრიბა წმ. დიმიტრის ტაძარში და წმინდანს დახმარება სთხოვა. წმ. დიმიტრი მეფეს გამოეცხადა ძილში, თავისი ვინაობა ამცნო და მოსთხოვა თავის უსამართლო ბრძანებაზე უარი ეთქვა. გამოღვიძებისთანავე მეფემ წარვლინებული ერისთავი უკან გამოიხმო. თესალონიკის მოსახლეობამ მადლობა უძღვნა წმინდანს.

➢ *«სასწაული ავართათჳს, თავი ი˜ე” (Mir. Euth. §§ 132-134)*

ეს სასწაულიც ტექსტში უშუალოდ მოყვება წინა ეპიზოდს, მაგრამ აქ მოთხრობილია ავართა შემოსევასთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი.

ერთ-ერთი შემოსევის დროს ავარებმა მოაოხრეს თესალონიკის შემოგარენი, მოსახლეობა დაატყვევეს და თან გაიყოლეს. ტყვეები წმ. დიმიტრის ევედრებოდნენ შველას. როდესაც ავარები ტყვეებთან ერთად თესალონიკს სამი დღის სავალზე დაშორდნენ, ავარებმა დაინახეს მათ უკან მომავალი თეთრ ცხენზე ამხედრებული მშვენიერი ჭაბუკი. იგი მალე დაეწია ავარებს, მახვილით მოსრა, გაათავისუფლა ტყვეები და სახლში წასვლა უბრძანა. ტყვეებმა სამი დღის სავალი წმინდანის შეწევნით ერთ დღეში განვლეს, იმავე საღამოს თესალონიკს მიაღწიეს და წმ. დიმიტრის მადლობა შესწირეს.

➢ *ურწმუნოს დასჯა (Mir. Euth. §§ 186-192)*

მოვიდა თესალონიკში მთავარი ვინმე, რომელმაც ეჭვი შეიტანა წმ. დიმიტრის ნაწილების მირონმდინარებაში: «არათუ წმიდისა მოწამისა დემეტრესგან აღმოეცენების ნელსაცხებელი იგი სურნელებისაჲ, არამედ ღონისძიებითა იქმან ხუცესნი ეკლესიისანი” (Mir. Euth. § 187). მან ბრძანა ხუცესთა გაყვანა ეკლესიიდან, თვითონ გაწმინდა ლუსკუმა ღრუბლით და გარეთ გამოსულმა კარი დალუქა სიტყვებით: «აწ ვიხილო, უკუეთუ მისგან აღმოეცენების” (Mir. Euth. § 188).

მეორე დღეს მთავარი სხვებთან ერთად შევიდა ეკლესიაში და ნახა, რომ ლუსკუმაში მირონი არ იყო. ავტორი განმარტავს, რომ ეს წმინდანის ნებით მოხდა, «რაჲთა არღარა აქუნდეს მას სიტყუაჲ” (Mir. Euth. § 189). მთავარმა კი დაიწყო ხუცესების ლანძღვა და ტყუილის დაბრალება. სწორედ ამ მომენტში

კვლავ აღმოცენდა და დაიწყო დინება წმინდა ევლოგიამ და გაავსო ლუსკუმა. ეს ნახა მთავარმა და დაბრმავდა, თითქოს «უხილავად სცა ვინმე ქედსა მისსა და წარმოსცჳვეს ორნივე თუალნი მისნი" (Mir. Euth. § 190). ბერებმა მთავარს ორი დღე აცადეს ღაღადება და ვედრება, ცოდვების მონანიება, მესამე დღეს კი «აღიღეს ევლოგიისა მისგან და სცხეს თავსა მისსა და მეყსეულად აღიხილნა" (Mir. Euth. § 191). განკურნებულს ლუსკუმისგან მომავალი ხმა მოესმა, «რომელი ეტყოდა: «ნუუკუე კაცობრივმან საქმემან ესე ქმნის-ა?!" (Mir. Euth. § 192). სასწაული და საერთოდ, წმ. დიმიტრის სასწაულების მთელი ქართული ციკლიც აქ სრულდება.

ეს არის წმ. დიმიტრის სასწაულების ქართული ვერსიის ის ძირითადი ეპიზოდები, რომელთაც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ წყაროებში შესატყვისი არ ეძებნება.

ამ სასწაულების წარმომავლობის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. როგორც აღვნიშნეთ, თავად ბიზანტიელი ავტორები და ხელნაწერთა გადამწერები სასწაულებს ხშირ შემთხვევაში ასხვაფერებდნენ, ახალ ეპიზოდებს უმატებდნენ. ამიტომ დასაშვებია, რომ ეს სასწაულები მომდინარეობდეს ისეთი ბერძნული ტექსტიდან, რომელიც დღეისათვის დაკარგულია. ასე მაგალითად, ბერძნულიდან მომდინარედ მიგვაჩნია «სასწაული ავართათვის", ჩვენი ჩამონათვალის მე-6 სასწაული[194]. მაგრამ ამავე დროს მოგვაჩნია, რომ ამ ჩანართ სასწაულთა ნაწილი მაინც თავად ეფთვიმეს შემოქმედება უნდა იყოს. ყველაზე მეტად ეს ეხება მე-2 (კაცნი კალადიიდან) და მე-7 (ურწმუნოს დასჯა) სასწაულებს, რასაც განვიხილავთ უფრო ქვემოთ[195].

## 2.5. ისტორიული სინამდვილის ასახვა

შუა საკუნეების ლიტერატურული წყაროები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს საგულისხმო მასალას ქვეყნის თანადროული ისტორიის კვლევისათვის. წმ. დიმიტრის სასწაულების პირველი ორი ციკლი მეტად საყურადღებოა ისტორიკოსებისათვის, ვინაიდან ეს ნაწარმოებები შეიცავს VI-VII საუკუნეებში ავარებისა და სლავების მიერ მაკედონიისა და საბერძნეთის

დაპყრობის ისტორიის ყველაზე სრულ და უნიკალურ მონაცემებს. სასწაულების ორივე ციკლი თვითმხილველთა მიერ არის დაწერილი, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ აღწერილი მოვლენები საკმარისი სიზუსტით ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. მთლიანობაში სასწაულების ორივე ციკლში მოთხრობილი ამბები ფარავს თითქმის ერთი საუკუნის პერიოდს – VI საუკუნის 80-იანი წლებიდან VII საუკუნის 80-იან წლებამდე და აგვიწერს თესალონიკისა და მის მიმდებარე რაიონებში არსებულ ვითარებას. თესალონიკის ისტორიის ეს პერიოდი კი ბიზანტიელ ქრონისტებთან თითქმის არსადაა დაფიქსირებული[196].

როგორც ნაშრომის პირველ ნაწილში ვნახეთ[197], ქალაქ თესალონიკს ბიზანტიის იმპერიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით კონსტანტინეპოლის შემდეგ ეს იყო ბიზანტიის მეორე ქალაქი. ამას ასევე ხელს უწყობდა ქალაქის მეტად მოხერხებული გეოგრაფიული განლაგება – იგი მდებარეობდა ნახევარკუნძულის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილების დამაკავშირებელ მთავარ გზაზე და ამასთანავე ეგეოსის ზღვაზე გააჩნდა საუკეთესო ნავსადგური. ბარბაროსების შემოსევების და სლავების მიერ საბერძნეთის ტერიტორიების კოლონიზაციის პერიოდში თესალონიკის გამორჩეული როლი ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში იმპერიის მმართველობის შესარჩუნებისათვის სრულიად აშკარა და უდაოა. ის ფაქტიც, რომ სლავები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სწორედ თესალონიკის დაპყრობას ამ ტერიტორიებზე თავიანთი პოზიციების გასამყარებლად, კიდევ ერთხელ გამოკვეთს ქალაქის პოლიტიკურ მნიშვნელობას იმ პერიოდში. ამდენად, წმ. დიმიტრის სასწაულების პირველ ორ ციკლში დაცული ისტორიული დეტალები მეტად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ ამ ცნობათაგან ბევრის სიზუსტესა და უტყუარობას ამტკიცებს უფრო გვიანდელი წერილობითი წყაროები და ტოპონიმური, არქეოლოგიური და სხვა მონაცემები[198].

მაგრამ აქ უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ წმ. დიმიტრის სასწაულების შემცველი ბერძნული ხელნაწერები, ციკლების შექმნის დროსთან შედარებით, საკმარისად გვიანდელია (IX საუკუნეზე ადრინდელი არ არის). სასწაულების ქართული თარგმანი კი გვხვდება 1003 წლით დათარიღებულ ხელნაწერში Ath. 28, რომელიც ამავე ნაწარმოების ბერძნული ტექსტის შემცველ

ბევრ ბერძნულ ხელნაწერზე უფრო ადრინდელია[199]. ამდენად, სავარაუდოა, რომ ეფთვიმეს თარგმნისას ხელთ ჰქონდა ან დღეისათვის ცნობილი, უადრესი ბერძნული ხელნაწერების თანადროული, ან, შესაძლოა, უფრო ადრინდელი და უფრო სრული ნუსხაც კი. აქედან გამომდინარე, დასაშვებად მივიჩნიეთ ორი ვარაუდი: 1) «სასწაულების" ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტში გამოვლენილი ისტორიული მონაცემების არსებობა ეფთვიმეს თარგმანში შეიძლება იყოს კიდევ ერთი არგუმენტი მათი რეალურობის, სანდოობის სასარგებლოდ; 2) ეფთვიმეს თარგმანში შეიძლება იყოს დაცული რაიმე ისეთი ისტორიული დეტალი ან შეიძლება იყოს შეტანილი ისეთი ცვლილება ან ჩანართი, რაც დღეისათვის ცნობილ ბერძნულ ხელნაწერებში შემონახული არ არის. ამ ქვეთავში ჩვენ ეფთვიმეს თარგმანებს სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ.

კვლევისათვის ჩვენ ავირჩიეთ შემდეგი მეთოდოლოგია: მიმოვიხილეთ «სასწაულების" ტექსტის ყველა ის მონაკვეთი, სადაც ნახსენებია ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი (მაგ., წმ. დიმიტრის ნაწილების მდებარეობა ან მირონმდინარების სასწაულის დათარიღება) ან რაიმე დეტალი (გეოგრაფიული ადგილის დასახელება, რაიმე მოვლენის თარიღი ან დროითი საზღვრები, ეთნიკური სახელები, იარაღის აღწერილობა, სხვა) და ვნახეთ, თუ როგორ არის ეს მონაკვეთები გადმოტანილი ეფთვიმე ათონელის თარგმანში.

კვლევამ აჩვენა, რომ ეფთვიმესთვის ისტორიული რეალობის დაცვა თუ გადმოცემა ნამდვილად არ წარმოადგენს პრიორიტეტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასწაულების ტექსტები თარგმანში მალიან შემოკლებულია, საკმარისად გადასხვაფერებულია. ამ შემოკლება-გადასხვაფერებასთან ერთად დაიკარგა ისტორიული რეალიების ნაწილიც. ეფთვიმეს დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, ჩვენი აზრით, კარგად ასახავს თხზულების შინაარსობრივად მსგავსი ორი ეპიზოდი, რომელსაც, ვფიქრობთ, აქვს პირდაპირი პარალელი წმ. დიმიტრის «წამების" ქართულ თარგმანში. «სასწაულებში" ეს ეპიზოდებია ავართა ჯარისა და მისი წინამძღოლის, ქაგანოზის, დაღუპვა, ასევე ავართა და სლავთა მეორე წინამძღოლის, მაუროსის ანუ შავის, სიკვდილი, ხოლო «წამების" ქართული ტექსტიდან – იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილი.

«სასწაულების" თარგმანის მე-16 სასწაულში («სასწაული ბრძოლისათჳს საკლველთაჲსა, ი˜ვ", Mir. Euth. §§ 135-148) აღწერილია სლავებთან ბრძოლა. სლავები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ და მათი წინამძღოლიც, სახელად ხატონი, დაიღუპა. ამ თვალსაზრისით ბერძნული და ქართული ტექსტები ერთმანეთს ეთანხმება. მაგრამ ხატონის დაღუპვის ამბავი ამ ორ ტექსტში სხვადასხვანაირადაა აღწერილი. ბერძნული ტექსტის მიხედვით[200], სლავთა ჯარის დამარცხების შემდეგ თესალონიკის რამდენიმე წარჩინებულმა მოქალაქემ სცადა ხატონის დამალვა და გადარჩენა. მაგრამ ხატონს თესალონიკელმა ქალებმა მიაგნეს, სამალავიდან გამოათრიეს და ქვებით ჩაქოლეს. ვფიქრობთ, ეს უთუოდ ასე მოხდა, ანუ ეს ისტორიული ფაქტი უნდა იყოს. ქართულ თარგმანში კი ხატონის სიკვდილი სხვანაირადაა აღწერილი: «რამეთუ რაჟამს იგი ნავნი დააქცინა, იგი (ხატონი – მ.მ.) მათ შინა იყო და გამოვიდა ზღვისა კიდედ და იხილეს იგი ქალაქისათა, შეიპყრეს და ქვაჲ დაჰკრიბეს მას შინა ქალაქსა" (Mir. Euth. § 138).

სასწაულების თარგმანის მე-17 სასწაულის («სასწაული ავართათჳს, თავი ი˜ზ", Mir. Euth. §§ 149-164) ბოლოს, რომელიც შეესაბამება სასწაულების პირველი ციკლის ბერნული ტექსტის მე-14 სასწაულს, არის ჩანართი მონაკვეთი, რომელიც სრულიად განსხვავდება ორიგინალისაგან. ბერძნულის მიხედვით, ავარებმა მოხსნეს ალყა და დატოვეს ქალაქი[201]. ქართულ ტექსტში კი ავართა ჯარი თავის წინამძღოლთან ერთად იღუპება წმ. დიმიტრისგან მოვლენილ ალში: «ხოლო ერსა მას ქაგონინისსა ეჩუენა ქრისტეს მოწამჱ დემეტრჱ და აქუნდა ჴელთა მისთა ცეცხლი და მიავლინა იგი მათ ზედა, ვითარცა ისარი, და სცა მეფესა მას მათსა ქაგანოზს და მეყსეულად აღოტყინა და დაიწუა იგი, ვიდრეცა ძუალნი მისნი არა იპოვნეს, და სხუაჲ ერი ფრიადი წარმართთაჲ დაიწუა და სხუანი იგი ივლტოდეს და უჩინო-იქმნეს ჩუენგან" (Mir. Euth. § 162).

თარგმანის მე-18 სასწაულის («კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ჱ", Mir. Euth. §§ 165-185) ბოლო, რომელიც შეესაბამება ბერძნული სასწაულების მეორე ციკლის მე-5 სასწაულს, ასევე განსხვავდება ბერძნულისაგან. ორიგინალის მიხედვით, იმპერატორმა ავართა და სლავთა წინამძღოლს, მაუროსს, გამოჯანმრთელების შემდეგ აპატია ღალატი და გადასახლება აკმარა. ეს არის ისტორიული ფაქტი. გვიანდელი ისტორიული მონაცემების მიხედვით, ამ

პიროვნებამ დაიმკვდრა თავი ბიზანტიის იმპერატორის კარზე და მნიშვნელოვანი პოლიტიკური კარიერაც გაიკეთა[202]. ქართულ ტექსტში კი შავს სხვა ბედი აქვს: «ხოლო შავი მტყუვრებისა მისგან შთავარდა სენსა (Mir. Euth. § 175) და ეჩუენა მას წმიდაჲ დემეტრე და ჰრქუა მას: «ბოროტო, ბოროტად განგიყვანო შენ ამიერ". და ესრეთ ბოროტად მოკუდა შავი" (Mir. Euth. § 176).

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში ეფთვიმეს თარგმანი ეწინააღმდეგება ბერძნული ტექსტის შესაბამის ნაწილს და მასთან ერთად, იქ დაფიქსირებულ ისტორიულ რეალობასაც. ეს ხდება იმიტომ, რომ წმ. დიმიტრის «სასწაულების" თარგმნისას ეფთვიმესთვის ისტორიული სინამდვილე მეორეხარისხოვანი, ნაკლებად მნიშვნელოვანია, მის თარგმანს სულ სხვა მიზანდასახულობა აქვს. ორივე პერსონაჟი, ქაგანოზიც და შავიც, თხზულების რეალობაში არიან ბოროტმოქმედი ეშმაკეულები. ეფთვიმეს თარგმანში წმ. დიმიტრისგან მოვლენილი ბოროტი აღსასრული არის როგორც მათი ბოროტმოქმედების ლოგიკური დასასრული, გაპირობებული ლიტერატურული კლიშეთი, ასევე თავად წმ. დიმიტრის სიძლიერისა და სასწაულთმოქმედების კიდევ ერთი დადასტურება. ჩვენი აზრით, ამავე მიზანდასახულობით უნდა იყოს გაპირობებული წმ. დიმიტრის «წამების" ეფთვიმესეულ თარგმანში იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილის აღწერის შეტანა. ამ საკითხებს ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ნაშრომის შემდეგ ნაწილში «ჰაგიოგრაფიული პარადიგმები".

მაგრამ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ქართულ თარგმანში მაინც შენარჩუნებულია ისტორიული სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით რამდენიმე, საყურადღებო მომენტი: ზოგიერთი უფრო მნიშვნელოვანი, ზოგი – ნაკლებად. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ «წამებისა" და «სასწაულების" ქართული თარგმანების ყველა ასეთ ეპიზოდს.

### *2.5.1. იოანე თესალონიკელი – ავტორი და თვითმხილველი*

წმ. დიმიტრის «სასწაულების" პირველი ავტორი, თესალონიკელი არქიეპისკოპოსი იოანე, ციკლის შექმნის შესახებ მოგვითხრობს თხზულებისათვის წამძღვარებულ შესავალ ნაწილში[203]. იოანეს სიტყვით, მისი მკითხველი თუ მსმენელი ციკლის დაწერამდეც უკვე კარგად იცნობდა წმინდანის სასწაულებს: ♏◆ॐ ♑♋▭❒ ❒♓☸♎♋ ⬥☺✂ ❒♋♓🕯✂

♋♌❑❑▭ ❑♋♦❒❑▭✂ ♋♌&♒&❑❖♋♦♏ ♒☺ ❑♋🕯⬩♋ ❑❑❖●♓✂
♦♋▭ ♦⬩🕯■ ❏♋◆❍♋❖♦⬩■ ♋◆♌♦❑◆🕯 ♎♓♒♑♒❖❍♋♦♋🗏🗀🗐
(კარგად ვიცი, რომ როგორც ბავშვმა მამისგან, მთელ ქალაქს მოსმენილი აქვს მის სასწაულთა ამბავი). აქვე იოანე წერს, რომ თავის თხზულებაში მან შეიტანა ის სასწაულები, რომლებსაც ან თავად შეესწრო, ან რომელთა თვიმხილველებსაც თავად იცნობდა. თვითმხილველებში იოანე, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თავის წინამორბედს, არქიეპისკოპოს ევსევის[205]. თხზულებაშიც ავტორი ხშირად იყენებს ზმნების პირველი პირის ფორმებს. ასე იგი არა მხოლოდ წარმოაჩენს თავის თანამონაწილეობას აღწერილ მოვლენებში, არამედ კიდევ ერთხელ გამოკვეთს აღწერილი სასწაულების სანდოობას, რომ ისინი ნამდვილად მოხდა.

ციკლის შესავალშივე იოანე განსაზღვრავს თხზულებაში სასწაულთა თემატურ დაჯგუფებას: იწყებს ფიზიკურ (1 – 3 სასწაულები) და სულიერ (მე-4 სასწაული) კურნებასთან დაკავშირებული სასწაულებით, შემდეგ აგვიწერს ცალკეულ პირებთან დაკავშირებულ, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურ სასწაულებს (5 – 7 სასწაულები) და ბოლოს გვიყვება ყველაზე მნიშვნელოვან სასწაულებს, რომლებიც ეხება მთლიანად ქალაქ თესალონიკს და მის მთელ მოსახლეობას. შესავალი ნაწილის ბოლოს იოანე ხსნის თხზულების მიზანდასახულობას – ავტორის სიტყვით, მისი მიზანია აღწეროს და მოგვითხროს, თუ როგორ თანაუგრძნობდა წმინდანი თავის თანამოქალაქეებს და როგორ დაუღალავად და შეუპოვრად იცავდა იგი თავის ქალაქს და მის მოსახლეობას გაჭირვების ჟამს.

როგორც აღვნიშნეთ, ეფთვიმეს თავის თარგმანში შეტანილი აქვს სასწაულები არა მხოლოდ პირველი, იოანე თესალონიკისეული ციკლიდან, არამედ მეორე, ანონიმური ციკლიდანაც. ამ ორივე თხზულებას თავ-თავისი შესავალი ნაწილები გააჩნია. მაგრამ ეფთვიმე «სასწაულების" თარგმანში ამ ორ თხზულებას არანაირად არ განაცალკავებს და აკეთებს მათ სრულ კომპილაციას, შესავალი სიტყვის სახით კი თავის თხზულებაში წარუმძღვარებს იოანე თესალონიკილის ციკლის შესავალი ნაწილის შემოკლებულ ვერსიას. მიუხედავად შემოკლებისა, ეფთვიმე თარგმანში ინარჩუნებს შესავლის ძირითად მომენტებს. ესენია: ა) უფლისა და წმ. დიმიტრის დიდება, ბ) ავტორი აღწერილი ამბების თვითხილველია ან იცნობს თვითმხილველს, გ) «სასწაულების" დაწერის

მომენტისთვის წმ. დიმიტრის «წამება” უკვე არსებობდა. მაგრამ აქაც ეფთვიმეს თარგმანში შეაქვს გარკვეული ცვლილებები და მატებები.

საინტერესოა ქართული თარგმანის ფრაზა წმ. დიმიტრის «წამების” შესახებ: «რამეთუ ვითარცა გასმიეს წიგნსა შინა «წამებისა” მისისასა, ვითარმედ მრავალნი სასწაულნი აღესრულებოდეს დღითგან წამებისა მისისაჲთ სამარტჳლოსა ზედა და არავის მიერ აღიწერნეს” (Mir. Euth. § 7). როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმულია ორი მომენტი: ა) თხზულებაში აღწერილია წმინდანის გარდაცვალების შემდგომი სასწაულები («დღითგან წამებისა მისისაჲთ”) და ბ) ეს სასწაულები მანამდე არავის აღუწერია. ამათგან პირველი მატება სიახლეს არ შეიცავს, მაგრამ მეორე საყურადღებოა – ჩანს, ეფთვიმემ კარგად იცოდა, რომ იოანეს თხზულება იყო წმ. დიმიტრის სასწაულების ყველაზე პირველი აღწერა.

ასევე საყურადღებოა ქართული თარგმანის პასაჟი აღწერილ სასწაულებში ავტორის თანამონაწილეობის შესახებ. შესავლის თარგმანში ასეთი ორი ფრაზაა. პირველი ჩართულია მონაკვეთში, სადაც ავტორი წერს, რომ სასწაულთა სიმრავლის გამო აღარ იცის, საიდან დაიწყოს თხრობა: «რამეთუ ესე მრავალნი ვიხილენ საკჳრველებანი მისნი” (Mir. Euth. § 6). მეორე მონაკვეთში იგივეა გამეორებული – «ვინებე ძალისაებრ ჩემისა თქუმად, რომელთა თუალითა მხილველ ვიქმენ” (Mir. Euth. § 7). ამას შემდეგ მოსდევს ფრაზა, რომელსაც ბერძნულში შესატყვისი არა აქვს: «და პირველ ჩემსა ყოფილისა მის მწყემსისა მიერ მესმა” (Mir. Euth. § 7). თხზულებაში აღწერილი ზოგიერთი ეპიზოდი მართლაც ეხება იოანეს წინამორბედის, არქიეპისკოპოს ევსევის, მოღვაწეობის პერიოდს. ეს ძალიან ნათლად არის ნაჩვენები იოანეს ციკლის მე-5 სასწაულში. საფიქრებელია, რომ იოანეს მართლაც ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ევსევისაგან და იყენებდა ამას თხზულების წერისას. მაგრამ ბერძნულ ტექსტში ასეთი კონკრეტიზაცია არ არის.

როგორც ჩანს, ეფთვიმესთვისაც სრულიად ნათელი იყო მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ წმ. დიმიტრის სასწაულები აღწერილი იყო მათი თვითმხილველის მიერ. სწორედ ამიტომაც შესავალი ნაწილის თარგმანში ეს ფაქტი ნახსენებია ორჯერ. შემდეგ თხზულების თარგმანშიც, ორიგინალის მსგავსად, თხრობისას ბევრჯერ არის გამოყენებული ზმნების პირველი პირის ფორმები. მაგრამ ქართულ თარგმანში ასეთი ფორმები უფრო მეტი და უფრო

ხშირია[206], ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თხრობა აქცენტირებულად მხოლოდ პირველ პირში მიმდინარეობს, რომ თავიდან იქნას არიდებული ყოველგვარი ეჭვი აქ აღწერილი მოვლენების ჭეშმარიტებაში.

ქართულ თარგმანში არ არის გადმოტანილი არც სასწაულების თემატური დაჯგუფების ჩამოთვლა, არც ავტორის მიზნის განსაზღვრა. თარგმანში ნათქვამია მხოლოდ, რომ თხზულება იწყება კურნებასთან დაკავშირებული სასწაულით – «პირველ უკუე მოვაჴსენო პატიოსნებასა თქუენსა კურნებანი იგი მისნი სნეულთა მიმართ" (Mir. Euth. § 8). შემდეგ გრძელდება: «რაჲთა მადლი შევწიროთ ყოვლადქებულისა და ღუაწლით შემოსილისა მოწამისა დემეტრესა და უფროჲსად ღმრთისა, რომლმან მისცა მას ესევითარი მადლი, რომლისა არს დიდებაჲ ..." (Mir. Euth. § 8). მაგრამ «სასწაულების" ქართული თარგმანის სტრუქტურის განხილვამ აჩვენა, რომ, მართალია, ეფთვიმეს თხზულების შესავალი ნაწილის თარგმანში არ გადმოაქვს სასწაულების თემატური დაჯგუფების ავტორისეული აღწერა, მაგრამ თვითონ მაინც იცავს თემატური დაჯგუფების პრინციპს. ქართულ თარგმანში პირველი 6 სასწაული ფიზიკური და სულიერი განკურნების ამბებს აღწერს, მე-7 სასწაული ეხება იმპერატორის მიერ წმინდანის ნაწილების მოპოვების ცდას, მე-8 ამბიდან მოყოლებული იწყება უკვე ქალაქთან და მთელ მოსახლეობასთან დაკავშირებული სასწაულები, როგორც თარგმანშია მითითებული: «ხოლო არა ოდენ თითოსა ზედა იქმოდა საკურველებათა თჳსთა, არამედ ყოველსავე ზედა ქალაქსა მცირედ რაჲმე ვთქუათ" (Mir. Euth. § 41). მე-8 და მე-9 სასწაულები აგვიღწერს შიმშილობის დროს წმინდანის დახმარებას, მე-10 სასწაული მოგვითხრობს, თუ როგორც განდევნა წმ. დიმიტრიმ თესალონიკიდან ხალხის შემაწუხებელი უკეთური ეპარხოსი. ეს სამივე სასწაული – მე-8, მე-9 და მე-10 – ჯგუფდება კიდევ სხვა ნიშნის მიხედვით. სამივე წარმოგვიდგენს თესალონიკის დაპირისპირებას ბიზანტიის იმპერატორთან და დედაქალაქთან, კონსტანტინოპოლთან. ამ თემატურ ჯგუფს განეკუთვნება ასევე მე-14 ამბავი, «სასწაული მოხარკეთათჳს, თავი ი҃დ", რომელიც მოგვითხრობს, როგორ გადაარჩინა წმ. დიმიტრიმ თესალონიკის მოსახლეობა იმპერატორის მიერ დაკისრებული ხარკის გადახდისაგან. მე-11 და მე-12 სასწაულებში აღწერილია წმინდანისგან ქარიშხალში მოხვედრილი გემების გადარჩენა. მე-13, მე-15, მე-16 და

მე-17 სასწაულები მოგვითხრობს ავართა და სლავთა შემოსევების დროს მომხდარ ამბებს.

როგორც ვხედავთ, მცირე გამონაკლისების გარდა, ქართულ თარგმანში სასწაულების თემატური დაჯგუფება შენარჩუნებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ის სასწაულები, რომლებსაც ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტებში შესატყვისი არ დაეძებნა, ასევე ჩართულია თემატურ ჯგუფებში. ასე მაგალითად, ქვრივის შვილის და კალადიიდან ჩამოსული მამაკაცების ამბები გაერთიანებულია კურნების სასწაულებში. ქარიშხალში მოხვედრილი გემების გადარჩენის ეპიზოდები ერთმანეთს მისდევს. ავარების მიერ დატყვევებული მოსახლეობის გათავისუფლების ამბავი ავართა და სლავთა შემოსევების დროს მომხდარი სასწაულების ჯგუფში არის ჩართული. ამდენად, ყველა ეს სასწაული ძალიან ლოგიკურად არის მოთავსებული თხზულების სტრუქტურაში და წარმოგვიდგება როგორც მისი განუყოფელი, ორგანული ნაწილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ბოლო, მე-18 სასწაული, რომელსაც დაწვრილებით უფრო ქვემოთ განვიხილავთ.

ამგვარად, მიუხედავად შემოკლებისა, როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია ბერძნული თხზულების შესავალი ნაწილის ძირითადი ქარგა. როგორც ბერძნულ ორიგინალში, ასევე ქართულ თარგმანშიც თხზულების შესავალი ნაწილი გამიზნულია ავტორისა თუ მთარგმნელის მიზანდასახულობის წარმოსაჩენად. შეიძლება ითქვას, რომ ეფთვიმე სრულიად იზიარებს იოანეს, ავტორის, მიზანდასახულობას ერთი მცირე დამატებით – თარგმანში ხაზგასმულია სასწაულების ავთენტურობა. ეფთვიმე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ავტორი თხზულებაში აღწერილი ამბების თვითმხილველია, რათა ვერავინ გაბედოს ეჭვის შეიტანა აღწერილი სასწაულების ჭეშმარიტებაში.

### *2.5.2. <u>სასწაულების ე.წ. «სეპარატისტული” ხასიათი</u>*

წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლები, მეცნიერთა აზრით, ხასიათდება კიდევ ერთი მეტად საინტერესო თავისებურებით – ასე ვთქვათ, «სეპარატისტული” ტენდენციით[207]. ბევრ სასწაულში ხაზგასმულია, რომ წმ. დიმიტრი არის თავისი ქალაქისა და თავისი თანამოქალაქეების ერთადერთი

მშველელი. წმ. დიმიტრის «სასწაულებში" აღწერილი ამბებიდან არცერთში არ ჩანს განსაცდელის ჟამს რაიმე რეაგირება იმპერიის მმართველებისაგან, დედაქალაქში არც იციან, რომ თესალონიკს მტერი შემოესია. დიდი შიმშილის დროს წმ. დიმიტრი, და არა იმპერატორი, უზრუნველყოფს ქალაქს ხორბლით[208], წმ. დიმიტრი და არა სახელმწიფო ჯარი, განდევნის მტერს[209]. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს იმ სასწაულში, სადაც წმ. დიმიტრი კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ ხორბლით დატვირთულ გემებს შუა გზიდან მოაბრუნებს და თესალონიკში ჩამოიყვანს[210]. წმ. დიმიტრი სჯის იმპერატორის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ პირს, რომელიც თესალონიკის წარჩინებულ მოქალაქეებს უსამართლოდ მოექცა და წმინდანიც შეურაცხყო[211]. უზენაეს ძალასთან დაპირიპირებაზე მეტყველებს ის ეპიზოდი, სადაც იმპერატორმა მოითხოვა და ვერ მიიღო წმ. დიმიტრის რელიქვიები[212]. ყველა ეს ეპიზოდი განადიდებს წმ. დიმიტრის, ამ განდიდებით გამიჯნავს თესალონიკს დედაქალაქისგან და ეს გამიჯვნა დედაქალაქის სასარგებლოდ არ მეტყველებს. ასეთი გამიჯვნა მიგვანიშნებს ქალაქის შესამლო გამოყოფაზე, რაც ლოგიკური ხდება თესალონიკისადმი იმპერიის უყურადღებობის გამო, და ამასთანავე, კიდევ მეტად გამოკვეთს წმ. დიმიტრის მნიშვნელობას ქალაქისთვის.

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ეფთვიმეს თარგმანებში?

უნდა ითქვას, რომ ეფთვიმესთან წმ. დიმიტრის ღვაწლის განსადიდებელი ეპიზოდები კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ბერძნულ ორიგინალში. ჩანართი სასწაულებიდან ერთი («სასწაული მოხარკეთათჳს") ძალიან ჰგავს ეპიზოდს, სადაც იმპერატორის მიერ გამოგზავნილი პირი უსამართლოდ შეურაცხყოფდა მოქალაქებს და მათ წმინდანს. ამ შემთხვევაში იმპერატორმა თესალონიკს მოსთხოვა ხარკი და ხარკის ასაღებად მოავლინა ერთი ერისთავი, რომელიც შემდეგ წმინდანის გამოცხადებით შეშინებულმა თვითონვე უკან გამოიხმო. იოანეს ციკლის მე-11 სასწაულის შესაბამის სასწაული თარგმანში კი იმგვარადაა გადაკეთებული, თითქოს ეპარხოზი დაისაჯა მხოლოდ წმინდანის აუგად მოხსენებისათვის. როცა ბერძნული ტექსტის მიხედვით ეს იყო უფრო ნაკლები მიზეზი, უმთავრესი კი იყო ის, რომ ეპარხოზი სტანჯავდა და უსამართლოდ ექცეოდა თესალონიკის მოსახლეობას. ბერძნული ტექსტის მიხედვით, სლავთა წინამძღოლი ხატონი უფლის განგებით და ნებით დაიღუპა,

ეფთვიმესთან კი ეს მხოლოდ წმ. დიმიტრის დამსახურებაა: «არამედ წმიდამან მოწამემან დიმიტრე ესრეთ ყო შესლვაჲ მისი ქალაქად" (Mir. Euth. § 146). ავარების ერთ-ერთი შემოსევის დროს მათ მიერ აგებული ხიდი ზღვაში დაინთქა. ორიგინალის მიხედვით, ესეც უფლის განგება იყო. თარგმანის შესაბამის ნაწილში კი ვკითხულობთ: «მეყსეულად ეჩუენა მათ ჭაბუკი იგი, რომელი მარადის ებრძვიან მათ, და უპყრა მას და მიზიდა..." (Mir. Euth. § 114).

წმ. დიმიტრის ბერძნული ციკლების «სეპარატისტული" განწყობა გაპირობებული იყო პოლიტიკური მიზეზებითა და მიზნებით. თესალონიკის მნიშვნელობის და მისი მფარველის ძლევამოსილების ასეთი სახით წარმოჩენა შორსმიმავალი, მართლაც, სეპარატისტული გეგმებისა და განწყობის შედეგი იყო. მაგრამ განა შეიძლება იგივე ვიგულვოთ ეფთვიმეს თარგმანში?

როგორც ვხედავთ, მაგალითები საკმარისადაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ეპიზოდებს სულ სხვა დატვირთვა აქვს – ასეთი გზით ეფთვიმე კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს წმინდანის ძლევამოსილებას, რაც წარმოადგენს მისი თარგმანების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას. ვფიქრობთ, ქართული თარგმანში შეტანილ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს მეტი არანაირი ქვეტექსტი არ აქვს.

### *2.5.3. წმ. დიმიტრის წარმომავლობა*

როგორც ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, წმ. დიმიტრის კულტის წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ წმ. დიმიტრი თავიდანვე თესალონიკელი წმინდანი იყო, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ დიმიტრი იყო სირმიელი წმინდანი და მისმა კულტმა მხოლოდ მოგვიანებით გადმოინაცვლა თესალონიკში[213]. ამ უკანასკნელთა აზრით, გარდა სხვა გარემოებებისა, წმ. დიმიტრის სირმიუმთან კავშირზე მიუთითებს «წამების" შუალედური რედაქციის ერთი ეპიზოდი: ილირიკის პრეფექტმა ლეონტიუსმა თავისი სასწაულებრივი განკურნების გამო წმ. დიმიტრის სახელზე თესალონიკში ააგო ტაძარი. თავის ქალაქში, სირმიუმში[214] დაბრუნებისას მან თან გაიყოლა წმინდანის სისხლში დალტობილი სამოსელი. გზად მდინარე დანუბე ადიდებული დახვდა. წმინდანის და მისი რელიქვიების შემწეობით პრეფექტმა გადალახა მდინარე და მშვიდობით დაბრუნდა სირმიუმში. იქ წმ. ანასტასის

ტაძრის გვერდით ლეონტიუსმა წმ. დიმიტრის საპატივსაცემოდ ააგო ტაძარი. H. Delehaye-ს აზრით, ეს ამბავი სინამდვილეში პირიქით მოხდა, ლეონტიუსმა სირმიუმიდან ჩამოიტანა წმ. დიმიტრის ნაწილები და დაასვენა თესალონიკში მოგვიანებით აგებულ ტაძარში[215].

«წამების" შუალედურ რედაქციაში არის კიდევ ერთი ფრაზა, რომელიც, მეცნიერთა აზრით, გაკვრით ასახავს სირმიუმსა და თესალონიკს შორის არსებულ დაპირისპირებას და ამ გზით მიგვანიშნებს წმ. დიმიტრის კავშირზე სირმიუმთან. ეს არის გლადიატორ ლიაიოსთან დაკავშირებული ეპიზოდი, სადაც ნათქვამია, რომ ამბავი გლადიატორი ლიაიოსის უძლეველობის შესახებ ცნობილი იყო არა მხოლოდ რომში, არამედ სირმიუმშიც და თესალონიკშიც[216].

რა სიტუაციაა ამ თვალსაზრისით «წამების" ქართულ თარგმანში? უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში ეფთვიმე ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს და სიტყვასიტყვით იმეორებს მას.

გლადიატორის შესახებ:

| | |
|---|---|
| ♎♓♏❖♐♏♓⧫□ ♑♋▭❒ □☺ ♌♋⬧♓●♏◆▭✂ ❑♏❒♓❖ ⧫ ♓■♋<br>❍□■□❍♋❖♍□■ ☹◆♋♓🕯□■ □♏■□❖❍♋⧫♓ ♏♏♐ ⧫□ ◆🕯<br>♏☯❑■□◆✂ ⧫⬧🕯■ 🏱◆♏♋■♎♋❖●⬧■ ◆☺□♋❖❒♍□■⧫♋ 📭<br>♓♏⬧♍◆❖♓ ♐♋♓▭ ❍♏♑♏❖❑♏♓ ⬧⬧❖❍♋⧫□✂ ♋♏■♏⬧⧫♋●❍♏❖■□■📭 □"✂ □◆♏<br>❍□❖■□■ ♏♏■ ☼⬧❖❍♒📬 □□●●□◆▭✂ ♏♓♏✂ ⧫♒▭■ ●□◆🕯♎□■ ♋♏■♒📬❒♒📬❖♐♏♓📭 ♋♏●●♋▭ ♐♋♓▭ ♏♏■<br>⧫⬧📬 💧♏❒❍♓❖⬧📬📭 ♐♋♓▭ ♏♏■ ⧫♒📬🕯<br>✈♏⬧⬧♋●□■♓♐♏❖⬧■ □□❖●♏♓📫[217] | «ჰყვა მას მხედარი მარტოდ მბრძოლი, სახელით ლიეოს, ნათესავისა მისგან უვანდელთა ჲსა, ახოვანი ძალითა გუამისაჲთა, რომელსა-იგი არა |

| | |
|---|---|
| | ოდენ ჰრომეს შინა მოეკლნეს მრავალნი, არამდე სერმუნსცა და ქალაქსა მას თესალო-ნიკელთაჲსა” (Passio Euth. § 8). |

პრეფექტის შესახებ:

| | |
|---|---|
| ❀☜⬧❑♏■ ❑◆❁■ ♏♐❒♓♌♋▭✂ ♦⬧✍🕯 ❑♐♍♒❖❍♋♦♓<br><br>♏☯♍⬧■ ♏■♐❖ ♍♏❑⬧♓▭ ♦♒▭■ ♦♓❍♓❖♋■ ⬧❑❒❑▭■ 📭<br>♎♓♒🕯●❑♏■ ♋♐♌●♋♌♒▭✂ ♦❑▭■ ❑❑♦♋❍❑▭■📭 & ♏♓▭<br>❑◆☯♦⬧✂ ♋♐❒♏●❑⬧▭■📭 ♏♐■ ♦⬧🕯✍ ⬥♏❒❍♓❖⬧✍<br>♋♐❒♏❖❑♏♦❑ ♦♒▭■ ♋☺♑♓❖♋■ ⬧❑❒❑▭■ ❍♏♦♋▭ ♦❑◆🕯<br>♏♐■ ♋◆♐♦♒🕯✍ ❑♒⬧♋◆❒❑◆🕯 ♏♐■ ♦⬧🕯✍ ❑♋❒’ ♋◆♐♦❑◆🕯<br>&♦♓⬧❑♏❖■♦♓ ♏♐&♏♓🕯⬧♏ ❑♋■⬧♏❖❑♦⬧✍ ■♋⬧🕯✍ ♦❑◆🕯<br>♋☺♑♓❖❑◆ ❍♋❖❒♦◆❒❑✂ ♐✌■♋⬧♦♋⬧♓❖♋✂✍[218] | «აღიღო ჴელითა თჳსითა ჭურჭელი იგი, რომელსა შინა იყო სამოსელი წმიდისა მის და განვლო უვნებელად მდინარე იგი და ესრეთ წარვიდა |

| | |
|---|---|
| | სერმონს და აღაშენა მუნ ტაძარი წმიდისა მოწამისა დემეტრესთჳს მახლობელად ტაძარსა კეთილად მძლისა მოწამისა ანასტასიაჲსა.” (Passio Euth. § 43). |

მაგრამ ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ბერძნული ორიგინალის ხსენებული მონაკვეთების ზუსტად თარგმნა ამ შემთხვევაში რამეს ნიშნავს ან რაიმეზე მიგვანიშნებს. მიუხედავად ზემოთ ხსენებული თარგმანისა და გამომდინარე თხზულების ზოგადი მიზანდასახულობიდან, ვფიქრობთ, რომ ეფთვიმესთვის დიმიტრის წამოშობის საკითხი ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა უბრალოდ დაიცვა ორიგინალთან სიახლოვე.

### *2.5.4. წმ. დიმიტრის ნაწილები და სალხინობელი*

როგორც ნაშრომის პირველ თავში ვნახეთ, წმ. დიმიტრის რელიქვიების არარსებობა მნიშვნელოვნად განასხვავებს მის კულტს სხვა წმინდანებისაგან. შემდგომში წმინდანის კულტში რელიქვიებს ჩაენაცვლა თესალონიკში წმ. დიმიტრის ტაძარში მდგარი კიბორიუმი, ანუ სალხინობელი, რომელიც წარმოდგენს ერთდროულად წმინდანის საფლავის აღმნიშვნელს და მის სიმბოლურ სახლს. კიბორიუმი ფიგურირებს წმინდანის «წამების” და

«სასწაულების" ტექსტებში. ვნახოთ ამ თვალსაზრისით რა ვითარებაა ქართულ თარგმანში.[219]

«წამებისა" და «სასწაულების" თარგმანის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეფთვიმე დარწმუნებულია წმ. დიმიტრის ნაწილების არსებობაში. ყოველ შემთხვევაში, მისი მიზანია ამაში დაარწმუნოს თხზულების მკითხველი თუ მსმენელი. «წამების" თარგმანი, ბერძნული ორიგინალის მსგავსად, მოგვითხრობს, რომ წმ. დიმიტრის წამების შემდეგ მისი ნეშტი სულიერმა ძმებმა ღამე მალულად დაკრძალეს – «ძმათა ვიეთმე ქრისტიანეთა აღიღეს ღამით შიშისათჳს მეფისა და აღმოთხარეს ეკლესიაჲ ღრმად, რაოდენ შეძლეს, და დადვეს იგი მას შინა, რაჲთა არა იპოოს უსჯულოთა მათ მიერ და მიეცეს საჭმლად მჴეცთა" (Passio Euth. § 34). ამას მოყვება ჩანართი წინადადება, რომელსაც ბერძნულ ტექსტში შესატყვისი არა აქვს: «ხოლო არღარაოდეს აღმოიღო მუნით წმიდაჲ გუამი მისი, არამედ დადგრომილ არს მასვე ადგილსა, ვიდრე აქამომდე" (Passio Euth. § 35). ასე ეფთვიმე ხაზს უსვამს წმინდანის ნაწილების არსებობის უეჭველობას.

თარგმანში ასევე ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული წმინდანის სახელობის ტაძრის ადგილმდებარეობაც. ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირად არის აღწერილი პრეფექტ ლეონტიუსის განკურნების და ტაძრის აშენების ამბავი. ტაძრის აგებაზე ქართულ თარგმანში ნათქვამია: «რომელმან მეყსეულად კამარანი იგი საჴუმილისანი და ნაშენებნი იგი აბანოჲთანი დაარღჳვნა და აღაშენა პატიოსანი ტაძარი მოწამისაჲ წარსაგებელითა ფრიადითა და შეამკო იგი კეთილად" (Passio Euth. § 38). ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილას ნახსენებია, რომ აბანოებთან ერთად პრეფექტმა დაანგრევინა იქ მდებარე ტავერნები და პორტიკები[220]. ეფთვიმეს ეს აღარ შეაქვს თარგმანში, რაც არც არის მნიშვნელოვანი. მთავარია ის, რომ აქაც ეფთვიმე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ წმინდანის სახელობის ტაძარი აიგო დიმიტრის წამებისა და გარდაცვალების ადგილზე. ამას ეხმაურება თარგმანის ზემოთ განხილული მონაკვეთიც, სადაც ნათქვამია რომ ქრისტიანებმა წმ. დიმიტრის ნეშტი დამარხეს ეკლესიაში ღრმად. აქაც უნდა იგულისხმებოდეს სწორედ წმ. დიმიტრის ბაზილიკა. მართალია, აქ თხრობის ლოგიკა დარღვეულია, ვინაიდან ტაძარი ააგეს წმინდანის გარდაცვალების შემდეგ (უშუალოდ წამების შემდეგ მის

ნეშტს ტაძარში ვერ დაკრძალავდნენ, ვინაიდან ის ჯერ არ არსებობდა), მაგრამ მთავარია ის, რომ ეფთვიმესთვის ტაძარი ნამდვილად დგას წმინდანის დაკრძალვის ადგილზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა იოანეს ციკლის ის ეპიზოდი, სადაც იმპერატორმა მავრიკიუსმა ევსევი არქიეპისკოპოსს მოსთხოვა წმ. დიმიტრის ნაწილების გაგზავნა კონსტანტინოპოლში (იოანეს ციკლის მე-5 სასწაული). ეფთვიმეს თარგმანში, ორიგინალის ანალოგიით, წმინდანის დაკრძალვის ადგილი შემდეგნაირად არის მითითებული: «ვითარმედ დამართებით ლუსკუმისა მისისა არს სიღრმესა შინა ქუეყანისასა" (Mir. Euth. § 37) და კიდევ: «ვიწყეთ თხრად ეკლესიასა შინა ლუსკუმასა მას ქუეშე" (Mir. Euth. § 38).

ტაძრის დასრულების შემდეგ პრეფექტმა გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო და თან წმინდანის რელიქვიების ნაწილი წაეღო. ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირადაა აღწერილი ლეონტიუსის ჩვენება, სადაც წმინდანმა აუკრძალა ლეონტიუსს თავისი ნეშტის ხელის ხლება. მაგრამ ქართულ ტექსტში, როგორც უკვე ვნახეთ, აქ გვაქვს მეტად საინტერესო ჩანართი, რომლის მიხედვითაც დიმიტრი უბრძანებს ლეონტიუსს «ლუსკუმის" გაკეთებას: «ქმენ ლუსკუმა ადგილსა მას, სადაცა განიკურნე" (Passio Euth. § 40). გამოღვიძების შემდეგ ლეონტიუსმა გააკეთებინა არა მხოლოდ «ლუსკუმა", არამედ საფლავზე «კუბოც" დაადგმევინა: «და აღდგა რაჲ, იწყო მან ქმნად ლუსკუმისაჲ მის და ქმნა ზედა კერძოჲ მისსა კუბოჲ და შეამკო იგი ყოვლითა შუენიერებითა" (Passio Euth. § 41).

სიტყვა «ლუსკუმა" ძველ ქართულში ნიშნავს «კუბოს"[221], ხოლო «კუბო" – «აკლდამას, საფლავს, ტახტრევანს"[222]. როდის აიგო პირველი კიბორიუმი, ამის შესახებ არაფერია ცნობილი. იოანე თესალონიკელის «სასწაულებში" კიბორიუმი ფაქტიურად უკვე გვევლინება როგორც წმინდანის სახლი, სალხინობელი, მისი რელიქვიების სრული ჩანაცვლება. სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ პირველი კიბორიუმი აიგო წმინდანის სახელობის პირველი ტაძრის აგებისთანავე. ამდენად, ეფთვიმეს ჩანართი იმის თაობაზე, რომ კიბორიუმი აიგო ლეონტიუსის დროს, საფუძველს მოკლებული არ არის. «ლუსკუმა", როგორც ჩანს, აღნიშნავს რელიქვარიუმს, რომელიც არ არის ნახსენები არც «წამების", არც «სასწაულების" ბერძნულ ტექსტებში. ეფთვიმესთან კი სრულიად ნათლად არის

განსაზღვრული მისი დანიშნულება: «ქმენ ლუსკუმა... და აღმოვაცენო ნელსაცხებელი სულნელებისაჲ, რომელი მომმადლაჲ მე ღმერთმან საკურნებელად ყოვლისა სენისა" (Passio Euth. § 40) – ეუბნება ჩვენებაში წმ. დიმიტრი პრეფექტ ლეონტიუსს. ლუსკუმა ტექსტში შეტანილია მირონმდინარების სასწაულის გამო – ეს არის მირონის აღმოცენების ადგილი, ჭურჭელი, სადაც გროვდებოდა სასწაულთმოქმედი მირონი. შეიძლება ითქვას, რომ ლუსკუმა არის ერთგვარი მაკავშირებელი მიწაში ღრმად ჩამარხულ ნეშტსა (იმდენად ღრმად, რომ მას ვერ პოულობენ) და მირონს შორის.

ჩვენი აზრით, ეფთვიმეს თარგმანში ლუსკუმა არ არის მთარგმნელის ფანტაზია თუ თხრობის აუცილებლობით გაპირობებული დეტალი.[223] ვფიქრობთ, რომ ეს ემყარება რეალურ ფაქტებს. როგორც აღვნიშნეთ, წმ. დიმიტრის ტაძარში XX საუკუნეში წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა რელიქვარიუმი ჭურჭლით, გამხმარი მიწისა და სისხლის ნარჩენებით. მართალია, ეფთვიმეს თარგმანებში არსად არ ჩანს «კუბოსა" და «ლუსკუმის" ფორმა ან სხვა რაიმე უფრო დეტალური აღწერილობა, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჭურჭელი უნდა იყოს უშუალო კავშირში ეფთვიმეს «ლუსკუმასთან".

ლუსკუმა იდგა საფლავზე, ხოლო საფლავზე თავის მხრივ იდგა კიბორიუმი[224]. «სასწაულების" ტექსტის მიხედვით, კიბორიუმის ერთ მხარეს იყო კარები, რომლებიც იღებოდა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. იოანეს ციკლის ბერძნულ ტექსტში კარგახსნილი კიბორიუმი აღწერილია სულ რამდენიმე სასწაულში[225]. ქართული თარგმანის მიხედვით, კიბორიუმი, ანუ სალხინობელი, არ აღიქმება დახშულ ნაგებობად, იგი ხშირ შემთხვევაში ღიაა. ბერძნულ ტექსტში არსებული აღწერების გარდა, კარგახსნილი აკლდამა ნახსენებია ქართული თარგმანის იმ მონაკვეთებშიც, რომლებსაც ორიგინალში შესატყვისი არ მოეპოვება. ასე მაგალითად, ქვრივმა დედამ ერთადერთი ვაჟის გვამი ლუსკუმის წინ «დააგდო", ამბის დამსწრენიც ლუსკუმის გარშემო იდგნენ (Mir. Euth. § 21), ანუ ყველაფერი აკლდამის შიგნით მოხდა. მუცლიდან სისხლმდინარე ავადმყოფმა თვითონ იცხო ევლოგია (Mir. Euth. § 5), ეშმაკისგან ვნებულ ჭაბუკ მხედარს თანმხლებმა პირებმა წაუსვეს ევლოგია (Mir. Euth. § 24). ორსავე შემთხვევაში ჩანს, რომ სალხინობელი ღია იყო, რადგან ევლოგია სალხინობელი

შიგნით მდგარ ლუსკუმაში აღმოცენდებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეფთვიმეს არ ჰქონდა ნანახი წმ. დიმიტრის ტაძარი, არც დახშული კიბორიუმი, არც ის, თუ საიდან და როგორ იღებდნენ მორწმუნეები წმინდა ევლოგიას. ამიტომ თარგმანში ეფთვიმემ მოგვცა თავისი ინტერპრეტაცია ამ პროცესისა, რის შედეგადაც, შეიძლება, გაჩნდა ლუსკუმა, რომელშიც აღმოცენდებოდა და გროვდებოდა მირონი. სასწაულთმოქმედი მირონი განკუთვნილი იყო მლოცველებისათვის და, შესაბამისად, ყველა მომსვლელისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, სწორედ ამ მოსაზრების გამო კიბორიუმი, ანუ სალხინობელი, ეფთვიმეს თარგმანში მეტწილად ღიაა.

ამდენად, «სასწაულების" თარგმანში წმ. დიმიტრის ნაწილებთან დაკავშირებით გამოკვეთილია შემდეგი: ა) წმ. დიმიტრის სახელობის ტაძარი აიგო წმინდანის დაკრძლავის ადგილას, ბ) მისი ნაწილები, რელიქვიების უდაოდ არსებობდა, მაგრამ იყო ხელშეუხებელი, გ) წმ. დიმიტრის საფლავზე იდგა ლუსკუმა – რელიქვარიუმი, საძვალე, – ჭურჭელი, სადაც აღმოცენდებოდა ევლოგია, დ) წმინდანის კიბორიუმი იყო ღია, რათა მლოცველებს ჰქონოდათ საშუალება აკლდამაში დადგმული ლუსკუმიდან მირონის აღებისა.

### *2.5.5. წმ. დიმიტრის ნაწილების მირონმდინარება*

მირონმდინარება წმ. დიმიტრის კულტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სასწაულია. როგორც ნაშრომის პირველ თავში ვნახეთ, ამ სასწაულის შესახებ არსებული ბევრი საკითხი დღესაც საკამათოა. მეცნიერთა აზრით, ეს სასწაული წმ. დიმიტრის კულტს შეემატა არა უადრეს IX საუკუნისა. წმ. დიმიტრის წამების რედაქციებსა და სასწაულების პირველ ორ ციკლში ამ სასწაულის ხსენებაც არ არის[226].

ამ სასწაულთან დაკავშირებით მეტად საინტერესო და საყურადღებო მასალას გვაწვდის წმ. დიმიტრის ციკლის ეფთვიმესეული თარგმანები.[227] მირონმდინარების სასწაული ჩანართი ეპიზოდების სახით შეტანილია როგორც «წამების", ასევე «სასწაულების" თარგმანში. «წამებაში" აღწერილია ამ სასწაულის წარმოშობა და მირონის ძალით განხორციელებული პირველი სასწაულები. სასწაულთა იოანე თესალონიკისეული ციკლის თარგმანში მირონმდინარება უკვე ჩართულია კურნებასთან დაკავშირებულ სასწაულებში, ციკლის ბოლოს კი

მირონმდინარების სასწაულს ცალკე ამბავიც ეძღვნება. ვნახოთ ყოველივე ეს უფრო დეტალურად.

«წამების" ქართულ ტექსტში მირონმდინარების სასწაული, როგორც ვნახეთ, პრეფექტ ლეონტიუსს უკავშირდება. ლეონტიუსმა წმ. დიმიტრის ბრძანებით წმინდანის საფლავზე დაადგმევინა ლუსკუმა, სადაც მაშინვე აღმოცენდა მირონი. ამდენად, «წამების" თარგმანის მიხედვით, ეფთვიმემ ეს სასწაული წმინდანის კულტის ჩამოყალიბების უძველეს პერიოდს მიაკუთვნა.

სასწაულების თარგმანში სასწაულთმოქმედი მირონი, ანუ ევლოგია, როგორც მას ეფთვიმე მოიხსენიებს, ჩართულია, როგორც ვთქვით, ფიზიკურ თუ სულიერ განკურნებასთან დაკავშირებულ სასწაულებში. ასე მაგალითად, პირველსავე სასწაულში განკურნებული ეპარხოსი მარინოსი «მივიდა ლუსკუმასა მას ზედა და იხარებდა და იცხებდა ევლოგიასა მას მის მიერ აღმოცენებულსა და ჰმადლობდა მას ცრემლითა და გალობითა" (Mir. Euth. § 21). მეორე სასწაულში, როდესაც მუცლიდან სისხლდენით ავადმყოფი ეკლესიაში შეიყვანეს, მან ასევე «იცხო ევლოგიაჲ იგი, რომელი აღმოსცენდა მის მიერ, მეყსეულად დაცხრა დინებაჲ იგი სისხლისა მისისაჲ და განკურნებული ჰმადლობდა ღმერთსა" (Mir. Euth. § 23). მეოთხე სასწაულში, სადაც აღწერილია ჭაბუკი მეომრის განწმენდა ეშმაკეულისაგან, განკურნება ისევ მირონის საშუალებით ხდება: «სცხეს რაჲ ევლოგიისა მისგან, მეყსეულად განვიდა მისგან ეშმაკი და მოვიდა კაცი იგი გუნებასა თჳსსა" (Mir. Euth. § 32). კალადიიდან მოსულმა მამაკაცებმაც ევლოგია იცხეს საკურნებლად (Mir. Euth. § 33). ამას გარდა, როგორც ვთქვით, მირონმდინარებას სასწაულების ეფთვიმესეულ თარგმანში ეძღვნება ცალკე სასწაული, რომელიც ასრულებს თარგმანს და რომლის შესატყვისიც ბერძნულ წყაროებში არ ჩანს.

ამ სასწაულის წინ არის «სასწაული ი~ტ, კოვერისათვის და შავისაჲ", რომელსაც ასეთი მცირე შესავალი უძღვის წინ: «უკუეთუმცა ვინ ინება, ჵ საყუარელნო, ყოველთა სასწაულთა დემეტრესთა თითოეულად მითხრობად, არამცა სოფელმან დაიტია დაწერილი წიგნები. ვითარცა საყუარელი მოწაფე ქრისტესი, ღმრთისმეტყუელი იოვანე იტყჳს, რამეთუ ზეშთა არს ესე საქმენი ამის წმიდისანი ძალსა სიტყუათასა და მოუძლურდების ენაჲ თქუმად მათდა. არამედ ესე მცირედი, რომელი გუთქუამს ძალისაებრ ჩუენისა, იყვან

საჴსენებელად ჩუენდა და დიდებათა მისთა და შევსძნოთ სიტყუაჲ სხუაჲღა-ერთი ოდენ საქმე მისი და ესრეთ დავიდუმოთ” (Mir. Euth. § 165). ამ შესავლით ავტორი ცხადად გვეუბნება, რომ ეს არის ბოლო სასწაული და იგი არ აპირებს ამაზე მეტის თქმას.

მაგრამ მთავრდება სასწაული და კვლავ მოდის მსგავსი ტექსტი: «არამედ ესენი მცირედნი საქმენი მისნი გუთქუმან, ვინაჲთგან დიდთა მათ ვერ მივსწუთებით, რამეთუ ურიცხჳ არიან საკჳრველებანი მისნი, რომელნი უქმნიან ვიდრე აქამომდე და იქმს მარადღჱ. არამედ ერთიღა წარმოვთქუათ და ეგრეთ დავიდუმოთ” (Mir. Euth. § 186).

ამის შემდეგ გადმოცემულია თავად ამბავი, რომელიც უდაოდ მეტად საინტერესო და მრავლისმეტყველია.

მოვიდა თესალონიკში მთავარი ვინმე, რომელმაც ეჭვი შეიტანა დიმიტრის ნაწილების მირონმდინარებაში. მისი თქმით, «არათუ წმიდისა მოწამისა დემეტრესგან აღმოეცენების ნელსაცხებელი იგი სურნელებისაჲ, არამედ ღონისძიებითა იქმან ხუცესნი ეკლესიისანი” (Mir. Euth. § 187). ბრძანა ხუცესთა გაყვანა ეკლესიიდან, თვითონ გაწმინდა ლუსკუმა ღრუბლით და გარეთ გამოსულმა კარი დალუქა სიტყვებით: «აწ ვიხილო, უკუეთუ მისგან აღმოეცენების” (Mir. Euth. § 188).

მეორე დღეს მთავარი სხვებთან ერთად შევიდა ეკლესიაში და ნახა, რომ ლუსკუმაში მირონი არ არის. ავტორი განმარტავს, რომ ეს წმინდანის ნებით მოხდა «რაჲთა არღარა აქუნდეს მას (მთავარს – მ.მ.) სიტყუაჲ” (Mir. Euth. § 189). მთავარმა კი დაიწყო ხუცესების ლანძღვა და ტყუილის დაბრალება. სწორედ ამ მომენტში კვლავ დაიწყო დინება წმინდა ევლოგიამ და გაავსო ლუსკუმა. ეს რა დაინახა მთავარმა, დაბრმავდა, თითქოს «უხილავად სცა ვინმე ქედსა მისსა და წარმოსცჳვეს ორნივე თუალნი მისნი” (Mir. Euth. § 190). ორი დღე აცადეს ბერებმა მთავარს ღაღადება და ვედრება, ცოდვების მონანიება, მესამე დღეს კი «აღიღეს ევლოგიისა მისგან და სცხეს თავსა მისსა და მეყსეულად აღიხილნა” (Mir. Euth. § 191). განკურნებულს ლუსკუმისგან მომავალი ხმა მოესმა, «რომელი ეტყოდა: «ნუუკუე კაცობრივმან საქმემან ესე ქმნის-ა?!” (Mir. Euth. § 191). სასწაული და, საერთოდ, სასწაულების ქართული მთელი ციკლიც აქ სრულდება.

ეს სასწაული ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავიდან იგი არ მოაიზრებოდა თხზულებაში, მაგრამ ბოლოს რაღაც მიზეზისდა გამო ავტორმა თუ მთარგმნელმა აუცილებლად მიიჩნია ამ სასწაულის დამატება. ამ დამატების მიზეზიც, სრულიად ცხადია, უნდა იყოს ის გარემოება, რის გამოც დაიწერა ეს სასწაული – საზოგადოებამ, ალბათ, არ მიიღო, არ დაიჯერა მირონმდინარების სასწაულის ჭეშმარიტება. ამიტომაც ქართული ციკლის შემქმნელი ხაზგასმით კვლავდაკვლავ უბრუნდება ევლოგიის მდინარებას და მის სასწაულთმოქმედ ძალას, ციკლის ბოლოს კი ცალკე სასწაულს ურთავს დასამოძღვრად მათ, ვინც არ გაიზიარა ამ სასწაულის ჭეშმარიტება.

როგორც ვხედავთ, წმ. დიმიტრის «წამებისა” და «სასწაულების” თარგმანში თანამიმდევრულად არის ხაზგასმული მირონმდინარების სასწაულის ჭეშმარიტება, ამასთანავე ხდება ამ სასწაულის მნიშვნელობის გამოკვეთა და მისი პოპულარიზაციაც. ეს სასწაული ნახსენებია ასევე ქართულ «შესხმაშიც”: «ხოლო სადა-იგი დაიფლა, აღმოაცენებს მიერ უხუად კურნებასა და ნელსაცხებელსა სულნელებისასა” ( § 55).

მირონმდინარებასთან დაკავშირებული ზემოთ განხილული ეპიზოდები შეიცავს მეტად საინტერესო მასალას სასწაულის ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისით ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე საკითხს.

- *მირონმდინარების სასწაულის დათარიღებისათვის*

როგორც აღვნიშნეთ[228], მირონმდინარების სასწაულის ხსენებას პირველად ვხვდებით იოანე კამინიატეს X საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ თხზულებაში. მაგრამ ეს ცნობა თხზულებაში გვხვდება მხოლოდ ერთხელ და მას გვიანდელ ჩანართად მიიჩნევენ. სასწაულის დათარიღება ჭირს, მაგრამ, მეცნიერთა აზრით, უდაო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამბავი მირონმდინარების სასწაულისა XII საუკუნის ჩათვლით თესალონიკის ფარგლებს გარეთ არ გავრცელებულა. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ წმ. დიმიტრის კულტთან დაკავშირებულ XII საუკუნის სხვა წყაროებში ამ სასწაულის ხსენება არ არის. ასე მაგალითად, ამ პერიოდის ბალსამონის ეპიგრამაში, რომელიც აღწერს წმ. დიმიტრის ხატს ბულგარეთში, წმინდანი არ მოიხსენიება მირონმდინარედ. ამ სასწაულს ასევე არ მოიხსენებს რუსი უფლისწული ვსევოლოდი, რომელმაც 1117 წელს დიმიტრის წმინდა ნაწილები გადაიტანა თესალინიკიდან მეფე

ვლადიმირის მიერ დაარსებულ წმინდანის სახელობის ტაძარში[229]. სამაგიეროდ XIII საუკუნიდან მოყოლებული მირონმდინარება ხდება წმინდანის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი და ეს უკავშირდება წმინდანის კულტის განსაკუთრებულ აღზევებას აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში[230].

ქართული თარგმანის ჩანართი ეპიზოდები კი, როგორც ვთქვით, მირონმდინარების სასწაულს წმინდანის კულტის ჩამოყალიბების უადრეს პერიოდს მიაკუთვნებს. მაგრამ განა ეს სასწაული მართლა ასეთი ადრინდელია? მირონმდინარების ფაქტი თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქალაქ თესალონიკის სტატუსის ამაღლებისა და გამყარებისათვის[231]. აქედან გამომდინარე, სასწაული მართლაც ასეთი ადრინდელი რომ იყოს, ვფიქრობთ, მას აუცილებლად ახსენებდა ჯერ კიდევ იოანე თესალონიკელი, რომელიც იყო თავისი ქალაქის დიდი პატრიოტი და რომელმაც წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლი იმიტომაც შექმნა, რომ წმ. დიმიტრის პოპულარიზაციასთან ერთად თავისი ქალაქის მნიშვნელობაც გამოეკვეთა. მაგრამ, როგორც ჩანს, იოანემ ამ სასწაულის შესახებ არაფერი იცოდა, ანუ მისი მოღვაწეობის დროს ეს სასწაული ჯერ არ არსებობდა. მირონმდინარება სასწაულების არც მეორე და მესამე, არც ლათინურ ციკლებში არ ჩანს. ეს გარემოება ცხადად მიგვანიშნებს სასწაულის უფრო გვიანდელ წარმოშობაზე.

ჩვენი აზრით, ხსენებული ჩანართები მირონმდინარების შესახებ თავად ეფთვიმეს უნდა ეკუთვნოდეს და ამ შემთხვევაში სასწაულის ასეთი ადრეული დათარიღება არ უნდა ეფუძნებოდეს რაიმე რეალურ ისტორიულ ფაქტებს. ვფიქრობთ, ეფთვიმემ ეს დაწერა სასწაულის ავთენტურობის და მნიშვნელობის კიდევ უფრო გამოსაკვეთად, თავად წმ. დიმიტრის სასწაულთქმედითობისა და ძლევამოსილების დასტურად. მირონმდინარების დაკავშირება პრეფექტ ლეონტიუსთან არის ლოგიკური და აუცილებელი დასაწყისი იმ ხაზისა, რომელიც ამ მოვლენის პოპულარიზაციის თვალსაზრისით შემდეგ ძალიან მიზანმიმართულად ხორციელდება სასწაულების ქართულ თარგმანში.

ამდენად, საფიქრებელია, რომ ეს სასწაული ადრინდელი არ არის, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობის პერიოდში წმ. დიმიტრის მირონმდინარების სასწაული უკვე კარგად არის ცნობილი და არა მხოლოდ თესალონიკში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ვინაიდან ეფთვიმე

მოღვაწეობდა თესალონიკისგან მოშორებით, ათონის მთაზე. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ამ სასწაულის შესახებ ეცოდინებოდათ იმპერიის დედაქალაქშიც. ამ გარემოებაზე დაყრდნობით ვვარაუდობთ იმასაც, რომ იოანე კამინიატეს თხზულებაში არსებული ცნობა წმ. დიმიტრის მირონმდინარების შესახებ არის თხზულების თანადროული და ორგანული ნაწილი და არა გვიანდელი ჩანამატი, როგორც ამას A. Kazhdan-ი და სხვა მეცნიერები ფიქრობდნენ. ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარი რჩება ის ფაქტი, თუ რატომ მიაჩნიათ მკვლევარებს, რომ ამბავი წმ. დიმიტრის ნაწილებიდან მირონმდინარების შესახებ დროის საკმარისად დიდი პერიოდის განმავლობაში შეიძლებოდა არ გავრცელებულიყო თესალონიკის ფარგლებს გარეთ, როცა ჯერ კიდევ იოანე თესალონიკელი თავისი თხზულების პროლოგის ბოლოს აღნიშნავს, რომ სულ თავიდანვე ამბავი წმინდანის სასწაულების შესახებ გავრცელდა მაკედონიაში და დედაქალაქსაც მიაღწია[232].

ცხადია ისიც, რომ ეფთვიმე ათონელი წმ. დიმიტრის ამ სასწაულს ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებულად წარმოუდგენს და ჩააგონებს მის მნიშვნელობასა და უტყუარობას. ამის ერთი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო თანამედროვე საზოგადოების ნაკლებად ან არასაკმარისად მორწმუნე ნაწილის დამოძღვრა და შეგონება. დღეისათვის ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია უფრო დაზუსტებით კვლევა იმისა, თუ რატომ იყო ეს საკითხი ეფთვიმესთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და საინტერესო.

- *მირონის შემადგენლობა*

წმ. დიმიტრის ტაძარში მოსულ მლოცველებს სახლში მიჰქონდათ წმინდანის მირონით სავსე მცირე ჭურჭლები. არსებობდა მირონის შესანახი ყელზე ჩამოსაკიდებელი ჭურჭლებიც, ე. წ. ენკოლპიონები.[233] ამ ჭურჭლებიდან ზოგიერთი დღემდე შემორჩა. ჩვეულებრივ, ისინი ლამაზად იყო მოხატული და გაფორმებული, ზოგს წარწერებიც ჰქონდა გაკეთებული. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, აქვს ასეთი წარწერა: «წმინდა სისხლის და მირონის წასმით ამ ჭურჭლის მატარებელი ევედრება მას (დიმიტრის – მ. მ.), რომ იყოს მისი დამცველი ბრძოლაში”[234]. ანალოგიური წარწერები გვხვდება სხვა ჭურჭლებზეც.

მირონის გაიგივება წმინდანის სისხლთან თავისთავად ლოგიკურია, ვინაიდან ორივე წმინდანის სხეულიდან მოედინება. მაგრამ ამ წარწერებმა გამოიწვია კამათი მირონის შემადგენლობის შესახებ.[235]

საინტერესოა, რომ ეფთვიმეს თარგმანებში მირონი ყველგან მოხსენებულია როგორც «ევლოგია" ან «ნელსაცხებელი სულნელებისა". სიტყვა «ევლოგია" ძველ ქართულში უფრო «ლოცვის, კურთხევის" მნიშვნელობით იხმარება[236], რაც სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა ბერძნულშიც. უფრო იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც «ევლოგიას" ძველ ქართულში სითხის, ზეთის მნიშვნელობა აქვს:"[237]. მაგრამ «ნელსაცხებელი" ძველ ქართულში ერთმნიშვნელოვნად «სურნელოვან ზეთს" აღნიშნავს[238], ამიტომ მისი გამოყენება «ევლოგიის" სინონიმად ნიშნავს, რომ თარგმანში «ევლოგია" «ზეთის, ზეთოვანი ნივთიერების" მნიშვნელობით გამოიყენება. ამდენად, ეფთვიმესთვის წმ. დიმიტრის ნაწილებიდან მდინარე ნივთიერება უთუოდ ზეთოვანი ნივთიერება, მირონი იყო.

*2.5.6. სხვა ისტორიული დეტალები*

- *«სასწაული ბარბაროზთათჳს, ი῀გ (§ 69)[239]*

*Col. I; Mir.13; PG 1285 B 5 – C 12; Lem.I, §137, p. 134, 1-16*

საუბარია თესალონიკის მნიშვნელობაზე. ბერძნული ტექსტის მიხედვით, თესალონიკი სიმდიდრით და სილამაზით აღემატებოდა ყველა ქალაქს თრაკიასა და ილირიკიაში (💧&□□♒❖⬩♋✂ ♑♋▭❒ ⬩☺✂ ♋☺□♋❖⬩♒✂ □□❖●♏⬩✂ &♋⧫♋❖ ⧫♏ ✈❒♋📪❖&♒■ &♋♓▭ □♋🕯■ ⧫□▭ ♉✋●●◆❒♓&□▭■ ♒☺ ❑♏□♐◆❖●♋&⧫□✂ ⧫⬩🕯■ ✈♏⬩⬩♋●□■♓& ♏❖⬩■ ❍♒⧫❒□❖□□●♓✂ ◆☺□♏❒♌♋●●□❖■⧫⬩✂ □❒□◆☸♍♏♓ □ ●□◆❖⧫⬩📪 ⧫♏ □□♓&♓❖●⬩📪). ქართულ ტექსტში მითითებული გეოგრაფიული არეალი ცოტა განსხვავებულია: «არცა ერთი იყო კერძოთა მაკიდონიისათა და ილურიკიისათა მსგავსი თესალონიკე ქალაქისაჲ".

- *«სასწაული ბარბაროზთათჳს, ი῀გ" (§ 78)*

*Col. I, Mir. 13; PG 116; 1288 B 2-3; Lem. I, § 119; p. 134, 26-27.*

ავართა ჯარმა ალყა შემოარტყა თესალონიკს. ბერძნულ ტექსტში და ეფთვიმეს თარგმანში ავართა ჯარის რაოდენობა ერთნაირადაა განსაზღვრული:

◆☺□♏▭❐ ♦♋▭♓ ♏☺♐♋♦□▭■ ♍♓●♓♋❖♎♋♓ □☺□●♓❖♦♋♓ ♋☯■♎❐♋♓

♏♐♎□❖⌧♋⌘□■ – «რამეთუ ვითარცა ჭეშმარიტი ვცანთ, იყო რიცხვი მათი ასი ათასი".

➢ *«სასწაული ბარბაროზთათჳს, ი˜გ" (§ 80)*

*Col. I, Mir. 14; PG 116; 1296 A 12 – B 3; Lem. I, § 132; p. 146, 12-15.*

საუბარია არქიეპისკოპოს ევსევის ჩვენებაზე, რომელიც მან იხილა ბარბაროსთა შემოსევამდე ცოტა ხნით ადრე. ბერძნული ტექსტის მიხედვით, ეს მოხდა რვა ან ათი დღით ადრე (⚐❐□▭ ♑♋▭❐ □♐♐♦⬧ ♒❅ ♎♏❖♐♋ ♒☺❍♏❐⬧🕯■), ქართულ ტესტში დაზუსტებულია: «მთავრეპისკოპოსს ევსევის უწინარეს რვა დღისა ეხილვა...".

➢ *«სასწაული ბარბაროზთათჳს, ი˜გ" (§111)*

*Col. I, Mir. 14; PG 1313 A 7 – B 3; Lem. I, § 159; p. 156, 28-33.*

თესალონიკის ალყის მეშვიდე დღეს, კვირას, ავარებმა განიზრახეს გადამწყვეტი იერიში მიეტანათ ქალაქზე. ტექსტში საათიც მითითებულია, მაგრამ ბერძნულ ტექსტში ეს არის რვა საათი (♋☯♐■⬧ □♏❐♓▭ ⬧❀❐♋■ ♦♒🕯♓ ♋◆♐♦♒🕯♓ ♒☺❍♏❖❐♋♓), ქართულ ტექსტში კი გვაქვს: «მას დღესა კჳრიაკესა მეშჳდით ჟამითგან...".

➢ *«სასწაული ბარბაროზთათჳს, ი˜გ" (§ 114)*

*Col. I, Mir. 14; PG 1313 B 3-7; Lem. I, § 159; p. 156, 33 – 157, 3.*

წინა ეპიზოდის გაგრძელება, მეორე დღე. უშედეგო შეტევის შემდეგ ავარებმა აღიარეს თავისი დამარცხება და მოსახლეობას ქალაში შესვლის უფლება სთხოვეს. მოსახლეობა დიდხანს არ უშვებდა მათ, ბოლოს ავართა თხოვნა შეიწყნარეს და შეუშვეს: ბერძნული ტექსტის მიხედვით, დღის ხუთ საათზე (❍□▭●♓♓ □♏❐♓▭ □♏❖❍□♦♒■ ⬧☯❐♋■ ♦♒🕯♓ ♒☺❍♏❖❐♋♓), ქართული ტექსტის მიხედვით კი – «მეოთხესა ოდენ ჟამსა დღისასა...".

➢ *«სასწაული ბარბაროზთათჳს, ი˜გ" (§ 118)*

ეს არის ისევ წინა ეპიზოდების გაგრძელება, ჩანართი მონაკვეთი, რომელსაც ბერძნულ ტექსტში შესატყვისი არ მოეპოვება. ქართულ თარგმანში

აღრიცხულია წმ. დიმიტრის ხელით მოკლული მტრის რაოდენობა: «... ვპოვეთ სამეოცდათხუთმეტი ათასი მოკლული..”. ეს არის ფაქტობრივად რეზიუმირება: თუ ავართა ჯარი ასი ათასი მეომრისგან შედგებოდა, როგორც ეს ერთ-ერთ ზემოთ განხილულ მონაკვეთში ვნახეთ, წმ. დიმიტრის მოუსრავს მტრის ჯარის სამი მეოთხედი.

➢ *«სასწაული ავართათჳს, თავი ი~ე” (§§ 132-134)*

ეს არის ერთ-ერთი ჩანართი სასწაული, რომელსაც ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტში შესატყვისი არ მოეპოვება. მაგრამ სხვა სასწაულებისაგან განსხვავებით, ჩვენი აზრით, ამ სასწაულს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ისტორიულ რეალობასთან. როგორც უკვე ვნახეთ, ამ სასწაულში აღწერილია წმ. დიმიტრის მიერ ავართა მიერ ტყვედ წაყვანილი მოსახლეობის გათავისუფლება და სახლში დაბრუნება. მართალია, გაშლილი სახით ეს სასწაული ბერძნულ წყაროებში არა გვაქვს (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილი არ არის), მაგრამ წმ. დიმიტრის სასწაულების მეორე ციკლის მეორე სასწაულის დასაწყისში ნათქვამია, რომ ხატონის დამარცხების შემდეგ თესალონიკთან ბრძოლა ბარბაროსთათვის სამარცხვინოც კი გახდა, ვინაიდან «ისინი დაზარალდნენ, რადგან მათი ტყვეები, რომლებიც ქალაქში გამოიქცნენ, გაათავისუფლა გზის გამკვლევმა, მათმა გადამრჩენმა და ჩვენმა დამცველმა დიმიტრიმ”
(◆☺❑’ ♋◆♏♦◆⬧■ ♋♓♏♍❍♋●◆♦♓◆❑♏❖■♦♋✂📪 ♏♓♏✂ ♦♒📼■ &♋❑’ ♒☺❍♋⬧✂ ♋♏◻◻♐♏◆❖♑◻■♦♋✂ ❑♏◻❖◆◆◆♦◻■ ◻◻❖●♓ ■📪 ♏♏●♏◆❑♏❒◻◆⬧◆❑♋♓ ♎♓♋📼 ♦◻◆⬧ ◻☺♎♒♑◻◆⬧ &♋♓📼 ●◆♦◻◆♦◻◆⬧ ♋◆♏♦◆⬧■ &♋♓📼 ♒☺❍◆⬧■ &♒♎♏❍◻❖■◻✂ 👎♒❍♒♦❒♓❖◻◆).[240] ჩვენი აზრით, სწორედ ამ მომენტს ეხება ქართულ თარგმანში ჩანართი სასწაული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტყვეების გათავისუფლების ამბავი ისტორიული ფაქტია, რომელმაც შემდგომში ლიტერატურულ წყაროებში «სასწაულებრივი” გაფორმება მიიღო და რომელიმე ჩვენთვის უცნობი ბერძნული წყაროდან მოხვდა ეფთვიმეს თარგმანში.

უნდა ითქვას, რომ ეს სასწაული ეფთვიმეს შემოკლებული სახით შეტანილი აქვს თარგმანის ერთ ნაწილში – «სასწაული ბრძოლისათჳს სკალველთაჲსა, თავი ი~ვ”, და ამ სასწაულის ბოლოს კიდევ ერთხელ არის

ხსენებული ტყვეების გათავისუფლების ამბავი (§140: «და ვითარცა ამას ზედა ნათესავი სკალვალთაჲ ძლეულ იქმნა, მიერითგან ყოველნი, რომელნი განერნიან მათ, თესალონიკედ მიილტოდეს, და ამას ზედა ფრიად მწუხარე იყვნეს”), მაგრამ, ვფიქრობთ, ეს გარემოება არაფრით ეწინააღმდეგება ზემოთქმულს.

➢ *«სასწაული ბრძოლისათჳს სკალველთაჲსა, ი˜ვ” (§ 127).*

*Col. II, Mir. 1; PG 1325 A 1-15; Lem.I, § 179; p. 175, 3-12.*

ბერძნულ ტექსტში მითითებულია, რომ ეს ამბავი მოხდა მაშინ უკვე გარდაცვლილი იოანეს არქიეპისკოპოსობის დროს. ქართულ თარგმანში ეს მითითება არა გვაქვს. აქვე ჩამოთვლილია წარმართთა ჯარის შემადგენლობაში შესული სლავური ტომების სახელები (👎❐□♑□◆♌♓♦⬥🕯■📭 💧♋♑□◆♎♋♦⬥🕯■📭 👌♏●♏♑♏⌘♒♦⬥🕯■📭 👌♋♓ ☢□◆■♒♦⬥🕯■📭 👌♏❐⌘♒♦⬥🕯■ &♋♓⌨ ●□♓□⬥🕯■), რაც ქართულ თარგმანშიც შემდეგნაირად არის გადმოტანილი: «და იყვნეს კრებული დოღუვიტთაგან და საღოდიანთაჲ, გელეგეზელთაჲ და ბაიუნელთა და ბერზიტელთაჲ და სხუათა მათ წარმართთაჲ”.

აქვე მითითებულია იმპერიის ის რაიონები, რომელთა დაპყრობაც განიზრახეს სლავებმა: 📫📫📫 &♋♓⌨ □♋🕯⬥♋■ ♦♒⌨■ ✈♏♦♦♋●♓❖♋■ &♋♓⌨ ♦♋⌨ ✂
□♏❐♓⌨ ♋◆♐♦♒⌨■ ■♒❖⬥□◆✂ &♋♓⌨ ♦♒🕯✂ ☺☜●●♋❖♎□✂ 📭 ♏☯♦♓ ❍♒⌨■ &♋♓⌨ ♦♋⌨✂ 😐◆&●♋❖♎♋✂ ■♒❖⬥□◆✂📭 &♋♓⌨ ♦♒⌨■ ♐✌♍♋♓✍♋■ □♋🕯⬥♋■📭 ♦♒❖■ ♦♏ ☯👍□♏♓❐□ ■ &♋♓⌨ ♦□⌨ □●♏♓❖⬥♦□■ ♦□◆🕯 ♐✋●●❐♓&□◆🕯 &♋♓⌨ ❍ ♏❖❐□✂ ♦♒🕯✂ ♐✌⬥♓❖♋✂ ♏♐&□□❐❑♒🕯⬥♋♓, ქართულ თარგმანში ეს მონაკვეთი შემოკლებულია: «... და ყოველნი ჭალაკნი ელადისანი და აქავისანი და აიაჲს კერძოთანი გამოიხუნეს და მოაოჴრეს...”.

➢ *სასწაული ბრძოლისათჳს სკალველთაჲსა, ი˜ვ” (§ 146)*

*Col. II, Mir. 1; PG 1333 B 1-9; Lem. I, § 193; p. 179, 4-9.*

ბერძნულ ტექსტში სლავთა ჯარის წინამძღოლი მოხსენებულია ბერძნული წოდებით ⬧&●♋♌♓❖■⬥■ ♏☯☒♋❐♍□✂, ქართულ თარგმანში გადმოტანილია ასე: «წინამძღუარი თავადი”.

➢ *«სასწაული ავართათჳსვე, თავი ი˜ზ” (§ 149)*

*Col. II, Mir. 2;  Lem. I, §197; p. 185, 15-21.*

სლავებმა თესალონიკთან საბრძოლველად დახმარებისათვის მიმართეს ავართა ქაგანს (♦⬥♁■ ♑✌♌♋❖❐⬥■ ♍♋♑♋❖■⬥🖃➀. ქაგანი არის ავართა წინამძღოლის თანამდებობის სახელწოდება. ქართულ ტექსტში ეს გადმოტანილი და გამოყენებულია როგორც საკუთარი სახელი «ქაგანოზი".

➢ *«სასწაული ავართათჳსჳ, თავი ი˜ზ" (§ 150)*

*Col. II, Mir. 2;  PG 1337 A 9-15;  Lem. I, § 198; p. 185, 23-26.*

ბერძნულ ტექსტში არის ჩამონათვალი ტომებისა, რომლებიც ქაგანმა შეკრიბა ბერძნებთან საბრძოლველად. ქართულ თარგმანში ეს ჩამონათვალი არ არის. სამაგიეროდ ორსავე ტესტში ერთნაირადაა განსაზღვრული ჯარის შეკრებისთვის საჭირო დრო – ორი წელი.

➢ *«სასწაული ავართათჳსჳ, თავი ი˜ზ" (§ 157)*

*Col. II, Mir. 2;  PG 1345 A 1-5;  Lem. I, § 212; p. 189, 4-6.*

ბერძნული ტექსტის მიხედვით, თესალონიკი 33 დღე იყო ავართა ჯარის ალყაში, რის შემდეგაც ავარებმა დატოვეს იქაურობა. ქართულ თარგმანში ავარების წინამძღოლი 14 დღე ფიქრობდა, როგორ დაეპყრო ქალაქი.

➢ *«კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ჱ" (§ 168)*

*Col. II, Mir. 5;  PG 1364 B 1 – 1365 A 4; Lem. I, § 286; p. 228, 15-19.*

სახელი "შავი" არის ბერძნული სახელის ⬧♋♦♁❐❐✂ ზუსტი თარგმანი. ორსავე ტექსტში ერთნაირად არის განსაზღვრული, თუ რა დრო დასჭირდა სლავთა ნარევი დასახლების ჩამოყალიბებას – 60 წელი.

➢ *«კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ჱ" (§ 170)*

*Col. II, Mir. 5;  PG 1365 A 13 – B 2; Lem. I, § 288; p. 228, 28-31.*

ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირადაა მითითებული კუვერის ჯარის პირველი ბანაკის ადგილმდებარეობა – კერამისიის ველი.

➢ *«კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ჱ" (§ 173)*

*Col. II, Mir. 5;  PG 1368 A 7 – B 1; Lem. I, § 291; 229, 20-25.*

ამ სასწაულში თხზულებაში პირველად ჩნდებიან ბულგარელები. ბერძნული ტექსტის მიხედვით, შავმა იცოდა «ჩვენი ენა და ენები რომაელთა, სლავთა და ბულგართა" (♦♒🖃■ ♐♋❑' ♒☺❍♋♁✂ ♏♑❐♓⬥♦♋❖❍♏■❐■ ♑●⬥♁⬥⬥♋■ ♐♋♓🖃 ♦♒🖃■ ☺☼⬥❍

♋♓❖⬧■📪 💧🙰●♋❖♌⬧■ 🙰♋♓🖃 👌□◆●♑♋❖❒⬧■). ქართულ ტექსტში ბულგარელები საერთოდ არ ფიგურირებენ, მათი ხსენება არსადაა. ამ მონაკვეთშიც მხოლოდ ბერძნული ენა არის ხსენებული: «იცოდა მან ენაჲ ბერძული”.

➢ *«კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ც” (§ 176)*

*Col. II, Mir. 5; PG 1369 B 4-7; Lem. I, § 294; p. 230, 22-25.*

ბერძნული ტექსტის მიხედვით, თესალონიკზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო დიდმარხვას, დიდი შაბათის ღამეს, აღდგომის დღესასწაულის წინ (♦♒🕯📪 ■◆🙰♦♓🖃 ♦♒🕯✂ ❍♏♑♋❖●♒✂ ♏☺□❒♦♒🕯✂ ♦□◆🕯 ♋☺ ♑♓□◆🕯 ⬧♋♌♌♋❖♦□◆). ქართულ თარგმანში კი დიდმარხვის დიდი ხუთშაბათია მითითებული: „ხოლო იყვნეს წმიდანი მარხვანი და ყო შავმან განზრახვაჲ, რაჲთა დიდსა ხუთშაბათსა განაცხადოს ზაკულებაჲ თჳსი და აღიღოს ქალაქი“.

➢ *«კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ც’ (§ 179)*

*Col. II, Mir. 5; PG 1369 C 10 – D 7; Lem. I, § 296; p. 231, 6-13.*

ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირადაა განსაზღვრული: არახელსაყრელი ქარის გამო სისინე ბზობის კვირას აღმოჩნდა კუნძულ სკიაფაზე (💧🙰♓♋❒♓❖♋✂ - კიათია).

➢ *«კოვერისათჳს და შავისაჲ, სასწაული ი˜ც” (§ 182)*

*Col. II, Mir. 5; PG 1372 A 13 – C 1; Lem. I, § 300; p. 232, 20-30.*

ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ერთნაირადაა მითითებული, რომ სისინე ჩავიდა თესალონიკში წმინდა კვირის ოთშაბათს შვიდ საათზე.

## 2.6. დასკვნა

წმ. დიმიტრის «სასწაულების” ქართული თარგმანი შესრულებულია ეფთვიმე ათონელისათვის ჩვეული კომპილირების მეთოდით. ეფთვიმეს თარგმანში გამოყენებული აქვს წმ. დიმიტრის სასწაულების როგორც პირველი, იოანე თესალონიკისეული (VI-VII სს.), ასევე მეორე, ანონიმური ციკლი (VII ს.). მაგრამ თარგმანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ბერძნული ტექსტისაგან. ყველა

გამოყენებული სასწაული თარგმანში მნიშვნელოვნად შემოკლებულია. ამასთანავე ეფთვიმეს სასწაულების ნაწილი სულ არ გადმოაქვს, სხვებიდან აღებული აქვს მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები და ეს ეპიზოდები ჩართული აქვს სხვა სასწაულში ისე, რომ ბერძნული ტექსტის არმცოდნე მკითხველისათვის სრულიად არ შეიმჩნევა თხრობის ლოგიკის დარღვევა ან ჩართული მონაკვეთების ხელოვნურობა. ამას გარდა, ეფთვიმეს თარგმანში ჩამატებული აქვს ისეთი სასწაულები და ცალკეული სასწაულების ფარგლებში ისეთი დეტალები, რომლებიც ჩვენს ხელთ არსებული წყაროებში არსად ჩანს. ბერძნული სასწაულებიდან ეფთვიმემ თარგმანში საერთოდ არ შეიტანა ოთხი სასწაული: პირველი, იოანეს ციკლიდან სამი (მე-6, მე-7 და მე-12) და მეორე, ანონიმური ციკლიდან – ერთი (მე-3) სასწაული. ორივე ციკლის დანარჩენი ყველა სასწაული თარგმანში შინაარსობრივად ასახულია მთლიანად ან ცალკეული ეპიზოდის სახით. თავის მხრივ, თარგმანში გამოვლინდა შვიდი ახალი სასწაული. ეს სასწაულები ვერ მოვიძიეთ ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ თუ ლათინურ წყაროებში, ინფორმაცია მათ შესახებ არ ჩანს არც სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ სასწაულების წარმომავლობის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. ჯერ კიდევ იოანე თესალონიკელის აღნიშვნით, ზეპირი გზით ვრცელდებოდა წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების დიდი რაოდენობა და მან თავის ციკლში შეიტანა მხოლოდ ნაწილი, რომელთა ჭეშმარიტების შესახებაც მას ეჭვი არ ეპარებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ სასწაულების ნაწილი მომდინარეობს დღეისათვის დაკარგული ბერძნული წყაროდან. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ამ ჩანართ სასწაულთა ნაწილი მაინც თავად ეფთვიმეს ორიგინალური შემოქმედება უნდა იყოს.

ეფთვიმეს თარგმანის ბერძნულ ტექსტებთან მიმართების უკეთ წარმოსაჩენად ნაშრომში შეტანილია ცხრილი, სადაც ტექსტების ურთიერთმიმართება დეტალურად არის წარმოდგენილი. ცხრილში ასევე შეტანილია კომენტარები და ინფორმაცია ყველა იმ საინტერესო თავისებურების შესახებ, რაც შეიმჩნევა «სასწაულების” ქართულ თარგმანში.

წმ. დიმიტრის «სასწაულების” პირველი ორი ციკლი მეტად საყურადღებოა ისტორიკოსებისათვის, ვინაიდან ეს ნაწარმოებები შეიცავს VI-VII საუკუნეებში ავარების და სლავების მიერ მაკედონიისა და საბერძნეთის

დაპყრობის ისტორიის ყველაზე სრულ და უნიკალურ მონაცემებს. სასწაულების ორივე ციკლი თვითმხილველთა მიერ არის დაწერილი, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ აღწერილი მოვლენები საკმარისი სიზუსტით ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. მთლიანობაში სასწაულების ორივე ციკლში მოთხრობილი ამბები მოიცავს თითქმის ერთი საუკუნის პერიოდს – VI საუკუნის 80-იანი წლებიდან VII საუკუნის 80-იან წლებამდე და აგვიწერს თესალონიკსა და მის მიმდებარე რაიონებში არსებულ ვითარებას. თესალონიკის ისტორიის ეს პერიოდი კი ბიზანტიელ ქრონისტებთან თითქმის არსადაა დაფიქსირებული.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ წმ. დიმიტრის «სასწაულების" შემცველი ბერძნული ხელნაწერები თხზულებათა შექმნის დროსთან შედარებით გვიანადელია (IX საუკუნეზე ადრინდელი არ არის). «სასწაულების" ქართული თარგმანი კი გვხვდება უკვე 1003 წლით დათარიღებულ ხელნაწერში Ath. 28, რომელიც ამავე თხზულების შემცველ ბევრ ბერძნულ ხელნაწერზე უფრო ადრინდელია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით: ა) «სასწაულების" ბერძნულ ტექსტში გამოვლენილი ისტორიული მონაცემების არსებობა ეფთვიმესეულ თარგმანში არის კიდევ ერთი არგუმენტი ამ მონაცემების უტყუარობისა და ჭეშმარიტების სასარგებლოდ; 2) ეფთვიმეს თარგმანში შეიძლება დაცული იყოს რაიმე ისეთი, ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო მონაცემი, რომელიც დღეისათვის ცნობილ ბერძნულ ორიგინალში შენარჩუნებული თუ დაფიქსირებული არ არის. ამიტომ «სასწაულების" ქართული თარგმანის შესწავლის დროს ჩვენ განვიხილეთ ტექსტის ყველა ის მონაკვეთი, სადაც ნახსენებია ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაცემები და ვნახეთ, თუ როგორ არის გადმოტანილი ეს მონაკვეთები ეფთვიმე ათონელის თარგმანში.

კვლევამ აჩვენა, რომ ეფთვიმესთვის ისტორიული რეალობის დაცვა არ წარმოადგენს პრიორიტეტს. ეფთვიმეს მიზანია წმინდანის ღვაწლის განდიდება და მისი მლევამოსილების დამტკიცება, რასაც იგი ახორციელებს ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლასიკური პარადიგმების გამოყენებით. ეფთვიმე მისდევს და იცავს მოვლენათა განვითარების იმ ლოგიკას, რომელსაც ჰაგიოგრაფიული კლიშე მოითხოვს და რომელიც ზოგჯერ პირდაპირ წინააღმდეგობაშია თხზულების რეალობასთან. ამის ცხადი მაგალითია

«სასწაულების" ორი ეპიზოდი – ავართა ჯარის და მისი წინამძღოლის, ქაგანოზის დაღუპვა და სლავთა წინამძღოლის, მაუროსის/შავის სიკვდილი, ასევე «წამების" თარგმანში იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილი. სამსავე შემთხვევაში ეფთვიმეს აღწერა სრულიად ეწინააღმდეგება ბერძნულ ტექსტსაც და რეალურ ისტორიულ ვითარებასაც. სამაგიეროდ, ეს არის ლოგიკური და აუცილებელი დასასრული ჰაგიოგრაფიული კლიშეს მიხედვით განვითარებული სიუჟეტური ხაზისა.

ასეთი ვითარების მიუხედავად, ქართულ თარგმანში მაინც შენარჩუნებულია ისტორიული თვალსაზრისით რამდენიმე საყურადღებო მომენტი, რომელიც ნაშრომში დეტალურად არის განხილული.

ამ თვალსაზრისით თხზულების ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ნაწილია შესავალი. აქ იოანე თესალონიკელს ხაზგასმული აქვს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: 1) იგი თხზულებაში აღწერილი სასწაულების თვითმხილველია ან თვითმხილველისგან მოყოლილს წარმოგვიდგენს; 2) აღგვიწერს თზულებაში წარმოდგენილი სასწაულების თემატურ დაჯგუფებას; 3) მიგვანიშნებს, რომ «წამება" წერილობითი სახით არსებობდა «სასწაულების" შექმნამდე. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ თარგმანში შესავალი ნაწილი, როგორც ვთქვით, საკმარისად შემოკლებულია, ეს სამივე მომენტი აქ დაცულია. ქართულ თარგმანში შესავალში ორჯერ არის აღნიშნული ავტორის თვითმხილველობის ფაქტი, ინფორმაცია «წამების" შესახებ დაფიქსირებულია. რაც შეხება სასწაულების თემატურ დაჯგუფებას, ეფთვიმეს ეს მონაკვეთი თარგმნილი არა აქვს, მაგრამ თარგმანში დაჯგუფების ეს პრინციპი დაცული აქვს უცნობი სასწაულების შეტანის დროსაც კი.

მეცნიერთა აზრით, წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ორ ციკლს ახასიათებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება – მათი ე. წ. «სეპარატისტული" ხასიათი (R. Macrides, Ch. Walter). ადრეული ციკლების ორივე ბერძენმა ავტორმა თავიანთ თხზულებებში ხაზგასმით გამოკვეთა ის ფაქტი, რომ გაჭირვების ჟამს ქალაქ თესალონიკს წმ. დიმიტრის გარდა სხვა დამცველი არავინ ჰყავდა და რომ დედაქალაქს და მის მმართველობას თესალონიკის ბედი არ აღელვებდათ. ეს იყო ბიზანტიის იმპერიის ამ ორი უმნიშვნელოვანესი ქალაქის, კონსტანტინოპოლისა და

თესალონიკის, ქიშპობის ადრეული ეტაპი, რომელიც შემდგომ პერიოდში კიდევ მეტად გამწვავდა და თითქმის იმპერიის გაყოფა გამოიწვია.

ბერძნულ თხზულებებში ამ დაპირისპირების გამოკვეთა ხდება წმ. დიმიტრის ღვაწლის ხაზგასმით. ის ფაქტიც, რომ წმ. დიმიტრის რელიქვიები ხელშეუხებელი იყო და მათი თესალონიკიდან გატანა შეუძლებელი გახდა, კიდევ მეტად გამოკვეთს წმინდანის ერთგულებას ქალაქისადმი. წმ. დიმიტრის განდიდება კი გამიჯნავს თესალონიკს კონსტანტინოპოლისაგან და ეს გამიჯვნა დედაქალაქის სასარგებლოდ არ მეტყველებს. სასწაულების ადრეული ციკლების მიხედვით, იმპერია და მისი მმართველი უყურადღებობას იჩენდა თესალონიკის მიმართ, ქალაქი მიტოვებული იყო ბედის და წმინდანის ანაბარა. ყოველივე ეს კი ლოგიკურად უნდა დასრულებულიყო ქალაქის სრული გამოყოფით, რაც თითქმის კიდევაც განხორციელდა მომდევნო საუკუნეებში.

საინტერესოა, რომ ეფთვიმეს თარგმანში წმ. დიმიტრის ღვაწლი კიდევ მეტად არის გამოკვეთილი, შეიძლება ითქვას, წმინდანის დიდების და ძლევამოსილების ამსახველი ეპიზოდებიც, ჩანართების ხარჯზე, ორიგინალზე მეტია. მაგრამ ბერძნულ სამყაროში წმ. დიმიტრის სასწაულების ადრეული ციკლების «სეპარატისტული" განწყობა პოლიტიკური მიზნებითა და მიზეზებით იყო გაპირობებული. ეფთვიმეს თარგმანში კი ამ ეპიზოდებს სულ სხვა დატვირთვა აქვს – ეფთვიმესთვის ეს არის მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთ საშუალება წმ. დიმიტრის განდიდებისა.

წმ. დიმიტრის წარმომავლობა დღესაც საკამათო საკითხია. მეცნიერთა აზრით, «წამების" ბერძნული შუალედური რედაქციის ორი მონაკვეთი მიგვანიშნებს წმინდანის სირმიულ წარმომავლობაზე (J. Zeiller, D. Obolensky, M. Viskers და სხვა). ეფთვიმეს თარგმანში ორივე მონაკვეთი ზუსტად არის თარგმნილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს გარემოება რაიმეს მანიშნებელი უნდა იყოს. სათარგმნი ტექსტისადმი ეფთვიმეს მეტად თავისუფალი მიდგომიდან გამომდინარე, წმ. დიმიტრის წარმომავლობას ეფთვიმესთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, ვფიქრობთ, მაშინ იგი საგანგებოდ გამოყოფდა ამ მომენტს თავის თარგმანებში, როგორც ეს გვაქვს ავტორის თვითმხილველობის, მირონმდინარების სასწაულისა და სხვა

შემთხვევებში. ზემოთ აღნიშნული ორი მონაკვეთის შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ეფთვიმემ უბრალოდ შექმნა ორიგინალთან დაახლოებული თარგმანი.

ასევე საინტერესოა მოწამის წმინდა ნაწილებთან დაკავშირებული საკითხები. «წამების" და «სასწაულების" ბერძნულ ტექსტების მიხედვით, წმ. დიმიტრის ნეშტი დამარხეს მისი წამების ადგილზე, სადაც შემდგომში აიგო წმინდანის სახელობის ტაძარი. თესალონიკში წმ. დიმიტრის სახელობის ტაძარში არქეოლოგიური გათხრების შედეგად წმინდანის ძვლები აღმოჩენილი არ იქნა. როგორც ჩანს, იქ წმინდანი არც არასოდეს ყოფილა დაკრძალული. მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ წმ. დიმიტრის რელიქვიების არარსებობა გახდა ყველაზე ძლიერი ფაქტორი მისი კულტის დამკვიდრებისა. ამ ფაქტს მიეცა ასეთი ახსნა: რელიქვიები თავისთავად ხელმიუწვდომელია, ვინაიდან, ერთი მხრივ, ძალიან ღრმად არის ჩამარხული და, მეორეც, თავად წმინდანმა აკრძალა თავისი ნაწილების ხელის ხლება. ეს კი ნიშნავს, რომ იგი არასოდეს დატოვებდა თავის მშობლიურ ქალაქს.

ასეთი ინტერპრეტაცია ეფთვიმესთვის უეჭველი ფაქტია. წმინდანის ნაწილების არსებობის დასამტკიცებლად «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმესეულ თარგმანებში ჩართულია რამდენიმე ეპიზოდი. თარგმანებში, ბერძნული ტექსტის მსგავსად, მითითებულია, რომ თესალონიკში წმ. დიმიტრის სახელობის ტაძარი აგებულია მისი წამების ადგილზე, ანუ მის საფლავზე. უშუალოდ მისი საფლავის თავზე კი, თარგმანის ერთ-ერთი ჩანართი ეპიზოდის მიხედვით, პრეფექტ ლეონტიუსის მესვეურობით აღმართეს «კუბო", რაც ბერძნული «კიბორიუმის" (აკლდამა, ტახტრევანი) შესატყვისი უნდა იყოს. უშუალოდ საფლავზე კი დადგეს «ლუსკუმა", რომლის შესატყვისიც ბერძნულში არ არის. ეს არის მეტად საინტერესო ჩანართი – «ლუსკუმა" იყო პრეფექტ ლეონტიუსის მიერ, წმ. დიმიტრის კარნახით, მის საფლავზე დადგმული ჭურჭელი, სადაც წმინდანმა თავისი სასწაულთმოქმედი მირონი აღმოაცენა. ჩვენი აზრით, ლუსკუმის არსებობა არის რეალური ფაქტი და ამას ამტკიცებს თესალონიკში წმ. დიმიტრის ტაძარში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი რელიქვარიუმი, ჭურჭელი გამხმარი მიწისა და სისხლის ნარჩენებით.

მირონმდინარების სასწაული არის წმ. დიმიტრის კულტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა, რომელიც ძალიან თავისებურად არის ასახული წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართულ თარგმანებში.

მეცნიერთ აზრით, ეს სასწაული წმ. დიმიტრის კულტს შეემატა არა უადრეს IX საუკუნისა, მაგრამ საკმაო ხანი რჩებოდა როგორც ნაკლებად ცნობილი, ლოკალური მოვლენა. ამბავი ამ სასწაულის შესახებ გავრცელდა თესალონიკის ფარგლებს გარეთ მხოლოდ XII საუკუნის შემდეგ.

ამ სასწაულის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართული თარგმანები. «წამების" თარგმანში შეტანილია ჩანართი, რომლის მიხედვითაც მირონმდინარების სასწაული უკავშირდება პრეფექტ ლეონტიუსის სახელს, ანუ წმინდანის კულტის ჩამოყალიბების ყველაზე ადრეულ ეტაპს. «სასწაულების" თარგმანში სასწაულთმოქმედი მირონი, ანუ ევლოგია, როგორც მას ეფთვიმე მოიხსენიებს, ჩართულია ფიზიკურ თუ სულიერ განკურნებასთან დაკავშირებულ ყველა სასწაულში. ციკლის ბოლოს კი ეფთვიმე დამატებით ურთავს კიდევ ერთ სასწაულს, რომელიც თავიდან აქ, როგორც ჩანს, არ მოაზრებოდა. იგი საგანგებოდ არწმუნებს მრევლს ამ სასწაულის ჭეშმარიტებაში და აფრთხილებს, თუ რა მოჰყვება ურწმუნოებას. ჩანართი ამ სასწაულის შესახებ გვაქვს ქართულ «შესხმაშიც".

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ეფთვიმე ამ სასწაულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გამოკვეთს მის მნიშვნელობას და პოპულარიზაციას უწევს მას. ჩვენი აზრით, წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართულ თარგმანებში მირონმდინარების სასწაულთან დაკავშირებული თხრობები უნდა იყოს თავად ეფთვიმეს ორიგინალური შემოქმედება. დათარიღების თვალსაზრისით ეს მოვლენა ნამდვილად არ უნდა იყოს ისეთი ადრეული, როგორც მას ეფთვიმე წარმოგვიდგენს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ცნობა მირონმდინარების შესახებ უთუოდ ექნებოდა შეტანილი იოანე თესალონიკელს წმ. დიმიტრის სასწაულების მისეულ ციკლში, იქ კი მსგავსი არაფერია. მაგრამ ეს მოვლენა არც ისე გვიანდელი არ უნდა იყოს, როგორც ამას მეცნიერები მიიჩნევენ. ყოველ შემთხვევაში, უდაოა ის, რომ ეფთვიმეს

მოღვაწეობის დროისათვის, ანუ X საუკუნის მიწურულს, ამბავი ამ სასწაულის შესახებ ფართოდ არის გავრცელებული თესალონიკის ფარგლებს გარეთ.

მეცნიერთათვის ბოლომდე დაუდგენელი რჩება ასევე წმ. დიმიტრის ნაწილებიდან გამოჟონილი მირონის შემადგენლობა. ქართულ თარგმანებში ყველგან მირონის აღსანიშნავად ეფთვიმე იყენებს შესატყვისებად «ნელსაცხებელს" ან «ევლოგიას". ეს სიტყვები სხვა ძველ ქართულ წყაროებში გამოყენებულია ზეთოვანი ნივთიერების აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ეფთვიმესთვის მირონი არის წმინდა ზეთი.

ამდენად, წმ. დიმიტრის «სასწაულების" ქართული თარგმანი არის ბერძნული სასწაულების პირველი და მეორე ციკლების კომპილირებული ვერსია. თარგმანში ეფთვიმემ მნიშვნელოვნად შეამოკლა ორიგინალი. ამის პარალელურად თარგმანში შეტანილია სასწაულები, რომლებიც არ ჩანს ბერძნულ წყაროებში და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში ინფორმაცია მათ შესახებ არ მოიპოვება. ეფთვიმესეული ჩანართი მონაკვეთები «სასწაულების" და ასევე წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული სხვა თხზულებების თარგმანებში შეიცავს ძალიან საყურადღებო მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვანია წმინდანის კულტის ჩამოყალიბების ისტორიისათვის.

# თავი 3

# წმ. დიმიტრის «შესხმა”

## 3.1. ხელნაწერები

წმ. დიმიტრის ქართული «შესხმა” დღეისათვის შემონახულია რვა ხელნაწერში, რომელთაგან ოთხი არის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ შესრულებული თარგმანების შემცველი კრებულები, ორი მათგანი წმინდად ჰაგიოგრაფიული ხასიათის კრებულია, ხოლო დანარჩენი ორი ნარევი კრებულებია. ეს ხელნაწერებია:

1. **H 341**[241]

   XI ს.-ის პირველი ნახევარი, ჰაგიოგრაფიული კრებული.

2. **Sin. 80**[242]

   XI ს., ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული.

3. **A 87**[243],

   XI ს., გრიგოლ ღვთისმეტყელი, კრებული

   416 ფ., 36 x 24,5; ეტრატი, დამკვეთი: მარიამ ბაგრატ აფხაზთა მეფის ასული

   *შეიცავს:* «შესხმა”, 358r-363r.

4. **S 1696**[244]

   XI ს. 60-იანი – 80-იანი წლები, გრიგოლ ღვთისმეტყველი, კრებული

   279 ფ., 38 x 27,5; ეტრატი, ნაკლული, ზოგ შემთხვევაში ნაკლული ადგილები შევსებული XVIII ს.-ის ნუსხურით.

   *შეიცავს:* «შესხმა”, 63r-68v.

5. **S 384**[245]

   XI ს., ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული

   440 ფ., 30,5 x 25; ქაღალდი, ნაკლული.

   *შეიცავს:* «შესხმა”, 240v-244v.

6. **A 16**[246]

   1729, 1739 წ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, კრებული

368 ფ., 31,5 x 21,5; ქაღალდი, გადამწერები: მღვდელი მახარობელი, პავლე მღვდელი. მომგებელი: იასე ყურლაღასი.

*შეიცავს:* «შეხმა”, 117r-121r.

*გადაწერილი უნდა იყოს A 87-დან, ტექსტის აბზაცებად დაყოფა ზუსტად ერთნაირია*[247].

7. **ქუთ. 64**[248]

1788 წ. ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული

550 ფ., 32 x 31; გადამწერები: ხუცეს-მონაზონი იოანე და ხუცესი ოსე.

*შეიცავს:* «შესხმა”, 44r-49r.

8. **A 1338**[249]

1822 წ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, კრებული

329 ფ., 35,8 x 22; ჭვირნიშანი. გადამწერი: ბერი იოსტოს.

*შეიცავს:* «შესხმა”, 100v-104v.

*ეს ხელნაწერი წარმოადგენს A 16-ის პირს.*[250]

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული რვა ხელნაწერიდან ხუთი (H 341, S 384, Sin. 80, A 87, S 1696) საკმაოდ ადრინდელი ხელნაწერია. მათგან ყველაზე ადრეული H 341 ნუსხა XI ს.-ის პირველი ნახევრით თარიღდება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ხელნაწერებში წმ. დიმიტრის «შესხმის” სათაურში ტექსტის ავტორად ყველგან ერთნაირადაა დასახელებული გრიგოლ ნაზიანზელი: «თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა *გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა* შესხმა დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი, რომელი თქუა შემდგომად დღესასწაულისა მისისა დღითა ერთითა გარეთ შესრულმან კონსტანინეპოლედ”.[251] ჩანს, რომ გრიგოლის თხზულებათა ქართული კორპუსის შექმნის ჯერ კიდევ საკმაოდ ადრინდელ პერიოდში (XI ს.-ის პირველი ნახევარი, მაშინ როცა ეფთვიმე მთაწმიდელმა გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედების თარგმნა დაიწყო X ს.-ის ბოლოს[252]) წმ. დიმიტრის «შესხმა” უკვე სავსებით დაბეჯითებით მიეწერებოდა გრიგოლს. დღეისათვის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ბერძნული ხელნაწერების შესწავლა დასრულებულია და არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და აღწერილობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ[253], ჯერჯერობით გრიგოლის ნაწარმოებთა შემცველი შესწავლილი

ბერძნული ხელნაწერებიდან არც ერთში წმ. დიმიტრის «შესხმა" არათუ არ მიეწერება გრიგოლს, არამედ საერთოდ არ არის შეტანილი. ჩვენ შევეცადეთ თხზულების ბერძნული ორიგინალი მოგვეძებნა სხვა წყაროებში.

## 3.2. წმ. დიმიტრის «შესხმა" ბერძნულ ლიტერატურაში

ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს დიდი რაოდენობა სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი შესხმებისა, მაგრამ მათგან არც ერთი არ მიეწერება გრიგოლ ნაზიანზელს. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქართული «შესხმის" ბერძნული ორიგინალი გავრცელების, გადაწერის რომელიღაც ეტაპზე, უბრალოდ შეცდომით ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, რომელიღაც ავტორის მიერ დაწერილი «შესხმა" მიაკუთვნეს გრიგოლ ნაზიანზელს. ამგვარად, ქართული „შესხმის" ბერძნული ორიგინალი რომელიღაც სხვა ავტორის თხზულებებში უნდა ვეძიოთ.

F. Halkin-ის მიხედვით ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი არანაკლებ 41 შეხმისა (BHG 534-547z). ამ ტექსტების მეტი ნაწილი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის და მათი შეწამება ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ ტექსტთან ფაქტობრივად შეუძლებელია. აქ ვასახელებთ იმ შესხმებს, რომელთა ტექსტზეც მიგვიწვდა ხელი და რომელთა ტექსტიც ვადარეთ «შესხმის" ქართულ ვერსიას:

1) გრიგოლ დიაკონის «შესხმა" (BHG 544). გამოქვეყნებულია[254]. ჩვენთვის ეს «შესხმა" განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა, ვინაიდან სწორედ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ნამდვილად ადგილი ჰქონოდა ავტორთა სახელების აღრევას: შესაძლოა, სწორედ გრიგოლ დიაკონის თხზულება ყოფილიყო ქართული «შესხმის" საძიებელი ბერძნული დედანი და მისი გადაწერის დროს რომელიმე ბერძნულ ან ქართულ ხელნაწერში გადამწერს გამორჩენოდა მითითება გრიგოლის დიაკონობაზე. ამის შედეგად „შესხმის" ავტორი შეიძლებოდა გაიგივებულიყო გრიგოლ ნაზიანზელთან, ან ეს გაიგივება მომხდარიყო უბრალოდ სახელების დამთხვევის გამო. მაგრამ ამ «შესხმის" ტექსტის შედარებამ ქართულ «შესხმასთან" ცხადყო, რომ იგი

სრულიად განსხვავდება ქართული ვერსიისაგან და, ამდენად, ამ შემთხვევაში ვარაუდი „შესხმის" ავტორის სახელის აღრევასა თუ სხვასთან გაიგივებაზე გამოირიცხა.

2) ევსტათი თესალონიკელის «შესხმა" (BHG 539). გამოქვეყნებულია[255]. ტექსტი არანაირ სიახლოვეს არ ამჟღავნებს „შესხმის" ქართულ ვერსიასთან.
3) კონსტანტინე აკროპოლიტას «შესხმა" (BHG 542). გამოქვეყნებულია[256]. ტექსტი სრულიად განსხვავდება ქართული „შესხმისაგან".
4) დემეტრიუს ქრისოლორას «შესხმა" (BHG 545). გამოქვეყნებულია[257]. ტექსტი სრულიად განსხვავდება ქართული „შესხმისაგან".
5) თეოფანე კერამევსის «შესხმა" (BHG 547c). გამოქვეყნებულია[258]. ტექსტი სრულიად განსხვავდება ქართული „შესხმისაგან".
6) ნიკოლაოს კაბასილას «შესხმა" (BHG 543). გამოქვეყნებულია[259]. არანაირი თანხვედრა არა აქვს ქართულ ვერსიასთან.

მართალია, დანარჩენი შესხმების ტექსტები ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ობიექტური კრიტერიუმი – ამ შესხმათა დაწერის დრო, რაც სრულიად სარწმუნოდ განსაზღვრავს წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი კიდევ რომელი შესხმები ვერ იქნება ქართული «შესხმის" ბერძნული წყარო. რადგან ქართული „შესხმა" ხელნაწერებში პირველად ჩნდება XI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ H 341 ნუსხაში, a priori შეიძლება ითქვას, რომ ამ თარიღის შემდეგ დაწერილი შესხმები მექანიკურად გამოირიცხება ქართული „შესხმის" შესაძლებელი ბერძნული ორიგინალების სიიდან. აქ ჩამოვთვლით იმ შესხმებს, რომელთა ავტორებიც გვიანდელი პერიოდისაა:

1) კონსტანტინე აკროპოლიტას სამი შესხმა (BHG 540, 541, 542). ამათგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელი მიგვიწვდა მხოლოდ ერთ ტექსტზე და ამ «შესხმის" (BHG 542) ტექსტი სრულიად განსხვავდება ქართული ვერსიისაგან. ამასთანავე, ეს ავტორი ცხოვრობდა XIII-XIV სს.-ში[260] და აქედან გამომდინარე, ვერც დანარჩენი ორი შესხმა იქნებოდა ქართული «შესხმის" წყარო.
2) ნიკოლაოს კაბასილას ორი შესხმა (BHG 543, 543b). ამათგან ერთი ტექსტი (BHG 543), როგორც აღვნიშნეთ, გამოქვეყნებულია და ტექსტი ქართულ

ვერსიას არ დაემთხვა. ამასთანავე, ეს ავტორი გვიანდელი პერიოდისაა, იგი გარდაიცვალა 1371 წლის მახლობლად, ამდენად, ვერც მისი მეორე «შესხმა" იქნება ქართული «შესხმის" წყარო.

3) გრიგოლ პალამას ქადაგება (BHG 546). გრიგოლი ცხოვრობდა 1296-1359 წწ.-ში[261], რაც გამორიცხავს მისი ავტორობის შესაძლებლობას.
4) ნეოფიტოსის ქადაგება (BHG 547). იგი ასევე გვინდელი ავტორია, ცხოვრობდა XII ს.ში.[262]
5) კონსტანტინე ჰარმენოპულოსის «შესხმა" (BHG 547a). იგი XIV ს.-ის ავტორია.[263]
6) ფილოთეოსის, კონსტანტინეპოლის პატრიარქის, «შესხმა" (BHG 547d). ესეც XIV ს.-ის ავტორია.[264]
7) ნიკიფოროს გრეგორასის «შესხმა" (BHG 547f). ესეც გვიანდელი პერიოდის ავტორია, იგი მოღვაწეობდა 1290-1360 წწ.-ში.[265]
8) თეოდორე მეტოქიტის «შესხმა" (BHG 547g) – ეს ავტორი ნიკიფოროს გრეგორასის თანამედროვე იყო.[266]
9) ისიდორე გლაბას ხუთი (BHG 547n - 547s) და
10) გაბრიელ, თესალონიკელი ეპისკოპოსის, შვიდი ჰომილია (BHG 547 - 547z). ორივენი გვიანდელი ეპოქის, XIV ს.-ის ავტორები არიან.[267] ამდენად, მათი დაწერილი ენკომიებიდან ვერც ერთი ვერ იქნება წმ. დიმიტრის ქართული „შესხმის" დედანი.

როგორც ვხედავთ, F. Halkin-ის მიერ მითითებული წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი 41 შესხმიდან 27 ნადვილად ვერ იქნება წმ. დიმიტრის ქართული «შესხმის" დედანი. რჩება 14 გამოუქვეყნებელი ტექსტი, რომელზეც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა და ამიტომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, არის თუ არა რომელიმე მათგანი ქართული «შესხმის" წყარო[268]. ამდენად, ქართული «შესხმის" ბერძნული წყარო კვლავაც შეიძლება საძიებელი იყოს, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვსურს შემოგთავაზოთ «შესხმის" წარმომავლობისა და ავტორის იდენტიფიკაციის ცდა.

## 3.3. წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ტექსტის კომპოზიცია

წმ. დიმიტრის «შესხმის” ქართული ტექსტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს არის არა ორიგინალური, აქამდე უცნობი ნაწარმოების თარგმანი, არამედ გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიის («სიტყუა მღდელმოწამისა კჳპრიანესათჳს” (PG 35, col. 1169 – 1194)) ტექსტის მთლიანი პერეფრაზი. შეიძლება ითქვას, რომ წმ. დიმიტრის «შესხმის” ტექსტი, მართალია, მნიშვნელოვანი შემოკლებებით, მაგრამ გარკვეული სიზუსტით მისდევს, იმეორებს or. 24-ის ძირითად ტექსტს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სადაც დასახელებულია კვიპრიანე, ყველგან მისი სახელი შეცვლილია დიმიტრის სახელით, დეკიოსის სახელი – მაქსიმიანეს სახელით, ხოლო or. 24-ის ის თავები, სადაც გრიგოლი მოგვითხრობს კვიპრიანეს გაქრისტიანების ამბავს, ჩანაცვლებულია წმ. დიმიტრის ცხოვრებისა და წამების აღწერით.

ტექსტების ურთიერთმიმართების სტრუქტურა უფრო დაწვრილებით წარმოდგენილია ცხრილში. ინფორმაცია გადმოცემულია შემდეგნაირად: ცხრილი გაყოფილია ორ ნაწილად, მარცხენა მხარეს მითითებულია თავები და პარაგრაფები გრიგოლ ნაზიანზელის or. 24-ის დავით ტბელისეული თარგმანის მიხედვით[269], მეორე ნაწილში კი მოყვანილია «წმ. დიმიტრის შესხმის” შესაბამისი პარაგრაფები. დავით ტბელის თარგმანი აღნიშნულია ლიტერით T, ხოლო «წმ. დიმიტრის შესხმა» – Enc. Euth.

| **I** | |
|---|---|
| **or. 24 T** | **Enc. Euth.** |
| **1.** 1 | 1 |
| 2 | 2 |
| 3 | 3 |
| **2.** 4 | 4 |
| 5 | 5 |
| 6a | 6 |
| 6b | 7 |
| 7 | 8 |
| 8 | 9 |
| 9 | 10 |

| **II** | |
|---|---|
| **or. 24 T** | **Enc. Euth.** |
| **14.** 50a | 26 |
| | 27 |
| | 28 |
| | 29 |
| | 30 |
| | 31 |
| *(cfr §28)* | 32 |
| | 33 |
| | 34 |
| 50b | 35 |

| **III** | |
|---|---|
| **or. 24 T** | **Enc. Euth.** |
| 57 | |
| 58 | |
| 59 | |
| 60 | |
| **16.** 61a | 49 |
| 61b | |
| 61c | 51 |
| 62a | 51 |
| 62b | |
| **17.** 63a | |

| | |
|---|---|
| 10 | 11 |
| **4.** 11 | 12 |
| 12 | 13 |
| 13 | 14 |
| **5.** 14 | 15 |
| 15a | 16 |
| 15b | |
| **6.** 17 | 17 |
| 18 | 18 |
| | 19 |
| | 20 |
| 19 | 21 |
| **7.** 20 | |
| 21 | 22 |
| 22a | 23 |
| 22b | |
| | 24 |
| | 25 |
| | *(cfr §28)* |
| | |

| | |
|---|---|
| | 36 |
| 51 | |
| 52 | |
| | 37 |
| | 38 |
| | 39 |
| *(cfr §55)* | 40 |
| | 41 |
| 53a | 42 |
| 53b | |
| | 43 |
| | 44 |
| | 45 |
| | 46 |
| | 47 |
| | 48 |
| 54 | |
| **15.** 55 | |
| 56 | |
| | |

| | |
|---|---|
| 63b | 52 |
| 64a | 53 |
| 64b | |
| | 54 |
| | 55 |
| 67a | 56 |
| 67b | |
| | 57 |
| **18.** 68 | 58 |
| 69 | 59 |
| 70 | 60 |
| 71 | 61 |
| **19.** 72 | 62 |
| 73 | 63 |
| 74 | 64 |
| 75a | 65 |
| 75b | |
| 76 | 66 |
| 77 | 67 |
| | |

«შესხმა" საკმარისი სიახლოვით მისდევს or. 24-ის პირველ ხუთ თავს (მეხუთე თავის ბოლო პარაგრაფის გამოკლებით, სადაც საუბარია კვიპრიანეს სიბრძნეზე, იხ. or. 24, § 16); შემდეგ «შესხმაში" ჩართულია რიტორიკული პასაჟი, რომელსაც or. 24-ში პარალელი არ ეძებნება (Enc. Euth. §§ 19-20); or. 24-ის მე-7 თავი «შესხმაში" დაყვანილია სულ რამდენიმე წინადადებაზე (Enc. Euth. §§ 22, 23); or. 24-ის შემდეგი ექვსი თავი კი, მე-8 თავიდან მოყოლებული მე-13 თავის ჩათვლით[270], სადაც აღწერილია წარმართი კვიპრიანეს ცხოვრება და მოთხრობილია მისი გაქრისტიანების ამბავი, «შესხმაში", რასაკვირველია, შეტანილი არ არის და ამის ნაცვლად Enc. Euth.-ში ჩართულია ორი პატარა პარაგრაფი, რომლებიც მოგვითხრობენ დიმიტრის აღზრდაზე (Enc. Euth. §§ 24-25). «შესხმის" შემდეგი პარაგრაფი (Enc. Euth. § 26) შემოკლებული სახით იმეორებს or. 24-ის მე-14 თავის პირველ პარაგრაფს (or. 24, § 50) და ამას «შესხმაში" მოსდევს შედარებით ვრცელი მონაკვეთი, სადაც უკვე უშუალოდ აღწერილია წმ. დიმიტრის ცხოვრება და წამება რიტორიკული ჩანართებით.

წმ. დიმიტრის ცხოვრებისა და წამების აღწერას ჩვენს ცხრილში მოსდევს კვიპრიანეს ღვაწლის აღწერა or. 24-დან, რასაც, ბუნებრივია, «შესხმაში" პირდაპირი პარალელი არ მოეპოვება; მაგრამ ორსავე თხზულებაში მსგავსია მოწამეთა სიკვდილის აღწერა. «შესხმაში" არ არის შეტანილი or. 24-ის ის პარაგრაფებიც, სადაც მოთხრობილია კვიპრიანეს გვამის დაფარვისა და შემდეგ სასწაულებრივი გამოჩინების ამბავი (or. 24, §§ 65-67). სამაგიეროდ, თხზულებათა ბოლო ნაწილები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა, სადაც გადმოცემულია ზოგადი მსჯელობა და მოწამეთა ქება, ისევ მნიშვნელოვანწილად თანხვდება ერთმანეთს.

ტექსტების შედარების გაადვილებისა და მეტი თვალსაჩინოებისათვის წინამდებარე ნაშრომის 164-194 გვერდებზე წარმოვადგენთ გრიგოლ ღვთისმეტყველის or. 24-ის («კვიპრიანეს შესხმის") დავით ტბელის და ეფრემ მცირის თარგმანების მთლიანი ტექსტების დეტალურ შედარებას წმ. დიმიტრის ქართული «შესხმის" ტექსტთან.

| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის „შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
|---|---|---|---|---|
| წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთიმეტყუელისაჲ სიტყუაჲ მღდელმოწამისა კჳპრიანესათჳს | | თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, შესმაჲ და ქებაჲ წმიდისა მღდელმოწამისა კჳპრიანესი. შემდგომად დღესასწაული დღითა ერთითა აგარაკით მიიქცა რაჲ ერისა მიმართ თჳსა, ესე საკითხავი აღმოთქუა | | წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და ღმრთისმეტყუელისა შესხმაჲ წმიდისა და ყოვლად დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი, რომელი თქუა შემდგომად დღესასწაულისა მისისა დღისა ერთისა გარეთ-შემოსრულმან ქალაქად |
| **1.** 1. კნინღა კჳპრიანე განმევლთა ჩუენ, ჵ დაჭირვებასა! და თქუენ თავს-იდევით, რომელთა ყოველთასა უფროჲს გიკჳრს | | **1.** 1. კნინღა კჳპრიანესათჳს დადუმნა ენაჲ ჩუენი, ჵ ზღვევაჲ ესე დიდი! და თქუენ თავს-იდევით ესე, რომელნი უმეტეს ყოველთასა | | 1. კნინღა და დიმიტრის დღესასწაული დაგჳრჩა. ჵ დაჭირვებაჲ ესე! და თქუენ თავს-იდევით რომელნი-ეგე ჭეშმარიტად დიდად პატივ- |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კაცი იგი და წლითი-წლადითა პატივ-სცემთ მას პატივითა და კრებითა. კჳპრიანე, რომლისა მოჴსენებაჲ საჭიროდ უჴმს სხუათ მოვიწყეთაცა, ვინაჲ უფროჲსღა რჩეულთანი იჴსენებოდედ და რომელთა მოჴსენებაჲ თანად ღირსცა და სარგებელ. | | მეცნიერ ხართ ღუაწლთა მისთა და უწყით კაცი იგი საკჳრველი, რომლისა ჴსენებასა და დღესასწაულობასა წლითი-წლად მოსწრაფედ აღასრულებთ და პატივ-სცემთ კრებასა მისსა. კჳპრიანეს უკუე ვიტყჳ დიდსა, რომლისა დაღაცათუ დავიდუმო სიმრავლისაგან ზოგი მაღალთა მათ ღუაწლთა მისთაჲ, გარნა ვაჴსენნეცა, რომელთა-იგი ჴსენებაჲ წმიდა არს და სარგებელ. | | სცემთ წმიდასა მას და წლითი-წლად დიდითა სიხარულითა და გალობითა აღასრულებთ კრებასა მისსა დიმიტრისი, რომლისა დაღაცათუ ვინ ყოვლისავე მოვიწყე იყოს, მისი დავიწყებაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ ჴსენებაჲ მისი კეთილ არს და სარგებელ. |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 2. არამედ უკუნ-ვსცეთ ვასხი ვახშითურთ, უკუეთუ ოდენ ესრეთ კეთილპოვნიერად გამოვჩნდეთ და არა ყოვლად ვიყვნეთ მოქენე და გლახაკ. ხოლო ფრიადღა თუ გლახაკ, უწყი, რამეთუ შემინდოს ჩუენ დღისშემდგომობისაცა და სიგლახაკისათჳს, ვინაჲთგან ყოვლად დიდსულ და სიბრძნისმოყუარე კაცი იგი. მხოლოდ ვჰმადლობთმცა არგანვლტოლვისათჳს და ვჰმადლობთ-მცა, რამეთუ ღირს. | | 2. არამედ მივსცეთ აღნადგინებითურთ თანანადები, უკუეთუ ესოდენ მდიდრად ვითა გამოვაჩინნეთ თავნი თჳსნი და მარადის ვიყვნეთ გლახაკ და დავრდომილ. ხოლო უკუეთუ ფრიადცა დავრდომილ ვიპოვნეთ, უწყი, რამეთუ შემინდობს ჩუენ შემდგომი დღესასწაულობაჲცა და დავრდომილობაჲცა, რამეთუ ყოვლითავე დიდ არს და საკჳრველ კაცი იგი და სიბრძნისმოყუარე. არამედ ჩუენ ესე ვყოთ უპირატეს ყოვლისა, რაჲთა ვჰმადლობდეთ ღმერთსა, რომელ არა დააკლდა ენაჲ ჩუენი შესხმად წმიდისა მის მისისასა და ვჰმადლობდეთ, რამეთუ ღირსცა არს მადლობისა საქმე ესე. | | 2. არამედ ჩუენ დაღაცათუ დღესასწაულსა მისსა ვერ მივეწიფენით, გარნა აწ აღვასრულოთ თანანადები აღნადგინებითურთ, უკუეთუ ოდენ იპოოს რაჲ ესოდენი ჩუენ თანა და არა გამოვჩნდეთ სრულიად გლახაკ და მთხოველ. უწყი, ვითარმედ შემნდობელ იყოს იგი ჩუენდა სიგლახაკისათჳს და გულსმოდგინებისა, რამეთუ ყოველსა ზედა სულგრძელ არს იგი და მოწყალე. გარნა ამისთჳს ვჰმადლობდეთ, რომელ არა სრულიად დაგჳრჩა დღესასწაული მისი და ღმერთსა ვჰმადლობდეთ, რამეთუ ღირს-არს მადლობისა საქმე ესე. |
| 3. ხოლო იწყებოდედ ესრეთ, რაბამ კეთილად | | 3. ხოლო აწ ვიწყოთ ესრეთ: იხილეთა, ვითარ კეთილად | | 3. ხოლო ვიწყოთ სიტყუასა ჩუენსა ესრეთ. ვითარ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უკმოვიქცევით თქუენდა, და კეთილსაზომებითა ღმრთისა, ყოვლისავე საზომით და სასწორით განმასაზღვრებელისა და განმმართებელისაჲთა, დუმილისაგან – სიტყუად, მოწამეთა-მყუარისაგან – მოწამეთად, ჴორციელისა განსუენებისაგან – სულიერად სერობად. | | მოვედით თქუენდა კეთილითა მით განგებითა ღმრთისაჲთა, რომელი ყოველსა ზომითა და სასწორითა განაწესებს და განაგებს, რომელმან დუმილისაგან მომიყვანა ჩუენ მეტყუელებისა მიმართ და მოწამეთა სიყუარულითა – მოწამეთა მიმართ და ჴორციელისა საზრდელისაგან – სულიერისა საშუებელისა მიმართ. | | კუალად მოვიქეცით თკუენდა და კეთილითა საზომითა ღმრთისაჲთა, რომელი ყოველსავე სასწორითა და საზომითა ჰმართებს და აღასრულებს. მოვიქეცით უკუე თქუენდა დაყუდებისაგან სიტყუად, მოწამეთმოყუარებისაგან – შესხმად მოწამეთა, ჴორციელისა მყუდროებისაგან – სულიერად ტაბლად. |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 2. 4. გუსუროდა თქუენთჳს, ჵ შვილნო, და ნაცვლით-ვისურვებოდეთ, რამეთუ მრწამს. ხედავთა მამისა კეთილცნობობას-ს? ჩემსა ვიტყჳ და თქუენსა ვწამებ და ესოდენ რაჲ განვიყვენით ურთიერთას, რაოდენ სურვილის ცნობამდე და განყოფილების გამოცდილებად, ვითარცა მხატვარნი მაგალითთაგან კუალად შემოვკერბით. რაზამ დიდ ნაზერწყალი ჴსენებისაჲ და მცირე ჩუეულებაჲ მოყუარულთად სახითა და მიმსგავსებულთად ღმრთისა კაცთმოყუარებასა. | | 2. 4. მსუროდა თქუენთჳს, ჵ შვილნო ჩემნო, და სურვიელცა ვიყავ თქუენ მიერ, რამეთუ მრწამს ესე თქუენგან. იხილეთ-ა მამისა კეთილი გონებაჲ, რამეთუ ჩემსაცა ვიტყჳ თქუენთჳს და თქუენსაცა ვწამებ ჩემთჳს, არამედ ესოდენ განვიყვენით ურთიერთას, რომელ სურვილიცა საცნაურ იქმნა თქუენი და გონებისაცა თქუენისა უზაკუველობაჲ და სიკეთე განცხადნა, რამეთუ გამოიცადენით კიდე-ყოფითა ჩუენითა და, ესერა, კუალად ზოგად შემოვკერბით მხიარულებად და ჴსენებად პირველისა მის სურვილისა მჴურვალებასა. | | 4. გუსუროდა თქუენთჳს, შვილნო, და სასურველ ვიყავ თქუენ მიერ, რამეთუ მრწამს ესე. ჰხედავთა ერთგულებასა მამისასა და ჩემსაცა ვიტყჳ და თქუენსა ვწამებ, დაღაცათუ ესოდენ განვეშორენით, რაოდენ სურვილი ჩვენი ურთიერთას გამოჩნდეს, და გამოვიცადნეთ განშორებითა, ვითარცა მხატვარნი მაგალითითა. და კუალად შემოვკერბით სიყუარულისა წესითა და ჴსენებისა საქმითა. |
| 5. და ვითარმცა არა გუეგულვა მოწაფეთა ქრისტესთა, ვიდრე მონის ხატამდე ჩუენთჳს დაცარიელებელისა და ნამდჳლვე ზეციერთაგან უცხოთა თავისა მიმართ თჳსისა შემკრებელისათა, ნაცვლითპყრობად და | | 5. საყუარელნო ჩემნო და მოყვარულნო საქმითა, ვითარ-მე არა გუელმოდა ესე მოწაფეთა ამათ ქრისტესთა, რომელმან დაიმდაბლა თავი თჳსი ჩუენთჳს ხატამდეცა მონისა და უცხოქმნულნი ესე ზეცისა კეთილთაგან თჳსადვე შემომკრიბნა ჩუენ, | | 5. და ვითარმცა არა შევიტკბეთ და ჴელი აღუპყართ ურთირთას და დავიცევითმცა ერთობაჲ სულისაჲ საკრველითა მით მშჳდობისაჲთა, რომელნი-ესე ქრისტეს მოწაფენი ვართ, რომელი-იგი ჩუენთჳს წარმოიცარიელა და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შეტკბობად ურთიერთას და დაცვად ერთობასა სულისასა საკრველითა მშჳდობისაჲთა, რომელი თავ არს სჯულისა და წინაჲწარმეტყუელთა. | | რაჲთა შევეწეოდით ურთიერთას და ვიყუარებოდით და დავიცვათ ერთობაჲ სულისაჲ საკრველთა მათ მიერ მშჳდობისათა, რომელი-ესე შჯულისა და წინაჲსწარმეტყუელთა თავ არს. | | დამდაბლდა, ვიდრე ხატადმდე მონებისა და უცხოქმნულნი ესე თავისა მიმართ თჳსისა შემკრიბნა. |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| **3.** 6. ერთი უკუე ესე არს და პირველი ქველისმოქმედებისაჲ, რაბამ მსრბოლობით მოსრბაჲ და შეტკბობაჲ ურთიერთას, რამეთუ არცაღა თავს-იდებს შური დროებასა და ყოველი ცხორებაჲ ერთ დღე სურვილით მშრომელთათჳს. | | **3.** 6. აწ უკუე ერთი არს ესე მოწყალებისაჲ და პირველი, რაჲთა მსწრაფლ მივრბიოდით შემთხუევად და შეტკბობად ურთიერთას, რამეთუ არა თავს-იდებს მიმყოვრებასა შური და ცხორებაჲცა თჳსი ყოველი ვიეთმე დღედ ერთად შეჰრაცხეს, მათ ვიტყჳ, რომელნი სურვილით იღუწიდენ და იღუაწესცა მრავალთა. | | 6. ესე არს უკუე ერთი კეთილი, რამეთუ ადრე შევკერბით და მოვიკითხეთ ურთიერთას. რამეთუ არცა თავს-იდებს დაყოვნებასა ღმრთისა იგი შური. |
| 6ა. ხოლო მეორე, რომელი დიდვე არა ზურგით მსრბოლობად დღესასწაულისა, არცა დაკლებად მოწამეთა მესაიდუმლოებისაგან და მიერ შექმნადისა ჩუენდა შუებისა და განსუენებისა. | | 6ა. ხოლო მეორე და დიდი ესე არს, რაჲთა არა შემდგომად დღესასწაულისა იყოს სრბაჲ ჩუენი და არცა მოწამეთა საიდუმლოჲსაგან იყოს განჴუებაჲ ჩუენი, და რაჲ-იგი ამის გამო იქმნების ჩუენდა სარგებელ და საშუებელ, მისგან დაკლებაჲ ჩუენი. | | 7. ხოლო მეორე, რომელი-იგი უზეშთაესცა არს, რომელ არა დავშთით ჴსენებისაგან მოწამეთაჲსა დღესასწაულისა ესევითარისა. და განსუენებისა მის, რომელი მას შინა გუექმნების. |
| 7. რამეთუ მე სხუად აღვიარებ ყოვლისა უმცონრესობასა და ყოვლის სურვილის განმმრცუელობასა, მიერ ქრისტეს შემოსითგან, რამეთუ ვერარაჲ განმჭრის მე, რაოდენნი სხუათა საშუებელ და სასწრაფო, | | 7. მე უკუე ამას აღვიარებ, რომელ სხჳთა ყოვლითავე უფროჲს ყოველთასა უდებ ვარ, არამედ ესე ხოლო უწყი, რომელ ყოველივე სურვილი დამიტევებიეს, ვინაჲთგან ქრისტესდა აღმიარებიეს და ვერარაჲ აღმიტაცებს მე, რაოდენიცა სხუათათჳს შუენიერ და სასურველ არს. | | 8. რამეთუ მე აღვიარებ ვითარმედ სხუასა ყოველსავე ზედა სხუათა უმცონარეს ვარ და ყოველივე სურვილი საქმეთა ამაოთაჲ შორს ვყავ ჩემგან, ვინაჲთგან ქრისტეს შევეწყნარე და ვერარაჲ მიმიზიდავს თავისა თჳსისა მიმართ, რომელნი-იგი სხუათა მიერ საწადელ არიან: |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8. ვერ სიმდიდრე ქუემეთრევი და მემწუბი, ვერ მუცლისგემონი და | | 8. ვერცა გემოვნებანი ჭამადთანი, აღმავსებელნი მუცლისანი და მათ | | 9. არცა სიმდიდრე, მსწრაფლ მდინარის სახედ წარმავალი; არცა |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| სიმაღლე, მამაჲ გინებისაჲ, ვერ სამოსელი ჩჩჳლი და გარემომდინარე, ვერ ქვათა მადლიერებანი და კამკამებანი, ვერ სასმენელი მოგ[ო]ნილი, ვერ საყნოსელი მდედრქმნილი, ვერ აღმაზორგებელნი ტყუელვანი ერთა და თეატრონთანი, რომელნი ძუელვე მნებებლთა მიუტევნეთ, | | მიერ სიმაღლე მეტი, მამაჲ გინებისაჲ და მომპოვნებელი მუცლისანი და მათ მიერ სიმაღლე მეტი, მამაჲ გინებისაჲ და მომპოვნებელი ვნებათაჲ და ვერცა შესამოსელთა სილბოჲ და შუენიერებაჲ, ვერცა ქვათა პატიოსნებანი და სიკეთენი და ვერცა ჴმანი მემღერთანი, და უმეტესადღა ჯერ-არს თქუმად, მგრძნებავთანი, ვერცა სულნელებანი, დამადედლებელნი გონებისანი, და ვერცა სახიობანი და აღტყუელვანი თიატრონთანი, განმაცოფებელნი უგუნურთანი, რამეთუ ესევითარი ყოველი მიუტევეთ პირველითგანვე, რომელთაცა ჰნებავს და სურის ამათთჳს. | | მუცლისა გულისთქუმანი და სიმაღლე, მამაჲ იგი გინებისაჲ; არცა სამოსელი ჩჩჳლი და ბრწყინვალე, არცა სიკეთენი ქვათანი, არცა სმენაჲ ამაოთა სიტყუათაჲ, არცა ყნოსაჲ სავნებელთა მათ სურნელთაჲ; არცა ტყუელვანი ერთა და კრებულთანი აღმაშფოთებელი, რომელნი-ესე ადრევე დაუტევენით მეძიებელთა მათთა, რაოდენნიცა არიან ნაშობნი პირველისა მის, გემოჲს ხილვისა ჩუენისანი, ვინაჲ-იგი წარვწყმდით |
| 9. ვერცა რაოდენნი ნაშობ პირველისა მის გემოჲსხილვისა ჩუენისა, რომლისა ძლით წარვწყმდით, არამედ ფრიადსა უგუნურებასაცა ვსწამებ მათგან ძლეულების თავსმდებელთა და სულისა ტომკეთილობისა განმხრწნელთა ამათ შინა კნინ-შუენიერებითა და ვითარცა მდგომარეთა მლტოლვარეთა შეძინებითა. | | 9. არამედ ფრიადსა უგუნურებასა და ნაკლულევანებასა ცნობისა მათისასა გულისჴმა-ვჰყოფ, რომელნი ამათ ესევითართა შეიტკბობენ და ჰნებავს ესევითარი სიცბილი. და რომელ ყოვლადე თავს-იდებენ კნინოდენცა, სიცოფე მათდა არს და სულისა სიკეთესა და აზნაურებასა და დიდებასა განხრწნიან უშუერებითა ამათ საქმეთა სიმცროჲთა და დაუდგრომელობითა და ვითარცა მტკიცედ | | 10. და ფრიადცა ვაბრალებ მათ, რომელნი ამათ ეძიებენ და პატიოსნებასა მას სულისასა განხრწნიან ამათითა სიყუარულითა და ვითარცა დამდგრომთა შეიტკბობენ ლტოლვადთა მათ. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მდგომარენი რაჲ, შეეძინიან ნებსით თჳსით მსრბოლთა და დაუდგრომელთა. | | |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 10. ხოლო მისი ფრიადცა უძღებად მაქუს და გარეშევიცვი და ვნებად თავსა თ სსა მივითუალავ, მოწამეთა პატივითა ვიშუებ და მოღუაწეთა სისხლითა ვიხარებ და სხუათანი სადმე მოღუაწებანი და მძლეობაჲ, ხოლო ჩემ – გჳრგჳნნი. ესოდენ წინა-მივიტაცებ კეთილდიდებულებასა და ესრეთ განვიკუთნებ წარმართებათა! | | 10. ხოლო მე მსურის მარადის და არაოდეს განვძღები დიდებითა მოწამეთაჲთა და პატივითა მათითა ვიშუებ და სისხლთა დათხევითა ღუაწლისა მძლეთა ქრისტესთაჲთა ვიხარებ. და ესე არს უსაკჳრველესი, რამეთუ სხუანი არიან ღუაწლნი და ძლევანი, ხოლო ჩემნი არიან გჳრგჳნნი მათ მიერ. ესოდენ მხიარულ ვარ და წინაჲსწარ აღვიტაცები დიდებითა და ესრეთ სურვილისა მისგან მათისა უსაზომოჲსა შევითჳსებ წარმატებათა მათ მათთა! | | 11. ხოლო მე ამას ზედა ვარ ფრიად უძღებ და მეძიებელ და უძღებებისა მისთჳს თავსა ჩემსა ვაქებცა, რამეთუ მოწამეთა ჴსენებითა და პატივითა ვიშუებ და განვცხრები და მოღუაწეთა სისხლსა ზედა ვიხარებ და ესრეთ შემირაცხიეს, ვითარმედ მათი არს ღუაწლი და ძლევაჲ და მე გჳრგჳნოსან ვარ მათითა ღუაწლითა, ესოდენ მოვიტაცებ მათთა საქმეთა და თჳსად მიჩნს მათი ძლევაჲ. |
| **4.** 11. ყოველთავე უკუე მოწამეთად იდღესასწაულებოდენ და ყოველთა მზად განეღებოდენ ენაჲ და სასმენელნი და მოგონებაჲ მათთჳს რასმე წადიერებით მსმენელთადცა და მეტყუელთადცა და ყოვლისავე უდარეს შემრაცხელთა მათისა მოღუაწებისასა. | | **4.** 11. ყოველთაჲ უკუე ჯერ-არს მოწამეთა კრებისა აღსრულებაჲ და ყოველთათჳს ჯერ-არს განმზადებაჲ ენისა ჩუენისა და გონებისაჲ მოსწრეფებით, რაჲთა ვიტყოდითცა მათთჳს გულსმოდგინედ და ვისმენდეთცა, და რაჲთა ყოველივე სხუაჲ საქმჱ უმცირეს გჳჩნდეს ღუაწლისა მათისა. | | 12. რამეთუ ყოველთა მოწამეთა კეთილ არს კრებისა აღსრულებაჲ და ყოველთათჳს აღსრულებაჲ და ყოველთათჳს აღძრვაჲ ენისაჲ, ხოლო სასმენელთა და გონებისაჲ, რომელნიცა იტყოდინ მათთჳს და რომელნიცა იტყოდინ მათთჳს და რომელნიცა ისმენდენ. და რაჲთა ყოველივე უდარეს გჳჩნდეს მათისა ღუაწლისა, რამეთუ ესრეთცა არს. |
| 12. რამეთუ ესრეთცა აქუს ნამდჳლვე მრავალ ჩუენდა მძღუანველად უმჯობესისა და მრავალ სათნოებისა მიმართ განმსწავლელობანი: სიტყუაჲ, სჯული, | | 12. და რამეთუ ესრეთცა ჯერ-არს, მრავალნი უკუე არიან ჩუენდა წინამძღუარნი უმჯობესისა მიმართ. და ფრიად მრავალ არიან: სიტყუაჲ, შჯული, წინაჲსწარმეტყუელნი, | | 13. და ვინაჲთგან მრავალნი არიან ჩუენდა წინამძღუარ კეთილისა და მასწავლელ სათნოებათა – შჯული, წინაწარმეტყუელნი, მოციქულნი, თავადისა ქრისტეს ვნებანი |

| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
|---|---|---|---|---|
| წინაჲწარმეტყუელნი, მოციქულნი, თავადისა ქრისტეს ვნებანი, პირველისა მოწამისა ჯუარად აღსლვითა ჩემისა შემკრებელისანი, რაჲთა შემსჭუალოს ჩემი ცოდვაჲ და გუელი განაქიქოს და ძელის წმიდა-ყოს და გემოსა სძლოს და ადამ აცხოვნოს და ხატსა დაცემულსა აღმოუწოდოს. | | მოციქულნი, თჳთ თავადისა ქრისტეს ვნებანი, პირველისა მის მოწამისანი, რომელი ჯუარსა ზედა ამაღლდა და მე შემკრიბა განბნეული, რაჲთა შემშჭუალოს ცოდვაჲ ჩემი და გუელი იგი მაკუდინებელი განაქიქოს და ძელი იგი ჯუარისაჲ წმიდა-ყოს და გემოვნებათა მძლე ექმნას და ადამ აღადგინოს და განაცხოველოს და ხატი იგი დაცემული აღმართოს. | | დასაბამისა მის წთისა. რომელი ამაღლდა ჯუარსა ზედა და მე მის თანა აღმამაღლა, რაჲთა შემშჭუალოს ჩემი ცოდვაჲ და გუელი იგი განაქიქოს და ძელი იგი წმიდა-ყოს და გულისთქუმასა არცხჳნოს და ადამ აცხოვნოს და ხატი იგი დაცემული განაახლოს. |
| 13. ესოდენთა ამათ ჩუენთა და ესევითარებთა არარაჲთ უდარეს განსასწავლელ ჩუენდა მოწამენი, ყოვლად დასაწუველებნი სიტყჳერნი, მსხუერპლნი სრულნი, შესაწირავნი მითუალულნი, ჭეშმარიტების მქადაგებელნი, ტყუვილის განმაქიქებელნი, აღსავსებანი სჯულისა და ამის სულიერად საცნობელისანი, საცთურის დაჴსნა, სიბოროტის დევნა, ცოდვის წარრღუნა, სოფლის განწმედა. | | 13. ესეოდენი უკუე და ესევითარი არს საიდუმლოჲ ჴსნისა ჩუენისაჲ. ხოლო არარაჲთ უნაკლულევანეს არიან ჩუენდა საწურთელად წმიდაი მოწამეი, საკუერთხნი იგი სიტყჳერნი, შესაწირავნი იგი და მსხუერპლნი განსრულებულნი და სათნონი უფლისანი, ქადაგნი იგი ჭეშმარიტებისანი, შემაჩუენებელნი იგი სიცრუვისანი, შჯულისა აღმასრულებელნი, რომელნი ოდენ სულიერად გულისჴმა-ჰყოფენ, საცთურისა დამჴსნელნი და სიბორგილისა მაოტებელნი, ცოდვისა განმაბნეველნი, სოფლისა წმიდამყოფელნი. | | 14. და ვინაჲთგან ესოდენნი არიან და ესრეთ ესევითარნი მასწავლელ ჩუენდა სათნოებისა არა რომელსა უდარეს არიან სწავლად კეთილისა ჩუენდა მოწამენი საკუერთხნი იგი სიტყჳერნი შესაწირავნი სრულნი, მსხუერპლნი სულიერნი, ჭეშმარიტებისა ქადაგნი. ტყუვილისა განმაქიქებელნი, შჯულისა აღმასრულებელნი, სულიერისა მის საცთურისა დამჴსნელნი, უკეთურებისა მდევნელნი, ცოდვისა წარმრღუნელნი დასოფლისა წმიდამყოფელნი. |
| 5. 14. ხოლო შენ, კჳპრიანე, აპტიოსანო ჩემდა საქმითცა და სახელით უფროჲს, ვიდრე სხუათა | | 5. 14. ხოლო შენ, კჳპრიანე, პატიოსანო ჩემდა საქმითა და სახელითა უმეტესო და უფროჲს | | 15. ხოლო შენ, დიმიტრი, პატიოსანო და სახელითაცა და საქმითა უფროჲს სხუათა მოწამეთა, რამეთუ |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| მოწამეთასა (რამეთუ შური არცა ერთ მოწამეთაგან | | სხუათა მოწამეთასა (რამეთუ შური არასადა იპოვების | | შური არცა ერთი არს მოწამეთაჲ მოწამეთა მიმართ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოწამეთათჳს), შენითა უმეტეს ვიძლევი სათნოებითა და აღვსუბუქნები ჴსენებითა და ვითარცა საღმრთო ვიქნები სიტკბოებითა და სახითა რაჲთმე შენ თანა ვარ მოწამებითა, და გეზიარები მოღუაწებასა და ყოვლად შენდამი მოვიცვალები. | | მოწამეთა შორის ურთიერთას) და შენითა წარმატებითა ვიძლევი მე სათნოებათაგან შენთა, არამედ ჴსენებითა შენთა მხიარულ ვარ და გულსმოდგინე ვიქმნები ქებად შენდა და ფრიადი ნუგეშინისცემაჲ და სიხარული მომეფინების და გონებითა შენთანა ვარ წამებასა მას შენსა. და გეზიარები ღუაწლთა სიმრავლესა და ყოველითურთ შენდა მოვიცვალები, | | და ამისთჳს ვიტყჳ ვითრმედ უფროჲს ყოველთასა ვიძლევი შენისა მიერ სათნოებისა და ჴსენებითა შენითა და ყოვლითურთ შენდა მოვიცვალები |
| 15. ნუუკუე და სიტყუათამიერისა თჳსებისათჳს, რომლითა ესოდენ სძლე სხუათა, რაოდენ სიტყჳერნი პირუტყუთა ბუნებასა | | 15. უმეტესადღა წარჩინებულებისა მისთჳს სიტყჳერებისა შენისა, რომელ ესოდენ სხუათა უაღრეს იყავ მას ზედა, ვითარცა პირმეტყუელნი პირუტყუთა ბუნებასა უაღრეს არიან | | 16. სიბრძნისათჳს შენისა ფრიადისა, რომლითა ესოდენ უზეშთაეს იქმენ სხუათა მათ კაცთა სოფლისა ამის ამაოჲსათა, რაოდენ სიტყჳერნი უმჯობეს არიან პირუტყუთასა. |
| 15ა. რამეთუ თანაშეჰყვების, ვითამე არა უწყი, თუ ვითარ მოყუარებაჲ თანამოკიდულთა რაჲთამე არა უდარეს სხუათა საქმეთა შინა, ვიდრეღა სისხლთამიერსა თჳსებასა), ანუ ნუუკუე და მყისისა და საკჳრველებითისა შეცვალებისათჳს, რომელი ზეშთა არს სიტყჳსა და სახისა მსგავსებისა. | | 15ა. (რამეთუ თანა-შეჰყვების, არა უწყი თუ ვითარ, სიყუარული ფრიადი, რომელნი განსწორდებოდიან რომელსამე საქმესა ზედა და ერთობაჲ მათი იხილვებოდის მას ზედა, არა უდარესი სხუათასა, გინათუ მათსა, რომელთა თჳსებაჲ რაჲმე ჩნდეს ნათესავობისაგან და სისხლისა და ამის გამო აქუნდეს სიყუარული) და ესე, ვითარ ვჰგონებ, მყის შეცვალებისათჳს და ქცევისათჳს საქმეთაჲსა, რომელი-ესე უმჯობეს სიტყჳსა და იგავისა არს.* | | |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| **6.** 17. ეგრეთვე კჳპრიანე, ჵ კაცნო (რაჲთა მეცნიერთა | | **6.** 17. ეგრეთცა კჳპრიანე, ჵ კაცნო, რომელთა უწყით, | | 17. ესე არს დიმიტრი სანატრელი. ჵკაცნო, ძმანო, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტკბილ გექმნეს მოჴსენებაჲ, ხოლო უმეცართა ისწავოთა უმჯობესობაჲ ჩუენთა თხრობათაჲ და ზოგადი პატივისმოყუარებაჲ ქრისტიანეთაჲ), | | მხიარულ იქმნენით ჴსენებითა მისითა და შეიტკბეთ სიხარულით დიდი ესე ახოვანი ქრისტესი, ხოლო რომელნი უმეცარ ხართ, გულისჴმა-ყავთ სიკეთე ესე მითხრობათა ამათ ჩუენთა მისთჳს და ზიარი ყოველთა ქრისტიანეთა პატივი. | | იხილეთ და იხარებდით, ესე არს ჩუენისა ამის დღესასწაულისა წინამძღუარი და ზიარი ყოველთა ქრიატიანეთა მეოხი და სიხარული, |
| 18. ესე იგი ოდესმე კარქედონელთა, ხოლო აწ ყოვლისა სოფლისა სახელი, საჩინოჲ სიმდიდრითა და წარჩიენბული ძლიერებითა და ტომით შესწავებული (უკუეთუ ოდენ დიდაზნაურების გამოსაჩინებელად, სჳნკლიტთა ზრახვისა მიმღებლობაჲ და თანამქცეობაჲ), სიჭაბუკისა ყუავილი, ბუნებისა სიხარული, სიტყუათა ძლიერებაჲ, ფილოსოფოსობითთაჲცა და რაოდენი სხჳსა სწავლულებისაჲ და ამათგანი, რომელიცა კერძოჲ გნებავს, | | 18. ესე უკუე საქებელი კჳპრიანე, დიდი იგი ოდესმე ქალკიდონელთა სახელი, ხოლო აწ ყოვლისა სოფლისა მნათობი, რომელი სიმდიდრითა საჩინოჲ იყო და ძლიერებითა წარმატებულ და ნათესავით საცნაურ ყოველთა (უკუეთუ კმა ოდენ არს წამებად ესე სიდიდისა მისისა და გამოჩინებად, წარჩიენბულ უკუე პალატსა სამეუფოსა პატივითა და მაღალ საყდრითაა), სიჭაბუკისა იგი ყუავილი, ბუნებისა სამკაული, სიტყჳთა ძლიერი და უძლეველი საფილასოფოსოჲთა და სხჳთა ყოვლითა სწავლულებითა სიბრძნის-მოყუარებისაჲთა და ამას ყოველსა ზედა, რომელიცა გნებავს კერძოჲ. | | 18. დიდი იგი და სახელოვანი თესალონიკისა ზღუდე და აწ ყოვლისა სოფლისა ფრიადი იგი სიმდიდრითა და განთქუმული ახოვნებითა, საჩინოჲ ნათესავითა და წარჩინებული მთავართა შორის, ყუავილი სიჭაბუკისაჲ და შუენიერებაჲ ბუნებისაჲ, სიმაღლე სიბრძნისაჲ და სამკჳდრებელი სათნოებათაჲ. |
| ***Oratio* 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)** | | ***Oratio* 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| | | | | 19. და რომელიმე ვაჴსენო მისთა სათნოებათაგანი, ანუ რომელიმე დავიდუმო, რამეთუ ვინაჲთგან მრავალნი სათნო-ეყვნეს ღმერთსა შჯულისმდებელნი ერისმთავარნი, მღდელნი, წინაწარმეტყუელნი, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | მახარებელნი, მოციქულნი, მოწამენი, მწყემსნი, მოძღუარნი და ყოველნი გამოჩინებულნი სიწმიდესა ზედა, გინათუ სასწაულთა, ანუ სიტყუათა და სრულქმნულნი სისხლთა დათხევითა. |
| | | | | 20. ამათ ყოველთა დიმიტრი რომელთამე სწორ იქმნა, რომელთამე წარჰჭდა და რომელთამე ეშურებოდა, რომელთაჲმე მოიპოვა საქმე. და რომელთაჲმე შური და რომელთაჲმე ღუაწლი დასხუაჲ სხჳსაგან და სხუაჲ სხჳსაგან მიიღო სიკეთე, ვითარცა მხატვარმან, რომელი მოიღებნ მრავალთა წამალთა შესამკობელად ხატისა, ეგრეთვე ამან მრავალთაგან სათნოებაჲ სულსა თჳსსა შემოუკრიბა |
| 19. ვიდრემდის უფროჲს მრავალსწავლულების სრულებისა თითოფერობაჲ, ვიდრეღა თითოეულსა შინა სათნოყოფილებაჲ უმეტეს ყოველსა შინა | | 19. გინათუ მრავალგუარობაჲ მეცნიერებათა მისთაჲ, გინათუ უცთომელობაჲ არს ღირს საკჳრველებისა და უმეტეს ყოვლისა პირისა საქმეთა წულილად და | | 21. და ერთი სახე სრულებისაჲ მოიპოვა და სიტყუასა ზედა განბრძნობილთა საქმითა სძლო და საქმით მოღუაწეთა სიტყჳთა ერეოდა და გინათუ უსაკუთრესადრე ვთქუთ, |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| სწავლისმოყუარებისასა, ანუ, რაჲთა უცხდესად-რე განვყო, პირველისა მის თითოფერობაჲ, ხოლო მეორისა სრულებაჲ არს ოდესმე, რომელ რომელთამე ორთავე შინა და ყოველთავე ყოველთა სძლევდა. | | დაუშთომელად მეცნიერებაჲ მისი დიდი და მაღალი, და რაჲთა შემოკრებულად ვთქუა, ყოვლითავე მეცნიერებითა და სიბრძნითა ყოველთა უაღრეს იყო და ყოველთა სძლევდა. | | ვითარმედ სიტყჳთა სიტყუასა ზედა სახელოვანთა სძლო და საქმითა საქმეთა ზედა წარჩინებულთა. |
| 7. 20. რამეთუ სიტყუათა სიტყუანივე მოწამე, რომელთა მრავალთა და ბრწყინვალეთა იგი ჩუენთჳს | | 7. 20. რამეთუ სიბრძნესსა მისსა სიტყუანი მისნი წამებენ, რომელნი მრავალად და ბრწყინვალედ ჩუენთჳს | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაასრევდა, ვინაჲთგან მოცვალა სწავლულებაჲ კაცთმოყუარებამან ღმრთისა ყოვლისავე უმჯობესად მოქმედისა და მცვალებლისამან და სიტყუთა წარრღუნა უსიტყობაჲ. | | მან აღმოთქუნა დასამტკიცებელად მორწმუნეთათჳს და დასამჯობელად ურწმუნოთათჳს, რამეთუ მიცვალა ღმრთისა კაცთმოყუარებამან სწავლულებაჲ მისი, ვინაჲცა ჯერ-იყო, რომელი იქმს ყოველსა და შესცვალებს უმხობესისა მიმართ და პირმეტყუელებითა მისითა პირუტყუებაჲ იგი პირველი მოდრიკა. | | |
| 21. ხოლო ამიერითგან არა უწყი, ვითარ ვიჭუმიო სიტყუაჲ და ვინ ვიქმნე და ვითარ არა სიგრძედ განვჰფინო სიტყუაჲ ყოვლად ჟამის გარეგნობით ყოველთავე კჳპრიანესთა მომჴსენებელმან, ანუ ვითარ არა დიდად დავაჭირვნე აქა მყოფთა დადუმებულნი მისთჳს. | | 21. ხოლო აქაჲთგან არა უწყი, თუ ვითარ ვიჭუმიო სიტყუაჲ და გინათუ ვინ ვიქმნა მე და ვითარ არა განვაგრძო სიტყუაჲ ჩემი და სრულიად ჟამისა ამისგან კიდე განვიყვანო, რამეთუ ჟამი შემოკლებასა ითხოვს, ხოლო წესი თჳსსა ეძიებს, რაჲთა ყოველნივე ვაჴსენნე კჳპრიანეს დიდისა საქმენი და ვითარ არა დიდი ზღვევაჲ შევჰჭადო ერსა ამას, რომელნი გულსმოდგინედ ისმენენ, უკუეთუ და-რაჲ-მე-ვიდუმო მისი და თანა-წარვჰჴდე. | | 22. ყოველთავე უკუე საქმეთა მისთა თქუმაჲ და ქებაჲ შეუძლებელ არს და გრძელცა, და მიუწდომელ, და საქმე არს დიდი. |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 22. გარნა რაჲთა შუა განვლო ჟამისა და მსმენელთა სურვილისა, ესრეთ საქმარ-ყოფაჲ ჩემდა, | | 22. არამედ რაჲთა შუვაჲ ვიპყრა გზაჲ სლვისა მის ჩემისაჲ ჟამისა მიმართ და სურვილისა მსმენელთაჲსა, ვითარ ვჰგონებ, ესრეთ უმჯობეს არს, რომელი ვყოთცა, | | 23. არამედ ჩუენ მისგანი მცირედი ვთქუათ, რაოდენი არს აწ ჴსენებულ, რაჲთა თქუენი სიყუარული აღვასრულოთა და დღესასწაულისა კრებაჲ სრულ-ვყოთ |
| 22ა. რაჲთა სხუები მეცნიერთა დაუტეო სწავლად უმეცართა, არიან-ღა-თუ ვიეთნიმე, რაჲთა ორნივე | | 22ა. რამეთუ ზოგი რაჲმე დაუტეოთ სხუათაცა, რომელთა უწყოდიან, რაჲთა ასწავებდენ, რომელნი-იგი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ირგებდენ მსგავსადვე, მასწავლელნიცა მისთანი და მოსწავლენიცა (ვინაჲთგან მოჴსენებაჲცა კაცისაჲ მის სიწმიდე და დიდ მლოცველ სათნოებად მიმართ სიტყუაჲ), ხოლო ერთი ოდენ ანუ ორი მისთაგანი მცირეთა მიერ მოჴსენებად და ესენი, რომელთა თანა წარვლაჲ ვერცაღა მნებებლსა ძალ-უც. | | ჴუებულ იყვნენ მეცნიერებისაგან საქმეთა მისთაჲსა, უკუეთუ ოდენ იპოვნენ ეგევითარნი, რომელნი შემძლებელ იყვნენ სწავლად უმეცართა, რაჲთა ზოგად სარგებელ ეყოფვოდის მასწავლელთაცა და მოსწავლეთაცა საქმისა მისისათა (რამეთუ ჴსენებაჲცა ოდენ მისი მომატყუებელ სიწმიდისა არს და დიდი ნუგეშინისცემაჲ არს დასწავლაჲ სათნოებისაჲ – მეცნიერებაჲ ღუაწლთა მისთაჲ). ერთი უკუე ანუ ორი მოვაჴსენოთ საქმეთა მისთაჲ მცირედითა და შემოკლებულითა სიტყჳთა, რომელთაჲ დაღაცათუ ფრიად მენებოს, თანაწარსლვაჲ შეუძლებელ არს.** | | |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| | | | | 24. რამეთუ იგი აღიზარდა სიჩჩოჲთგან თჳსით სიწმიდით და ღმრთისმსახურებით და მოიღო წმიდათაგან წერილთა სიმდიდრე გულისჴმის-ყოფისაჲ და სიმრავლე სათნოებათაჲ და ამათ ორთაგანვე შეთხზნა ერთი ჯაჭჳ ოქროჲსაჲ, ჭეშმარიტად არა მრავალთა მიერ დათხზული, და მოიგო ცხორებაჲ მომატყუებელი გულისჴმის-ყოფისაჲ და გულისჴმისყოფაჲ, ბეჭედი ცხორებისაჲ, |
| | | | | 25. რამეთუ დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | უფლისაჲ, ვითარცა სახუეველი რაჲმე სიჩჩოებისაჲ, რამეთუ სიბრძნე უზეშთაეს გუყოფს შიშისა და სიყუარულად მიგჳყვანებს და მონათა წილ მეგობარ და ძე ღმრთისა გუყოფს. და ვინაჲთგან უკუე ესრეთ აღიზარდა და წარემატა სათნოებითა ასწავებდა ყოველთავე ღმრთისმსახურებასა. |
| 13. 49. სიტყუათა თჳსი პატივისმოყუარებაჲ, რომელთაგან ყოველი ჩუეულებაჲ განსწავლა და სჯულათა უსწავლელობაჲ დაჰჴსნა და კაცთა ცხორებაჲ შეამკო და მთავრობითისა და მეუფებითისა სამებისა ღმრთეებაჲ განჭრილი არს | | 13. ... 49. ხოლო სიტყუათა მისთა პატიოსნებაჲ დიდი იყო, რომელთა მიერ ყოველნი განწუართნა და ქადაგებისა ცთომაჲ უწურთელთაჲ განწმიდა და კაცთა ურიცხუთა ცხორებაჲ შეამკო და საუფლოჲსა და სამეუფოჲსა სამებისა ღმრთეებაჲ | | |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| და რომელთაგანმე შერწყუმულიცა, დასაბამისადვე კუალად აგო, საზღვართა შინა ეგო კეთილმსახურებითისა შეერთებისა და თანააღურიცხუვისათა, და რაჲთა ესენი შევამოკლნე უზომოებისათჳს, ცხორების დასასრულსავე თანა დავასრულო სიტყუაჲცა. | | რომელთაგანმე განიყოფვოდა და კუალად სხუათაგან შეირწყუმოდა, ორთაგანვე კერძთა უჯეროჲ, პირველსავე წესიერებასა აღიყვანა, საქღვართა შინა დაადგრა კეთილად მსახურებისა და ჭეშმარიტებისათა შეერთებისა და აღრიიცხუვისათა, და რაჲთა ესევითარი შევამოკლო ურიცხობისათჳს, რამეთუ ფრიად მრავალ და აურაცხელ არიან სიმრავლენი წარმატებათა მათ მისთანი, და რაჲთა აღსასრულსა თანა ცხორებისა მისისა აღვასრულოთ სიტყუაჲ ესე მითხრობისა ჩუენისაჲ. | | |
| 14. 50. აღბორგნებოდა ჩუენთჳს დეკეოზ და ყოველ | | 14. 50. განცოფებულ იყო ჩუენ ზედა ჟამთა მათ | | 26. ხოლო მათ ჟამთა შინა ბორგდა ჩუენ ზედა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახესა ტანჯვათასა მოიპოებდა და რომელიმე აწვე აქა იყო მჳრთაგანი, რომელსამე ეგულებოდა, ვინაჲ სწორ ღუაწლ იყოფდა ქრისტიანეთა წარტყუენვასა და მისს წინათა მდევარეთა ზეშთ-ყოფასა, | | დეკეოზ და ყოველთა სახეთა სატანჯველისათა იგონებდა. და რომელნიმე განმზადებულ იყვნეს ბოროტნი და რომელნიმე განემზადებოდეს, ესოდენი უკუე აქუნდა მოსწრაფებაჲ ამას ზედა სწორებით, რაჲთა ქრისტიანენიცა მოიყვანნეს თჳსსა ნებასა და პირველთა მეფეთასა უმეტესი აჩუენოს სიფიცხლე უშჯულოებისაჲ, რაოდენცა პირველ მისა სდევნიდეს ქრისტიანეთა. | | მაქსიმიანე და აღაოჴრებდა სარწმუნოებასა მართალსა და ღმერთთა მათ ბოროტთა მონებითა დააბნელა ქუეყანაჲ და სდევნიდა ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურთა, |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| | | | | 27. რომელისათჳს გრძელ არს სიტყუაჲ, რომელი-იგი დიდად პატივ-სცემდა დიმიტრის და წარჩინებულად ეპყრა მთავართა შორის თჳსთა. |
| | | | | 28. ხოლო იგი აღიძრვოდა შურითა და შეიჭუებოდა ცეცხლითა მით საღმრთოჲსა შურისაჲთა, ასწავებდა და მოაქცევდა ერთა ღმრთისმსახურებად. რამეთუ აღამაღლა იგი ღმერთმან რქად ცხორებისად ერსა შორის და ცეცხლად შემწუველად ეკლოვანთა მათ ძირთა ბოროტთა და ნიჩბად განმარჩეველად ღუარძლთა იფქლისაგან და მახჳლად მომკაფელად უკეთურებისა, რამეთუ პოვა სიტყუამან თჳსი შემწე და სულმან წმიდამან განაძლიერა მისთჳს მბრძოლი. |
| შდრ: «*და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ* | | | | 29. და იყო იგი მაღალ საქმითა და მდაბალ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *ჴორცთა თჳსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა დაა მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარჱ ჯეჯილსა ღმრთისმსახურებისასა.”* | | | | გონებითა, სათნოებითა მიუწდომელ, მშჳდ, განურისხველ და მოწყალე, ტკბილ სიტყჳთა და უტკბილეს საქმითა, ანგელოზის მსგავს ხატითა და ანგელოზ გონებითა. |
| **Oratio 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | **Oratio 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი* (Enc. Euth.)** |
| *«და ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძნდა სულსა მისსა, და ნაყოფი ღმრთისა სიყუარულისაჲ გარდაემატა მის შორის... ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჴორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო”. (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძეგლები, I, გვ.250)* | | | | 30. და ვითარმე გამოგისახო ყოვლითურთ კაცი იგი დიდი და მაღალი, ჭაბუკი ჰასაკითა და მჴცოვანი გონებითა, მაღალი სათნოებითა და მხედველი ღმრთისაჲ, ახოვანი გუამითა და ფრიად უახოვნესი სულითა. მოვედით უკუე და შემეწიენით მე, რომელი-ესე სიტყუად დამაშურალ ვარ და მრავალთა მათ დიდებულებათა მისთა თანა წარსლვაჲ მეგულების, ყოველთავე მისთა საქმეთაგან შეპყრობილი ვარ, ვერ გამოვარჩევ მათ შორის უაღრესსა, გინა უდარესსა, ვითარცა გუამსა შინა ერთსა ყოვლითურთ კეთილსა და შუენიერსა, |
| | | | | 31. რამეთუ მისი, რომელიცა მოვიგონო უმჯობეს სხუათასა გულისჴმა-ვჰყოფ და თითოეული მიიტაცებს სიტყუასა ჩემსა. |
| *შდრ. or. 24, თავი 9, § 28 („ისმინეთ, ქალწულთა და თანა-იხარებდით, უფროჲსღა უღლისქუეშეთა, რაოდენნი წმიდა და სიწმიდისმოყუარე,* | | *შდრ. or.24, თავი 9, § 28 („ისმენდით, ქალწულნო, და მხიარულ იყვენით და უმეტესადღა ქორწინებულნო, რაოდენნიცა ხართ პატიოსან* | | 32. მოვედით უკუე, განიყვენით მისნი იგი კეთილნი, რაოდენნიცა ხართ მისნი მაქებელნი და მოყუარენი და ღუაწლი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *რამეთუ ზოგად ორთავე სამკაულ არს თხრობაჲ და ქალწული ფრიად შუენიერი სახითა.”)* | | *და მოყუარე სიწმიდისა, რამეთუ ზიარი არს თქუენდა სიხარული და სამკაული მითხრობაჲ ესე. და იყო ქალწული იგი ფრიად ქმნულკეთილ და შუენიერ ხატითა”)* | | კეთილი მოიღუაწეთ მამათა და დედათა, ჭაბუკთა და ქალწულთა, მოხუცებულთა ყრმათა თანა, მღდელთა და ერისკაცთა, მჴედართა და მლიერთა, მეფეთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, |
| **Oratio 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | **Oratio 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი* (Enc. Euth.)** |
| | | | | 33. და თითოეული თითოეულსა მისთა საქმეთაგანსა აქებდით: რომელნიმე სიმჴნესა, რომელნიმე სიბრძნესა, რომელნიმე სიკეთესა, რომელნიმე სიტყუათკეთილობასა, რომელნიმე უშიშოებასა და რომელნიმე კადნიერებასა მეფეთა მიმართ, სხუანი კუალად ღუაწლთა |
| | | | | 34. და ყოველნივე აქებდით სასწაულთმოქმედებასა მისსა. მკურნალსა მას მოცემულსა ღმრთისა მიერ ყოველთა მორწმუნეთადა, ზღუდესა ქრისტეანობისასა, შემწესა ჭირვეულთასა, ჴელის აღმპყრობელსა გლახაკთასა, მეოხსა ცოდვილთასა, დამწუველსა ეშმაკთასა, მაოტებელსა ბარბაროზთასა, დამჴსნელსა საცთურისასა და სამკჳდრებელსა წმიდისა სამებისასა. |
| | | | | 35. ხოლო მე ვიტყჳ ღუაწლისა მისისათჳს, რამეთუ ისწავა რაჲ მაქსიმიანე საქმე ესე, ვითარმედ ასწავლის ყოველთა ღმრთისმსახურებასა და ურჩ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | არს მისისა ბრძანებისა დიმიტრი და განცხადებულად ქადაგებს თავსა |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 50ა. უფროჲსღა ანუ ყოველთა ქრისტიანეთა ანუ მხოლოდ კჳპრიანესსა წარტყუენვასა და მიდგინებასა. | | 50ა. და უმეტესადღა სწორ უჩნდა ყოველთა ქრისტიანეთა მიქცევასა თანა მხოლოჲსა კჳპრიანესი მოყვანებაჲ თჳსსა ნებასა. | | თჳსსა ქრისტეანედ, ბორგდა ამისთჳს და ერთად შეერაცხა ყოვლისა სოფლისა ძლევაჲ და დიმიტრისი, |
| 51. რამეთუ რაოდენ უწყოდა ღმრთისმსახურებით დიდებით აღმატებულებაჲ კაცისაჲ მის, ესოდე უსაჩინოესად და უბრწყინვალესად ხედვიდა მძლეობასა თჳსსა, უკუეთუ ამას სძლოს, რამეთუ იგი მხოლოდ ქრისტიანეთა ოდენ ძლევა იყო, ხოლო ესე თუთ ფილოსოფოსობისა და სიტყუათაცა. | | 51. რამეთუ რაოდენცა კეთილად მსახურებითა და დიდებითა წარმატებულებაჲ მისი უწყოდა, ეგოდენცა ძლევაჲ მისი უზეშთაეს და უბრწყინვალეს თავისა თჳსისა, შეერაცხა დიდებად, რამეთუ ქრისტიანეთა შორის დიდ იყო წარჩინებულებაჲ მისი და ფრიად უძლეველ იყო ძლიერებაჲ სიტყუათა მისთაჲ. | | 36. რამეთუ ეშინოდა მისისა ახოვნებისაგან და კადნიერებისა, ნუუკუე იძლიოს, ვითარცა იძლიაცა და იძლია ფრიად ძლიერად და კეთილად, |
| 52. და პირველად ენისა მოკუეთასა, მერმე უჳმობით და უტყუბოთ მიყვანებასა მას მიერ განმტკიცებულთასა, რჩეულ-ყოფა ჰგონებდა მჴედართა-ძრუანვისა, არა სადმე მართლად, არცა ღმრთისმსახურებით მგონებელი ამათი, გარნა არავე ყოვლად უსიტყუად თჳსისა მისებრ ზრახვისა და ჴელ-ყოფისა, ხოლო ესე საქმე მან აჩუენა. | | 52. ამის უკუე ჯერისათჳს აზრახა ეშმაკმან უკეთურებასა მისსა, რაჲთა პირველად ენაჲ მიუღოს მას, რომლისაგან იყო ვნებაჲ ყოველთა მათ წინააღმდგომთაჲ, და რაჲთა მის მიერ ძლეულნი სიტყუათა მისთაგან განარინნეს. და საქმე ესე სიბრძნედ დიდად ეგონა მას. არა მართლიად უკუე და კეთილად გულისჳმა-ჰყოფდა ამას უშჯულოჲ იგი, არამედ ყოვლადვე უჯეროდ და პირუტყუებრივად, გარნა აჩუენა საქმე განზრახვისა და ჴელყოფისაებრ თჳსისა. | | |

| **Oratio 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | **Oratio 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი* (Enc. Euth.)** |
|---|---|---|---|---|
| | | | | 37. ვინაჲთგან უკუე ბრძანა მისი წინაშე მისსა წარდგინებაჲ. წარმოუდგა მას დიმიტრი, დიდი იგი მსახური ყოველთა ღმრთისა გონებითა უშიშითა და პირითა მხიარულითა, ვითარცა პატივისა მიღებად სატანჯველთა და შეწირვად თავისა თჳსისა მსხუერპლად, სულად სურნელად ღმრთისა, |
| | | | | 38. ყოვლისავე მსხუერპლისა უპატიოსნეს, ახოვანი იგი სულითა და გონებითა, კეთილისა ძირისა კეთილი რტოჲ, მოღუაწე ღმრთისმსახურებისაჲ, მაქსიმიანეს რქათა შემმუსრველი, მძჳნვარეთა მათ შუვათა ეშმაკისათა შემფქველი, ყოველთა მეუფისა ქრისტეს ქადაგი, პირველ ღუაწლისაცა მოქმედი სასწაულთაჲ, |
| | | | | 39. ერთისა მიმართ ოდენ სუროდა და ერთი იცოდა გზაჲ ცხორებისაჲ – ქრისტესთჳს სიკუდილი! მოშურნე ღუაწლისა მის სხუათა მოწამეთაჲსა, შეურაცხის-მყოფელი სიმრავლესა სატანჯველთასა. |
| **Oratio 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | **Oratio 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი* (Enc. Euth.)** |
| | | შდრ. or.24 § 55 („...*ჵ ვითარცა მასწავლელ და მაწუეველ კეთილისა ექმნების ყოველთა შორიელი იგი ვითარცა* | | 40. ჵ საკჳრველი, რამეთუ ვითარცა საშუებელი შეერაცხა, წარდგაუკუე ესევითარითა ამით გონებითა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | *მახლობელი!...”)* | | წიანშე უშჯულოჲსა მის მძლავრისა და ესმნეს რაჲ მის მიერ სიტყუანი რისხვისაცა და მანქანებისანი, რამეთუ მრავალონე არს ეშმაკი. |
| | | | | 41. იწყო მანცა მისსა მიმართ სიტყუად: ჵ, ვინმცა მიმიყვანა და დამადგინა, რაჲთამცა მესმნეს უშიშისა გონებისა გამომავალნი სიტყუანი, რაჲთა აწ გული ჩემი ჰკრთების და სიხარულითა აღვივსები, მოვიჴსენო რაჲ მისი იგი ახოვნად სიტყჳსგებაჲ, რამეთუ მძლავრი იგი პატივსა წინა-უყოფდა მას და სატანჯველთა უთქუმიდა, რაჲთამცა რომელითამე ღონითა შეუძლო მოდრეკად მისსა თჳსისა მიმართ ნებისა. |
| 53. რამეთუ ვითარცა ყოველნი კუეთებანი და განცდანი მამაკაცებრივ და სიმჴნით განიყარნა, ვითარცა კლდემან რამანმე ზღჳსკიდისამან ღელვათა ზედა მოსლვანი, | | 53. ვინაჲთგან უკუე ყოველივე სატანჯველი და განცდაჲ მჴნედ და ძლიერად თავს-იდვა და განაგდო ყოველი, ვითარცა კლდემან მყარმან ზღჳსპირისამან ღელვათა სიმძაფრჱ სასტიკი. | | 42. ხოლო იგი დგა, ვითარცა კლდე მტკიცე კიდესა ზღჳსასა, რომელსა ეცემიედ მრავალნი ღელვანი და იგი ეგის ყოვლად შეუძრველად, |
| 53ა. დასასრულსა ექსორიობად მის მიერ დაისაჯა, რამეთუ არა თავისა თჳსისა განიმტკიცებდა ახოვანი, | | 53ა. და დასასრულსა ექსორიობაჲ დაესაჯა მისგან და არცა ეგრეთ დუმნა აოვანი იგი, ვითარმცა თჳსსა | | |
| **Oratio 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | **Oratio 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი* (Enc. Euth.)** |
| | | ოდენ ღუაწლსა ზედა დადუმებულ იყო, | | |
| | | | | 43. ესრეთ მოუდრეკელად დგა და ეცინოდა მისთა უგუნურებათა და ეტყოდა: |
| | | | | «ჩემდა, ჵ მაქსიმიანე, ერთ არს ღმერთი და მეუფე, რომელმან დამბადა და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | არაარსისაგან არსად მომიყვანა, რომლისა სარწმუნოებაჲ არა დაუტევო და ერთი არს დიდებაჲ ჩემი, რაჲთა მისსა მივიდე |
| | | | | და მას ვხედვიდე უზეშთაესსა მას ყოველთა კეთილთასა და ერთი არს სიმდიდრე და სასუფეველისა იგი შუებაჲ, და ერთი არს საშინელ, უკუეთუ მისთა ბრძანებათა გარდავჰჭდე. ხოლო სოფლისა ამის დიდებაჲ მყის წარმავალ არს და ამაო; რომლითა შენ მე ვერ აღმიტაცებ, რაჲთამცა მოყუარე მისსა მყავ. |
| | | | | 45. დასცხერ უკუე ქადებად ჩემდა არარათა ამათ დ ცუდთა საქმეთა, რამეთუ არა მივიღებ პატივსა ბოროტისა მომატყუებელსა, არცა მნებავს მჴედრობაჲ წარმავალისათჳს დიდებისა. ანუ შენ ჰგონებ-ა, რაჲთამცა გმონებდ შენ და სიტყუასა |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| | | | | შენსა ვერჩდი უფროჲს ღმრთისა? რომელი-ეგე მიწა ხარ და ყოვლითურთ საძაგელ. ანუ ვითართა პატივთა მაქადებ, რომელნიმცა ღირს-იყვნეს პატივსა მას თანა მერმესა, გინა თუ ვითართა სატანჯველთა იტყჳ, რომელნიმცა უსაშინელეს იყვნეს გეჰენიასა. ანუ მე ვჰმსახუროა დაბადებულთა, რომლისადა ესე ღმერთ-ყოფაჲ ბრძანებულ არს მათ ზედა? |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 46. ვითარ ამაო ხარ და ამაოჲსა მზრახვალი, რომელი-ეგე ამას ესევითარსა იტყჳ. არამედ ჩემდა სასოება იყავნ ქრისტჱ და მისი სარწმუნოებაჲ და დიდებაჲ, რომეი მან მომცეს. ხოლო შენ და ღმერთნი ეგე შენნი ტყუვილისანი და დიდებაჲ ამის სოფლისაჲ და პატივი, რომელი მოგიცემიეს ჩემდა, შენდავე იყავნ წარსაწყმედელად. ხოლო მე მივიდე ვინაჲცა გამოვვარდი ურჩებითა და უფროჲს და უზეშთაეს აღვიდე ღმრთისა მიმართ ჩემისა, |
| | | | | 47. რამეთუ სატანჯველნი შენნი არა არიან ჩემდა საშინელ, არამედ საწადელ. ხოლო მახჳლი შენი სულისა ჩემისა მახჳლსა ვერ განჰკუეთს, არამედ უფროჲსად მის მიერ შეიწუვის. |
| ***Oratio* 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | ***Oratio* 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი* (*Enc. Euth.*)** |
| *შდრ. or. 24 § 57 («ერთსა იტყოდა ყოფად მამულად – მაღალთა საცნაურსა იერუსალჱმსა, არა აწ მცირედთა საზღვართა შინა შემოწერილსა და მრავალთა მკჳდრთა მცვალებელსა; ერთსა ტომბრწყინვალებად ხატის დაცვასა და სახისდასაბამისა მსგავსებასა, რაოდენ შესაძლებელ ჴორცთა მიერ შეკრულთა და მცირედისა ნაკადულისა კეთილთაჲსა დატევნად შემძლებელისაგა”).* | | *შდრ. or. 24 § 57 («რამეთუ ერთი უკუე არს მამული მაღალთათჳს საცნაური იერუსალემი და არა ესე მცირედთა საქღვართა შეყენებული და მრავალთა მიერ სავალი და ერთი ხოლო ნათესავობისა წარჩინებულებაჲ და ბრჭყინვალებაჲ, ხატისა შეკრძალვაჲ და პირველსა სახესა მიმსგვასებაჲ, რაოდენცა შესაძლებელ იყოს შეკრულთა ამათგან საკრველითა მით ჴორცთაჲთა”).* | | 48. არად შემირაცხია ქუეყნიერი ესე, რამეთუ ერთ არს მამული ჩემი ზეცისა – იერუსალჱმი. ხოლო აქანი ესე მონაგებნი არა საწადელ არიან ჩემდა, რამეთუ ერთი არს დიდებაჲ ჩემი – დაცვაჲ ხატისა ამის შეუხებლად და რომლისა მსგავსად დავიბადე, მისი მსგავსებაჲ, რაოდენ შესაძლებელ არს ბუნებისაგან ჴორციელისა. |
| **16.** 61. ესრეთ განიზრახვიდა | | **16.** 61. ესრეთ უკუე იღუწიდა | | 49. ამას და ესევითარსა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კჳპრიანე და ამათ სიტყუათა მიერ ღუაწლთა მიმართ აღჭურვითა მრავალნი მოღუაწე ყვნა. | | კჳპრიანე და ესრეთ განაკრძალებდა და აღშჭურვიდა სიტყჳთა მოღუაწეთა ქრისტესთა და მრავალთა ღუაწლისა მძლე-ჰყოფდა. | | იტყოდა და ღუაწლისა მიმართ მზა-იყო. |
| 61ა. და რაჲ-მე მოიღო ამათ სასყიდლად? რაბამ უხჳ და პატივისმოყუარე, რამეთუ მოწამე იქმნა შემდგომად მათსა, რომელნი წინა-წარევლინნეს, | | 61ა. რასა-მე სასყიდელსა მოიღებს ამათ შრომათასა? დიდსა და მაღალსა და ბრწყინვალესა, რამეთუ მოწამე ქრისტესთა იქმნა ყოველთა მათ პირველწარვლენილთა ზედა. | | |
| 61ბ. თავი მახჳლითა წარეკუეთა და მრავალთა ტანჯვათა ესე დაადგა თავდგმულებად. | | 61ბ. მის მიერ თავი მახჳლითა წარეკუეთა და მრავალთა მათ სატანჯველთა ზედა სრულებისა გჳრგჳნად ესე დაიდგა. | | 50. ხოლო მონამან მან ცოდვისამან და შვილმან ბნელისამან ძე იგი ნათლისა მის ზეცათაჲსა შეაყენა ბნელსა მას შინა სავსესა კუამლითა და სიმჴურვალითა მით ცეცხლისაჲთა, სადა-იგი გჳრგჳნი დაადგა თავსა მისსა ანგელოზმან პირველ აღსრულებისა. ხოლო შემდგომად ამისსა მახჳლითა დაიჭრა და ლახურითა განიგუმირა |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 62. ესრეთ ქრისტესსა მიიყვანა, ესრეთ ქრისტეს მიმართ გარდაიდვა ფრიაფი უღმრთოებითა და უფრიადესი ღმრთისმსახურებითა. კჳპრიანე დიდი მღევარიცა და გჳრგჳნოსანიცა. | | 62. ესრეთ ქრისტესა წარუდგა, ესრეთ ქრისტესა მიიცვალა მრავალი იგი უღმრთოებითა და უმრავლესი ღმრთისმსახურებითა კჳპრიანე დიდი, მღევარი და წინააღმდგომი პირველად და გჳრგჳნოსანი შემდგომად, | | 51. და ესე იყო აღსასრული ღუაწლისა მისისაჲ. ესრეთ შეწირა თავი თჳსი ქრისტესა, ესრეთ მიიცვალა ქრისტიანეთაჲ დიდი იყო გოდოლი ღმრთისმსახურებისაჲ, მდევნელი. ეშმაკთაჲ და გჳრგჳნოსანი მჴედარი უფლისაჲ. |
| 62ა. რომელი შეცვალებითა არა უდარეს, ვიდრე სათნოებითა საკჳრველ, რამეთუ არა ესრეთ დიდ დაცვაჲ სახესა კეთილისასა, | | 62ა. რომელი შეცვალებითა საქმისაჲთა არა უმცირეს სათნოებისა საკჳრველ არს, რამეთუ არა ესოდენ დიდად სახე კეთილისა არს თჳსი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვითარ განახლებაჲ ღმრთისმსახურებად, რამეთუ იგი ჩუეულებისა, ხოლო ესე კეთილგანზრახვისაჲ და იგი მრავალთაჲ არს, ხოლო ამისნი მცირე სახენი. | | ცხორებაჲ, ვითარ განახლებაჲ ღმრთისმსახურებისაჲ, რამეთუ ერთი იგი რეცა თანამდებ არს, ხოლო მეორე იგი სიბრძნე არს სრული და სიმჴნე და მოღუაწებაჲ კეთილი, რამეთუ ერთისა მის მრავალნი არიან სახენი, ხოლო მეორისა მის მცირე ფრიად. | | |
| 17. 63. არამედ ვითარ-იგი უჴმს მას მის თჳსთა საკჳრველებათა? მერმეცა მცირედ ვეგნეთღა სიტყუასა ზედა, რაჲთა ვახაროთ მოღუაწესა. | | 17. 63. არამედ ესეცა იყავნ ყოველთა საკჳრველებათა მისთა თანა. გნებავს-ა თუ მცირედ დავადგრე მითხრობასა ამას შინა, რაჲთა დიდსა მას მოწამესა მივსცეთ ნიჭი მცირჱ? | | |
| 63ა. ესევითარი უკუე არს მოქალაქობაჲ კაცისაჲ, ესევითარი სახე წამებისა მისისაჲ. | | 63ა. ესევითარი უკუე არს კაცისა ამის მოქალაქობაჲ საღმრთოჲ, ესევითარი ღუაწლი და სიყუარული ქრისტეეს მიმართ. | | 52. ესე არს მოქალაქეობაჲ დიდისა დიმიტრისი, ესე არს სახე ღუაწლისა მისისაჲ, |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 64. ხოლო ვინაჲთგან დაასრულა ცხორებაჲ (ჯერ-არს თუ ამისი თქუმაჲ და არა ღმრთისა მიმართად განსლვად სახელის-დებაჲ საქმესა მისსა ამუ აღვსებად სურვილისა ანუ განჴსნად საკრველთა ანუ გარდაუღლებად სიმძიმისა), | | 64. ხოლო ვინაჲთგან აღსასრულსა ჰყოფს ცხორებისასა აქა და უმეტესად არა მნებავს ესრეთ თქუმაჲ, არამედ ღმრთისა მიმართ არსს მიცვალებაჲ მისი და დასაბამი ცხორებისაჲ და არსრულებაჲ სურვილისაჲ და განჴსნაჲ საკრველთაგან და სიმძიმისაგან განყენებაჲ. | | 53. რომლითა აღასრულა ცხორებაჲ თჳსი. ხოლო ჩუენ ვითარ სახელ-ვსდვათ აღსასრულსა მისსა ღმრთისა მიმართ მიცვალებად, გინა თუ სურვილისა მისისა აღსრულებად, ანუ საკრველთაგან განჴსნად სიმძიმისა მის დატევებად, |
| 64ა. საკჳრველთ-მოქმედებს რასმე აქაცა პირველსწრობილთა ღირსსა, რამეთუ სახელი ყოველთა შორის მრავალ კჳპრიანესი არა ხოლო ქრისტიანეთა, არამედ წინააღმდგომ ჩუენდა დაწესებულთაცა (რამეთუ ყოველთადა მსგავსადვე | | 64ა. და იქმნების უკუე აქაცა საკჳრველებაჲ პირველთქუმულთა მსგავსი და ღირსი, რამეთუ სახელი დიდი იყო ყოველთა მიერ კჳპრიანესი და არა ხოლო თუ ქრისტიანეთა შორის, არამედ რომელნი წინააღმდგომცა ჩუენდა | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საპატიო კეთილი). | | არიან, რამეთუ ყოველთათჳს კეთილი პატიოსან არს. | | |
| | | | | 54. ანუ თუ სიზრქისაგან განსლვა და წმიდისა და საწადელისა სამებისა წინაშე წარდგომად, რომელი-ესე თავი არს ყოველთა კეთილთაჲ, რომელნიცა მონიჭებულ არიან ჩუენდა ღმრთისა მიერ. |
| | | | | 55. ხოლო სადა-იგი დაიფლა, აღმოაცენებს მიერ უხუად კურნებასა და ნელსაცხებელსა სულნელებისასა, |
| 67. ესე კეთილთა მისთა დასასრულისა. | | 67. ესე არს კეთილთა მათ მისთა დასასრული. | | 56. ესე არს აღსასრული მისთა კეთილთაჲ. |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 67ა. ესრეთ შუვა შემოვალს არდაფარვის ღირსი და არ მიუშუებს სიბრძნისმოყუარებად თჳსსა წარპარვასა, ვინაჲთგან ჴორცთაცა ზედა პატივითა უმჯობეს და უმაღლესობს იგი. | | 67ა. ესრეთ უკუე ყოველთა შორის განცხადნა არა ღირსი იგი დაფარვისაჲ, რამეთუ არა თავს-იდვა წარპარვაჲ თჳსი მაღალმან მან მოწამემან ქრისტესმან. | | |
| | | | | 57. ესრეთ სრულ იქმნა ბრწყინვალე იგი სულითა, საწადელი ანგელოზთაჲ და საშინელი ეშმაკთაჲ, მაქსიმიანეს დამაქცეველი, ლჳეოჲს ამპარტავანებისა დამამჴობელი, ნესტორისს მძლედ გამომაჩინებელი და შემწირველი მისი ღმრთისა. |
| **18.** 68. აწ უკუე ჩუენმიერნი ესოდენ და არა უწყი, თუ გჳჯმს-ღა უმრავლესსა სიტყუად, რამეთუ დაღათუ უმეტეს განვაგრძოთ სიტყუაჲ, ვერცა ეგრეთ ვთქუათ რაჲმე ღირსი მის თანა მყოფთაჲ და რომელნი | | **18.** 68. ხოლო ჩუენ მიერ უკუე ესოდენი და არა უწყი, თუ უმეტესი რაჲღა ვთქუა, გარნა დაღაცათუ განვაგრძოთცა უმეტესად ქებაჲ მისი, არარას ვიტყჳთ მისისა მის წარმატებისა და დიდებისა ღირსსა, არამედ | | 58. ესე არს უკუე ჩუენ მიერ თქუმული სიტყუაჲ დიდისა დიმიტრისათჳს, რამეთუ არა უწყი, რაჲღა ვთქუა, ვინაჲთგან დაღაცათუ უფროჲს ზომისა განვაგრძოთ სიტყუაჲ ჩუენი, მისსა ღირსსა სიტყუასა ვრარას |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თითოეულსა კაცისა მისთჳს მიუხუმან. და ესენიცა ზოგს-რე გარდასაჴდელად მისთჳს თანადადებისა პატივისა წარმოვთქუენით | | ჩუენ სიმრავლისა ამისთჳს მცირედი ესე წარმოვთქუათ, რაჲთა თითოეულმან გულისჴმა-ყოს კაცი იგი საკჳრველი და ადიდებდენ ღმერთსა. | | ვიტყჳთ, არამედ დასაცხრომელად სურვილისა ჩუენისა ესე მცირედი გჳთქუამს, |
| 69. ხოლო ნეშტები თქუენ თჳთ მაგათგან შეეძინებოდედ, რაჲთა თქუენთაცა რაჲმე შემოართუნეთ მოწამესა ეშმაკთ დარღუევანი, სენთ | | 69. ხოლო რომელი დავაკლეთ, თქუენ შესძინეთ, რაჲთა თქუენცა შესწიროთ ნიჭი რაჲმე მოწამისა. და ესე არს ნიჭი: ეშმაკთა შეურაცხებაჲ | | 59. ხოლო სხუაჲ იგი თქუენ აღასრულეთ, რაჲთა თქუენცა იპოვნეთ მაქებელ მისსა, ღაღადებდინ თესალონიკე და ღაღადებდით |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა", ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| დაჴსნანი, ყოფადთა წინაცნობაჲ, რომელთაჲ ყოველივე ძალ-უც კჳპრიანეს მტუერსაცა სარწმუნოებისა თანა, ვითარცა უწყიან გამოცდილთა ჩუენდამდე წარმომგზავნელთა საკჳრველებისათა და ყოფადთა ჟამთად მიმაწევნელთა. | | და დაჴსნაჲ, სალმობათა განქარვებაჲ, რამეთუ ესე ყოველი ძალ-უც კჳპრიანეს წმიდათა ნაწილთა მტუერსაცა, რომელნი მოუჴდებოდიან მათ სარწმუნოებით, ვითარცა მეცნიერ არიან გამოცდილნი ამას ზედა, რომელთაცა ჩუენდამდეცა მოაწიეს საკჳრველი მისი და მომავალთათჳსცა დაუტევეს ჟამთაჲსა. | | ყოველნივე მოყუარენი წმიდისანი სასწაულთა მისთა დიდებულებასა: ეშმაკთა ლტოლვასა, სენთა კურნებასა, მტერთა მოსრვასა, რომელსა იქმს დაღაცათუ მიცვალებულ არს, ვითარცა იციან ყოველთა, რომელთა ზედა ქმნულ არიან საკჳრველებანი მისნი და უფროჲსად, რომელნი მას პატივ-სცემთ, |
| 70. უფროჲსღა ამათსა უმეტესიცა შემოიღეთ და ვითარი შეჰგავს მისთა საკუთრებით პატივისმცემელთა ჴორცთა დაცლაჲ, სულისა აღსლვაჲ, სიბოროტისა ლტოლვაჲ, სათნოებისა აღორძინებაჲ, ქალწულთა უჴორცოებაჲ, დედათა კეთილშემკულებაჲ სათნოებისა უფროჲს, ვიდრეღა გუამისაჲ, ჭაბუკთა ვნებათა ზედა სიმჴნე, მოხუცებულთა – კეთილგანმზრახობაჲ, ძლიერების შინათა – | | 70. და უმეტესადღა უდიდესი ამისა შეწირეთ, რომელნი მას პატივს-ვსცემთ გულსმოდგინედ. ესე ჯერ არს ჴორცთა დამდაბლებაჲ, სულისა ამაღლებაჲ, სიბორგილისაგან სივლტოლაჲ, სათნოებისა მოპოვნებაჲ, ქალწულთა – უჴორცოებაჲ დაცვითა ჴორცთაჲთა, დედათა – განშორებაჲ და შემკობაჲ სულისაჲ და არა ჴორცთაჲ, ჭაბუკთა – ვნებათა მიმართ სიმჴნე, მოხუცებულთა – ზრახებაჲ კეთილისაჲ, | | 60. ესრეთ პატივ-ეცით და მონებითა ჴორცთაჲთა, განწმედითა სულისაჲთა, ლტოლვითა ბოროტისაგან და მოგებითა სათნოებისაჲთა. ქალწულნი სიწმიდითა, ქორწინებულნი კრძალულებითა, ჭაბუკნი ბრძოლითა ვნებათაჲთა, მოხუცებულნი სიბრძნითა, მთავარნი ღმრთისმოშიშებითა, მჴედარნი პატიოსნებითა, სიტყჳერნი სიტყუაკეთილობითა, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სჯულკეთილობაჲ, მჴედრობის შინათა – სიმშჳდე, სიტყჳს შინათა – სიტყუაკეთილობაჲ. | | მლიერთა – სამართლობაჲ კეთილი, მჴედართა – სიმშჳდე, სიტყჳერთა – კეთილი სიტყუაჲ. | | |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 71. ვთქუა რაჲმე ჩუენთაჲცა: მღდელთა – საიდუმლოთმყვანებელობაჲ, გლოვის შინათა – ნუგეშინისცემაჲ, დღეკეთილობისათა – შიში, მდიდართა – მიმცემელობაჲ, გლახაკთა – მმადლობელობაჲ, ყოველთავე – ბოროტისა და მწარისა მდევრისა – წინაგანწყობაჲ, რაჲთა არა საჩინოდ ჰქოლვიდეს, არცა ფარულად სისრიდეს, არა ვითარცა ბნელი ჰბრძოდის, არცა ვითარცა ანგელოზი ნათლისაჲ ემღერდეს და მიიპარვიდეს მთხრებლად წარწყმედისა. | | 71. ვთქუა უკუე ჩუენისაცა კერძოჲსაჲ: მღდელთა ღირსებაჲ საიდუმლოჲსაჲ, ერისკაცთა მორჩილებაჲ კეთილი, მგლოვარეთა ნუგეშინისცემაჲ, დღეკეთილობასა შინა მყოფთა შიში ღმრთისაჲ, მდიდართა მოწყალებაჲ და ქველის საქმჱ, გლახაკთა მადლობაჲ, ყოველთავე სწორებით ბოროტისა და მწარისა მდევარისა მიმართ განწყობაჲ სიმჴნით, რაჲთა არა მძლედ გამოჩნდეს, არამედ იძლიოს. ნუმცა სისრაჲ დაიყოფს ფარულად, რაჲთამცა გუწყლნა, ნუმცა ვითარცა ბნელი გუბძრავს, ნუცამცა ვითარცა ანგელოზი ნათლისაჲ შეგჳტყუებს, რაჲთა წარწყმედისა მთხრებელსა არა შთაგუყარნეს. | | 61. მღდელნი ჭეშმარიტისა მღდელობისა აღსრულებითა და ერისკაცნი მორჩიელბითა, მდიდარნი მოწყალებითა, გლახაკნი მოთმინებითა და ყოველნივე ბრძოლითა ეშმაკისაჲთა. რაჲთა მბრძოლმან მან ჩუენმან ვერცა ცხადად გუძლოს, ვერცა ფარულად განგუგურიმოს, რაჲთა არა ვითა<br>რცა ბნელი გუებრძოდის და არცა ვითარცა ანგელოზი ნათლისაჲ გუაცთუნებდეს. |
| **19.** 72. ძნელ თუალთა წარტყუენვაჲ და ენით წყლულებაჲ და სასმენელით სამჭედურებაჲ და რისხვით აღტყინებულთა დაწუვაჲ და გემოჲსხილვით დაკუეთებაჲ და შეხებით დაჩჩულებაჲ და ცხორების საჭურველთა სიკუდილის საჭურველად ჴუმევაჲ. | | **19.** 72. ბოროტ არს თუალთა შეხებაჲ და ენითა მოწყლვაჲ და სასმენელთა ცთომაჲ და გულსწყრომისა მდუღარებითა დაწუვაჲ და გემოჲსხილვითა დაცემაჲ და შეხებითა დაჴსნილობაჲ და საჭურველსა მას ცხორებისასა საჭურველად სიკუდილისა ჴუმევაჲ. | | 62. ბოროტ არს თუალთა მიერ ცთომაჲ და ენისა მიერ დაცემაჲ და სასმენელთა მიერ ცოდვაჲ, გულისწყრომისა მიერ აღტყინებაჲ და გულისთქუმითა წარტყუენვაჲ და საჭურველთა მათ ცხორებისათა საჭურველ ცოდვისა ყოფად. |
| 73. ჯერ-არს მომრთხმელობითა სარწმუნოების ფარისაჲთა | | 73. ჯერ-არს ფარითა მით სარწმუნოებისაჲთა შეცვაჲ და დადგრომაჲ სიმჴნით | | 63. არამედ ჯერ-არს, რაჲთა ფარი იგი სარწმუნოებისაჲ აღვიღოთ და წინააღვუდგეთ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დგომად სივერაგეთა მიმართ ეშმაკისათა და | | მტერისა | | ღონეთა მათ |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| ქრისტეს თანა მძლეთა და მოწამეთა თანამოღუაწეთაჲ დიდისა მის ჴმის სმენად. მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, დაიმკჳდრეთ აღთქუმული თქუენდა საუსფეველი, სადა მხიარულთა ყოველთა მკჳდრობაჲ და მემრგულეთა მრგულისვლაჲ დაუჴსნელი, სადა ჴმაჲ სიხარულისაჲ და ჴმაჲ მხიარულებისაჲ და გამობრწყინევებაჲ ღმრთეებისაჲ უსრულესად-რე და უწმინდესად-რე, რომლისა აწ იგავთა და აჩრდილებთა შინა არს მიღებაჲ. | | საფრჴეთა მიმართ. რაჲთა ქრისტეს თანა ვსძლოთ და მოწამეთა თანა ვიღუაწოთ, რაჲთ გუესმეს დიდი იგი საწადელი ჴმაჲ: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენდა სასუფეველი, ვინაჲცა მხიარულ არიან ყოველნი, რომელნი მკჳდრ არიან მას შინა, ვინაჲცა არს მწყობრი იგი დაუჴსნელი, ვინაჲცა არს ჴმაჲ ზატიკობისაჲ და ჴმაჲ სიხარულისაჲ და ღმერთეებისა ბრწყინვალებაჲ, უმახლობელესი და უსრულესი, რომლისაჲ აწ სარკითა და აჩრდილითა არს ხედვაჲ. | | ეშმაკისათა და ქრისტეს თანა ვსძლოთ და მოწამეთა თანა ვიღუაწოთ, რაჲთა ტკბილი იგი ჴმაჲ გუესმეს, ვითარმედ: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი, სადა-იგი არს მკჳდრობაჲ მოხარულთაჲ და ბრწყინვალეთა მათ კრებულთა, სადა-იგი არს ჴმაჲ სიხარულისაჲ და ზატიკობისაჲ, სადა-იგი არს ბრწყინვალებაჲ ღმრთეებისაჲ სრული და მაღალი, რომელსა აწ იგავით და აჩრდილით ვხედავთ, ხოლო შემდგომად შევიმეცნნეთ უცხადესად. |
| 74. ამით პატივცემული უფროჲსად იშუებს კჳპრიანე, ვიდრეღა ზოგად სხჳთა ყოვლითა, ამას აქა მყოფიცა სიბრძნისმოყუარებდა ცხორებითა და წარსრულიცა ყოველთა უბრძანებს ჴმეებ ჩუენებითა, რომელსა ნუსადა უპატივო-ჰყოფთ, უკუეთუ ოდენ გგლის თქუენს მისისათჳს მოთმინებისა და მისთა ჭეშმარიტებისა ძლით ღუაწლთა და ჩემ ამათისა მვედრებელისა. | | 74. ამათ შინა იშუებს კჳპრიანე უმეტესადღა პატივცემული, რამეთუ ამისთჳსცა ირუწიდა, იყო რაჲ აქასა ამას ცხორებისა და აწცა ყოველთა უბრძანებს ჩუენ მიერ, რაჲთა იღუწიდენ კეთილთა მათთჳს წარუვალთა, რომელსა ნუ ურჩ-ვიქმნებით, უკუეთუ ყოფად ვისდამე იყოს თქუენდა მისი მოთმინებაჲ და მისთა მათ ჭეშმარიტებისათჳს ღუაწლთა სიმრავლე, გინათუ ჩემდაცა, რომელი ამას გასწავებ. | | 64. ამით ესვითარითა პატივითა პატივ-იცემების დიმიტრი ყოვლადქებული, რომელსა, აქა რაჲ იყო, აღასრულებდა და ამიერ რაჲ მიიცვალა, ყოველთა უბრძანებს ჩუენ მიერ. |
| ***Oratio 24, თარგმანი ეფრემ მცირისა (M)*** | | ***Oratio 24, თარგმანი დავით ტბელისა (T)*** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 75. ესე შენ ჩემთა სიტყუათა დასაბამებ, ჵ საღმრთოო და სამღდელოო თავო, | | 75. ესე არიან შენდა სიტყუათა ჩემთა დასაბამნი, ეჰა, საღმრთოო და სასურველო წინამძღუარო! | | 65. ესე არიან ჩემ მიერ შენდა მიმართ სიტყუანი, ჵ წმიდაო და საწადელო სულო. |
| 75ა. ესე შენ სიტყუათაცა სანიჭ და ღუაწლისაცა არა კოტინოჲ ულჳმპიური, არცა ვაშლი დელფური სამღერელნი, არცა ისთმიელთა პიტჳ, არცა ნემეაჲსა ნიახური, რომელთაგან პატივ-იცნეს ძნელბედნი წუერგამონი, არამედ სიტყუაჲ ყოველთა უთჳსესი სიტყჳსმსახურთათჳს და უკუეთუ შენთა ღუაწლთა და სიტყუათა ღირს, სიტყჳსა ნიჭ. | | 75ა. ესე შენდა სიტყუათაცა შენდა პატივად და ღუაწლისადცა! ხოლო უკუეთუ შენთა ღუაწლთა და მეტყუელებათა ღირს არს, ესე ღმრთისა ნიჭ არს. | | |
| 76. ხოლო შენ ზენაჲთ წყალობით მომხედევდ ჩუენდა ჰმართებდ ჩუენსა სიტყუასა და ცხორებასა და სამღდელოსა ამას სამწყსოსა მწყსიდ და თანამწყემსობდ სხჳთცა მართებად, ვითარ რაჲმე ეძლოს უმჯობესისა მიმართ და მძიმეთა მგელთა სდევნიდ მონადირეთა მარცულებისა და სიტყუებისათა და წმიდისა სამებისა გამობრწყინვებასა, რომლისა აწ შენ წინაშე სდგა, უსრულესად და უბრწყინვალესად მომმადლებდ ჩუენ, რომელსა თაყუანის-ვსცემთ, რომელსა ვადიდებთ, რომლისა თანა ვმოქალაქობთ. | | 76. ხოლო შენ მაღლით გარდამო მოწყალებით მოგუხედენ და ჩუენსა თანაშემწე-ვყავ ცხოვრებასა და მეტყუელებასა წმიდასა ამას სამწყსოსა თანამწყემს გუექმნებოდე და სხუასა ყოველსა უმჯობესსა მიგჳძეღუ და მგელთა მათ მძიმეთა განიოტებდი, მონადირეთა ასოჲსა და სიტყჳსათა და წმიდისა სამებისა ბრწყინვალებასა, ვინაჲცა აწ წინაშე მდგომარე ხარ, უსრულესად-რე და უბრწყინვალესად მოგუფენდი ოხითა შენითა, რომელსა თაყუანის-ვსცემთ, რომელსა ვადიდებთ, რომელსა აღვიარებთ და ვაკურთხევთ. | | 66. ხოლო შენ მოიხილე ჩუენზედა ზეცით წყალობით და სრულ-ყავ ცხორებაჲ ჩუენი კეთილსა ზედა და ესე სამწყსოჲ წმიდა-ყავ და უძღოდე ყოვლისა კეთილისა მიმართ, ხოლო ბოროტთა მათ მჴეცთა იოტებდი და ნათელი წმიდისა სამებისაჲ, რომლისა წინაშე აწ მდგომარე ხარ შენ, მოჰფინე ჩუენ ზედა, |
| ***Oratio* 24, *თარგმანი ეფრემ მცირისა* (M)** | | ***Oratio* 24, *თარგმანი დავით ტბელისა* (T)** | | ***წმ. დიმიტრის «შესხმა”, ავტორი ეფთვიმე ათონელი (Enc. Euth.)*** |
| 77. თაყუანის-ვსცემთ მამასა ძითურთ, ძესა სულისა წმიდითურთ, რომლისა | | 77. თაყუანის-ვსცეთ მამასა ძითურთ და ძესა სულისა წმიდითურთ, რომლისა | | 67. რომელსა თაყუანის-ვსცემთ, რომელსა ვადიდებთ და უგალობთ მამასა ძისა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წარდგომილმცა ვართ უკუანაჲსკნელ წმიდანი და დაუბრკოლებელნი, რომელი მოგჳღებიესმცა სრულთა სრულებით თავადისა ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელისა მიერ ყოველი დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე უკუნისამდე, ამინ. | | ღირსმცა ვართ წარდგომად განწმედილინ შეუბრკოლებლად, რაჲთა მოვიღოთ სრულათა სრულიად ნეტარებაჲ იგი წარუვალი ქრისტეს იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამენ! | | თანა და ძესა სულისა წმიდისა თანა, სამებასა განუყოფელსა და შეურწყუმელსა, რომლისა წინაშე წარდგომილმცა ვართ წმიდად და უბიწოდ, რომელი გჳხილავსმცა სრულთა სრულად ქრისტეს იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს ყოველივე დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. |

ამდენად, წმ. დიმიტრის «შესხმის" ძირითადი წყარო არის გრიგოლ ნაზიანზელის or. 24 ანუ «კვიპრიანეს შესხმა". მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ორი საკითხი: ა) ხომ არ არსებობდა ბერძნულ ქრისტიანულ ლიტერატურაში რაიმე კავშირი ამ ორ წმინდანს, დიმიტრისა და კვიპრიანეს შორის, რამაც, შესაძლოა, განაპირობა წმ. დიმიტრის «შესხმის" საფუძვლად «კჳპრიანეს შესხმის" გამოყენება, და ბ) წმ. დიმიტრის «შესხმის" იმ მონაკვეთების წარმომავლობა და სავარაუდო წყაროები, სადაც აღწერილია წმ. დიმიტრის ცხოვრება და წამება.

### 3.4. წმ. დიმიტრი და წმ. კვიპრიანე

ჩვენს ხელთ არსებული მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით წმ. კვიპრიანესა და წმ. დიმიტრი თესალონიკელს შორის არანაირი კავშირი არ ჩანს.[271] უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ თავად გრიგოლ

ნაზიანზელის ჰომილიაში აღრეულია ორი სხვადასხვა კვიპრიანე: ერთი – კვიპრიანე ანტიოქელი, მოგვი და ეშმაკების მბრძანებელი[272] და მეორე – კვიპრიანე კართაგენელი, ცნობილი აფრიკელი ეპისკოპოსი[273]. ამის შედეგად გრიგოლის ჰომილიაში, შეიძლება ითქვას, გამოყვანილია ახალი კვიპრიანე, რომელიც რეალობაში არც კვიპრიანე კართაგენელია და არც კვიპრიანე ანტიოქელი[274].

კავშირი დიმიტრისა და ზემოთ აღნიშნულ ორ კვიპრიანეს შორის არ დასტურდება მათი «ცხოვრებებისა" და «წამებების" არცერთ რედაქციაში. ერთადერთი, იოანე თესალონიკელის მიერ დაწერილ წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლში შეტანილია ერთი სასწაული, სადაც მოქმედ პირად გამოყვანილია აფრიკელი ეპისკოპოსი კვიპრიანე, მაგრამ ამ კვიპრიანეს, სასწაულის შინაარსის მიხედვით, არანაირი კავშირი არა აქვს ხსენებულ კვიპრიანეებთან. ამდენად, ის ვარაუდი, რომ წმ. დიმიტრის «შესხმა" შეიქმნა «კვიპრიანეს შესხმის" საფუძველზე ამ წმინდანთა შორის არსებული რაიმე კავშირის გამო, შეიძლება უგულვებელყოფილად მივიჩნიოთ.

## 3.5. წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ვერსიის ბერძნულ-ქართული წყაროები

წმ. დიმიტრის «წამების" ბერძნული რედაქციების შედარებამ წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართულ ვერსიასთან გვიჩვენა, რომ «შესხმის" ის ეპიზოდები, სადაც ასახულია წმ. დიმიტრის ცხოვრებისა და წამების ამბავი, შინაარსობრივად უფრო ახლოს დგას «წამების" გვიანდელ რედაქციებთან.[275] მსგავსება მჟღავნდება თხზულებათა შემდეგ ეპიზოდებში:

1. ადრინდელ, ანუ კიმენურ რედაქციაში წმ. დიმიტრი წარმოდგენილია როგორც რიგითი ადამიანი, მისი წარმომავლობის შესახებ არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ იგი იყო ახალგაზრდა და ყრმობიდანვე უცოდველი ცხოვრებით ცხოვრობდა. «შესხმაში" წმ. დიმიტრი მოხსენებულია როგორც «ფრიადი იგი სიმდიდრით და განთქუმული ახოვნებითა, საჩინოჲ ნათესავითა და წარჩინებული მთავართა შორის" (Enc. Euth. § 18). წმინდანის წარმომავლობის და საზოგადოებრივი მდგომარეობის ეს აღწერა ბევრად დაახლოებულია

«წამების" შუალედური რედაქციის შესაბამის მონაკვეთთან, სადაც წმ. დიმიტრი წარმოდგენილია როგორც მაღალი წრის, სენატორის ოჯახის შვილი და საბერძნეთის პროკონსული.

2. როგორც აღვნიშნეთ, «წამების" კიმენურ რედაქციაში თითქმის სრულიად არ ჩანს კავშირი ჭაბუკ ნესტორსა და წმ. დიმიტრის შორის. შუალედური რედაქციის მიხედვით კი ნესტორი ბრძოლის წინ წმ. დიმიტრისთან მიდის და მისი წინასწარმეტყველებით და ლოცვით შთაგონებული დაამარცხებს გლადიატორს. სწორედ ამ ეპიზოდზე დაყდნობით „შესხმის" § 53-ში წმ. დიმიტრი მოხსენიებულია როგორც „ნესტორის მძლედ გამომაჩინებელი და შემწირველი მისა ღმრთისა ყოველთაჲსა".

3. «შესხმის" მიხედვით, იმპერატორის ბრძანებით წმ. დიმიტრი დაამწყვდიეს «ბნელსა მას შინა სავსესა კუამლითა და სიმჴურვალითა მით ცეცხლისაჲთა, სადა-იგი გჳრგჳნი დაადგა თავსა მისსა ანგელოზმან პირველ აღსრულებისა" (Enc. Euth. § 50). «წამების" კიმენურ რედაქციაში ნახსენებია მხოლოდ წმინდანის დატყვევების ამბავი, ანგელოზის და გვირგვინის შესახებ არაფერია ნათქვამი. «წამების" შუალედური რედაქციის შესაბამის მონაკვეთში აღწერილია წმ. დიმიტრის მიერ ღრიანკალის მოკვლის სასწაული, რის შემდეგაც წმინდანს მოევლინა უფლის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი, რომელმაც იგი გვირგვინით შეამკო[276]. სწორედ ამ ეპიზოდს უნდა ეხებოდეს «შესხმიდან" ზემოთ მოყვანილი წინადადება.

4. საინტერესოა ეპითეტთა ნაკრები, რომელიც ახლავს წმ. დიმიტრის ხსენებას «შესხმაში" – «დამწუველი ეშმაკთა, მაოტებელი ბარბაროზთა, დამჴსნელი საცთურისასა" (Enc. Euth. § 34), „მდევნელი ეშმაკთაჲ და გჳრგჳნოსანი მხედარი უფლისაჲ" (Enc. Euth. § 51). წმინდანის ასეთი დახასიათება ნამდვილად ვერ იქნებოდა ადრინდელი რედაქციიდან მომდინარე. ეს ეპითეტები მიგვანიშნებს წმინდანის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლზე, სადაც წმ. დიმიტრი განკურნავს ფიზიკურად და სულიერად (ეშმაკით ვნებულ) ავადმყოფებს, იცავს თავის მშობლიურ ქალაქს და ანადგურებს შემოსეულ ბარბაროსთა ტომებს. ამაზევე მიგვანიშნებს «შესხმის" სხვა მონაკვეთში უკვე უშუალოდ წმ. დიმიტრის სასწაულების ჩამოთვლა – «ღაღადებდენ ყოველნივე ეშმაკთა ლტოლვასა, სენთა კურნებასა, მტერთა მოსრვასა, რომელსა იქმს,

დაღათუ მიიცვალა" (Enc. Euth. § 59). მართალია, ეს მონაკვეთი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს or. 24-ის § 69-სთან[277], სადაც კვიპრიანეს წმინდა ნაწილებთან დაკავშირებული სასწაულები არის მოთხრობილი, მაგრამ «მტერთა მოსრვა", რომელიც არ შედის კვიპრიანეს სასწაულთა რიცხვში, სპეციფიკურად დიმიტრის, როგორც ქრისტეს მეომრის, სასწაულია და ეხმიანება მისი გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლების ზემოთ აღნიშნულ სასწაულებს – წმინდანის მიერ მისი მშობლიური ქალაქის გათავისუფლებას ავარებისა და სლავებისაგან.

5. «შესხმაში" გვაქვს კიდევ ერთი საყურადღებო ეპიზოდი, რომელიც გამოკვეთს მის კავშირს «წამების" გვიანდელ რედაქციებთან. როდესაც წმ. დიმიტრი იმპერატორ მაქსიმიანეს მიჰგვარეს, მათ შორის გაიმართა დიალოგი, სადაც წმ. დიმიტრიმ, ქართული «შესხმის" მიხედვით, საკმარისად ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. იმპერატორის და წმინდანის სიტყვიერი პაექრობის აღწერა გვხვდება «წამების" სვიმეონისეულ მეტაფრასულ რედაქციაში. მაგრამ ამ ეპიზოდს ახლა არ შევეხებით, დეტალურად განვიხილავთ უფრო ქვემოთ.

ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ წმ. დიმიტრის ქართული «შესხმის" კომპილატორი იცნობს და იყენებს წმ. დიმიტრის «წამების" ორივე გვიანდელ რედაქციას თუ არა, შუალედურ ვერსიას მაინც. მაგრამ გარდა ფაქტობრივი დამთხვევისა, საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი – „შესხმის" საერთო მიზანდასახულობა, რითაც იგი ასევე უფრო გვიანდელ რედაქციებს უახლოვდება[278].

ვფიქრობთ, „შესხმაში" წარმოდგენილია დიმიტრის სახის ჩამოყალიბების ზემოთ აღწერილი პროცესის საბოლოო, დასრულებული შედეგი. აქ დიმიტრი არის არა მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენელი, არამედ არის „მეოხი და სიხარული დიდი თესალონიკისაჲ, სახელი და ზღუდე", „ყოვლისა სოფლისა ფრიადი იგი სიმდიდრითა, სახელოვანი ახოვნებითა", „ზღუდე ქრისტიანეთა, შემწე ჭირვეულთა,... დამწუველი ეშმაკთა, დამჴსნელი საცთურისა" და სხვა. დიმიტრი არის ძლიერი, მებრძოლი მოწამე და იმპერატორს „ფრიად ეშინოდა ახოვნებისა მისისაგან და კადნიერებისა". უაღრესად გამომსახველია დიმიტრის მიერ სამსჯავროზე წარმოთქმული სიტყვა, რის ფონზეც კიდევ მეტად გამოიკვეთება იმპერატორის უბადრუკება. დიმიტრის მოღვაწეობის აღწერა კი

„შესხმაში" მთავრდება ერთი ფრაზით – „ესე არს მოქალაქობაჲ დიდისა დემეტრესი და ესე არს სახე ღუაწლისა მისისაჲ" (Enc. Euth. § 52).

ჩვენი აზრით, „შესხმის" ქართულ ვერსიაში წარმოდგენილი დიდებული ქრისტიანი მოწამე დიმიტრი, მისი ამაღლებული სახება (რომლის ფონზეც ესოდენ მცირდება წარმართი იმპერატორი), დიმიტრის შესამკობად „შესხმაში" გამოყენებული ისეთი ეპითეტები, როგორიცაა „გჳრგჳნოსანი მჴედარი უფლისა", „მეოხი და სიხარული დიდი თესალონიკისაჲ" უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ თხზულება შეიქმნა წმინდანის სახების ჩამოყალიბების საბოლოო ეტაპზე, არა უადრეს IX საუკუნისა. ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კიდევ ორი გარემოება – სასწაული დიმიტრის საფლავიდან აღმოცენებული მირონის შესახებ, რომელიც, როგორც აღინიშნა, სასწაულთა გვიანდელ ფენას მიეკუთვნება, და ასევე მეტაფრასული მიმდინარეობის გავლენა თხზულების სტრუქტურასა და სტილზე.

### 3.6. „შესხმის" სავარაუდო მთარგმნელი

ძველი ქართული ლიტერატურის დიდი მკვლევარი და პირველი სისტემატიზატორი, კ. კეკელიძე წმ. დიმიტრის «შესხმას" მიიჩნევდა ბერძნულიდან ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ძეგლად, ხოლო მის ქართულად გადმომღებლად ასახელებდა დავით ტბელს[279]. საინტერესოა ის გარემოება, რომ „შესხმის" შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობების მიხედვით ამ ხელნაწერთაგან არც ერთში საერთოდ არ არის დასახელებული თუ მითითებული თხზულების მთარგმნელი. ამდენად, არ არის ნათელი, თუ რის საფუძველზე მიიჩნია კ. კეკელიძემ ამ თხზულების მთარგმნელად დავით ტბელი. შესაძლოა, ამ ვარაუდის წარმოქმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ წმ. დიმიტრის «შესხმა" ერთი შეხედვით ჰგავს დავით ტბელის მიერ ნათარგმნ or. 24-ს, ვინაიდან ორივე ეს თხზულება, როგორც უკვე აღინიშნა, მომდინარეობს ერთი და იგივე ბერძნული წყაროდან. შეიძლება სწორედ ამ მსგავსების გამო კ. კეკელიძემ დიმიტრის «შესხმაც" დავითის თარგმანად იგულისხმა.

ის ცნობა, რომ გრიგოლ ნაზიანზელის or. 24, „შესხმა მღდელმოწამე კჳპრიანესი" ნამდვილად დავით ტბელის ნათარგმნია, არანაირად არ უნდა იყოს საეჭვო, ვინაიდან 1030 წელს გადაწერილ A 1 ნუსხაში, სადაც პირველად ჩნდება or. 24-ის თარგმანი, ჰომილიის მთარგმნელად დაბეჯითებით არის მითითებული დავით ტბელისძე და ზოგიერთ სხვა ნუსხაშიც (მაგ. A 87) სათაურთან მიწერილია „დავით" გაშლილად ან ქარაგმით.[280]

ისმის კითხვა: რამდენად შეიძლება წმ. დიმიტრის «შესხმა" და or. 24-ის დავით ტბელისეული თარგმანი მივიჩნიოთ ერთი და იმავე პიროვნების მიერ შესრულებულად? «შესხმისა" და or. 24-ის ტბელისეული თარგმანის ურთიერთშეჯერებამ არ გამოავლინა არც ერთი, საკმარისად მნიშვნელოვანი დამთხვევა, რის საფუძველზეც ორივე ტექსტის მთარგმნელად შეიძლებოდა დავით ტბელი გვევარაუდა; პირიქით, ეს ტექსტები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ აშკარად სხვადასხვა ადამიანის მიერ უნდა იყოს შექმნილი. «შესხმისა" და or. 24-ის ტბელისეულ თარგმანს შორის არსებული მსგავსება, განსაკუთრებით, სტილისტური, ჩვენი აზრით, გაპირობებული უნდა იყოს არა იმ გარემოებით, რომ «შესხმის" ავტორი იცნობდა, ხელმძღვანელობდა or. 24-ის ტბელისეული თარგმანით ან პირიქით, არამედ იმით, რომ ორივე თხზულება მომდინარეობს ერთი და იმავე წყაროდან, გრიგოლ ღვისმეტყველის ერთი და იმავე ქადაგებიდან, და ორივე, როგორც დავითი, ასევე «შესხმის" ავტორი გარკვეულწილად განიცდიან გრიგოლ ღვთისმეტყველის გავლენას.

ამგვარ ვითარებაში ჩვენ საეჭვოდ მივიჩნიეთ კ. კეკელიძის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ წმ. დიმიტრის «შესხმა" ქართულად თარგმნა დავით ტბელმა. საგულისხმოა, რომ წმ. დიმიტრის «შესხმა" პირველად ჩნდება XI ს.-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ჰაგიოგრაფიულ კრებულში H 341, or. 24-ის დავითისეული თარგმანი კი – 1030 წლით დათარიღებულ A 1 ნუსხაში. ვფიქრობთ, ნაკლებად დასაშვებია შესაძლებლობა იმისა, რომ დროის საკმარისად მცირე მონაკვეთში ერთსა და იმავე მთარგმნელს ორჯერ ეთარგმნა ერთი და იგივე თხზულება (რამდენადაც „შესხმასა" და გრიგოლის or. 24-ს შორის საკმარისი სიახლოვეა), თუნდაც სხვადასხვა მიზანდასახულობით. ჩვენი აზრით, წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართველი მთარგმნელი უნდა ყოფილიყო X–XI სს.-ის მოღვაწე, თუ თავად დავით ტბელი არა (რაც, როგორც ვთქვით, ნაკლებად

დასაშვებად მიგვაჩნია), მაშინ ისეთი მთარგმნელი, რომელიც დაკავშირებული იყო გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ქართული კორპუსის შემქმნელებთან. ეს უკანასკნელი ვარაუდი ეფუძნება იმ გარემოებებს, რომ წმ. დიმიტრის «შესხმა" ერთდროულად ჩნდება ჰაგიოგრაფიულსა და სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების თარგმანების კრებულებში და მის ავტორადაც ქართული ხელნაწერული ტრადიციით გრიგოლ ღვთისმეტყველია მიჩნეული.

ქართული «შესხმის" კვლევისას ჩვენ ეს ტექსტი შევადარეთ «წამების" არა მხოლოდ ბერძნულ რედაქციებს, არამედ მის ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანსაც. ასეთმა შედარებამ გამოავლინა უაღრესად საინტერესო მასალა. აღმოჩნდა, რომ «შესხმის" რამდენიმე მონაკვეთი მიჰყვება და იმეორებს «წამების" ეფთვიმესეული თარგმანის იმ ჩანართ ადგილებს, რომლის ბერძნული წყაროც ცნობილი არ არის.

1) როგორც აღვნიშნეთ, «შესხმის" იმ ნაწილში, სადაც აღწერილია წმ. დიმიტრის წამების ამბავი, საკმარისად დიდი ადგილი უჭირავს იმპერატორის წინაშე წმ. დიმიტრის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. «წამების" მეტაფრასულ რედაქციაშიც გვაქვს ანალოგიური ადგილი, მაგრამ მეტაფრასში დიმიტრის სიტყვა ბევრად მოკლეა[281]. «წამების" ეფთვიმესეულ თარგმანის შესაბამის მონაკვეთში ჩართულია იმპერატორისა და წმინდანის ვრცელი სიტყვიერი პაექრობა, სადაც დიმიტრი რამდენჯერმე პასუხობს იმპერატორს და ეს პასუხები შინაარსობრივადაც და სტილისტურადაც ძალიან ჰგავს «შესხმაში" წმინდანის სიტყვას:

| *«შესხმა"* | *«წამება"* |
|---|---|
| «ჩემდა, ჵ მაქსიმიანე, ერთ არს ღმერთი და მეუფე, რომელმან დამბადა და არაარსისაგან არსად მომიყვანა, რომლისა სარწმუნოებაჲ არა დაუტევო. და ერთი არს დიდებაჲ ჩემი, რაჲთა მისსა მივიდე და მას ვხედვიდე, უზეშთაესსა მას ყოველთა კეთილთასა. | «ჭეშმარიტ არს, მეფეო, სიტყუაჲ ეგე, რამეთუ მე მონაჲ ვარ უფლისა იესუ ქრისტესი, რომელმან იგი შექმნნა ცანი და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა. ხოლო ღმერთნი ეგე, რომელთა მიერ შეცთომილ ხარ, არა ღირს არის წოდებად სახელსა მისსა, |

და ერთი არს სიმდიდრე და სასუფეველისა იგი შუებაჲ. და ერთი არს საშინელ, უკუეთუ მისთა ბრძანებათა გარდავჰჴდე. ხოლო სოფლისა ამის დიდებაჲ მყის წარმავალ არს და ამაო; რომლითა შენ მე ვერ აღმიტაცებ, რაჲთამცა მოყუარე მისსა მყავ. დასცხერ უკუე ქადებად ჩემდა არარათა ამათ და ცუდთა საქმეთა, რამეთუ არა მივიღებ პატივსა ბოროტისა მომატყუებელსა, არცა მნებავს მჴედრობაჲ წარმავალისათჳს დიდებისა. ანუ შენ ჰგონებ-ა, რაჲთამცა გმონებდ შენ და სიტყუასა შენსა ვერჩდი უფროჲს ღმრთისა? რომელი-ეგე მიწა ხარ და ყოვლითურთ საძაგელ. ანუ ვითართა პატივთა მაქადებ, რომელნიმცა ღირს-იყვნეს პატივსა მას თანა მერმესა; გინა თუ ვითართა სატანჯველთა იტყჳ, რომელნიმცა უსაშინელეს იყვნეს გეჰენიასა?! ანუ მე ვჰმსახურო-ა დაბადებულთა, რომლისადა ესე ღმერთ-ყოფაჲ ბრძანებულ არს მათ ზედა?! ვითარ ამაო ხარ და ამაოჲსა მზრახვალი, რომელი-ეგე ამას ესევითარსა იტყჳ. არამედ ჩემდა სასოება იყავნ ქრისტე და მისი სარწმუნოებაჲ და დიდებაჲ, რომელი მან მომცეს. ხოლო შენ და ღმერთნი რამეთუ ქვანი არიან და ძელნი, ქმნულნი ჴელითა კაცთანი, ხოლო ღმერთი ჩემი არს უკუდავი და მეუფჱ ყოველთაჲ.”

«ყოველივე დიდებაჲ შენი შენდავე იყავნ წარსაწყმედელად, ხოლო ჩემდა ცხორებაჲ ქრისტე არს და სიკუდილი მისთჳს სიხარულ არს. ანუ ვითარითა პატივითა გნებავს პატივ-ცემაჲ ჩემი, ვინაჲთგან ნათლისაგან ბნელად მომიწოდ. ხოლო ნეტარ თუმცა ხარ, ისმინე ჩემი და გიჩუენემცა გზაჲ ჭეშმარიტი ცხორებისაჲ.”

«მე ადრითგან მომიძულებიან ჴორცნი ესე ამაონი, რომელნი წინააღმდგომ არიან სულისა და ყოველივე სატანჯველი, რომელიცა მოაწიო მათ ზედა, სიხარული არს ჩემ ზედა და არაჲ მწუხარებაჲ.”

«აჰა, ესერა, სარტყელი პატივისა შენისა შენდავე იყავნ, მეფეო. ხოლო ჩემდა იყავნ ქრისტე და სასოებაჲ, რომელმან-იგი მომცეს მე პატივი უხრწნელი და წარუვალი საუკუნოჲ უკუნისამდე.”

| | |
|---|---|
| ეგე შენნი ტყუვილისანი და დიდებაჲ ამის სოფლისაჲ და პატივი, რომელი მოგიცემიეს ჩემდა, შენდავე იყავნ წარსაწყმედელად. ხოლო მე მივიდე, ვინაჲცა გამოვვარდი ურჩებითა და უფროჲს და უზეშთაეს აღვიდე ღმრთისა მიმართ ჩემისა, რამეთუ სატანჯველნი შენნი არა არიან ჩემდა საშინელ, არამედ საწადელ. ხოლო მახჳლი შენი სულისა ჩემისა მახჳლსა ვერ განჰკუეთს, არამედ უფროჲსად მის მიერ შეიწუვის. არად შემირაცხია ქუეყნიერი ესე, რამეთუ ერთ არს მამული ჩემი – ზეცისა იერუსალემი. ხოლო აქანი ესე მონაგებნი არა საწადელ არიან ჩემდა, რამეთუ ერთი არს დიდებაჲ ჩემი – დაცვაჲ ხატისა ამის შეუხებლად და რომლისა მსგავსად დავიბადე, მისი მსგავსებაჲ, რაოდენ შესაძლებელ არს ბუნებისაგან ჴორციელისა.” | |

2) «წამების” სამივე ბერძნული რედაქციის მიხედვით, ნესტორის მოკვლის შემდეგ დაახლოებულმა პირებმა იმპერატორს ჩააგონეს, რომ ნესტორმა გლადიატორი დიმიტრის ლოცვების ძალით დაამარცხა. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა წმინდანის მოკვლა. მაგრამ «წამების” ეფთვიმესეულ თარგმანში, როგორც ადრე უკვე ვნახეთ, ისევ ვრცელი ჩანართია მოთავსებული. თარგმანის მიხედვით, ნესტორის სიკვდილით დასჯის შემდეგ იმპერატორმა განიზრახა თავისთან ეხმო დიმიტრი. მაგრამ დაახლოებულმა პირებმა არ ურჩიეს ამის გაკეთება და უარი იმით დაუსაბუთეს, რომ იმპერატორი ვერ აჯობებდა დიმიტრის კამათში და მისი სახალხოდ დასჯა კი ამბოხს გამოიწვევდა. იმპერატორმა მიიღო რჩევა. ამ

ჩანართზე მინიშნება გვაქვს «შესხმის" ტექსტში, სადაც დიმიტრის სამსჯავროზე მოყვანამდე იმპერატორის შესახებ ნათქვამია: «რამეთუ ეშინოდა მისისა ახოვნებისაგან და კადნიერებისა, ნუუკუე იძლიოს, ვითარცა იძლიაცა და იძლია ფრიად ძლიერად და კეთილად" (Enc. Euth. § 36).

3) «წამების" სამსავე ბერძნულ რედაქციაში ერთნაირად არის აღწერილი წმინდანის სიკვდილი – იგი განგმირეს შუბებით. «წამების" ქართულ თარგმანში ეს ეპიზოდიც მნიშვნელოვნად არის გავრცობილი. იმპერატორმა დაახლოებული პირები გაგზავნა წმინდანის მოსაკლავად. მათ წმ. დიმიტრი ჯერ ასო-ასო აკუწეს და ამის შემდეგ განგმირეს შუბით. ანალოგიურად არის აღწერილი წმინდანის სიკვდილი «შესხმაშიც": «ხოლო შემდგომად ამისსა მახჳლითა დაიჭრა და ლახურითა განიგუმირა" (Enc. Euth. § 50). საინტერესოა, რომ იოანე თესალონიკელის «სასწაულების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანშიც წმინდანის სიკვდილი ანალოგიურად არის აღწერილი: «...დემეტრე არს, რომელი მოიკლა ლახურითა და მახჳლითა... ეგრეთვე უკუე აქა ღაღადებდეს, ვითარმედ ლახურითა მოკლულ არს იგი და მახჳლითა დაჭრილი დემეტრე იგი" (Enc. Euth. § 45).

4) და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი: წმ. დიმიტრის მირონმდინარების სასწაული. როგორც წმ. დიმიტრის «სასწაულების" გარჩევისას ვნახეთ, მეცნიერები ამ სასწაულს ეფთვიმეს მოღვაწეობის დროზე უფრო გვიანდელი პერიოდით ათარიღებენ. ეს სასწაული არ არის ნახსენები «წამების" არცერთ ბერძნულ რედაქციაში, არც წმ. დიმიტრის «სასწაულების" ყველაზე ადრეულ პირველ ორ ციკლში. სამაგიეროდ ეს სასწაული, როგორც ზემოთ ვნახეთ, განსაკუთრებულად არის აქცენტირებული წმ. დიმიტრის «წამების" და «სასწაულების" ეფთვიმესეულ თარგმანებში. «წამების" ტექსტში ეს მოვლენა აღწერილია ცალკე ჩანართში და პრეფექტ ლეონტიუსს უკავშირდება. «სასწაულების" თარგმანში წმინდანის მირონმდინარება ჩართულია როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ კურნებასთან დაკავშირებულ ყველა სასწაულში და ციკლის ბოლოს ამ თემას ცალკე მთელი სასწაულიც კი ეძღვნება. სწორედ ამ ტენდენციით უნდა იყოს, ჩვენი აზრით, გაპირობებული «შესხმაში" ანალოგიური

მონაკვეთის არსებობა: «ხოლო სადა-იგი დაიფლა, აღმოაცენებს მიერ უხუად კურნებასა და ნელსაცხებელსა სულნელებისასა" (Enc. Euth. § 55), თან აქაც, «წამების" ქართული თარგმანის მსგავსად, ნახსენებია «ნელსაცხებელი სულნელებისა" და არა მირონი.

ასეთი დამთხვევები „შესხმის" ტექსტსა და წმ. დიმიტრის «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმესეულ თარგმანებს შორის, უდაოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი სავსებით დარწმუნებით ამტკიცებს იმ ვარაუდს, რომ წმ. დიმიტრის «შესხმის" მთარგმნელი უნდა იყოს ეფთვიმე ათონელი და გამორიცხავს რომელიმე სხვა მთარგმნელის დაშვების შესაძლებლობას.

ამ მოსაზრებას, ვფიქრობთ, მხარს უმაგრებს რამდენიმე სხვა საინტერესო დამთხვევაც: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების კვლევისას აღმოჩნდა, რომ ქართული „შესხმის" რამდენიმე მონაკვეთს პარალელი ეძებნება ეფთვიმეს მიერ შესრულებულ გრიგოლ ნაზიანზელის სხვა ჰომილიათა თარგმანებში:

| «ათანასეს შესხმა" (PG 35, col. 1088): | წმ. დიმიტრის «შესხმა" |
|---|---|
| «რამეთუ დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ, ვითარცა პირველი სახუეველი ღმრთისმოშიშისა ჩჩჳლისაჲ. ხოლო სიბრძნემან მიგჳთუალნოს რაჲ შიშისაგან და აღგჳყვანნის სიყუარულად, მეგობარ და შვილ ღმრთისა გუყვნის მონებისა წილ" (E 6, § 30)[282]; | «რამეთუ დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ, ვითარცა სახუეველი რაჲმე სიჩჩოებისაჲ და სიბრძნე უზეშთაეს სიბრძნისა და შიშისა გუყოფს და სიყუარულად მოგჳყვანებს და მეგობრად და ძედ ღმრთისა გუყოფს მონათა წილ, ვინაჲთგან უკუე აღიზარდა. ესრეთ წარემატა სათნოებითა და ასწავებდა ყოველთა ღმრთისმსახურებასა" (Enc. Euth. § 25). |
| «ათანასეს შესხმა" (PG 35, col. 1089): | წმ. დიმიტრის «შესხმა" |

| | |
|---|---|
| «ამისთჳს აღგვიდგინა ჩუენ უფალმან რქაჲ ცხორებისაჲ, ქუე მდებარეთა ამათ და მოგუცა ლოდი საკიდური, რაჲთა შეგუაერთნეს თავსა თჳსსა და ურთიერთას, გინა თუ ცეცხლი შემწუველი ბოროტისა მის და ხენეშისა ნივთისაჲ, ანუ თუ ნიჩაბი სამუშაკოჲ, რომელითა განირჩევის სისუბუქე იგი და სიმძიმე მოძღურებათა, ანუ თუ მახჳლი, შემჭრელი ძირთა მათ უკეთურებისათა. და სიტყუამან პოვა შემწე თჳსი და სულმან წმიდამან განაჩინა მოღუაწე ქადაგებისა თჳსისაჲ" (E 7, § 36). | «ხოლო იგი აღიძრვოდა სულითა და შეიწუებოდა ცეცხლითა საღმრთოჲსა მის შურისაჲთა, ასწავებდა და მოაქცევდა ყოველთა ერთა ღმრთისმსახურებად, რამეთუ აღამაღლა იგი ღმერთმან რქად ცხორებისად ერთა შორის და ცეცხლად შემწუველად ეკლოვანთა მათ ძირთა ბოროტთა და ნიჩბად მომკუეთელად უკეთურებისად და პოვა სიტყუამან შემწე თჳსი და სულმან წმიდამან განანათლა მისთჳს მბრძოლი" (Enc. Euth. § 28). |

აღსანიშნავია, რომ „შესხმის" კიდევ ორი მონაკვეთი ძალიან ჰგავს გრიგოლ ნაზიანზელის or. 21-ის ეფთვიმესეული თარგმანის გარკვეულ პასაჟებს. მაგალითად:

1) „შესხმის" ტექსტში არის or. 24-ის ბერძნული ტექსტიდან მომდინარე ერთი საინტერესო დეტალი, შედარება, რომელიც დავით ტბელს თავის თარგმანში შეტანილი არა აქვს. or. 24-ის მეორე თავში, მე-4 პარაგრაფში გრიგოლი წერს: «ესოდენ რაჲ განვიყვენით ურთიერთას, რაოდენ სურვილის ცნობამდე და განყოფილების გამოცდილებად, ვითარცა *მხატვარნი მაგალითთაგან* კუალად შემოვკერბით" (M[283]). «შესხმაში" ეს წინადადება შემდეგნაირად არის თარგმნილი: «ესეზომ განვეშორენით, რაჲთა ოდენ სურვილი ჩვენი ურთიერთას გამოჩნდეს, და გამოვიცადნეთ განშორებითა, ვითარცა *მხატვარნი მაგალითითა*" (Enc. Euth. § 4). აღსანიშნავია, რომ დავით ტბელს ეს შედარება or. 24-ის მისეულ თარგმანში განზრახ არ გადმოაქვს მისი აშკარად რიტორიკული, ანუ ანტიკური ხასიათის გამო[284]. დავით ტბელისგან განსხვავებით კი «შესხმის" მთარგმნელს არ აბრკოლებს ამ შედარების

წარმართული რიტორიკიდან მომდინარეობის ფაქტი. ჩანს, ეს მხატვრული სახე მას კიდევაც მოსწონს და იგი იმეორებს მას «შესხმის" მე-20 პარაგრაფში: «ვითარცა მხატვარნი მიიღებენ მრავალთა წამალთა, ეგრეთვე ამან მრავალთაგან სათნოება სულსა თჳსსა შემოიკრიბა". ეს დეტალი მოწმობს იმასაც, რომ «შესხმის" ავტორი თხზულების შექმნისას ხელმძღვანელობდა or. 24-ის არა დავით ტბელისეული თარგმანით, არამედ მისი ბერძნული ორიგინალით.

საგულისხმოა, რომ ამ შედარებას, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, ეფთვიმე თავის თარგმანებში ხშირად იყენებს. ასეა, უპირველესად, იმ მონაკვეთებში, სადაც ამ შედარების არსებობა გაპირობებულია ბერძნული დედნით. მაგალითად, or. 43-ის პირველ თავში გრიგოლი წერს[285]: «და სხუათა საქმეთა შინა რომელთაცა უზეშთაესი სახე პოვოს, დაიდევინ იგი წინაშე თჳსსა, ვითარცა *მხატვარნი მაგალითსა*, და მისა მიმართ გამოაჩინენ ხელოვნებაჲ თჳსი და ძალი" (M 1, 2)[286]. ეფთვიმეს თარგმანში ეს მონაკვეთი გამოიყურება შემდეგნაირად: «და სხუათა საქმეთა შინა რომელიცა უზეშთაესი სახე პოვოს, დაიდევინ იგი წინაშე თჳსსა, ვითარცა მხატვარნი მაგალითსა, და მისა მიმართ გამოაჩინენ ხელოვნებაჲ თჳსი და ძალი" (E 1, 2)[287].

სხვა შემთხვევებში ეფთვიმე ამ სახეს იყენებს ბერძნული დედნისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, გრიგოლ ნაზიანზელის or. 21-ის, «ათანასეს შესხმის" თარგმანში ეფთვიმე ამ შედარებას იყენებს ისეთ ადგილას, სადაც მისი გამოყენება დედნის მიხედვით არ იყო აუცილებელი. გრიგოლი or. 21-ის მე-4 თავში წერს: «ვიეთსამე ყოველსავე მიემსგავსა, სხუაჲ სხჳთ შემოიღო სიკეთე, ვითარ-იგი სახეებისა ზეშთააღმატებით მწერალთა და ერთად სულად თჳსსა შემოიკრიბა" (M § 18). ეფთვიმე კი ამ ნაწყვეტს თარგმნის შემდეგნაირად: «რომელთამე ყოველსა ღუაწლსა და სათნოებასა ემსგავსა, სხჳთ და სხჳთ სახჱ შუენიერებისაჲ მოიღო, ვითარ-იგი მხატვართა ხელოვანთა ქმნიან, და ყოველივე კეთილი სულსა შინა თჳსსა შეიკრიბა" (E § 18). საინტერესოა ისიც, რომ ნიკოლოზ მირონლუკიელის «ცხოვრების" კიმენური ტექსტის პირველი ფრაზა ეფთვიმესეულ თარგმანში გამოიყურება შემდეგნაირად: «ცხორებანი და მოქალაქობანი ღმერთშემოსილთა და წმიდათა მამათანი მსგავს არიან *მაგალითსა მხატვართასა*"[288]. ჩვენი აზრით, სწორედ ამ

ფრაზაში არის საუკეთესოდ გამოხატული ამ შედარების ეფთვიმესეული გაგება და ამ მხატვრული სახის სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციისა და გაგების გამო იყენებდა ეფთვიმე მას ასე ხშირად თავის თარგმანებში და მათ შორის, წმ. დიმიტრის «შესხმაშიც”[289].

2) გრიგოლ ღვთისმეტყველი «ათანასეს შესხმის” მე-6 თავში, როდესაც მოგვითხრობს ათანასეს განათლებაზე, წერს[290]: «არამედ ყოველივე ძუელი წიგნი და ყოველივე ახალი იწუართა, ვითარ-იგი ვერცაღა ერთი სხუამან, განმდიდრდა ცხორებისაცა ბრწყინვალებითა და შეთხზა ორივე საკჳრველებით ნამდჳლვე *ოქროჲს სირაჲ*, და ვერ სათხზველი მრავალთაჲ, ცხორებასა წინამძღურად ხედვისა და ხედვასა ბეჭდად ცხორებისა ჰუმევითა” (M 6, §§ 28-29).

ეფთვიმეს თარგმანში ეს ნაწყვეტი გამოიყურება ასე: «ამისთჳსცა ნეტარმან მან უმეტესი მოღუაწებაჲ ჭეშმარიტსა სწავლასა აჩუენა და ყოველი ძუელი და ახალი საღმრთოჲ წიგნი მოსწრაფედ და წადიერად ისწავა. და მოიგო მდიდრად გულისხმისყოფაჲ, განმდიდრდა ბრწყინვალითა და პატიოსნითა მოქალაქობითა და შეთხზნა საკვირველად ორივე – *ჯაჭჳ იგი ოქროისაჲ* და არა მრავალთა მიერ შეთხზნილი, ცხორებაჲ სათნოჲ წინამძღუარად საცნაურისა ხედვისა და ხედვაჲ საღმრთოჲ ბეჭდად სათნოჲსა ცხორებისა იჴმარა” (E §§ 28-29).

„შესხმაში” კი დიმიტრის აღზრდასა და განათლებაზე მოგვითხრობს § 24: «რამეთუ იგი აღიზარდა სიჩჩოჲთგან სიწმიდესა შინა და ღმრთისმსახურებასა და მოეღო წიგნთაგან საღმრთოთა წერილთა სიმდიდრე გულისჴმის-ყოფისაჲ და სიმრავლე სათნოებათაჲ. ამათ უკუე ორთაგანვე დათხზნა – ერთი *ჯაჭჳ ოქროისაჲ*, ჭეშმარიტად არათუ მრავალთა მიერ დათხზული და მოიგო ცხორებაჲ მომატყუებელი გულისჴმის-ყოფისაჲ და გულისხმა-ყოფაჲ ბეჭედი ცხორებისაჲ” (Enc. Euth. § 24).

გარდა იმ უდაო საერთო მსგავსებისა, რომელიც შეინიშნება «შესხმიდან” მოყვანილ მონაკვეთსა და გრიგოლის or. 21-ის ეფთვიმესეული თარგმანის ნაწყვეტს შორის, აქ საყურადღებოა კიდევ ერთი დეტალი: ეფთვიმე or. 21-ის აღნიშნული მონაკვეთიდან ბერძნული სიტყვას ♦♏♓🕯❒♋ თარგმნის როგორც «ჯაჭჳ”. ♦♏♓🕯❒♋-ს მნიშვნელობა Liddle-Scott-ის ლექსიკონის მიხედვით არის

«ბაწარი, დაწნული კანაფი, ლასო"[291]. ეს სიტყვა ეფრემს თავის თარგმანში გადმოაქვს ტრანსლიტერირებული შესატყვისით (ბერძნიზმით) «სირა", რასაც ი. აბულაძე განმარტავს როგორც «ფართო შოლტი, მოქსოვილი ფინიკის ფურცელთაგან, ჭილობი"[292]. or. 21-ის ზემოთ მოყვანილი მონაკვეთის შინაარსის, ანუ კონტექსტის მიხედვით, აქ «სირა" იქნება გამოყენებული თუ «ჯაჭჳ", დიდი მნიშვნელობა არა აქვს; მაგრამ საინტერესოა ის მომენტი, რომ «შესხმის" შინაარსობრივად საკმარისად მსგავს მონაკვეთში გამოყენებულია სწორედ ლექსიკური ერთეულით „ჯაჭჳ", ეფთვიმეს თარგმანის მსგავსად, და არა რაიმე სხვა სიტყვა.

ამდენად, ჩვენი აზრით, წმ. დიმიტრის «შესხმა" ქართულად თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების სხვა თხზულებათა ეფთვიმესეული თარგმანების ზემოთ მოყვანილი მონაკვეთები კი გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ ამ თარგმანის შექმნის პერიოდზე.

## 1.7. «შესხმის" დათარიღება

დღეისათვის უკვე გარკვეულია ეფთვიმეს მიერ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმნის დაახლოებითი თანამიმდევრობა[293]. ეს ჩვენც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ქართული «შესხმის" შექმნის დრო.

ეფთვიმეს გრიგოლის ჰომილიების თარგმნა უნდა დაეწყო ბასილი დიდის ეპიტაფიიდან (or. 43), რომელიც მან თარგმანში გადააკეთა ჰაგიოგრაფიულ, «ცხოვრებათა" ჟანრის თხზულებად. ეს თარგმანი პირველად გვხვდება 977 წელს გადაწერილ ნუსხაში, Ath. 32 (ბასილის ჰომილიათა კრებულში), სადაც ასევე შეტანილია ეფთვიმესვე ნათარგმნი გრიგოლის or. 15, «მაკაბელთათვის" (რომელიც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ასევე ჰაგიოგრაფიული ანუ «წამებების" ჟანრის თხზულებად ჩაითვალოს[294]).

1002-1005 წლებით თარიღდება ნუსხა Ath. 68, რომელიც მიჩნეულია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა «წიგნის" შექმნის პირველ ცდად: კრებული იწყება გრიგოლის ცხოვრებით, მას უნდა მოჰყოლოდა or. 43, 15, 40 და 38 (კომენტარით).

მცირე კორპუსთა შორის უძველესი, ეფთვიმეს სიცოცხლეშივე მისი ავტოგრაფიდან გადაწერილი უნდა იყოს ხელნაწერი A 92 (XI ს.), სადაც შესულია გრიგოლის Vita, 15 ლიტურგიკული (or. 1, 45, 44, 41, 15, 19, 38, 43, 39, 40, 11, 21, 42, 16, 14, 20, 29, 30, 31) და 4 არალიტურგიკული (or. 20, 29, 30, 31) სიტყვა. «შესხმის" შემცველი ყველაზე ადრეული კრებული H 341 კი, როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ, თარიღდება XI ს.-ის პირველი ნახევრით.[295]

ჩვენი ვარაუდით, «შესხმა" უნდა შექმნილიყო XI ს.-ის პირველ მეოთხედში ჰაგიოგრაფიული კრებულებისათვის, რასაც ცხადყოფს ის, რომ «შესხმის" საუკეთესო ტექსტი მოთავსებულია ჰაგიოგრაფიულ კრებულში S 384. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების თარგმანების პარალელურად, უფრო ზუსტად კი – უშუალოდ «ათანასეს შესხმის" (or. 21-ის) თარგმნის ახლო ხანებში, რაზეც მიუთითებს ზემოთ აღნიშნული მსგავსება წმ. დიმიტრის «შესხმასა" და «ათანასეს შესხმის" ეფთვიმესეულ თარგმანს შორის და მოყვანილი პარალელები. როგორც ჩანს, ეფთვიმე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების თარგმანების პარალელურად სხვა ჟანრისა თუ ავტორის თხზულებებსაც თარგმნიდა (ზემოთ ხსენებული წმინდა მხედრების ციკლების შექმნას, შესაძლოა, საეკლესიო ღვთისმსახურების გარკვეული თავისებურებები, ან რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა განაპირობებდა).

## 1.8. «შესხმის" ავტორ-შემდგენელი

როგორც ვნახეთ, ქართული „შესხმა" არის ფაქტობრივად გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიის და წმ. დიმიტრის «წამების" კომპილაცია. ეს კომპილაცია შექმნილი უნდა იყოს ისეთი პიროვნების მიერ, რომელიც კარგად იცნობდა როგორც მოწამე დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ციკლს («წამების" რედაქციები, «სასწაულები"), ასევე გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებებსაც.

ცნობილი მკვლევარის, I. Ševčenko-ს, შენიშვნით, ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში მოიპოვება საკმარისად დიდი რაოდენობა მსგავსი კომპილატორული მეთოდით შექმნილი თხზულებებისა[296].

ჰაგიოგრაფიაში სხვა თხზულებებიდან ნასესხები თუ აღებული მონაკვეთებით წამებებისა და ცხოვრებების შევსების ფაქტები შეუნიშნავს ჯერ კიდევ П. Никитин-ს გასული საუკუნის ბოლოს; მაგალითად, მან გაარკვია, რომ გიორგი ამასტროსის, ნიკიფორეს, ტარასისა და გრიგოლ დეკაპოლიტელის ცხოვრებებში ჩართულია ეპიზოდები გრიგოლ ნაზიანზელისეული ბასილი დიდის ეპიტაფიიდან და ამ ჩანართებიდან ექვსი მაინც ერთიდაიგივე პასაჟებია. ეს კომპილაციებიც, მკვლევარის აზრით, შექმნილი უნდა იყოს 842 წლის შემდეგ[297]. ასევე Д. Лихачев-იც რუსეთში მოგვიანებით, XIV-XV სს.-ში ბიზანტიური მეტაფრასული ლიტერატურის გავლენით გავრცელებული მაღალი სტილის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ "Заимствования и компиляции, стремление избегать индивидуальных особенностей стиля составляет характерную черту литературных жанров"[298]. ეს დაკვირვება სავსებით ზუსტად გადმოგვცემს X საუკუნის ბიზანტიურ ლიტერატურაში გავრცელებულ ტენდენციებს.

როგორც ჩანს, ქართულ თარგმანში დაცული წმ. დიმიტრის კომპილირებული «შესხმაც" სწორედ ამ ტენდენციების გავლენით უნდა იყოს შექმნილი. თხზულების სტილისტურმა და მხატვრულმა ანალიზმა კი გვიჩვენა, რომ მისი ავტორი უდაოდ იყო ნიჭიერი შემოქმედი, რომელიც არა მხოლოდ მშვენივრად იცნობდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სვიმეონ მეტაფრასტის შემოქმედებას, არამედ თავად კარგად ერკვეოდა და ფლობდა რიტორიკულ ხელოვნებას და მეტაფრასტიკის თეორიას.

ამდენად, „შესხმის" შესაძლებელი ავტორის მიებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რამდენიმე პირობა:

1) „შესხმა" შექმნილია არა უადრეს IX-X სს.-ისა და არა უგვიანეს XI ს.ის პირველი მეოთხედისა. „შესხმის" შექმნის ქვედა ზღვარზე მიგვანიშნებს სამი გარემოება: ა) „შესხმაში" ჩართული დიმიტრის წამების აღწერა შექმნილი უნდა იყოს წმინდანის «წამების" შუალედურ რედაქციაზე დაყრდნობით (რომელიც შექმნილია არაუდრეს VIII საუკუნისა); ბ) თხზულების სტრუქტურასა და სტილში აისახება მეტაფრასული მიმდინარეობის გავლენა (იგი სათავეს იღებს X ს.-ის ბოლოს); გ) „შესხმაში" შეტანილია გვიანდელი წარმოშობის სასწაული წმ. დიმიტრის საფლავიდან აღმოცენებულ მირონზე. „შესხმის" შექმნის ზედა ზღვარს განსაზღვრავს მისი შემცველი უძველესი

ქართული ხელნაწერის დათარიღება. „შესხმის" ქართული ვერსია უკვე ჩნდება XI ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ხელნაწერში H 341, ანუ ამ დროზე უფრო გვიან „შესხმა" ვერ დაიწერებოდა.

2) „შესხმის" ავტორი კარგად იცნობდა: ა) წმ. დიმიტრის «წამებისა" და სასწაულების ციკლებს; ბ) გრიგოლ ღვთისმეტყველის შემოქმედებას.
3) „შესხმის" ავტორი იყო მეტად ნიჭიერი შემოქმედი, რომელიც კარგად იცნობდა თავის თანამედროვე ბიზანტიის ლიტერატურაში გავრცელებულ ტენდენციებს. საფიქებელია, რომ ამ ავტორის შემოქმედებაში „შესხმა" არ იქნებოდა ერთადერთი კომპილირებული თხზულება, მას უთუოდ ექნებოდა იმავე კომპილაციური მეთოდით შექმნილი სხვა ნაწარმოებებიც.
4) „შესხმის" ავტორი თავის კომპილაციას მეტაფრასული თეორიის პრინციპების მიხედვით ქმნის; ამდენად, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ან თვით სვიმეონ მეტაფრასტის შემოქმედება,[299] ან სვიმეონის წინა პერიოდი და მაკედონური რენესანსის პრინციპები, რომლის საფუძველზეც შემდგომში შეიქმნა სვიმეონის მეტაფრასები.
5) „შესხმის" ავტორი კარგად არის გათვითცნობიერებული რიტორიკულ ხელოვნებაშიც. „შესხმაში" რიტორიკული ფიგურების უხვად გამოყენება გაპირობებული უნდა იყოს არა მხოლოდ გრიგოლ ნაზიანზელის or. 24-ის გავლენით (სადაც ასევე მრავლადაა მსგავსი ფიგურები), არამედ სწორედ რიტორიკული განათლების საერთო გამოყენებით და ფართო ცოდნით, ვინაიდან რიტორიკული ფიგურები გვხვდება „შესხმის" იმ მონაკვეთებშიც, რომლებსაც გრიგოლის or. 24-ში პარალელი არ მოეპოვება.

ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი ქართული „შესხმის" შემქმნელი ბერძნულ გარემოში ვეძიოთ, მით უმეტეს, რომ, როგორც ვნახეთ, ბერძნულ ლიტერატურაში ხსენებაც არ არის გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დაწერილი წმ. დიმიტრის «შესხმისა". ავტორთა სახელების აღრევაც ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ყველაზე შესაძლებელ სიტუაციაში – გრიგოლ დიაკონის «შესხმის" შემთხვევაში – ეს ტექსტი არანაირ მსგავსებას არ ამჟღავნებს ქართულ ვერსიასთან. ასევე წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი ბერძნული შესხმების უმეტესი რაოდენობაც ქართულ ვერსიაზე უფრო გვიან არის შექმნილი და ვერ იქნება მისი დედანი. ვფიქრობთ, ყველა ამ გარემოების გათვალისწინება გვაძლევს

უფლებას წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ვერსიის ავტორად ქართველი მოღვაწე ვივარაუდოთ.

„შესხმის" ავტორისათვის ზემოთ მოყვანილი აუცილებელ პირობებს ზუსტად ესადაგება X–XI სს.-ის ორი ისეთი დიდი ქართველი მთარგმნელი, როგორებიც იყვნენ ეფთვიმე ათონელი და ეფრემ მცირე. ორივე ძალიან კარგად იყო გათვითცნობიერებული მათ თანამედროვე ბიზანტიურ ლიტერატურაში, იცნობდა და თარგმნიდა გრიგოლ ნაზიანზელისა და სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებებს, ორივე იცნობდა წმ. დიმიტრის «წამებისა" და სასწაულების ციკლს – ეფთვიმეს ნათარგმნი აქვს წმ. დიმიტრის «წამება" და «სასწაულები",[300] ხოლო ეფრემს უთარგმნია დიმიტრის «წამების" მეტაფრასული რედაქცია.[301]

მათგან ეფრემ მცირეს ვერ მივიჩნევთ «შესხმის" ავტორად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ «შესხმა" უკვე არსებობდა XI ს.-ის პირველ ნახევარში, მაშინ როდესაც ეფრემმა გრიგოლის თხზულებების და, მით უმეტეს, მისი 16 ლიტურგიკული სიტყვის (რომელთა რიცხვშიც შედის or. 24-ც) თარგმნა დაიწყო გაცილებით უფრო გვიან, XI ს.-ის ბოლოსკენ.[302] ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეფრემისთვის არ არის დამახასიათებელი მსგავსი თავისუფალი დამოკიდებულება სათარგმნი მასალისადმი და მის შემოქმედებაში არ არის ცნობილი არც ერთი ასეთი კომპილაცია.

ეფთვიმე ათონელი კი, რომელსაც, როგორც ვნახეთ, უდაოდ მიუძღვის წვლილი „შესხმის" ქართული ვერსიის შექმნაში თუნდაც როგორც მთარგმნელს, ჩვენი აზრით, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ამ თხზულების ავტორად. ეფთვიმე, ბრწყინვალე მთარგმნელი და შემოქმედი, თავისი მუშაობის მეტად სპეციფიური ხასიათით, ხშირ შემთხვევაში სათარგმნი მასალისადმი მეტად თავისუფალი და არაორდინარული მიდგომით ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება „შესხმის" ავტორის კანდიდატურას.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე განხილული და შესწავლილია ის შემთხვევები, როდესაც ეფთვიმე თავისი გარკვეული მიზანდასახულებისდა შესაბამისად თარგმნის დროს ძალიან ცვლიდა სათარგმნ ტექსტს. ეს გარემოება შენიშნა ჯერ კიდევ კ. კეკელიძემ, როდესაც განიხილა ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი თხზულება „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთავარანგელოზისა მიქაელისათა".[303] შემდგომში გამოვლინდა ეფთვიმეს მიერ ორიგინალის გადამუშავების სხვა

საინტერესო შემთხვევებიც,[304] რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეფთვიმეს მიერ კომპილირებული მცირე სჯულისკანონი.[305]

მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ მსგავსი შემთხვევები გამოვლენილია სწორედ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმესულ თარგმანებში[306]: ბასილის ეპიტაფია ეფთვიმეს თარგმანში გავრცობილია ბასილის სასწაულებით და ფაქტობრივად გადაკეთებულია ჰაგიოგრაფიულ თხზულებად[307], ხოლო or. 2 და or. 3-ის კომპილირებისა და ამ თხზულებათა მიზანდასახულობის შეცვლით ეფთვიმემ შექმნა ორი ახალი, გრიგოლის ჰომილიებისაგან მეტად განსხვავებული თხზულება[308]. ასე რომ, ამ ფაქტების ფონზე გრიგოლის or. 24-ის წმ. დიმიტრის «შესხმად" გადაკეთება გვევლინება როგორც კიდევ ერთი შემთხვევა ეფთვიმეს მეტად არაორდინალური მიდგომისა სათარგმნი მასალისადმი და მშვენიერი მაგალითი ეფთვიმეს, როგორც შემოქმედის, მოღვაწეობისა.

გარდა იმისა, რომ ეფთვიმეს ხელეწიფებოდა „შესხმის" მსგავსი კომპილაციების შექმნა და გვაქვს ეფთვიმეს მიერ შექმნილი კომპილირებული თარგმანების საკმარისად დიდი რაოდენობა,[309] ეფთვიმეს მიჩნევა წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ვერსიის ავტორად პასუხს სცემს კიდევ ერთ აქამდე გადაუჭრელ საკითხს – გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვიდან რატომ თარგმნა ეფთვიმემ მხოლოდ 15 ჰომილია და არ თარგმნა სწორედ or. 24. თუ „შესხმის" ავტორად მივიჩნევთ ეფთვიმეს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ეფთვიმემ or. 24 გამოიყენა სხვა მიზნისათვის, გარდათქვა და გადააკეთა იგი მოწამე დიმიტრის «შესხმად", ხელმეორედ ამ ჰომილიას აღარ მიუბრუნდა და ამიტომ შემდგომში გრიგოლის ლიტურგიკული სიტყვების კორპუსის დასასრულებლად ამ ქადაგების გადმოთარგმნა, ჩანს, დაევალა, დავით ტბელს.

ამ ჰიპოთეზას, ჩვენი აზრით, ამყარებს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ კი ქართული «შესხმის" ადგილი ხელნაწერში S 1696, XI ს.

ეს ხელნაწერი შედგენილი და გადაწერილია მეტად განსწავლული მწიგნობრის, პეტრე პატრიკ-ყოფილის[310] მიერ და წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ყველა იშვიათი ქართული თარგმანის შეკრების ცდას. დღეისათვის მხოლოდ ამ ერთადერთი ნუსხით არის მოღწეული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ნაკლებად გავრცელებული თარგმანები (or. 7-ის

გრიგოლ ოშკელისეული თარგმანი, or. 2-ის და or. 3-ის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანები), ტექსტების კომენტარები (or. 9-ზე დართული «თარგმანებაჲ ძნიად გულისჴმისსაყოფელთა სიტყუათაჲ", თარგმანი დავით ტბელისა) და გრიგოლ ღვთისმეტყველისთვის მიკუთვნებული, მაგრამ სინამდვილეში უცნობი წარმომავლობის ტექსტები (დავით ტბელის ნათარგმნი «ებისტოლე პირველი გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ კლიდონიოს ხუცისა მიმართ", «წმ. დიმიტრის შესხმა").

ამ ნუსხაში, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება თარგმანების განლაგება-თანამიმდევრობა. ნუსხაში შეტანილია სულ 22 ტექსტი. ხელნაწერში პირველი 13 + 1 ტექსტი წარმოადგენს ეფთვიმე ათონელის თარგმანებს. ამათგან ბოლო ორი არის გრიგოლის or. 2-ის და or. 3-ის ეფთვიმესეული ვერსიები. ხაზს ვუსვამთ, ვერსიები და არა თარგმანები, ვინაიდან ეს ორი ტექსტი, როგორც აღვნიშნეთ, ძირეულად განსხვავდება გრიგოლის ხსენებული ორი ჰომილიისაგან. ამის შემდეგ ხელნაწერში იწყება დავით ტბელის თარგმანები და ეს ნაწილი ნუსხაში იწყება სწორედ გრიგოლის or. 2-ის დავით ტბელისეული თარგმანით – თითქოს ეფთვიმეს თარგმანთან შესადარებლად (თუ შედარების გასაადვილებლად). ნუსხაში დავითის ექვსი თარგმანის შემდეგ ჩართულია or. 7-ის გრიგოლ ოშკელისეული თარგმანი და ხელნაწერი ისევ დავითის თარგმანით მთავრდება. როგორც ვთქვით, ეს ხელნაწერი თავისი შედგენილობით უფრო ვინმე სწავლული ბერის კერძო ინტერესებისათვის შექმნილ კრებულს ჰგავს. წმ. დიმიტრის «შესხმა" ამ ნუსხაში არის მე-5 ტექსტი, ანუ ჩართულია ეფთვიმე ათონელისული თარგმანების რიცხვში. ვითვალისწინებთ რა კრებულის მეტად თავისებურ მიზანდასახულობასა და შედგენილობას, მიგვაჩნია, რომ «შესხმის" ჩართვა ეფთვიმეს თარგმანთა შორის შემთხვევითობის შედეგი არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნუსხის გადამწერ-შემდგენელმა იცოდა თხზულების მთარგმნელის თუ კომპილატორის ვინაობა და განზრახ შეიტანა ის ეფთვიმე ათონელის თარგმანთა შორის.

დაბოლოს, «შესხმასთან" დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი დეტალი; «შესხმის" შემცველი ყველაზე ადრეული ნუსხებში, XI ს.-ის ჰაგიოგრაფიულ კრებულებში H 341-სა და Sin. 80-ში, «შესხმა" შეტანილია არა

ცალკე, არამედ წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ დანარჩენ საკითხავებთან ერთად. ესენია: ეფთვიმეს მიერ თარგმნილი წმ. დიმიტრის «წამება" და «სასწაულები" და მათთან ერთად «შესხმაც". როგორც აღვნიშნეთ, წმ. დიმიტრი ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც წმინდა მეომარი, ქრისტეს „წმინდა მხედარი". კ. კეკელიძის შენიშვნით, ქართულ სინამდვილეში მოთხოვნილება ამ წმინდანთა „ცხოვრებებსა" თუ მარტვილობებზე „დაბადებულა... X საუკუნის მიწურულიდან, განსაკუთრებით XI–XII საუკუნეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი ფეოდალური მონარქია... ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ძლიერი, ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში საჭირო იყო სამხედრო თავდადების და რაინდული მამაცობის გამოვლინების მაგალითები", რაც კაცს „ომს მოანდომებს და იარაღის ხმარებას ასწავლის და ამით ქვეყნისათვის გამოსადეგს გახდის."[311] სწორედ X ს.-ში ითარგმნება წმინდა მხედართა ცხოვრებები და მარტვილობები, ადრეული თარგმანები კი ახალი, მეორადი, გამშვენიერებული თარგმანებით იცვლება. სავარაუდოა, რომ ეფთვიმეც სწორედ ამ ვითარების გავლენით თარგმნის წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ თხზულებებს.

აქ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეფთვიმე თარგმნის ამ წმინდანთა შესახებ არსებულ თხზულებათა მთლიან ციკლს – «წამება", «სასწაულები", «შესხმა". ვფიქრობთ, ამასთან უშუალო კავშირში უნდა იყოს ისიც, რომ წმინდა მამათა თხზულებების თარგმანებს ეფთვიმე წინ წარუმძღვარებდა მათი ცხოვრების ტექსტს.[312] როგორც ჩანს, ეფთვიმე ამას აკეთებდა სრულიად გარკვეული მიზანდასახულობით, იმისათვის, რომ მკითხველს სრული ინფორმაცია ჰქონოდა თარგმნილ თხზულებათა ავტორის შესახებ. ასეთი მიზანდასახულობით მან თარგმნა წმ. გიორგისთან დაკავშირებული ციკლი და ასეთივე განზრახვით ქმნიდა იგი წმ. დიმიტრის ციკლს. ეფთვიმემ თარგმნა მის ხელთ არსებული წმ. დიმიტრის «წამება" და იოანე თესალონიკელის მიერ შეკრებილი წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლი. ამ თარგმანების დასრულების შემდეგ დიმიტრის მთელი ციკლის დასრულებისათვის კი, შესაძლოა, ეფთვიმე არ დააკმაყოფილა მის ხელთ არსებულმა შესხმებმა და ამიტომ განიზრახა ახალი „შესხმის" შექმნა, სადაც მან უკვე წარმოგვიდგინა დიმიტრი, როგორც ქრისტეს მეომარი წმინდანი.

## 1.9. დასკვნა

«წმ. დიმიტრის შესხმა" დღეისათვის შემონახულია რვა ხელნაწერში, რომელთაგან უძველესი არის XI საუკუნის პირველი ნახევრის ჰაგიოგრაფიული კრებული H 341. ყველა ქართულ ხელნაწერში ტექსტის ავტორად ერთნაირადაა დასახელებული გრიგოლ ნაზიანზელი, ტექსტის ქართულად გადმომღებლად კი კ. კეკელიძემ მიიჩნია დავით ტბელი.

ბერძნულ ლიტერატურაში არსებული წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი შესხმების უმეტესი ნაწილი (41 ტექსტიდან 27) ნამდვილად არ წარმოადგენს ქართული ტექსტის დედანს. წმ. დიმიტრისადმი მიძღვნილი თხზულება ასევე არ ჩანს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში. მაგრამ თვით ქართული თხზულების შესწავლამ ცხადყო, რომ ეს არის გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიის («სიტყუა მღდელმოწამისა კჳპრიანესათჳს") ტექსტის მთლიანი პერეფრაზი. «შესხმის" ტექსტი გარკვეული სიზუსტით მისდევს გრიგოლის or. 24-ის ძირითად ტექსტს, ხოლო ის მონაკვეთები, სადაც გრიგოლი მოგვითხრობს კვიპრიანეს ამბავს, ჩანაცვლებულია წმ. დიმიტრის ცხოვრებისა და წამების აღწერით.

ბერძნულ ლიტერატურაში ამ ორ წმინდანს, დიმიტრი თესალონიკელსა და კვიპრიანეს, შორის არანაირი კავშირი არ დასტურდება. ამდენად, ვარაუდი «წმ. დიმიტრის შესხმის" აგების შესახებ «წმ. კჳპრიანეს შესხმის" საფუძველზე ამ წმინდანთა შორის არსებული რაიმე კავშირის გამო, უმართებულოა.

წმ. დიმიტრის ქართული «შესხმის" წყაროების დასადგენად ჩვენ შევისწავლეთ წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული სხვა თხზულებების – «წამების", «სასწაულების" – ჩვენს ხელთ არსებული ყველა რედაქცია როგორც ბერძნულ და ლათინურ, ასევე ქართულ ლიტერატურაში. კვლევამ აჩვენა, რომ ქართული «შესხმის" ის ეპიზოდები, სადაც ასახულია წმ. დიმიტრის ცხოვრებისა და წამების ამბავი, შინაარსობრივად უფრო ახლოს დგას წმ. დიმიტრის «წამების" ბერძნულ გვიანდელ (შუალედურ და მეტაფრასულ) რედაქციებთან. მსგავსება ამ რედაქციებთან აისახება შემდეგში: 1) ქართულ «შესხმაში" დიმიტრი

გვევლინება არა როგორც რჯულის უბრალო მასწავლებელი, არამედ როგორც მაღალი, არისტოკრატული ფენიდან გამოსული ძლევამოსილი წმინდანი და შემკულია შესაბამისი ეპითეტებით: «განთქუმული ახოვნებითა და... წარჩინებული მთავართა შორის", «მდევნელი ეშმაკთაჲ და გჳრგჳნოსანი მხედარი უფლისაჲ" და სხვა; 2) ხაზგასმულია კავშირი დიმიტრისა და ნესტორის კავშირი, 3) შეტანილია დიმიტრის აბანოს საკანში ყოფნის დროს ღრიანკალის მოკვლისა და ანგელოზის მიერ გვირგვინით შემკობის სასწაულები, 4) ჩართულია იმპერატორისა და დიმიტრის სიტყვიერი პაექრობის ამსახველი სცენა. გარდა ამისა, თხზულების საერთო მიზადასახულობაც მიგვანიშნებს მის უფრო გვიანდელ წარმოშობაზე, რადგან აქ წამოდგენილია დიმიტრის, როგორც წმინდა მხედრის, უკვე დასრულებული სახე. ტექსტში გამოყვანილი დიდებული წმინდანი დიმიტრი, მის შესამკობად გამოყენებული ეპითეტები, მირონმდინარების სასწაული ადასტურებს, რომ თხზულება შეიქმნა წმინდანის სახების ჩამოყალიბების საბოლოო ეტაპზე, არა უადრეს IX საუკუნისა.

«შესხმის" ქართველი მთარგმნელის დასადგენად იგი შევადარეთ გრიგოლ ღვთისმეტყველის 24-ე ჰომილიის დავით ტბელისეულ თარგმანს, მაგრამ ტექსტებს შორის არსებული განსხვავება გვიჩვენებს, რომ ისინი ორი სხვადასხვა ავტორის შექმნილია. ამას მხარს უმაგრებს ის გარემოებაც, რომ წმ. დიმიტრის ქართული «შესხმის" შემცველი უადრესი ხელნაწერი H 341 თარიღდება XI საუკუნის პირველი ნახევრით, დავით ტბელის მიერ ნათარგმნი გრიგოლის ქადაგება კი ჩნდება უკვე 1030 წლით დათარიღებულ A 1 ნუსხაში. ნაკლებად დასაშვებია, რომ დროის საკმარისად მცირე მონაკვეთში ერთსა და იმავე პიროვნებას ორჯერ ეთარგმნა ერთი და იგივე ტექსტი იმდენად განსხვავებულად, რომ თარგმანებში არცერთი საერთო ადგილი არ დასტურდებოდეს.

ქართული «შესხმის" ტექსტის კვლევისას გამოვლინდა, რომ ამ თხზულების რამდენიმე მონაკვეთი მიჰყვება და იმეორებს წმ. დიმიტრის «წამების" ეფთვიმესეული თარგმანის იმ ჩანართ ადგილებს, რომლის ბერძნული წყაროც ცნობილი არ არის. ეს ეხება იმპერატორისა და მოწამის დაპირისპირებას მაქსიმიანეს სტადიონზე შესვლის წინ, ნესტორის სიკვდილით დასჯის შემდეგ იმპერატორის დაახლოებულ პირთა რჩევას და თათბირს, დიმიტრის წამებას და

მირონმდინარების სასწაულს. ასეთი დამთხვევები ქართული «შესხმის" ტექსტსა და წმ. დიმიტრის «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმესეულ თარგმანებს შორის, უდაოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ მასალის საფუძველზე სავსებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ «წმ. დიმიტრის შესხმის" მთარგმნელი უნდა იყოს ეფთვიმე ათონელი, რაც გამორიცხავს რომელიმე სხვა მთარგმნელის დაშვების შესაძლებლობას.

ამას გარდა, ქართული «შესხმის" ზოგიერთი მონაკვეთი ამჟღავნებს აშკარა მსგავსებას გრიგოლ ნაზიანზელის სხვა ჰომილიების ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანებთან (მაგ., or. 21). ეს გარემოება ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ «წმ. დიმიტრის შესხმა" ქართულად თარგმნა ეფთვიმე ათონელმა და ამავე დროს გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ «შესხმის" შექმნის დროზე.

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების კრებულები და «შესხმის" შემცველი სხვა ნუსხების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეფთვიმე მუშაობდა წმ. დიმიტრის ციკლის თარგმანებზე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების თარგმანების პარალელურად. «შესხმა" კი მას უნდა ეთარგმნა უშუალოდ გრიგოლ ნაზიანზელის 21-ე ჰომილიის, «ათანასეს შესხმის", თარგმნის ახლო ხანებში, რაზეც მიუთითებს ზემოთ აღნიშნული მსგავსება წმ. დიმიტრისა და წმ. ათანასეს შესხმებს შორის.

ამდენად, წმ. დიმიტრის ქართული «შესხმა" არის გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიისა და წმ. დიმიტრის «წამების" კომპილაცია. ბერძნულ ლიტერატურაში არსებობს მსგავსი კომპილატორული მეთოდით შექმნილი თხზულებები, განსაკუთრებით, ჰაგიოგრაფიული ჟანრისა, სადაც წმინდანთა ცხოვრებები თუ წამებები, მათი გამშვენიერების და გამდიდრების მიზნით, შევსებულია სხვა თხზულებებიდან აღებული მონაკვეთებით (I. Ševčenko, П. Никитин). ჩანს, ქართული «შესხმაც" სწორედ ამ ტენდენციების გავლენით უნდა იყოს შექმნილი.

«შესხმის" ტექსტისა და მასთან დაკავშირებული მასალის კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა გათვალისწინებაც არის აუცილებელი პირობა კომპილატორის ვინაობის განსაზღვრისათვის. მათგან პირველია დროითი საზღვრები – თხზულება შექმნილია არა უადრეს IX-X სს.-

ისა და არა უგვიანეს XI ს.-ის პირველი მეოთხედისა. ამ დროის პერიოდის ქვედა ზღვარზე მიგვანიშნებს თხზულების სტრუქტურა, სტილი და მიზანდასახულობა, და ასევე მირონმდინარების სასწაული. ზედა ზღვარს კი განსაზღვრავს თხზულების შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერის დათარიღება.

«შესხმის" კომპილატორი უთუოდ კარგად იცნობდა როგორც წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ სხვა თხზულებებს («წამება", «სასწაულები"), ასევე გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებას. თხზულების მხატვრული და სტილისტური ანალიზი აჩვენებს, რომ ავტორი იყო ნიჭიერი შემოქმედი, რომელიც კარგად ერკვეოდა თანადროულ ბერძნულ ლიტერატურაში გავრცელებულ ტენდენციებში, ფლობდა რიტორიკულ ხელოვნებასა და მეტაფრასტიკის თეორიას. ამ ავტორის შემოქმედებაში «შესხმა" არ იქნებოდა კომპილირებული თხზულების ერთადერთი პრეცედენტი, მას უთუოდ ექნებოდა იმავე კომპილაციური მეთოდით შექმნილი სხვა ნაწარმოებიც.

ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი იმის დაშვება, რომ ქართული «შესხმის" კომპილატორი/ავტორი იყო ბერძენი და რომ ეს თხზულება აუცილებლად ნათარგმნია. მასალის კვლევამ სწორედ ეს საკითხი არ გამოავლინა როგორც თხზულების ავტორისთვის აუცილებელი პირობა. მით უმეტეს, რომ ბერძნულ მწერლობაში და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი თხზულება არ ჩანს.

ქართული «შესხმის" ავტორის/კომპილატორისთვის ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმების შესაბამისი პიროვნება არის თავად ეფთვიმე ათონელი. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არაერთხელ იყო განხილული ეფთვიმეს მიერ განსხვავებული მიზანდასახულობით შექმნილი მსგავსი კომპილაციური თხზულებები, მათ შორის, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმანებიც. ეფთვიმე, ბრწყინვალე მთარგმნელი და შემოქმედი, ვფიქრობთ, არის ის მოღვაწე, ვისაც ხელეწიფებოდა ისეთი მაღალმხატვრული და დახვეწილი თხზულების შექმნა, როგორიცაა წმ. დიმიტრის «შესხმა".

ამ დასკვნას მხარს უჭერს კიდევ რამდენიმე გარემოება. უპირველეს ყოვლისა, ეს მოსაზრება პასუხს სცემს კიდევ ერთ აქამდე გადაუჭრელ საკითხს – გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვიდან რატომ თარგმნა ეფთვიმემ მხოლოდ

15 ჰომილია და არ თარგმნა სწორედ or. 24. თუ წმ. დიმიტრის „შესხმის" ავტორად მივიჩნევთ ეფთვიმეს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ეფთვიმემ or. 24 გამოიყენა სხვა მიზნისათვის, გადმოთქვა და გადააკეთა იგი მოწამე დიმიტრის შესხმად, ხელმეორედ ამ ჰომილიას აღარ მიუბრუნდა და ამიტომ შემდგომში გრიგოლის ლიტურგიკული სიტყვების კორპუსის დასასრულებლად ამ ქადაგების გადმოთარგმნა, ჩანს, დაევალა, დავით ტბელს.

საგულისხმოა ასევე თხზულების კოდიკოლოგიური მანაცემებიც. XI საუკუნის პეტრე ხუცესისეულ მეტად საინტერესო კრებულში S 1696, სადაც თავმოყრილია და მთარგმნელთა მიხედვით არის დაჯგუფებული გრიგოლ ნაზიანზელის უნიკალური თარგმანები, ქართული «შესხმა", ჩვენი აზრით, სრულიად მიზანდასახულად მოთავსებულია ეფთვიმე ათონელის თარგმანთა შორის. XI საუკუნის ჰაგიოგრაფიულ კრებულში H 341-ში «შესხმა" შეტანილია წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ სხვა ტექსტებთან ერთად – «წამება", «სასწაულები", ანუ წარმოდგენილია წმინდანის მთლიანი ციკლი. მსგავსი ციკლების შექმნა, როგორც ჩანს, ეფთვიმესთვის დამახასიათებელი იყო. გარკვეულ შემთხვევებში წმინდა მამათა თხზულებების თარგმანებს ეფთვიმე წინ წარუმძღვარებდა მათი ცხოვრების ტექსტს, ალბათ, იმისათვის, რომ მკითხველისთვის სრული ინფორმაცია მიეწოდებინა თარგმნილ თხზულებათა ავტორის შესახებ. ასეთივე განზრახვით ქმნიდა იგი წმ. დიმიტრის ციკლს. ეფთვიმემ თარგმნა მის ხელთ არსებული წმ. დიმიტრის «წამება" და იოანე თესალონიკელის მიერ შეკრებილი წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების ციკლი. ამ თარგმანების შექმნის შემდეგ ციკლის დასრულებისათვის კი, შესაძლოა, ეფთვიმე არ დააკმაყოფილა მის ხელთ არსებულმა შესხმებმა და ამიტომ განიზრახა ახალი „შესხმის" შექმნა, სადაც მან საბოლოოდ წარმოგვიდგინა დიმიტრი, როგორც ქრისტეს მეომარი წმინდანი.

# ნაწილი 3
# ორატორული ხელოვნება წმ. დიმიტრის ქართულ ციკლში

## თავი 1
## ჰაგიოგრაფიული პარადიგმები

### 1.1. შესავალი

ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ანტიკური ბერძნული ლიტერატურის ისეთმა ჟანრებმა, როგორიცაა ისტორიოგრაფია, ეპისტოლოგრაფია, გვიანანტიკური რომანები და სხვა[313]. ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდა ენკომიური ბიოგრაფია[314]. ეს არ იყო მხოლოდ ფორმობრივი დამოკიდებულება, ანუ ეს გავლენა არ განისაზღვრა მხოლოდ ლიტერატურული სქემის გადმოღებით. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იქონია ამ ბიოგრაფიების იდეურმა მხარემ, მიზანმა. დიდ ადამიანთა ბიოგრაფიების შექმნას, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა დიდაქტიკური დანიშნულება – ბიოგრაფიებში აღწერილი ადამიანების დიადი ქმედებანი უნდა ყოფილიყო ისეთი მაგალითი, რომელიც მკითხველში მიბაძვის სურვილს აღძრავდა[315].

სწორედ ასეთი მიზანდასახულობა გახდა შემდგომში ქრისტიანული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი. მაგრამ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ანტიკური ბიოგრაფიისაგან განსხვავებით, ეს მოტივი სხვა სიმაღლეზე ავიდა და სხვა დატვირთვა მიიღო. ქრისტიანისათვის არსებობდა ერთადერთი მისაბაძი მაგალითი – კაცობრიობის ცოდვათათვის

წამებული იესო ქრისტე. სწორედ ამას ამბობს პავლე მოციქული: «მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა" (I კორ. 11, 1). ქრისტეს გზის გამეორება, მისი მიბაძვა გახდა უმნიშვნელოვანესი მიზანი ყველა ქრისტიანის ცხოვრებისა. ეს იყო მთელი ქრისტიანული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მთავარი დიდაქტიკური მოტივი. ჰაგიოგრაფიამ მიზნად დაისახა იმ ადამიანთა წამებისა თუ ცხოვრების აღწერა, რომლებმაც იესო ქრისტეს გზა გაიმეორეს, ამ გზის გავლით ეზიარნენ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას. ამ გზის აღწერა კი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მკითხველს თუ მსმენელს მსგავსი ქმედების გამეორების სურვილი აღძვროდა.

ადრექრისტიანულ ეპოქაში, როდესაც ეს მოტივაცია ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათავისებული და გაცნობიერებული, უმეტესწილად იწერებოდა მარტირიუმები, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული ადამიანების აღსასრულის მეტად სადა, ლიტონი ენით გამოთქმული, ისტორიულ რეალობასთან დაახლოებული აღწერები. მაგრამ დროთა ვითარებაში, როდესაც უკვე მკაფიოდ განისაზღვრა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის დიდაქტიკური დანიშნულება, თხზულებებში ისტორიული რეალობის ასახვა გახდა სრულიად მეორეხარისხოვანი. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოვიდა ისეთი თემები, როგორიცაა ქრისტიანი მოწამის განღმრთობის გზა და ქრისტიანობის გამარჯვება წარმართობაზე, ბოროტებაზე. ასეთმა მიდგომამ განაპირობა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში გარკვეული ლიტერატურული პარადიგმების, მოდელების წარმოქმნა. თხზულების მოქმედმა პერსონაჟებმა დაკარგეს ინდივიდუალური სახასიათო თვისებები, გაჩნდა მოწამის და მტარვალის ზოგადი სახეები, სიტუაციის სტანდარტული აღწერები, რომლებიც დაკანონდა პარადიგმების, კლიშეების სახით და აქტიურად გამოიყენებოდა ბიზანტიურ მწერლობაში.

ლიტერატურული კლიშეები დამკვიდრდა და გავრცელდა არა მხოლოდ ბიზანტიურ, არამედ მთელს აღმოსავლურ ქრისტიანულ ლიტერატურაში, მათ შორის, ქართულ ნათარგმნსა თუ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაშიც. ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ ჰაგიოგრაფიული კლიშეების გავლენა ბერძნულ ლიტერატურაში წმ. დიმიტრის სახის ჩამოყალიბებაზე[316]. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ვნახოთ თუ როგორ წარმოჩნდება წმ. დიმიტრი ეფთვიმე ათონელის თარგმანებში.[317]

## 1.2. მტარვალი და მოწამე

წმ. დიმიტრის «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აქ დიმიტრის, როგორც წმინდანის სახე უკვე სრულიად ჩამოყალიბებულია. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, ვინაიდან ეფთვიმემ თარგმნა «წამების" შუალედური რედაქცია, სადაც წმინდანის იდეალური სახის ფორმირება ფაქტობრივად უკვე დასრულებულია[318].

მაგრამ ეფთვიმე ამჯერადაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, არ დასჯერდა მის ხელთ არსებული ტექსტების მხოლოდ თარგმნით. წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული ტექსტების თარგმანებში ეფთვიმემ დიმიტრის სახე კიდევ უფრო დახვეწა და უფრო მეტად მიუსადაგა ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლასიკურ პარადიგმებს.

დავიწყოთ თუნდაც დიმიტრის პირველი გამოჩენით «წამების" თარგმანში. ბერძნულ ტექსტში აღწერილია, იმპერატორ მაქსიმიანეს ბრძანებით თუ როგორ დევნიდნენ და სჯიდნენ ქრისტიანებს, «მოწაფეთა ჭეშმარიტისა სიბრძნისაჲთა". დევნილთა შორის იყო უნეტარესი დიმიტრიც. დიმიტრიმ არ მოინდომა დამალვა, – ნათქვამია ტექსტში[319]. თარგმანის შესაბამის მონაკვეთში ვკითხულობთ: «ხოლო მათ ჟამთა შინა ბრწყინვიდა ნეტარი და ყოვლად ქებული წმიდაჲ დიმიტრი, ჭეშმარიტი იგი მონაჲ ჭეშმარიტისა ღმრთისა და მაცხოვრისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესი და გამოაცხადებდა თავსა თჳსსა ყოველთა ერთა ზედა..." (Passio Euth. § 2). ამ პირველივე სიტყვებით მოწამის შესახებ ეფთვიმეს სულ სხვა სიმაღლეზე წარმოადგენს დიმიტრის, – როგორც ყველაზე აღმატებულს.

«წამების" თარგმანში განსაკუთრებულად საინტერესოა დიმიტრისა და იმპერატორის დაპირისპირება. როგორც აღვნიშნეთ, «წამების" ბერძნული რედაქციებიდან ყველაზე ადრეულ, კიმენურ რედაქციაში იმპერატორისა და მოწამის პირისპირ შეხვედრა არ ჩანს. შუალედურ რედაქციაში მაქსიმიანე და დიმიტრი სულ რამდენიმე წუთით ხვდებიან ერთმანეთს იმპერატორის სტადიონზე შესვლის წინ. მხოლოდ სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციაში ამ

შეხვედრის სცენაში შეტანილია მაქსიმიანესა და დიმიტრის მცირე დიალოგი. მაგრამ ეს ეპიზოდიც საკმაოდ მოკლეა.

დიმიტრი არის მოწამე, იმპერატორი მაქსიმიანე არის მტარვალი, ორივე ჰაგიოგრაფიული ჟანრის ტრადიციული სახეებია. ეს არის კლასიკური ანტითეზა, სადაც მტარვალის ბოროტების გამოკვეთა ავტორს აძლევს საშუალებას კიდევ უფრო მეტად გამოკვეთოს მოწამის სიწმინდე და სიდიადე. სწორედ ამ მიზანს ემსახურება და საუკეთესოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოწამისა და მტარვალის უშუალო დაპირისპირება, მათი სიტყვიერი პაექრობა. დიმიტრის «წამების" ბერძნულ ადრინდელსა და შუალედურ რედაქციებში ასეთი დაპირისპირება თითქმის არ ჩანს. ამ რედაქციებში რეალური დაპირისპირება ხდება იმპერატორსა და ნესტორს შორის, რაც დიმიტრის (განსაკუთრებით, კიმენურ რედაქციაში), გარკვეულწილად მეორე პლანზეც კი გადასწევს.

ეფთვიმესთვის თხზულებაში ასეთი დაპირისპირების უკმარობა სრულიად ცხადია და იგი თარგმანში ამ მიზანდასახულობით თანამიმდევრულად ცვლის ტექსტს.

ქრისტიანთა დევნის დაწყებისას დიმიტრიმ უარი განაცხადა დამალვაზე და აქტიურად განაგრძო ქრისტეს სჯულის ქადაგება. ამბავი მის შესახებ ფართოდ გავრცელდა თესალონიკში და მიმდებარე სოფლებშიც. ამ მონაკვეთამდე ბერძნული და ქართული ტექსტები ერთმანეთს თანხვდება. ამის შემდეგ ბერძნული ტექსტის მიხედვით, დიმიტრის შესახებ შეიტყვეს იმპერატორის ერთგულმა მსახურებმა და შეიპყრეს იგი იმპერატორთან მისაყვანად. ქართული ტექსტის მიხედვით კი ამბავმა დიმიტრის შესახებ თვით იმპერატორის კარამდეც მიაღწია და იმპერატორმა თვითონ წარგზავნა ხალხი მის შესაპყრობად. დიმიტრი არათუ არ დაიმალა, არამედ თავისი ნებითაც კი ჩაბარდა მომსვლელებს: «განჰჴდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქალაქსა და სოფლებსა და მიიწია მეფისა კაცთა ვიეთმე უკეთურთა მიერ და აღივსო იგი გულისწყრომითა და წარავლინნა მჴედარნი... ხოლო ნეტარი იგი არაჲ ივლტოდა მათგან, არამედ ნებსით თჳსით მისცა თავი თჳსი..." (Passio Euth. § 6).

შეპყრობილი დიმიტრი წარუდგინეს იმპერატორს. ქართულ ტექსტში აქ ჩართულია იმპერატორისა და დიმიტრის ვრცელი დიალოგი, რომელიც ჩვენ

უკვე განვიხილეთ დეტალურად.[320] მაგრამ აქ კიდევ ერთხელ გვინდა გამოვყოთ ამ სცენის რამდენიმე ნიუანსი.

ეს დიალოგი თავისთავად ძალიან ცოცხალი და გამომსახველი ენით არის დაწერილი. გამოყენებულია რიტორიკული ხერხები, ტრადიციული ანტითეზები, დაპირისპირებული ცნებები და აზრები, მაგრამ ეს არ ტვირთავს სტილს, პირიქით, მეტ მოქნილებასა და გამომსახველობას სძენს მას. დიალოგი მთავრდება სარტყლის მოხსნის კულმინაციური მომენტით: «და განიჴსნა სარტყელი თჳსი, მიაგდო წინაშე მეფისა და ჰრქუა: «აჰა, ესერა სარტყელი პატივისა შენისა შენდავე იყავნ, მეფეო" (Passio Euth. § 13). დაძაბული დიალოგი, ექსპრესიული, დამაგვირგვინებელი ჟესტი და სიტყვიერი დაპირისპირების მიზანი მიღწეულია – იმპერატორი დამცირებული და დამარცხებულია.

სტადიონზე გამართულ ორთაბრძოლაში ნესტორმა დაამარცხა იმპერატორის საყვარელი გლადიატორი. ნესტორი სიკვდილით დასაჯეს. დაახლოებულმა პირებმა ისიც შეახსენეს იმპერატორს, რომ ნესტორმა დიმიტრის ლოცვის ძალით გაიმარჯვა. იმპერატორმა მოინდომა დიმიტრისთან ისევ პირისპირ შეხვედრა. მაგრამ მთავრებმა უარი უთხრეს და მიზეზიც აუხსნეს – სიტყვით ვერ სძლევ, თუ აწამებ, ხალხი აგიჯანყდება, ჯობს, საპყრობილეში მოაკვლევინოო. იმპერატორი დაჰყვა რჩევას. ეს ეპიზოდიც, რომელსაც ბერძნულ ტექსტში შესატყვისი არ მოეპოვება, არის დაპირისპირების გაგრძელება. უკვე ის ფაქტი, რომ იმპერატორი დაყვა მთავართა რჩევას და პირადად არ შეხვდა დიმიტრის, აჩვენებს მაქსიმიანეს შიშს და კიდევ უფრო ამცირებს მას.

კვლავ გრძელდება ჩანართი ეპიზოდი. იმპერატორმა დიმიტრის მოსაკლავად საპყრობილეში მთავრები გაგზავნა. აქ ხდება დიალოგი უკვე მთავრებსა და დიმიტრის შორის. მტარვალის როლი აქ ფაქტობრივადურად იმპერატორის წარგზავნილებს ეკისრება. მთავრები მლიქვნელურად მიმართავენ დიმიტრის: «საყუარელ ხარ ჩუენი...". დიმიტრიმ კი «განიცინნა, მიუგო და ჰრქუა მათ კეთილად". ამ პატარა ნიუანსით კიდევ ერთხელ არის აქცენტირებული დიმიტრის სულიერი სიმაღლე და კეთილშობილება. მთავრებმა ვერ დაიყოლიეს დიმიტრი და ასო-ასო აკუწეს.

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში ეფთვიმეს ჩანართები შეიცავს ისეთ შინაარსს, რომელიც «წამების" არცერთ ბერძნულ რედაქციაში არ

დასტურდება. ჩვენი აზრით, ეს ჩანართები არ მომდინარეობს დღეისათვის დაკარგული ბერძნული წყაროებიდან, ისინი თავად ეფთვიმესეულია და გამიზნულია დიმიტრის ღვაწლის უკეთ წარმოჩენისათვის.[321] ორივე ჩართული ეპიზოდი მიჰყვება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის კლიშეებს, აგებულია მტარვალისა და ქრისტიანი მოწამის დაპირისპირების ტრადიციული მოდელის მიხედვით. ეპიზოდების დეტალური განხილვა აჩვენებს, რომ ეფთვიმესეულ ჩანართებში არ არის ისტორიული ღირებულების მქონე არანაირი ინფორმაცია. დიალოგები ორსავე შემთხვევაში აგებულია ტრადიციულ ანტითეზებზე, სადაც დაპირისპირებულია, როგორც ვნახეთ,[322] ორგვარი პატივი: ამქვეყნიური და წარუვალი, სხეული და სული, აგრეთვე წარმართული და ქრისტიანული ღმერთი, ბოროტი და კეთილი და ა.შ. («ხოლო *ღმერთნი ეგე* ... ქვანი არიან და ძელნი, ... ხოლო *ღმერთი ჩემი* არს უკუდავი"..., «ვითარცა *ბოროტსა* მიქადებთ სიკუდილსა, *კეთილისა* მიზეზ მექმნების მე"... და სხვ.). ამგვარი დაპირისპირებანი ბუნებრივად მომდინარეობს თხზულების თხრობის მსვლელობიდან და ბევრი საერთო აქვს ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულებების შესაბამის მონაკვეთებთან, რადგან საყოველთაოდ იყო გავრცელებული როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ მწერლობაში.

წმ. დიმიტრის ქართულ «შესხმაში" იმპერატორისა და მოწამის დაპირისპირების ანალოგიურ სცენას დიმიტრის ცხოვრების აღწერაში ცენტრალური ადგილი უკავია. «შესხმის" ეს სცენა შინაარსობრივად ახლოსაა «წამების" თარგმანის ჩანართ მონაკვეთთან. განსხვავება ისაა, რომ «წამებაში" არის დიალოგი, მტარვალსა და მოწამის შორის. «შესხმაში" კი მთელი სცენა არის დიმიტრის მონოლოგი, რომელიც ძალიან ჰგავს «წამებაში" წმინდანის პასუხებს, მაგრამ გაცილებით ვრცელია[323]. დიმიტრის მიერ წარმოთქმული სიტყვა «შესხმაში" ისევ ტრადიციულ კლიშეს მიჰყვება და კიდევ იმით განსხვავდება «წამებისაგან", რომ აქ, ენკომიური ჟანრის შესაბამისად, ეს სიტყვა უფრო მეტადაა დატვირთული რიტორიკული ხერხებით, განსაკუთრებით, ანაფორებით («და ერთი არს...") და ანტითეზებით (საშინელი და საწადელი; მახვილი ნივთიერი და მახვილი სულისა; ქუეყანა და ზეციური მამული; ამქვეყნიური

მონაგებნი და ღვთის ხატის დაცვა, მსგავსება ღვთისა და ხორციელი ბუნება და სხვ.) [324].

იმავე მიზანს, ანუ დიმიტრის როგორც მოწამის, სახის გამკვეთრებასა და იმპერატორის, როგორც მტარვალის, დამცირებას ემსახურება ეფთვიმეს მიერ «წამების" თარგმანში შეტანილი სხვა ცვლილებებიც. ასე მაგალითად, «წამების" ბერძნულ შუალედურ რედაქციაში დეტალურად არის აღწერილი დიმიტრის წარმომავლობა და კარიერა[325], ეფთვიმე კი თარგმანში თავს არიდებს კონკრეტიზაციას და დიმიტრის პიროვნებას კვლავ ტრადიციული ზეაწეული განმაზოგადებელი სიტყვებით წარმოადგენს: «ხოლო მათ ჟამთა შინა ბრწყინვიდა წმიდაჲ დიმიტრი, ... რამეთუ არა ეშინოდა მას უსჯულოჲსა მისგან მეფისა, არცა მრავალფერთა მათ სატანჯველთა მისთაგან, რამეთუ აქუნდა მას ცხორებაჲ წმიდაჲ და უბიწოჲ, კაცი წარმართებული ყოველსავე სათნოებასა ზედა სიჩჩოჲთგან მისით და მიწთომილი საზომსა დიდსა" (Passio Euth. § 2). ეფთვიმე ბერძნულ ორიგინალზე უფრო ხატოვნად აღწერს აბანოს იმ საკნის საშინელებას, სადაც დიმიტრი დაამწყვდიეს: «მოუთმენელ იყო მჴურვალებისა მისგან ცეცხლისა ფრიადისა, რომელნი ეგზებოდეს არა ოდენ ზედა კერძო მისსა, არამედ გარემოჲსცა, და სავსე იყო იგი არა ოდენ სიმჴურვალითა ცეცხლისაჲთა, არამედ კუამლითაცა ფრიადითა, რომელსა შინა ყოვლადვე არა იყო ნათელი და შეუძლებელ იყო მას შინა ერთისაცა ჟამისა დადგომაჲ კაცისაჲ" (Passio Euth. § 15)[326]. ის ღრიანკალიც, რომელიც დიმიტრის საპყრობილეში აღმოჩნდა, ეფთვიმეს მიერ უფრო საშიშად არის გამოსახული: «რომელი არა იყო მსგავსი ღრიაკალისაჲ, არამედ უცხოჲ რაჲმე სიდიდე აქუნდა" (Passio Euth. § 16)[327].

წმ. დიმიტრის განდიდების პარალელურად ეფთვიმე მიზანმიმართულად ახდენს იმპერატორის სახის სქემატიზაციას, სრულ ბოროტებად წარმოგვიდგენს მას. «წამების" სამივე ბერძნულ რედაქციაში არის ერთი ეპიზოდი, სადაც იმპერატორის პიროვნებაში ერთი დადებითი მომენტიც ჩანს. როდესაც ნესტორი გლადიატორთან საბრძოლველად დააპირებს გამოსვლას, იმპერატორი ერთგვარ შემწყნარებლობას გამოიჩენს და ურჩევს ჭაბუკს, არ იბრძოლოს, და პირდება, რომ ბრძოლის გარეშეც დააჯილდოებს სიმამაცისთვის[328]. მაგრამ ეფთვიმეს თარგმანში ეს მონაკვეთი არ გადმოაქვს, ვინაიდან ტრადიციული პარადიგმის მიხედვით მტარვალს არ შეიძლება ადამიანური ხასიათის თუნდაც მცირე

დადებითი ნიუანსი გააჩნდეს, იგი განხორციელებული აბსოლუტური ბოროტება უნდა იყოს.[329]

სახეთა სქემატიზაციის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა წმ. დიმიტრის «სასწაულების" კიდევ «ერთი პერსონაჟი" – ეს არის ქალაქ თესალონიკის მოსახლეობა, თხზულების ავტორის ჩათვლით, რომელიც ყველგან მოიხსენიება პირველ პირში «ჩვენ" ნაცვალსახელით. ამ, ასე ვთქვათ, კრებით პერსონაჟს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს «სასწაულებში". ის არის ყველა მოთხრობილი ამბის დამსწრე ან თვითმხილველთა უშუალო მნახველი, «სასწაულებში" აღწერილი ამბების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი. საყურადღებოა, რომ ბერძნულ ტექსტში მოქალაქეები ხშირად წარმოჩნდებიან როგორც შეშინებულები, იმედდაკარგულები, რომლებიც წუწუნებენ, მოთქვამენ თავიანთ ავ ბედზე. აქ მოსახლეობა არის, ასე ვთქვათ, სხვადასხვა აზრის, მისწრაფების თუ ქმედების ხალხის ამორფული მასა. მოქალაქეები დაქსაქსულნი არიან, ყველა თავისას ჩივის. ეფთვიმეს თარგმანში კი არის ერთი აზრით და ერთი სულისკვეთებით შეკრული ჯგუფი, რომელიც იმდენად ერთსულოვნად მოქმედებს, რომ აღიქმება როგორც ერთი პიროვნება. თარგმანში, ორიგინალის მსგავსად, მოსახლეობასაც ეშინია ხოლმე, მაგრამ მას ყოველთვის ღრმად სწამს თავისი მფარველი წმინდანის და მისი ძლიერების იმედი აქვს. თარგმანში თესალონიკის მოსახლეობა წმინდანის ტაძარში ხშირი ლოცვით ფაქტობრივად უშუალოდ და მუდმივად დაკავშირებულია წმ. დიმიტრისთან. ამ «პერსონაჟის" ასეთი წამოჩენის შედეგად თარგმანი კიდეც ეწინააღმდეგება ბერძნულ ტექსტს. ასე მაგალითად, ორიგინალის მიხედვით, ავართა შემოსევის წინ ქალაქის სასწორკვეთილი და სულიერად დაცემული მოსახლეობა უმოქმედოდ ელოდება მტერს[330]; ქართული თარგმანის შესაბამის ადგილას ჩნდება ჩანართი მონაკვეთი, სადაც მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური მზადება ჩანს: «ამისთჳსცა ჩუენ ღამჱ განვაძლიერნეთ მოქლონი ზჭეთანი ძალისაებრ ჩუენისა, განვემზადენით" (Mir. Euth. § 81). სხვა სასწაულში ავარებმა ალყის მოსახსნელად თესალონიკის მოსახლეობას ხარკი მოსთხოვეს, მოქალაქენი შეთანხმდნენ და მშვიდობის დასამყარებლად ავარებს საჩუქრები გაუგზავნეს. ავარებმა მიიღეს ძღვენი და მოხსნეს ალყა[331]. თარგმანის შესაბამის ადგილას კი ვკითხულობთ: «მაშინ ითხოვა ხარკი აღებად, ხოლო ქალაქისათა არა მისცეს" (Mir. Euth. § 157),

ვინაიდან ეს, ალბათ, ეფთვიმეს აზრით, წმ. დიმიტრის სიძლიერეში დაეჭვების ტოლფასი იქნებოდა. ამის საპასუხოდ სასწაულის ბოლოს ჩანართში წმ. დიმიტრი ცეცხლის ალით დაწვავს და გააუჩინარებს ავარებს და მათ წინამძღოლს.

ასეთი წინააღმდეგობები სახეთა სქემატიზაციის შედეგია. ისევე როგორც ნესტორის შემთხვევაში, აქაც, მოქალაქეების სისუსტე, შიში, უიმედობა, ეფთვიმესათვის, არანაირად არ ესადაგება ჰაგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნებს, ვინაიდან არ შეიძლება დიდებულ წმინდანთან დაკავშირებულ პერსონაჟებს ჰქონდეთ ოდნავი ზიანი: ნესტორის შემთხვევაში პრეტენზიულობა, მოქალაქეების შემთხვევაში – სისუსტე და მალემრწმენობა. ამიტომ ეფთვიმემ თავის თარგმანში სათანადო ცვლილები შეიტანა, რათა სრულად დაეცვა ჰაგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნები.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა დიმიტრისთან დაკავშირებული სამივე ქართული თხზულება – «წამება", «შესხმა" და «სასწაულები" – დამუშავებულია ქრისტიანულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ლიტერატურული პარადიგმების მიხედვით. «წამებისა" და «შესხმის" პარალელური პასაჟები კი (ვგულისხმობთ დიმიტრისა და იმპერატორის დიალოგს მაქსიმიანეს სტადიონზე შესვლის წინ), რომლებიც, როგორც ვთქვით, არ გვხვდება დიმიტრის «წამების" არცერთ ბერძნულ ტექსტში, კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ვერსია უნდა ეკუთვნოდეს ეფთვიმე მთაწმიდელს. ეფთვიმე ბერძნული დედნისაგან დამოუკიდებლად მიმართავს მისი დროის ბიზანტიურ და ქართულ ლიტერატურაში გავრცელებულ ჰაგიოგრაფიულ პარადიგმებს და რიტორიკულ ხერხებს[332].

## 1.3. დიდაქტიკური მოტივი

როგორც წინამდებარე ნაშრომის შესავალ ნაწილში ვთქვით, დამოძღვრა, სწავლება ჰაგიოგრაფიული ჟანრის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა. დიდაქტიკური მოტივი კარგად ჩანს წმ. დიმიტრის სასწაულების იოანე თესალონიკელისეულ ციკლშიც, სადაც ავტორი ბევრჯერ აფრთხილებს თავის

აუდიტორიას, რომ არ შეიტანონ ეჭვი მის მიერ მოთხრობილ სასწაულებში[333]. მაგრამ წმ. დიმიტრის «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმესეული თარგმანებში დიდაქტიკური მოტივი, თხზულებათა ბერძნულ რედაქციებთან შედარებით, კიდევ უფრო მეტად ხაზგასმულია. თარგმანების მიზანია მრევლის დამოძღვრა, რწმენის გაღვივება.

წმ. დიმიტრის «წამებაში" მტარვალისა და მოწამის ზოგადი დაპირისპირება მთავრდება წმ. დიმიტრის წამებით. მაგრამ ეფთვიმე თხრობას უმატებს კიდევ ერთ ეპიზოდს, რომელიც არის ფაქტობრივად შეჯამება ამ დაპირისპირებისა. ეს არის იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილი, როდესაც მას მიეწია ღვთის რისხვა და მატლდასეული მოკვდა. მტარვალის უბადრუკი სიკვდილი ხდება დაპირისპირების დამაგვირგვინებელი და ლოგიკური დასასრულის გამომხატველი.

როგორც ზემოთ ვნახეთ[334], მაქსიმიანეს სიკვდილის ანალოგიური დატვირთვის მქონე ჩანართი მონაკვეთები გვხვდება «სასწაულების" თარგმანშიც. ეს არის ავართა ჯარისა და მისი წინამძღოლის, ქაგანოზის, დაღუპვის, ასევე ავართა და სლავთა მეორე წინამძღოლის, მაუროსის/შავის, სიკვდილის ეპიზოდები. ამ მონაკვეთებიდან არც ერთს ორიგინალში შესატყვისი არ მოეპოვება. ეს ჩანართები, ჩვენი აზრით, ორმაგ დატვირთვას ატარებს. ერთის მხრივ, ეს არის ზემოთ განხილული დაპირისპირების გაგძრელება და დასრულება, ოღონდ ამ შემთხვევებში მოწამის როლში გამოდის ქალაქი თესალონიკი და მისი მოსახლეობა, ხოლო მტარვალები არიან თესალონიკს მომდგარი ჯარების წინამძღოლები, ერთ შემთხვევაში ქაგანოზი, მეორე შემთხვევაში – მაუროსი/შავი. ამ დაპირისპირებაში მტარვალი ყოველთვის მარცხდება და აქაც, მაქსიმიანეს სიკვდილის მსგავსად, ქაგანოზისა და შავის სიკვდილი არის ლოგიკური დაგვირგვინება დაპირისპირებისა. ამასთან ერთად, ეს ეპიზოდები მკაფიოდ დიდაქტიკური ხასიათისაა. ეს არის დაბეჯითებითი მტკიცება მკითხველისა თუ მსმენელისათვის, რომ საბოლოოდ ბოროტება ყოველთვის ისჯება.

დიდაქტიკური ტენდენციის მშვენიერი და ძალიან შთამბეჭდავი მაგალითია იმპერატორის და წმ. დიმიტრის დაპირისპირება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ «შესხმაში" დიმიტრის ცხოვრების აღწერა საკმაოდ

მოკლეა, ამ აღწერაში კი იმპერატორისა და მოწამის პირისპირ შეხვედრას, როგორც ვთქვით, ცენტრალური და ყველაზე დიდი ადგილი უკავია, ცხადი ხდება, თუ რაოდენ აუცილებლად მიიჩნევდა ეფთვიმე ასეთი დაპირისპირების არსებობას თხზულებაში. ამ მონოლოგში არის გამოხატული ქრისტიანობის მთავარი ღირებულებები, აქ ჩანს დიმიტრის და მასთან ერთად ყოველი ქრისტიანის მთავარი სურვილი და მიზანი: «ერთისა მიმართ ოდენ სუროდა და ერთი იცოდა გზაჲ ცხორებისაჲ – ქრისტესთჳს სიკუდილი!" (Enc. Euth. § 39). ეს არის ჰაგიგრაფიული პარადიგმა და ამასთან ერთად, ამ ეპიზოდს აქვს სხვა, მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია: ეს არის მრევლის დამოძღვრა, მართებული ქცევის და ცხოვრების მართებული გზის მინიშნება.

ჩვენი აზრით, დამოძღვრის, დიდაქტიკური მიზანდასახულების საუკეთესო გამოხატულებაა იოანე თესალონიკელის ციკლის თარგმანში ჩართული ორი სასწაული, რომელთაც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ წყაროებში ანალოგი არ ეძებნება. ეს ეხება ჩანართი სასწაულების ჩვენი ჩამონათვალიდან მე-2 (კაცნი კალადიიდან) და ბოლო, მე-7 (ურწმუნოს დასჯა) სასწაულს.

პირველ ეპიზოდში ავტორი ძალიან მოკლედ ყვება ამბავს – წმ. დიმიტრის ევლოგიის წაცხების შემდეგ კალადიიდან მოსული მამაკაცებიდან ერთი სასწაულებრივად განიკურნა, მეორე კი – არა. განმარტება, თუ რატომ მოხდა ესე, ეძლევა მხოლოდ ამ ამბის დამსწრე ეპისკოპოსს, რომელმაც სთხოვა წმინდანს ამ უცნაურობის ახსნა. ამბის მონაწილეებს ამის შესახებ არაფერი გაუგიათ. წმინდანმა განმარტა, რომ მისი ნაწილებიდან მდინარე მირონი განკურნავს მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეს, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის შესაფერი ცხოვრებით ცხოვრობს. იმ ადამიანს კი, რომელიც ურწმუნოა და ტაძრიდან გასვლის შემდეგ ისევ უკეთურ საქმეებს მიჰყოფს ხელს, მირონი შვებას არ მისცემს: «მე ვითხოვე ღმრთისაგან და ჩემგან აღმომდინარჱ ევლოგიაჲ საკურნებელად იყოს მათდა, რომელთა ეგულებოდის შემდგომად განკურნებისა კეთილსა ზედა ყოფად. ხოლო რომელნი სიმართლესა მათსა ცოდვისავე ზედა მიიქცევდენ, არა მიეცემის მათ ჩემ მიერ კურნებაჲ. რამეთუ უკუეთუ თავით თჳსით განიკურნენ იგინი და მიიქცენ ბოროტისავე მიმართ, აქუნდეს საშჯელი მათი. ხოლო ჩემ ვერ მოიღონ კურნებაჲ. ხოლო რომელმან ყოს აღთქუმაჲ ჭეშმარიტებისაჲ, არღარა მიქცევად ცოდვასა მიმართ და მოვიდეს

ჩემდა სარწმუნოებითა, მან პოვოს უხუად კურნებაჲ" (Mir. Euth. § 35). ეს არის ძალიან კარგი დიდაქტიკური მაგალითი, რომელიც ერთდროულად ორ მიზანს ემსახურება: წმინდანის მორიგ სასწაულს აღწერს და თან განმარტავს, თუ რატომ არ მოქმედებს წმინდანის სასწაულთმოქმედი მირონი ყველაზე ერთნაირად და ამით სასწაულის ჭეშმარიტების შესახებ არსებულ ეჭვს აქარწყლებს.

ასეთივე დიდაქტიკური დატვირთვა აქვს ციკლის ქართული თარგმანის ბოლო, მირონმდინარებასთან დაკავშირებულ სასწაულს. აქ ურწმუნო მთავარმა (საგულისხმოა, რომ ურწმუნოდ გამოყვანილია საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელი) შეიტანა ეჭვი მირონმდინარების სასწაულში. წმ. დიმიტრიმ სამაგალითოდ დასაჯა იგი, ეჭვი რომ აღარავის შეპარვოდა, გამოწმენდილ ლუსკუმაში ყველას თვალწინ აღმოაცენა მური, შემდეგ ურწმუნო მთავარს მხედველობა წაართვა და სამი დღე სიბნელეში ამყოფა. მესამე დღეს ევლოგიისაგანვე დაუბრუნდა მთავარს თვალის ჩინი და ლუსკუმიდან ამომავალმა ხმამ დამოძღვრა.

აღსანიშნავია, რომ მირონმდინარების სასწაულს წმ. დიმიტრის ქართულ თარგმანებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. ეს სასწაული ჩნდება «წამებაში", სადაც აღწერილია მისი წარმოშობა და ხაზგასმულია, რომ იგი გაჩნდა დიმიტრის წამების შემდეგ მალევე, თავად წმ. დიმიტრის ბრძანებით და ნებით. «... ქმენ ლუსკუმა ადგილს მას, სადაცა განიკურნე შენ, და აღმოვაცენო ნელსაცხებელი სულნელებისაჲ" (Passio Euth. § 40) – ეუბნება ჩვენებაში წმინდანი პრეფექტ ლეონტიუსს. შემდეგ «სასწაულების" თარგმანში კურნების სასწაულები ევლოგიის წაცხებით ხდება, რაც ასახულია «შესხმაშიც": «ხოლო სადა-იგი დაიფლა, აღმოაცენებს მიერ უხუად კურნებასა და ნელსაცხებელსა სულნელებისასა" (Enc. Euth. § 55). «სასწაულების" თარგმანის ბოლოს კი საგანგებოდ დართულია კიდევ ერთი სასწაული, რომელიც ამტკიცებს მირონმდინარების ამბის უტყუარობას. როგორც აღვნიშნეთ, ეს ეპიზოდი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავიდან იგი არ მოაიზრებოდა საერთო ციკლში და დაემატა მას ბოლოს, თარგმანის ძირითადი ნაწილის დამთავრების შემდეგ.

როგორც ითქვა, წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების თარგმანებში მირონმდინარებასთან დაკავშირებული ყველა ჩანართი უნდა იყოს

თავად ეფთვიმეს შემოქმედება. საფიქრებელია, რომ ეფთვიმეს თანამედროვე საზოგადოებაში (და შესაძლოა, აქ სწორედ მაღალი ფენის წარმომადგენლები იგულისხმებოდნენ) არსებობდა გარკვეული უნდობლობა წმ. დიმიტრის კულტთან დაკავშირებით. ეფთვიმე კი თავისი ჩანართებით მიზანმიმართულად არწმუნებს მკითხველს თუ მსმენელს წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული ამბების ჭეშმარიტებაში. ამას ამტკიცებს «წამების" თარგმანის კიდევ ერთი მცირე ჩანართი მონაკვეთი, სადაც საგანგებოდ არის ხაზგასმული წმინდანის ნაწილების არსებობის ფაქტი. მოწამის დაკრძალვის აღწერის შემდეგ წერია: «ხოლო არღარაოდეს აღმოიღო მუნით წმიდაჲ გუამი მისი, არამედ დადგრომილ არს მასვე ადგილსა, ვიდრე აქამომდე" (Passio Euth. § 35) – ამ ფრაზით კატეგორიულად უარყოფილია წმინდანის რელიქვიების არსებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი.

დიდაქტიკური ტენდენციის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ეფთვიმეს თარგმანში ამბის თხრობის დროს ზმნები ხშირ შემთხვევაში პირველ პირში არის დასმული, ანუ ხაზგასმულია, რომ ეს სასწაულები თვითმხილველის მიერ არის აღწერილი და ამდენად, სანდოა. პირველ პირში თხრობა ბერძნულ ტექსტებშიც არის, მაგრამ ეფთვიმესთან ეს უფრო ხშირად გვხვდება.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იოანე თასალონიკელიც და ეფთვიმეც თავიანთი თხზულებებით ცდილობდნენ დაეძლიათ და აღმოეფხვრათ ურწმუნობის ტენდენცია, რომელიც გარკვეულწილად, ალბათ, ყოველთვის არსებობდა მათი თანადროული საზოგადოების ნაწილში, სავარაუდოდ, უფრო მაღალ, არისტოკრატიულ ფენებში. ეფთვიმეს თარგმანებში დიდაქტიკური მოტივი უფრო გამკვეთრებულია. ამასთანავე, საგულისხმოა ისიც, რომ მირონმდინარების სასწაულის ასეთი განსაკუთრებული აქცენტირება აშკარად აჩვენებს, რომ ეფთვიმეს დროს ეს სასწაული არსებობდა და ცნობილი იყო. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია სასწაულის დათარიღებისათვის.

## თავი 2

## რიტორიკული ხერხები ჰაგიოგრაფიაში

ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი არის IV საუკუნე, როდესაც კლასიკური წარმართული რიტორიკა ქრისტიანული მწერლობის ბუნებრივ და განუყოფელ ნაწილად იქცა. ქრისტიანობის ანტიკურობასთან დაახლოება მოხდა თანდათანობით. ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, როდესაც ქრისტიანები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ყველაფერ წარმართულს, ამ სამყაროს ელემენტები თანდათანობით იჭრებოდა ქრისტიანულ კულტურაში.[335] ამაზე მიგვანიშნებს უკვე პავლე მოციქულის ეპისტოლეებსა და მოციქულთა საქმეში გამოვლენილი სამი ციტატა ანტიკური ლიტერატურიდან.[336] დროთა ვითარებაში ანტიკურობის გავლენა ქრისტიანობაზე გაიზარდა. რიტორიკული ხელოვნების ელემენტები უფრო ხშირად ვლინდებოდა ქრისტიანი მწერლების შემოქმედებაში, მაგრამ საბოლოო და ნამდვილი შერწყმა ქრისტიანული და წარმართული კულტურებისა მოხდა IV საუკუნეში, დიდ კაპადოკიელ მამათა – ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის შემოქმედებაში. მეცნიერთა აზრით, სწორედ გრიგოლი იყო პირველი ქრისტიანი მწერალი, რომელმაც ბრწყინვალედ მიუსადაგა კლასიკური ბერძნული ლიტერატურის ყალიბები ახალ ქრისტიანულ შინაარსს, ანუ ძველი ჭურჭლები ახალი ღვინით აავსო[337]. ანტიკური მჭევრმეტყველების გავლენა განიცადა ქრისტიანული ლიტერატურის ყველა ჟანრმა, მათ შორის ჰაგიოგრაფიამაც.

წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული ბერძნული თხზულებებიდან რიტორიკული ხელოვნების გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა წმ. დიმიტრის «სასწაულების" იოანე თესალონიკისეულ ციკლში და ასევე «წამების" მესამე რედაქციაში, რომელიც სვიმეონ მეტაფრასტს ეკუთვნის. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა იოანეს ციკლი, ვინაიდან სწორედ იოანე არის ის პიროვნება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა და ახალი ღირებულება შესძინა წმ. დიმიტრის კულტს. მან ორდინარული წმინდანი აქცია მთელი ქალაქის და მისი მთელი მოსახლეობის ღვთიურ მფარველად, გაამდიდრა ახალი ენით და ე. წ.

რელიგიური რიტორიკით.[338] იოანეს ციკლში ისტორიული მოვლენები ხშირ შემთხვევაში აღწერილია სადა და გასაგები ენით, საკმაოდ ლაკონიურად, მაგრამ თხზულების სტილი მთლიანობაში არის ძალიან მაღალფარდოვანი და დატვირთული რიტორიკული ფიგურებით[339].

უკვე 876 წელს «სასწაულების" ლათინურად თარგმნის დროს ანასტასი ბიბლიოთეკარმა უარი თქვა იოანეს რიტორიკულ ჩანართებსა და მაღალფარდოვან სტილზე და თარგმანში გადმოიტანა მხოლოდ სასწაულების შინაარსები. აღსანიშნავია, რომ «სასწაულების" ქართული თარგმანი ანალოგიური მეთოდით არის შესრულებული[340]. როგორც «წამების", ასევე «სასწაულების" ეფთვიმესეულ თარგმანებში თხრობა მიმდინარეობს მეტად სადა, მარტივი ენით. ამბავი გადმოცემულია ძალიან ლაკონიურად, ყოველგვარი რიტორიკული გადახვევების გარეშე, რაც ესოდენ დამახასიათებელია იოანე თესალონიკელისათვის. ამის შედეგად ბერძნული «სასწაულები" ეფთვიმეს თარგმანში მოცულობით მნიშვნელოვნად შეკუმშულია. მაგრამ ეფთვიმეს ლაკონური თხრობა გამოირჩევა თავისი სისხარტით და ექსპრესიულობით, განსაკუთრებით, დიალოგებში. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ, მაგალითად, ქვრივის ვედრებას (Mir. Euth. § 28) ან ურწმუნო მთავრის გამონათქვამებს ბოლო სასწაულში (Mir. Euth. § 188). ეფთვიმეს თარგმანის ლაკონიური და ამასთანავე ცოცხალი და ექსპრესიული თხრობა წმ. დიმიტრის «სასწაულებს" განსაკუთრებულ გამომსახველობასა და დამაჯერებლობას სძენს.

რიტორიკული ხელოვნების გავლენის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო მასალას იძლევა წმ. დიმიტრის «შეხმა". ენკომიური, ანუ შესხმითი, ჟანრი თავისთავად შეიცავს რიტორიკული ხელოვნების გამოყენების აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ წმ. დიმიტრის «შესხმა" მთლიანობაში როგორც სტილისტურად, ასევე აგებულების სტრუქტურითაც, ძალიან ემსგავსება გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებებს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან წმ. დიმიტრის «შესხმა" შექმნილია გრიგოლის or. 24-ზე დაყრდნობით. მაგრამ «შესხმის" ის პასაჟებიც კი, რომლებსაც or. 24-ში პირდაპირი პარალელები არ მოეპოვება, აშკარად გრიგოლის რიტორიკული სტილის გავლენით და მისი გათვალისწინებით არის დაწერილი. ავტორს ასეთ მონაკვეთებში გამოყენებული აქვს იმავე სახის რიტორიკული ფიგურები, მხატვრული ხერხები, სახეები, რასაც

იყენებს გრიგოლი. ვნახოთ ამ თვალსაზრისით «შესხმის" ის ნაწილები, რომელთა პირდაპირი პარალელი or. 24-ში არ ჩანს.

დავიწყოთ იმ ორი პატარა პარაგრაფით, საიდანაც, ფაქტობრივად, იწყება განსხვავებები or. 24-სა და «შესხმას" შორის – Enc. Euth. §§ 19-20. ეს ორივე პარაგრაფი აგებულია ძალზე გავრცელებული და ხშირად ხმარებული რიტორიკული ფიგურების გამოყენებით, რომლებიც უხვად გვხვდება გრიგოლის შემოქმედებაშიც[341]. Enc. Euth. § 19 იწყება ანტითეზით, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება „ხსენება" და „დადუმება", – ავტორი ყოყმანობს, არ იცის, დიმიტრის საქმეთაგან რომელი ახსენოს და რომელი არა – „რომელი-მე *ვახსენო* მისთა საქმეთაგანი, ანუ რომელი *დავიდუმო*". ანტითეზა – ერთ-ერთი უმთავრესი და უხშირესი ხერხი გრიგოლისათვის ფრაზის პარალელიზმის ძიებაში. ამას მოსდევს ჩამოთვლა «ყოველთა გამოჩინებულთა სიწმიდესა ზედა" – «შჯულისმდებელნი, მახარებელნი, მოციქულნი, მწყემსნი, მოძღუარნი", – გამეორების მშვენიერი მაგალითი, რომელიც ძალიან მსგავსია or. 24-ის § 13-ში მოტანილი იმავე სახის ჩამოთვლისა («სიტყუა, შჯული, წინაჲსწარმეტყუელნი, მოციქულნი, თჳთ თავადისა ქრისტეს ვნებანი..."). „შესხმაში" or. 24-ის ამ პარაგრაფს თავისი პარალელური ადგილი მოეძევება, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩამოთვლა საკმარისად შემოკლებულია (Enc. Euth. § 13).

«შესხმაში" ანტითეზისა და ჩამოთვლის დახვეწილი გამოყენების ასევე მშვენიერი მაგალითია დიმიტრის გარეგნობის აღწერა (Enc. Euth. §§ 29-30), სადაც სიტყვების დაპირისპირებით (მაღალი-მდაბალი, გუამი-გონება, კაცი-ჭაბუკი) და ეპითეტების ჩამოთვლით იქმნება შთამბეჭდავი ხატება მოწამისა: «რამეთუ იყო იგი *მაღალ* საქმითა და *მდაბალ* გონებითა და *მიუწდომელ* სათნოებითა, // მშჳდ, განურისხველ, მოწყალე, ტკბილ სიტყჳთა, უტკბილეს საქმითა, // ანგელოზისა მსგავს *ხატითა*, ანგელოზ გონებითა. // ვითარ მე გამოგიხატო ყოვლითურთ *კაცი* იგი დიდი და მაღალი, ხოლო *ჭაბუკი* ჰასაკითა, // ახოვანი *გუამითა* და უახოვნესი *გონებითა.* // მოვედით უკუე, შემეწიენით მე, რომელი-ესე სიტყუად დამაშურალ ვარ და ვერ გამოვარჩევ მათ შორის *უაღრესსა,* გინა *უდარესსა*, // ვითარცა გუამსა შინა ერთსა, ყოვლითურთ კეთილსა და შუენიერსა".

«შესხმის" ავტორი ანტითეზას, როგორც მხატვრულ ხერხს, იყენებს არა მხოლოდ სიტყვების, არამედ ფრაზების, აზრების დაპირისპირების დროსაც და

ამ ხერხით ამძაფრებს ცალკეული პასაჟების გამომსახველობას. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა დიმიტრის მიერ იმპერატორის წინაშე სამსჯავროზე წარმოთქმული სიტყვა, სადაც ხორციელი და სულიერი მახვილის და ცეცხლის დაპირისპირებით შექმნილი ანტითეზა და მეტად გამომსახველი მხატვრული სახეები მოწამის სიტყვას განსაკუთრებულ ექსპრესიულობას სძენს: «რამეთუ სატანჯველნი შენნი არა *საშინელ* არიან ჩემდა, არამედ *საწადელ*. // ხოლო *მახჳლი შენი* სულისა *ჩემისა მახჳლსა* ვერ განჰკუეთს, // არამედ უფროჲსად აღჰლესავს ჴორცთა ამათ დაჭრითა // და *ცეცხლი* შენი *გრილ* არს და *არა დასწუავს*, / არცა შეეხების სულისა *ჩემისა ცეცხლსა*, / არამედ უფროჲსად შეიწუვის მის მიერ" (Enc. Euth. § 48).

გრიგოლის სტილისთვის დამახასიათებელი რიტმულობა «შესხმის" ბევრ პასაჟში მალიან კარგად არის გადმოცემული, მაგალითად, ჩამოთვლების დროს ერთი და იმავე სიტყვების გამოყენებით, ან ერთი და იმავე ბრუნვაში ჩასმით, სადაც ბგერათა ალიტერაციით რიტმულობის შეგრძნება კიდევ მეტად გამოიკვეთება (ესეც ცნობილი და ხშირად ხმარებული რიტორიკული ფიგურაა და ეწოდება ანაფორა): «თითოეული თითოეულსა მისთა საქმეთაგანსა აქებდით. // *რომელნიმე* სიმხნესა, // *რომელნიმე* სიბრძნესა, // *რომელნიმე* სიკეთესა, // *რომელნიმე* სიტყუატკბილობასა, // *რომელნიმე* კადნიერებასა, // მეფეთა მიმართ უშიშოებასა, // სხუანი კუალად ღუაწლსა" (Enc. Euth. § 33).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოთ აღნიშნული რიტორიკული ხერხები შეიძლება დაიძებნოს სხვა ქართულ ნათარგმნ და ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში; ამის მშვენიერი მაგალითია თუნდაც გრიგოლ ხანძთელის პიროვნების აღწერა გიორგი მერჩულის მიერ დაწერილ გრიგოლის ბიოგრაფიაში. ეს მონაკვეთიც ანტითეზების საშუალებით არის აგებული. მაგრამ «შესხმის" შემთხვევაში აღსანიშნავია რიტორიკული ხერხების არა მხოლოდ მეტად უხვი გამოყენება, არამედ ის გარემოებაც, რომ ამ ტექსტში გამოყენებული ყველა ფიგურა მომდინარეობს გრიგოლ ნაზიანზელის or. 24-დან.

რიტორიკული ხელოვნების გავლენა შეიმჩნევა «შესხმის" არა მხოლოდ სტილის კვლევისას. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურულადაც ეს თხზულება მიჰყვება წარმართი რიტორების მიერ შემუშავებული ეპიტაფიის სქემას. სწორედ გრიგოლ ნაზიანზელი იყო პირველი ქრისტიანი შემოქმედი, რომელმაც

წარმართული ♏♋❏♓♦♋❖♐♓❏⌧ ●❏❖♑❏⌧-ის სქემა მიუსადაგა ქრისტიანულ მრწამსს და ქრისტიანული სულისკვეთებით გამსჭვალულ თხზულებებს[342]. გრიგოლის ჰომილიათა შორის სწორედ «კჯპრიანეს შესხმა" მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე კარგად აგებულ ჰომილიად, სადაც წარმართული რიტორიკული სქემა ოსტატურად არის გამოყენებული ქრისტიანული ენკომიის შესაქმნელად[343]. ამ სქემის მიხედვით არის აგებული არა მხოლოდ «შესხმა" მთლიანობაში, არამედ თხზულებაში დიმიტრის ცხოვრებისა და წამების ამსახველი პასაჟებიც: ვრცელი შესავალი ანუ ❏❏❏❏❖♓❍♓❏■◗ §§ 1-17, რომელიც, ფაქტობრივად, მიყვება or. 24-ს, ამის შემდეგ ♑♏❖■♏⬧♓⌧ (წარმოშობა) ძალიან მოკლედ («მეოხი იგი თესალონიკისაჲ" – § 18), რომელსაც ერწყმის ♋♋♑⬧♋♑♒❖ (აღზრდა, «რომელი ვახსენო" ... რომელი დავიდუმო – § 19), ♦❏❖❏❏♓ ♏♋♑♐❏❍♓♋❖⬧♦♓♐❏♓, ანუ შესხმა (§§ 19 - 23), შემდეგ ♋♋■♋❖⬧♦❏❏♐♒ («აღიზარდა სიჩჩოჲთგან" – § 24) და ♏♋❏♓♦♒♎♏◆♌❍♋♦♋ (საქმენი და ზნენი, «მოეღო წიგნთაგან" – §§ 24 - 25); ამას მოჰყვება ❏❏♋❖⌧♓⌧ და ♋☯❐♏♦♋♓ (საქმენი და სიქველენი, პერიოდულად განზავებული «კვიპრიანეს შესხმის" მსგავსად რიტორიკული საქებარი პასაჟებით, რაც არის დიმიტრის წარდგომა სამსჯავროზე, მისი სიტყვა და შემდეგ მისი სიკვდილი (§§ 26 - 51)); და ბოლოს ვრცლად ⬧◆♑♐❐♓❖⬧♏♓⌧, სადაც კომპილატორი კვლავ მიჰყვება or. 24-ს[344].

«შესხმის" სტილისა და აგებულების კვლევისას უნდა გვახსოვდეს, რომ ცნება «რიტორიკა" გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეულ რიტორიკულ ფიგურებსა და თხზულების სტრუქტურული აგებულების თავისებურებებს. რიტორიკა, G. Kennedy-ის განმარტებით, არის ერთიანობა იმ მეთოდებისა, რომლის საშუალებითაც ავტორი ახორციელებს თავის მიზანს, იდეას თხზულებაში; სიტყვების შერჩევა და მათი თავისებური გამოყენება არის მხოლოდ, ასე ვთქვათ, ლიტერატურული ტექნიკის არჩევანი; ხოლო თავად თხრობის არსისადმი დამოკიდებულება, ფაქტების გამოყენება, არგუმენტაცია და ემოციების კონტროლი ხშირად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რიტორიკის თეორიაში – როგორც ეს ესმოდათ ბერძნებსა და რომაელებს[345]. ამ თვალსაზრისით რიტორიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ბიზანტიაში მაკედონური რენესანსის დროს. როგორც Д. Лихачев-ი აღნიშნავს, „Напряженные поиски эмоциональной выразительности стремление к экспресии основывались на том же убеждении, что житие святого должен отразить частицу его сущности, быть описанным подобными словами и вызвать такое же благоговение какое вызывал и он сам".[346] წმ. დიმიტრის «შესხმის" ავტორისთვისაც მთავარი იყო მოწამის ჯეროვანი წარმოჩენა და მისი დამსახურების, ქრისტეს წინაშე მისი ღვაწლის განსაკუთრებული გამოკვეთა. ასეთი იყო «შესხმის" კომპილატორის მიზანდასახულება. ამ მიზნიდან გამომდინარე თხზულების ცენტრალურ და ყველაზე გამომსახველ პასაჟად მან წარმოგვიდგინა დიმიტრის სიტყვა იმპერატორისადმი, რომლის საშუალებითაც მან გაამძაფრა დაპირისპირება წარმართ იმპერატორსა და ქრისტიან მოღვაწეს შორის.

თხზულების მიზანდასახულობასთან უშუალო კავშირშია ასევე თხრობის აბსტრაგირებაც (კონკრეტული დეტალების თავიდან არიდება, სახეთა სქემატიზაცია), რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო თუნდაც თავად გრიგოლ ნაზიანზელისათვის. გრიგოლი თავის ქადაგებაში კვიპრიანეს შესახებ თხრობისას თავს არიდებს ყოველგვარ კონკრეტულ ფაქტებს; გავიხსენოთ, მაგალითად, ის გარემოება, რომ გრიგოლს ერთხელ არ აქვს ნახსენები კვიპრიანეს სატრფოს სახელი, არ მიუთითებს კვიპრიანეს არც წარმომავლობას (უბრალოდ ზოგადად ამბობს, რომ ის იყო წარჩინებულთა წრიდან), არც კვიპრიანეს მიერ დაწერილ ამ წარმოთქმულ სიტყვებს ასახელებს, არც მისი გადასახლების თუ წამების დროს აკონკრეტებს. გრიგოლისათვის მნიშვნელოვანია არა თვითონ ფაქტები, არამედ მათგან მომდინარე შედეგები: დეკიოსისაგან მღვდელმოწამის დასჯა და მასთან დაკავშირებული დეტალები მეორეხარისხოვანია; მთავარია ის, რომ ამ «სასჯელის" შედეგად კვიპრიანემ საუკუნო სასუფეველი დაიმკვიდრა.[347]

იგივე თვალთახედვით არის აგებული დიმიტრის ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის ამსახველი ეპიზოდი „შესხმაშიც": თავიდან არიდებულია ყოველგვარი კონკრეტული ფაქტები, მონაცემები დიმიტრის ცხოვრებისა; მოცემულია მხოლოდ მისი პიროვნების აღწერა (როგორც ფიზიკურის, ასევე სულიერის), შემდეგ იმპერატორის წინაშე წარმოთქმული სიტყვა და ბოლოს, ძალიან მოკლედ – მისი აღსასრული, ანუ ყოველივე ის

ძირითადი, რაც აუცილებელია მოწამის სახის შესაქმნელად, მისი ღვაწლისა თუ დამსახურების წარმოსაჩენად. ამგვარი მიდგომა არ არის შემთხვევითი, არამედ არის ავტორის სურვილი და მიზანი წარმოგვიდგინოს წმინდანი დროისა და სივრცის მიღმა, როგორც სამუდამო და დაუვიწყარი ეტალონი ქრისტიანული ეთიკური ნორმებისა[348].

როგორც ვხედავთ, რიტორიკული სტილის გავლენა წმ. დიმიტრის «შესხმის" სტრუქტურაზე, ლექსიკურ-სინტაქსური ხერხები საკმარისი რაოდენობით გვხვდება ტექსტის იმ ნაწილებში, რომლებიც ეფთვიმეს ორიგინალურ შემოქმედებას წარმოადგენს. თხზულების სტილისტური და მხატვრული ანალიზი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ «შესხმის" ავტორი მშვენივრად იცნობდა გრიგოლისა და სვიმეონ მეტაფრასტის შემოქმედებას[349], კარგად ერკვეოდა და ფლობდა რიტორიკულ ხელოვნებას და მეტაფრასტიკის თეორიას.

წინამდებარე ნაშრომში მიღებულ დასკვნებს თუ შევადარებთ ეფთვიმე ათონელის ლიტერატურული მოღვაწეობის შეფასებას, კერძოდ კი, მის მიერ რიტორიკული ტექნიკის ფლობასთან დაკავშირებულ დასკვნებს, მივიღებთ საინტერესო სურათს. ეფთვიმე ათონელი, ელინოფილებისაგან განსხვავებით, არ აქცევდა სპეციალურ ყურადღებას რიტორიკული ხერხების ადეკვატურ გადმოტანას თარგმანში (გაანალიზებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მისეული თარგმანები). იგი უმეტესად დედნისაგან დამოუკიდებლად მიმართავდა ბერძნული რიტორიკული ტექნიკიდან ქართულ მწერლობაში ადრეული ნათარგმნი ლიტერატურიდანვე გავრცელებულ ნაცნობ ხერხებს, რაც პრეელინოფილური მთარგმნელობითი დამოკიდებულების გამოვლენა იყო სათარგმნი მასალისადმი.[350] საგულისხმოა, რომ იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ათონის მთარგმნელობითი სკოლის მიმდევრის, დავით ტბელის, თარგმანებში (გაანალიზებულია ისევ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მისეული თარგმანები).[351] მაგრამ, მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ ეფთვიმე ათონელი შესანიშნავად იცნობდა ბიზანტიურ რიტორიკას და თუმცა ეს ტექნიკა ქართველი მოღვაწის სპეციალური ზრუნვის საგანი არ იყო, იგი ამ ცოდნას ოსტატურად იყენებდა ბერძნული დედნის

კომპილირებისას, ჟანრულ-კომპოზიციური ცვლილებისას ქართულ თარგმანში, რაც მისი მთარგმნელობითი მეთოდის არსებითი თავისებურებაა.[352]

ეფთვიმეს მიერ ბერძნული რიტორიკული ტექნიკის ფლობის თვალსაზრისით წმ. დიმიტრის «შესხმა" მეტად საინტერესო თხზულებას წარმოადგენს, რადგან ეფთვიმეს იგი უშუალოდ შეუქმნია ბიზანტიური რიტორიკის ტიპური და საუკეთესო ნიმუშის «კვიპრიანეს შესხმის" მიხედვით. წმ. დიმიტრის «შესხმაში" ეფთვიმე ბერძნული მოდელის («კვიპრიანეს შესხმის") რიტორიკულ ხერხებთან ერთად დამოუკიდებლადაც ქმნის ამ ხერხებს. ეფთვიმე ათონელის თხზულებაში ბიზანტიური რიტორიკული ტექნიკის ასეთი გამოყენება, განსაკუთრებით, ჟანრულ-კომპოზიციური პრინციპების ცოდნით შესხმის აგება, გამოხატულებაა მისი ეპოქის ბიზანტიურ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებისა – X საუკუნის ბოლოს წამოწყებული მეტაფრასული მიმდინარეობისა. ეფთვიმე ათონელი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია ამ მიმდინარეობის თხზულებებისა, რითაც იგი ნიადაგს უქმნის რიტორიკული ენისა და სტილის განვითარებას, რაც შემდგომში განავითარეს და მაღალ დონეზე აიყვანეს ქართველმა ელინოფილებმა. ასე რომ, ეფთვიმე წმ. დიმიტრის «შესხმას" ქმნის ადრეული ბიზანტიური რიტორიკის (გრიგოლ ღვთისმეტყველისა, IV ს.) და მეტაფრასული მიმდინარეობის (სვიმეონ მეტაფრასტის, X ს.) თხზულებათა გათვალისწინებით, რომელთა თარგმნაც მან X ს.-ის ბოლოს დაიწყო.

## თავი 3

## დასკვნა

ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იქონია კლასიკური ეპოქის ენკომიურმა ბიოგრაფიებმა. დიდ ადამიანთა ბიოგრაფიების შექმნას, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა დიდაქტიკური დანიშნულება. ამ ბიოგრაფიებში აღწერილი ადამიანების დიადი ქმედებანი უნდა ყოფილიყო ისეთი მაგალითი, რომელიც მკითხველში მიბაძვის სურვილს აღძრავდა. ეს მიზანდასახულობა შემდგომში გახდა ქრისტიანული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის განმსაზღვრელი ფაქტორი. მაგრამ ჰაგიოგრაფიაში ამ მოტივმა სხვა დატვირთვა მიიღო. ქრისტიანისთვის არსებობდა ერთადერთი მისაბაძი მაგალითი – კაცობრიობის ცოდვათათვის წამებული იესო ქრისტე. ამიტომ ჰაგიოგრაფიამ მიზნად დაისახა იმ ადამიანთა წამებისა თუ ცხოვრების აღწერა, რომლებიც იესო ქრისტეს გზის გავლით ეზიარნენ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას. ამ გზის აღწერა კი უნდა ყოფილი ისეთი, რომ მკითხველსა თუ მსმენელში მსგავსი ქმედების გამეორების სურვილი აღეძრა.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ეს მოტივაცია ადრეულ შუასაკუნეებში ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, ამიტომ ადრეული ცხოვრება-წამებები უფრო ისტორიულ რეალობასთან დაახლოებული ლიტონი აღწერები იყო. მხოლოდ დროთა ვითარებაში, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის დიდაქტიკური დანიშნულების მკაფიოდ განსაზღვრის შემდეგ, ისტორიულმა რეალიებმა დაკარგა მნიშვნელობა და წინ წამოიწია ისეთმა თემებმა, როგორიცაა ქრისტიანი მოწამის განღმრთობის გზა და ქრისტიანობის გამარჯვება წარმართობაზე, ანუ ბოროტებაზე. ასეთმა მიდგომამ განაპირობა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში გარკვეული კლიშეების ჩამოყალიბება. გაჩნდა მოწამისა და მტარვალის ზოგადი სახეები, სიტუაციის სტანდარტული აღწერები, რომლებიც დაკანონდა პარადიგმების სახით, და აქტიურად გამოიყენებოდა მთელს აღმოსავლურ ქრისტიანულ ლიტერატურაში. სწორედ ამ კლიშეების გავლენით მოხდა წმ. დიმიტრის სახის ტრანსფორმაცია, გარდაქმნა «წამების'' კიმენური რედაქციის

ჩვეულებრივი მოწამიდან შუალედური ვერსიის ქალაქ თესალონიკის ძლევამოსილ მფარველად. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის კლიშეების გავლენა კიდევ უფრო კარგად ჩანს წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანებში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესოა წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების თარგმანებში წმინდანისა და იმპერატორის დაპირისპირების მოტივი. ეს მოტივი თითქმის სულ არ ჩანს ბერძნული «წამების" ადრეულ ვერსიაში. შუალედურსა და სვიმეონ მეტაფრასტისეულ რედაქციებში ასეთი დაპირისპირება უფრო გამოკვეთილია. მაგრამ არც ამ ვერსიებში ამ მოტივს არა აქვს წარმმართველი მნიშვნელობა. ეს მოტივი ასევე ნაკლებად საგრძნობია წმ. დიმიტრის სასწაულების ციკლებში.

მტარვალისა და მოწამის დაპირისპირება ქრისტიანული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი პარადიგმაა. ეს არის კლასიკური ანტითეზა, სადაც მტარვალის ბოროტება, მანკიერება უფრო მეტად გამოკვეთს მოწამის სიწმინდეს, სისპეტაკეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტარვალი არის მოწამის აუცილებელი ფონი. მტარვალთან დაპირისპირების გარეშე მოწამის ღვაწლი, დამსახურება შეიძლება ისეთი თვალსაჩინო არ იყოს.

სწორედ ასეთია ეფთვიმე ათონელისეული წარმოდგენაც და ამის გამო იგი მიზანდასახულად ამდიდრებს წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების მისეულ თარგმანებს მოწამისა და მტარვალის დაპირისპირების ამსახველი სცენებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ თვალსაზრისით არის წმ. დიმიტრისა და იმპერატორ მაქსიმიანეს უშუალო დაპირისპირების, სიტყვიერი პაექრობის ეპიზოდები «წამებასა" და «შესხმაში". იმპერატორისა და მოწამის უშუალო შეხვედრა, ეფთვიმეს ჩანართების მიხედვით, მოხდა იმპერატორის სტადიონზე შესვლის წინ. აქ «წამების" ქართულ ტექსტში შეტანილია იმპერატორისა და დიმიტრის ვრცელი დიალოგი. ეს მონაკვეთი დაწერილია ძალიან ცოცხალი და მოქნილი ენით. აქ გამოყენებული რიტორიკული ხერხები სტილს კი არ ტვირთავს, არამედ მეტ გამომსახველობას სძენს. დიალოგი მთავრდება კულმინაციური მომენტით – დიმიტრიმ იმპერატორს წინ დაუგდო თავისი მაღალი წოდების საპატიო ნიშანი, სარტყელი. დაძაბული დიალოგი,

ექსპრესიული დამაგვირგვინებელი ჟესტი და დაპირისპირების მიზანი მიღწეულია – იმპერატორი და მისი სახით ბოროტება, წარმართობა დამცირებული და დამარცხებულია.

თუ რამდენად აუცილებლად მიაჩნდა ეფთვიმეს თხზულებაში ასეთი უშუალო დაპირისპირების არსებობა მოწამის სახის გამოსაკვეთად, ამას ცხადად აჩვენებს ქართული «შესხმა". აქ იმპერატორისა და მოწამის დაპირისპირების სცენას წმ. დიმიტრის ცხოვრების ამსახველ ნაწილში ცენტრალური ადგილი უჭირავს. «შესხმის" ეს სცენა შინაარსობრივად ახლოსაა «წამების" თარგმანის ჩანართ მონაკვეთთან. განსხვავება ისაა, რომ «წამებაში" არის დიმიტრისა და მაქსიმიანეს დიალოგი, «შესხმაში" კი მთელი სცენა დიმიტრის მონოლოგს წარმოადგენს. ეს ვრცელი სიტყვა, ამ შემთხვევაში უკვე ენკომიური, ანუ შესხმითი, ჟანრის გავლენითაც, უფრო დატვირთულია სხვადასხვა რიტორიკული ხერხით. მაგრამ მიზანი იგივეა – მტარვალის სიმდაბლის ფონზე მოწამის სულიერი სიმაღლის გამოკვეთა.

მტარვალის და მოწამის სახეების ტრადიციული კლიშეები თავისთავად შესაბამის პერსონაჟთა გარკვეულ სქემატიცაზიასაც გულისხმობს. ამ პარადიგმების გამო დაიკარგა მოქმედი პირების ინდივიდუალური სახასიათო თვისებები და მოხდა მტარვალისა და მოწამის სახეების განზოგადება. ასეთ სქემატიზაციას ახდენს ეფთვიმე ათონელიც თავის თარგმანებში. მაგალითად, «წამების" თარგმანში ნესტორის სიკვდილით დასჯის შემდეგ ეფთვიმეს შეტანილი აქვს ვრცელი ჩანართი მონაკვეთი, სადაც ნაჩვენებია იმპერატორის სისუსტე და სიმხდალე, როდესაც იგი შეშინდა და აღარ მოინდომა დიმიტრისთან ხელმეორედ პირისპირ შეხვედრა. ამავე პრინციპით ჭაბუკ ნესტორისა და იმპერატორის შეხვედრის სცენიდან ეფთვიმემ ამოიღო იმპერატორის ის ფრაზა, სადაც მაქსიმიანეს მეტ-ნაკლებად დადებითი მხარეც ჩანს – სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილის დანახვისას მან გამოიჩინა ერთგვარი შემწყნარებლობა და ურჩია ნესტორს, არ შებრძოლებოდა გლადიატორს, და შეპირდა, რომ უბრძოლველადაც დააჯილდოებდა. ჰაგიოგრაფიული კლიშეს მიხედვით არ შეიძლება მტარვალს ოდნავი დადებითი თვისება მაინც ახასიათებდეს, იგი აბსოლუტური ბოროტება უნდა იყოს.

სახეთა სქემატიზაციის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა წმ. დიმიტრის «სასწაულების" კიდევ ერთი პერსონაჟი – ეს არის ქალაქ თესალონიკის მოსახლეობა. ბერძნულ «სასწაულებში" თესალონიკის მოსახლეობა არის დაქსაქსული, სხვადასხვა აზრის თუ ქმედების ხალხის ამორფული მასა, ხშირ შემთხვევაში იმედდაკარგული და შეშინებული. ეფთვიმეს წარმოდგენით, დიდ წმინდანთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოსახლეობას ასეთი სახე და განწყობა არ შეეფერება, ამიტომ «სასწაულების" თარგმანში ეფთვიმე ამ სახესაც განაზოგადებს. ქართულ თარგმანში თესალონიკის მოსახლეობა არის ერთი სულისკვეთებით შეკრული ჯგუფი, რომელიც იმდენად ერთსულოვნად მოქმედებს, რომ ერთ პიროვნებად აღიქმება. ბერძნული ტექსტის საწინააღმდეგოდ, თარგმანში ქალაქის მოსახლეობა არასოდეს კარგავს წმ. დიმიტრის მფარველობისა და დახმარების იმედს. იქ, სადაც ორიგინალის მიხედვით განსაცდელით შეშინებული თესალონიკელები ხელებდაშვებულები ელოდებიან მტრებს, თარგმანში ისინი აქტიურ სულიერ და ფიზიკურ მზადებაში არიან; თუ ორიგინალში ისინი ავარებს საჩუქრებს უგზავნიან, თარგმანში არ ეპუებიან მტერთა მოთხოვნებს და ბოლომდე უწევენ წინააღმდეგობას. ეს არის ჰაგიოგრაფიული კლიშეებით გაპირობებული ცვლილებები და ამავე პარადიგმების მიხედვით თარგმანში ჩნდება ჩანართი მონაკვეთები, სადაც მოცემულია მოსახლეობის ერთსულოვნებისა და იმედის სათანადო პასუხი; მაგალითად, ერთ-ერთ ჩანართში წმ. დიმიტრი ცეცხლის ალით გაანადგურებს ქალაქს შემოსეულ მტრებს.

ამდენად, წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული სამივე თხზულების – «წამება", «შესხმა" და «სასწაულები" – ქართული თარგმანები დამუშავებულია ქრისტიანულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ლიტერატურული პარადიგმების მიხედვით. «წამებისა" და «შესხმის" პარალელური პასაჟები კი (ვგულისხმობთ დიმიტრისა და იმპერატორის დიალოგს მაქსიმიანეს სტადიონზე შესვლის წინ), რაც არ გვხვდება დიმიტრის «წამების" არც ერთ ბერძნულ ტექსტში, კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ წმ. დიმიტრის «შესხმის" ქართული ვერსია უნდა ეკუთვნოდეს ეფთვიმე მთაწმიდელს.

ქრისტიანი მოწამის ღვაწლის წარმოჩენასთან ერთად ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მეორე უმნიშვნელოვანესი მიზანია მრევლის დამოძღვრა, რწმენის

გაღვივება, მოწამის ღვაწლის წარმოჩენა ისე, რომ ეს გახდეს ყველა ქრისტიანისათვის მისაბაძი მაგალითი. დიდაქტიკური მოტივი წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართულ თარგმანებში, ბერძნულ ორიგინალებთან შედარებით, კიდევ უფრო გამკვეთრებულია ეფთვიმესეული ჩანართი ეპიზოდებით. ამის საუკეთესო მაგალითებია «წამებაში" იმპერატორ მაქსიმიანეს სიკვდილი, «სასწაულებში" – წარმართი წინამძღოლების, ქაგანოზისა და შავის დაღუპვა. სამსავე შემთხვევაში ჩანართი მონაკვეთები შინაარსობრივად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ბერძნულ ორიგინალს, არამედ ისტორიულ სინამდვილესაც. მაგრამ სამივე ეს ჩანართი არის მკაფიოდ დიდაქტიკური ხასიათის. ეს არის ჰაგიოგრაფიული კლიშეთი გაპირობებული ლოგიკური დასასრული, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებს ბოროტების დამარცხებას.

«სასწაულების" თარგმანში დიდაქტიკური მიზანდასახულობის საუკეთესო მაგალითებია «სასწაულების" ქართულ თარგმანში ჩართული ორი სასწაული, რომელთაც ბერძნულ წყაროებში შესატყვისი არ მოეპოვება. ამათგან პირველში (კაცნი კალადიიდან) განმარტებულია, თუ რატომ არ მოქმედებს სასწაულთმოქმედი მირონი ყველაზე ერთნაირად და ამ განმარტებით სასწაულის ჭეშმარიტების შესახებ არსებულ ეჭვს აქარწყლებს. მეორე სასწაული კი არის მთლიანი ციკლის ბოლოს საგანგებოდ დართული ამბავი, რომლის მიზანიც, ისე როგორც ზემოთ ხსენებული პირველი სასწაულის შემთხვევაში, მირონმდინარების სასწაულის უტყუარობის დამტკიცებაა.

ჩვენი აზრით, ეს სასწაულები და ასევე წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების თარგმანებში მირონმდინარების შესახებ ჩანართები თავად ეფთვიმეს ორიგინალური შემოქმედების ნიმუში უნდა იყოს. როგორც ჩანს, ეფთვიმეს თანადროულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, მაღალ არისტოკრატიულ ფენებში არსებობდა ურწმუნობის გარკვეული ტენდენცია. წმ. დიმიტრის ციკლის თარგმანების შემთხვევაში ჩანს, რომ ეს ურწმუნობა ეხება კონკრეტულად წმ. დიმიტრის კულტს. მაგრამ, ვფიქრობთ, დასაშვებია ისიც, რომ დიდაქტიკური მოტივის ასეთი გამკვეთრება და წინ წამოწევა თარგმანებში გულისხმობს იმდროინდელი საზოგადოების ნაწილის ზოგად სკეპტიციზმს, ვინაიდან დიდაქტიკური მოტივი ასევე მეტად ძლიერად არის გამოკვეთილი გრიგოლ ნაზიანზელის და სხვა ავტორების ეფთვიმესეულ თარგმანებში.

ამასთანავე, საგულისხმოა ისიც, რომ მირონმდინარების სასწაულის ასეთი განსაკუთრებული აქცენტირება აშკარად აჩვენებს, რომ ეფთვიმეს დროს ეს სასწაული არსებობდა და ცნობილი იყო. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია სასწაულის დათარიღებისათვის.

ჰაგიოგრაფიული კლიშეები და ზოგადად, ლიტერატურაში პარადიგმების გამოყენების ტრადიცია მომდინარეობს ჯერ კიდევ ანტიკური ორატორული ხელოვნებიდან, ვინაიდან რიტორიკა იყო ერთიანობა მეთოდებისა, რომელთა საშუალებითაც ავტორი ახორციელებდა თავის იდეას თხზულებაში. ამ პრინციპიდან მომდინარეობს მტარვალისა და მოწამის დაპირისპირებაც, სახეთა და ზოგადად, თხრობის სქემატიზაციაც.

წმ. დიმიტრისთან დაკავშირებულ ბერძნულ თხზულებებში, განსაკუთრებით, «წამების" სვიმეონ მეტაფრასტისეულ რედაქციასა და იოანე თესალონიკელის «სასწაულებში", კარგად ჩანს რიტორიკული ხელოვნების გავლენა – გამოყენებულია მრავალი სხვადასხვა რიტორიკული ფიგურა, ზოგადი შინაარსის რიტორიკული ჩანართი. ამ თხზულებების ეფთვიმესეულ თარგმანებშიც გვხვდება რიტორიკული ფიგურები. ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო მასალას იძლევა წმ. დიმიტრის ქართული «შესხმა". ენკომიური, ანუ შესხმითი, ჟანრი თავისთავად შეიცავს რიტორიკული ხელოვნების გამოყენების აუცილებლობას. წმ. დიმიტრის «შესხმა" მთლიანობაში როგორც სტილისტურად, ასევე აგებულების სტრუქტურითაც ძალიან ემსგავსება გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგებებს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან «შესხმა" შექმნილია გრიგოლის or. 24-ზე დაყრდნობით. მაგრამ «შესხმის" ის პასაჟებიც კი, რომლებსაც or. 24-ში პირდაპირი პარალელები არ მოეპოვება, აშკარად გრიგოლის რიტორიკული სტილის გავლენით და მისი გათვალისწინებით არის დაწერილი. ავტორს ასეთ მონაკვეთებში გამოყენებული აქვს იმავე სახის რიტორიკული ფიგურები, მხატვრული ხერხები, სახეები.

ამდენად, წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართული თარგმანების კვლევა გვიჩვენებს, რომ მათი მთარგმნელი, კომპილატორი და ავტორი, ეფთვიმე ათონელი იყო ნიჭიერი შემოქმედი, რომელიც კარგად იყო გარკვეული თავისი თანადროული ბიზანტიური ლიტერატურის ძირითად ტენდენციებში და თავისი თარგმანების საშუალებით ამკვიდრებდა მათ ქართულ

ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ეფთვიმესეული თარგმანები გვაწვდის მეტად საყურადღებო მასალას როგორც თავად წმინდანის კულტის, ასევე ამ კულტთან დაკავშირებული ტექსტების ისტორიისათვის.

## ძირითადი დასკვნები

1) ნაშრომში პირველად შეკრებილია წმ. დიმიტრის კულტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული მსოფლიო ბიზანტინოლოგიაში არსებული ყველა ძირითადი ჰიპოთეზა და მოსაზრება. მასში განხილულია წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული ნაწარმოებები («წამების" სამი ბერძნული რედაქცია, ერთი ლათინური რედაქცია, «სასწაულების" პირველი სამი ბერძნული და ერთი ლათინური ციკლი), ნაჩვენებია, თუ როგორ აისახა მათში წმ. დიმიტრის კულტის ჩამოყალიბების ეტაპები. აქვე მოცემულია ჩვენს მიერ შემუშავებული დამატებითი დასაბუთება წმ. დიმიტრის «წამების" სამი რედაქციის დათარიღებისათვის, რაც გულისხმობს ჰაგიოგრაფიული კლიშეების გამოყენებას წმ. დიმიტრის როგორც წმინდანის სახის ჩამოყალიბებაში.

2) ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ფონზე ნაშრომში პირველად არის მოცემული წმინდა დიმიტრისთან დაკავშირებულ თხზულებათა ციკლის კომპლექსური შესწავლის ცდა. წმ. დიმიტრის «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების კვლევამ აჩვენა, რომ ეფთვიმე ამ თხზულებებს თარგმნიდა ერთმანეთთან მიმართებაში, ერთიანი მიზანდასახულობით, რომელიც დისერტაციაში გამოთქმული მოსაზრებით, განაპირობა საქართველოს იმდროინდელმა შიდა პოლიტიკურმა თუ სოციალურმა ვითარებამ. X საუკუნის მიწურულიდან საქართველოში ხდებოდა ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება. თანადროულმა საზოგადოებამ გაიცნობიერა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. შესაბამისად, წინა პლანზე წამოიწია სამხედრო თავდადების და რაინდული მამაცობის ღირებულებებმა. ამ ტენდენციის ხელისშეწყობისათვის საჭირო გახდა ისეთი მაგალითების წარმოჩენა, რომელიც ადამიანს «ომს მოანდომებს და იარაღის ხმარებას ასწავლის და ამით ქვეყნისათვის გამოსადეგს გახდის" (კ. კეკელიძე). სწორედ ამ გარემოებათა გავლენით იმ პერიოდის ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში აქტუალური გახდა წმინდა

მხედრების, ქრისტეს მეომრების თემა. ამ ტენდენციამ პირდაპირი ასახვა პოვა ეფთვიმე ათონელის თარგმანებში.

3) ძლევამოსილი წმინდა მეომრის სახეების შესაქმნელად ეფთვიმე ათონელმა თარგმნა წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებები. ამ სახეთა სისრულისა და ერთიანობისათვის ეფთვიმემ ბერძნულიდან გადმოიღო არა ცალკეული თხზულებები, არამედ შექმნა ამ წმინდანებთან დაკავშირებული თხზულებების ერთიანობა, ანუ ციკლები – «წამება", «სასწაულები", «შესხმა". ამ ნაშრომში განხორციელდა ეფთვიმე ათონელის მიერ შექმნილი წმ. დიმიტრის ციკლის სრული კოდიკოლოგიურ-ლიტერატურული შესწავლა.

4) წმ. დიმიტრის ციკლის ყველაზე საინტერესო ნაწილია ქართული «შესხმა". კვლევამ აჩვენა, რომ «შესხმა", რომელსაც ბერძნულ წყაროებში შესატყვისი არ დაეძებნა, არის გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე ჰომილიის, მღვდელმოწამე კვიპრიანეს «შესხმის", მთლიანი პერეფრაზი, სადაც კვიპრიანეს სახელი შეცვლილია დიმიტრით და კვიპრიანეს ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები ჩანაცვლებულია დიმიტრის ღვაწლის აღწერით. ბერძნული, ლათინური და ქართული წყაროების და თავად ქართული «შესხმის" შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ტექსტის წყარო არის წმ. დიმიტრის «წამების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. ქართულ «შესხმაში" გამოიკვეთა იგივე მოტივები (დიდაქტიკური, მტარვალისა და მოწამის დაპირისპირება, სახეთა სქემატიზაცია და სხვა) და იგივე ჩანართები (მირონმდინარების სასწაული, იმპერატორისა და მოწამის სიტყვიერი პაექრობა და სხვა), რაც გვაქვს წმ. დიმიტრის «წამებისა" და «სასწაულების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანებში და არ გვხვდება არც ერთ სხვა წყაროსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენი დასკვნით, წმ. დიმიტრის ქართული «შესხმა" არის ეფთვიმე ათონელის ორიგინალური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუში, რომლის შექმნაც განაპირობა წმინდა მხედრების ციკლების ზოგადმა მიზანდასახულობამ. ჩვენი ვარაუდით, ეფთვიმე წმ. დიმიტრის ციკლზე მუშაობდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმნის პარალელურად.

«წამებისა" და «სასწაულების" თარგმანების დასრულების შემდეგ ეფთვიმეს, როგორც ჩანს, ხელთ არ ჰქონდა მისი ლიტერატურული გემოვნების შესაბამისი «შესხმა" და წმინდანის ციკლის შესაკვრელად ეფთვიმემ გამოიყენა გრიგოლ ნაზიანზელის ქადაგება, რომელიც გადათქვა წმ. დიმიტრის საქებარ სიტყვად.

5) «წამების", «სასწაულებისა" და «შესხმის" ურთირთკავშირსა და ერთმანეთთან მიმართებაზე მკაფიოდ მიგვანიშნებს ის რამდენიმე ძირითადი მოტივი, რომელიც თანამიმდევრულად ვითარდება სამსავე თხზულებაში. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ეფთვიმეს ზოგად მიზანდასახულობასთან მჭიდროდ დაკავშირებული დიდაქტიკური მოტივი, ასევე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის პარადიგმების გათვალისწინებით თხზულებათა პერსონაჟების სახეთა სქემატიზაცია, მტარვალისა და მოწამის დაპირისპირების გამძაფრება, ისტორიული რეალობის უგულებელყოფა და სხვა.

6) თავისი ძირითადი მიზანდასახულობის განსახორციელებლად ეფთვიმემ «წამებისა" და «სასწაულების" თარგმანებში მცირე ტექსტობრივ ცვლილებებთან ერთად, შეიტანა მნიშვნელოვანი კომპოზიციური ცვლილებები. ყველა ეს ცვლილება, როგორც «წამების", ასევე «სასწაულების" თარგმანების შემთხვევაში, ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული.

7) წმ. დიმიტრის «წამების" ქართული თარგმანის კვლევამ აჩვენა, რომ ეფთვიმე ათონელმა ქართულად თარგმნა «წამების" ბერძნული შუალედური რედაქცია. თარგმანის ტექსტის შედარებამ ორიგინალთან გამოავლინა ოთხი მნიშვნელოვანი კომპოზიციური ცვლილება – მოზრდილი ჩანართი ეპიზოდები, რომლებიც შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ ჩანს არც ბერძნულ თუ ლათინურ წყაროებში, არც შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში. ოთხივე ჩანართ ეპიზოდს თხზულებაში ენიჭება კონკრეტული დატვირთვა; მათგან ორი, დიმიტრის ორი სხვადასხვა

იარაღით წამება და მირონმდინარების სასწაული, ჩვენი ვარაუდით, უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ, დღეისათვის დაკარგულ წყაროს ან ზეპირ გადმოცემას. დანარჩენი ორის შექმნა კი (იმპერატორისა და მოწამის სიტყვიერი პაექრობა, იმპერატორის სიკვდილი) გაპირობებული უნდა იყოს ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლიშეებით.

8) ნაშრომში პირველად განხილულია ქართულ სვინაქსარში წმ. დიმიტრის ხსენების დღეს შეტანილი ტექსტების მაგალითზე გიორგი მთაწმიდელის მიერ სვინაქსარის შექმნის პროცესი. აღმოჩნდა, რომ ამ დღეს, ანუ 26 ოქტომბერს შეტანილი ქართული ტექსტი სრულიად განსხვავდება ბერძნული ორიგინალისაგან. ბერძნულ სვინაქსარში შეტანილია არა მხოლოდ წმ. დიმიტრის «წამების" შემოკლებული ვერსია, არამედ წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი რამდენიმე სასწაულიც. ქართულ სვინაქსარში კი არის მხოლოდ «წამების" მოკლე ვერსია, რომელიც შეიცავს იმავე ჩანართებს, რაც არ ჩანს ბერძნულ თუ ლათინურ წყაროებში, მაგრამ გვაქვს «წამების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში (იმპერატორის და მთავრების თათბირი, დიმიტრის წამება ორი იარაღით, მირონმდინარების სასწაული). ამდენად, გიორგიმ ქართული სვინაქსარისათვის კი არ თარგმნა წმ. დიმიტრის ხსენების დღეს შეტანილი ტექსტი, არამედ შეიტანა ეფთვიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანის შემოკლებული ვარიანტი. ეს გარემოება გამოავლენს ახალ ასპექტს ქართული სვინაქსარის ჩამოყალიბებაში. ვვარაუდობთ, რომ ეს არ იქნება ერთადერთი შემთხვევა და ანალოგიური ვითარება შეიძლება გამოვლინდეს სხვა წმინდანებთან დაკავშირებული ტექსტების შემთხვევაშიც.

9) წმ. დიმიტრის «სასწაულების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში გამოვლინდა მეტად მნიშვნელოვანი კომპოზიციური ცვლილებები:

9.1. «სასწაულების" თარგმანში ეფთვიმეს შეტანილი აქვს სასწაულები წმ. დიმიტრის ორივე ადრეული ციკლიდან. მაგრამ თარგმანში ბერძნული ტექსტი მნიშვნელოვნად შემოკლებული და გადაკეთებულია. მართალია, ეფთვიმე იცავს სასწაულების იოანე თესალონიკელის მიერ

ჩამოყალიბებულ თემატური დაჯგუფების სიტემას, მაგრამ თემატური ჯგუფების შიგნით სასწაულებს ამოკლებს, აერთიანებს და ცვლის თანამიმდევრობას, ურთავს ჩანართებს, რის შედეგადაც ისინი ძალიან განსხვავდება ბერძნული ორიგინალისაგან.

9.2. სასწაულების ორი ციკლიდან თარგმანში არ არის შეტანილი ოთხი სასწაული – სამი იოანე თესალონიკელის ციკლიდან და ერთი – ანონიმის ციკლიდან.

9.3. თარგმანში გამოვლინდა შვიდი უცნობი სასწაული, რომლებიც არ დასტურდება არც ბერძნულ და ლათინურ წყაროებში და არც სამეცნიერო ლიტერატურაში. ვვარაუდობთ, რომ ამ სასწაულებიდან ერთი მაინც («სასწაული ავართათჳს, თავი ი˜ე”) უნდა მომდინარეობდეს დღეისათვის დაკარგული ზეპირი თუ წერილობითი წყაროდან. მაგრამ ამასთანავე, ამ სასწაულების ნაწილი უთუოდ თავად ეფთვიმეს შემოქმედება უნდა იყოს. ეს ეხება განსაკუთრებით ორ სასწაულს (კაცნი კალაადიიდან, ურწმუნო მთავარი), რომელთაც აშკარად დამოძღვრითი, დიდაქტიკური ხასიათი აქვს.

10) წმ. დიმიტრის გარდაცვალების შემდგომი სასწაულების პირველი ორი ციკლი არის უაღრესად საყურადღებო ისტორიკოსებისათვის, ვინაიდან ეს თხზულებები შეიცავენ უმნიშვნელოვანეს მასალას როგორც წმ. დიმიტრის კულტის ჩამოყალიბების, ასევე საერთოდ, VI-VII საუკუნეების მაკედონიისა და საბერძნეთის ისტორიისათვის. მაგრამ ამ თხზულებების შემცველი ბერძნული ხელნაწერები საკმარისად გვიანდელია, ეფთვიმეს თარგმანის შემცველი ქართული ხელნაწერების თანადროული. აქედან გამომდინარე, «სასწაულების” ქართული თარგმანის შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან: ა) ორიგინალიდან მომდინარე ისტორიული მასალის არსებობა ქართულ თარგმანში არის კიდევ ერთი არგუმენტი ამ მასალის ადრეულობისა და უტყუარობისა; ბ) თარგმანში შეიძლება არსებობდეს კიდევ რაიმე დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ბერძნულ ტექსტებში დაკარგულია. ამიტომ «სასწაულების” ქართული თარგმანის კვლევისათვის ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ორ

ასპექტზე: ა) მთარგმნელის მიზანდასახულობაზე, ანუ იმაზე, იყო თუ არა ეფთვიმესთვის მნიშვნელოვანი თარგმანში ისტორიული სინამდვილის ასახვა, ბ) შეიცავდა თუ არა თარგმანი ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს.

11) კვლევამ აჩვენა, რომ ეფთვიმესთვის ისტორიული სინამდვილის ასახვა ნამდვილად არ წარმოადგენდა პრიორიტეტს. ამის საუკუთესო მაჩვენებელია ქართულ თარგმანში ავართა და სლავთა ორი წინამძღოლის, ქაგანოზისა და მაუროსის (ანუ შავის) სიკვდილის ამსახველი სცენები, რომლებიც სრულ წინააღმდეგობაშია როგორც ორიგინალთან, ასევე ისტორიულ სინამდვილესთანაც. ასეთივე ვითარება გვაქვს «წამების" თარგმანში იმპერატორის სიკვდილის ეპიზოდშიც. სამსავე შემთხვევაში ეფთვიმე თარგმანში ითვალისწინებს არა ორიგინალს ან ისტორიულ სინამდვილეს, არამედ მიჰყვება ჰაგიოგრაფიული ჟანრის კლიშეებით გაპირობებულ თხზულების შინაგან ლოგიკას; სამი მტარვალის უკეთური სიკვდილი საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, რომ ბოროტება, წარმართობა ყოველთვის ისჯება და მარცხდება.

12) ნაშრომში დეტალურად არის განხილული თარგმანების ისტორიული სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით საინტერესო ყველა მონაკვეთი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია წმ. დიმიტრის მირონმდინარებასთან დაკავშირებული ჩანართები. «წამების" თარგმანში მირონმდინარების სასწაული დაკავშირებულია პრეფექტ ლეონტიუსთან. ჩანართი ეპიზოდის მიხედვით, ჩვენებაში გამოცხადებული წმინდანის ბრძანებით, წმ. დიმიტრის საფლავზე აღმართეს სალხინობელი – «კუბო" და თავად საფლავზე დადეს რელიქვარიუმი – ჭურჭელი, «ლუსკუმა", სადაც მაშინვე იწყო სასწაულთმოქმედმა მირონმა აღმოცენება. ჩანართები მირონმდინარების შესახებ გვაქვს «შესხმაშიც" და «სასწაულებშიც". «სასწაულების" თარგმანში ხდება ამ სასწაულის თანამიმდევრული პოპულარიზაცია. სასწაულთმოქმედი «ევლოგია", როგორც მას ეფთვიმე მოიხსენიებს, ფიგურირებს კურნებასთან დაკავშირებულ ყველა სასწაულში,

ხოლო თხზულების ბოლოს ამ მოვლენას ცალკე დამოძღვრითი ხასიათის სასწაული ეძღვნება. ამ სასწაულში მოთხრობილია, თუ როგორ დაისაჯა ვინმე ურწმუნო მთავარი, რომელმაც ეჭვი შეიტანა ამ სასწაულის ჭეშმარიტებაში. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ამტკიცებს, რომ ეფთვიმე წმ. დიმიტრის მირომდინარების სასწაულის პოპულარიზაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ «წამების", «სასწაულების" თარგმანებსა და «შესხმაში" ჩართული მირონმდინარებასთან დაკავშირებული ყველა ეპიზოდი შექმნილი თავად ეფთვიმეს მიერ გარკვეულ რეალურ ფაქტებზე, შესაძლოა, ზეპირ გადმოცემაზე დაყრდნობით. მეცნიერთა აზრით, მირონმდინარების სასწაული წმ. დიმიტრის კულტში გაჩნდა არა უადრეს IX საუკუნისა, ხოლო ამბავი მის შესახებ გავრცელდა თესალონიკეს ფარგლებს გარეთ მხოლოდ XII საუკუნის შემდეგ. ის გარემოება, რომ ეს სასწაული შეტანილია X საუკუნის მიწურულს შექმნილ წმ. დიმიტრის ქართულ ციკლში და აქ მას საგანგებო ყურადღება ენიჭება, უდაოდ, არის მნიშვნელოვანი მასალა ამ სასწაულის გადათარიღებისათვის.

13) წმ. დიმიტრის ქართული ციკლის ლიტერატურულ-სტილისტურმა კვლევამ გამოავლინა ბერძნული ორატორული ხელოვნების გავლენა ეფთვიმეს თარგმანებზე. ჰაგიოგრაფიული პარადიგმები, სახეთა სქემატიზაცია არის უკვე ქრისტიანული რიტორიკული ხელოვნების ხერხები, რომელთაც აქტიურად იყენებდა ეფთვიმე თავისი თარგმანების ზოგადი მაზანდასახულობის გასახორციელებლად. ამდენად, წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ქართული თარგმანების კვლევა გვიჩვენებს, რომ მათი მთარგმნელი, კომპილატორი და ავტორი, ეფთვიმე ათონელი იყო ნიჭიერი შემოქმედი, რომელიც კარგად იყო გარკვეული თავისი თანადროული ბიზანტიური ლიტერატურის ძირითად ტენდენციებში და თავისი თარგმანების საშუალებით ამკვიდრებდა მათ ქართულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით წმ. დიმიტრისთან დაკავშირებული თხზულებების ეფთვიმესეული თარგმანები გვაწვდის მეტად საყურადღებო

მასალას როგორც თავდ წმინდანის კულტის, ასევე მის კულტთან დაკავშირებული ტექსტების ისტორიისათვის.

# ბიბლიოგრაფია


1) H კოლექციის აღწერილობა, 1946, ტომი I – ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, ტომი I, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბილისი, 1946.
2) H კოლექციის აღწერილობა, 1949, ტომი V. – ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტომი V, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ლუბა მეფარიშვილის მიერ ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1949.
3) Q კოლექციის აღწერილობა, 1957, ტომი I. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტომი I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957.
4) Q კოლექციის აღწერილობა, 1958, ტომი II – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტომი II, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958.
5) S კოლექციის აღწერილობა, 1959, ტომი I. – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზიგადოების (S) კოლექციისა, ტომი I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1959.
6) S კოლექციის აღწერილობა, 1961, ტომი II – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზიგადოების (S) კოლექციისა, ტომი II, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ელ. მეტრეველი დამ ზ. შანიძის მიერ ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1961.
7) S კოლექციის აღწერილობა, 1967, ტომი V – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზიგადოების (S) კოლექციისა, ტომი V, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ. ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1967.
8) A კოლექციის აღწერილობა, 1973, ტ. $1_1$ – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. $1_1$, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1973.
9) A კოლექციის აღწერილობა, 1976, ტ. $1_2$ – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა), ტ.$1_2$, თბილისი, 1976.

10) ნიკოლაძე, I, 1953, აღწერილობა – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტომი I, 1953, თბილისი.
11) ნიკოლაძე, II, 1964, აღწერილობა – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტომი II, 1964, თბილისი.
12) ათონური კოლექცია, 1986, ნაკვეთი 1. – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი 1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაქიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურციკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ. თბილისი, 1986.
13) აბულაძე, 1973, ლექსიკონი. – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
14) ბეზარაშვილი, მაჭავარიანი, 1995, გრიგოლ ღვთისმეტყველის II და III ჰომილიები. – ქ. ბეზარაშვილი, მ. მაჭავარიანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის II და III ჰომილიების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების თავისებურებანი და ეფრემ მცირის ერთი ანდერძ-მინაწერი. ფილოლოგიური ძიებანი II (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), თბილისი, 1995, გვ. 226-288.
15) ბეზარაშვილი, 2001, საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ზოგიერთი თავისებურებისათვის. – ბეზარაშვილი, ქეთევან, საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ზოგიერთი თავისებურებისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში: სიღრმე-მიფარულება და ლაკონიურობა. *მრავალთავი,* XIX, თბილისი, 2001, გვ. 258-276.
16) ბეზარაშვილი, 2004, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა. – ბეზარაშვილი, ქეთევან, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004.
17) ბეზარაშვილი, 2005, რიტორიკული ორნამენტები. – ბეზარაშვილი, ქეთევან, რიტორიკულ-ორნამენტული სტილის თავისებურებებისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში;
18) ბრეგაძე, 1988, აღწერილობა. – გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თამარ ბრეგაძემ, თბილისი, 1988.
19) გაბიძაშვილი, 2004, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია. – ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია, თბილისი, 2004.
20) გაბიძაშვილი, 1991, წმინდა გიორგი. – წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბილისი, 1991.
21) დოლაქიძე, 2003, დიდი სჳნაქსარი. – მანანა დოლაქიძე, დიდი სჳნაქსარი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2003.
22) კეკელიძე, 1945, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში. – კეკელიძე, კ., ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 237-268.

23) კეკელიძე, 1945, «წმიდა" მხედარი. – კეკელიძე, კ., «წმიდა" მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 6-12.
24) კეკელიძე, 1956, მთარგმნელობითი მეთოდი. – კეკელიძე, კორნელი, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. *ეტიუდები* I, თბილისი, 1956, გვ. 183-197.
25) მარგიანი, 1999, გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. – მარგიანი, თამარ, გრიგოლ ხუცესის «გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება. *მრავალთავი,* XVIII, თბილისი, 1999, გვ. 131-139.
26) მაჭავარიანი, 1992, დავით ტბელის მთარგმნელობითი მეთოდი. – მ. მაჭავარიანი, დავით ტბელის მთარგმნელობითი მეთოდის ზოგი თავისებურება. *მრავალთავი* (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტი), XVII, თბილისი, 1992.
27) მაჭავარიანი, 2001, ჰაგიოგრაფიული ყალიბები ჰომილეტიკაში. – მაჭავარიანი, მაია, ჰაგიოგრაფიული ყალიბები ჰომილეტიკაში, *რელიგია*, 1-3, 2001, გვ. 20-36.
28) მაჭავარიანი, 2003, დამოკიდებულება კლასიკური და ბიზანტიური რიტოტიკისადმი – მაჭავარიანი, მაია, დამოკიდებულება კლასიკური და ბიზანტიური რიტორიკული ხელოვნებისა და განათლებისადმი დავით ტბელის თარგმანებში. *ლიტერატურული ძიებანი,* XXIV, თბილისი, 2003, გვ. 91-102.
29) მაჭავარიანი, 2003, დავით ტბელის თარგმანები და ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები. – მაჭავარიანი, მაია, დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები და ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები. *მრავალთავი,* XX, თბილისი, 2003, გვ. 106-114.
30) მაჭავარიანი, 2004-2005, წმ. დიმიტრის «შესხმა" ქართულ მწერლობაში – მაჭავარიანი, მაია, წმ. დიმიტრი თესალონიკელის «შესხმა" ქართულ მწერლობაში. *მაცნე,* ენისა და ლიტერატურის სერია, 2004-2005, თბილისი, გვ. 165-176.
31) მაჭავარიანი, 2005, წმ. დიმიტრი ბიზანტიურ და ქართულ მწერლობაში – მაჭავარიანი, მაია, წმ. დიმიტრი ბიზანტიურ და ქართულ მწერლობაში. *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*, 9, 2005, თბილისი, გვ. 28-39.
32) მაჭავარიანი, 2005, ორატორული ხელოვნება დიმიტრის ციკლში. – მაჭავარიანი, მაია, ბიზანტიური ორატორული ხელოვნება დიმიტრი თესალონიკელის ჰაგიოგრაფიულ ციკლში. *ლოგოსი.* წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. 3, 2005, გვ. 189-197
33) მაჭავარიანი, 2006, წმინდა დიმიტრის კულტის, ნაწილებისა და მირონმდინარების თარიღისათვის. – მაჭავარიანი, მაია, წმინდა დიმიტრის კულტის, ნაწილებისა და მირონმდინარების თარიღისათვის დიმიტრი თესალონიკელის სასწაულების საკითხავის ბერძნულ და ქართულ რედაქციებში. *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*, 10, 2006, თბილისი, გვ. 23-33.

34) მაჭავარიანი, 2006, უცნობი სასწაულები. – მაჭავარიანი, მაია, წმ. დიმიტრის უცნობი სასწაულები. *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*, 11, 2006, თბილისი, გვ. 50-60.
35) მახარაშვილი, 2002, თეოფილე ხუცესმონაზონი. – მახარაშვილი, სოსო, თეოფილე ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი), თბილის, 2002.
36) მელიქიშვილი, 1987, რამდენიმე დაკვირვება. – მელიქიშვილი, ნინო, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ მთარგმნელობით მეთოდზე, *მაცნე,* ელს, 4, 1987, გვ. 119-128.
37) მეტრეველი, 1996, იოანე პატრიკი და პეტრე პატრიკი. – მეტრეველი, ელ., იოანე პატრიკისა და პეტრე პატრიკის იდენტიფიკაციისათვის, კრებულში: *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ.196-225.
38) მცირე სჯულისკანონი, 1972 – მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 1972.
39) ქურციკიძე, 1995, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილია. – ქურციკიძე, ციალა, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება. ფილოლოგიური ძიებანი II (კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), თბილისი, 1995, გვ. 42-63.
40) ქურციკიძე, 1982, ბასილი კესარიელის «სწავლანი”. – ბასილი კესარიელის «სწავლათა” ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1982.
41) ქურციკიძე, 1978, ისევ ეფთვიმე ათონელი. – ქურციკიძე, ციალა, ისევ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, *მრავალთავი*, VI, თბილისი, 1978, გვ. 24-34.
42) ქურციკიძე, 1959, აპოკრიფები. – ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1959.
43) ჩიკვატია, 1997, ეფთვიმე მთაწმიდლის «წინამძღვარი”. – ჩიკვატია, ნანა, ეფთვიმე მთაწმიდლის «წინამძღვარი” (ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათაკანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 1997.
44) ჩიკვატია, 1996, ეფთვიმე მთაწმიდლის «წინამძღუარი”. – ჩიკვატია, ნანა, ეფთვიმე მთაწმიდლის «წინამძღურის” შედგენილობა და წყაროები. *მაცნე*, ელს, 1-4, 1996, გვ. 63-79.
45) ხოფერია, 1998, მაქსიმე აღმსარებლის «პიროსთან სიტყჳსგების” ძველი ქართული თარგმანები. – ლ. ხოფერია, მაქსიმე აღმსარებლის “პიროსთან სიტყჳსგების” ძველი ქართული თარგმანები (ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 1998.
46) ხოფერია, 2001, თავისუფალ და ზუსტ თარგმანთა თავისებურებანი. – ხოფერია, ლელა, თავისუფალ და ზუსტ თარგმანთა ზოგიერთი თავისებურებანი ერთი ტექსტის ორი ქართული თარგმანის მიხედვით. *მრავალთავი*, XIX, თბილისი, 2001, გვ. 117-138.

47) ჭელიძე, 1996, ტერმინოლოგია – ედიშერ ჭელიძე, ძველი ქართულ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია (სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეათა"-ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე), თბილისი, 1996
48) Кекелидзе, 1957, Симеон Метафраст. – Кекелидзе, Корнелий, Симеон Метафраст по грузинским источникам. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957.
49) Лихачев, 1979, Поэтика – Лихачев, Дмитрий, Поэтика древнерусской литературы, Москва, 1979.
50) Лихачев, 1980, История древнерусской литературы – Лихачев, Дмитрий, История древнерусской литературы X-XVII вв., Москва, 1980ю
51) Никитин, 1895, О некоторых греческих текстах – П. Никитин, О некоторых греческих текстах житий святых. Записки Императорской Академии Наук (по филологическому отделению), т. I, №1, С.-Петербург, 1895.
52) Попова, 1975, Античная биография и византийская агиография - Попова Т.В., Античная биография и византийская агиография, в сборнике *"Античность и Византия"*, Москва, 1975
53) Свод древнейших письменных известий, II, 1995 - Свод древнейших письменных известий о славянах, том II (VII-IX вв.). Составители: С.А. Иванов, Г.Г. Литаврин, В.К. Ронин. Москва, 1995.
54) Acta Sanctorum, Passio prima, ab auctore anonymo scripta atque ab Anastasio Bibliothecarius e lingua Graeca in Latinam conversa, Octobris tomus IV, 1866, pp.87-89;
55) Acta Sanctorum, Passio altera, auctore anonymo E bibliothecae Vaticanae codex 821 interprete Cornelyo Byeo, Octobris tomus IV, 1866, pp.90-95.;
56) Bakirtzis, 1995, Le culte. – Bakirtzis, Charalambos, Le culte de Saint Démétrius, in: *Akten des XII. internationalen Kongresses für christliche Archäologie*, Munster, 1995, pp. 58-68.
57) Barišić, 1953, Ćuda Dimitrija Solunskogkao. – Fr. Barišić, Ćuda Dimitrija Solunskogkao Istoriski Izvori, Belgrade (Srpska Akademija Nauka CCXIX), 1953.
58) Barnes, 1982, The New Empire. – Timothy Barnes, The New Empire of Diocletian and Constantine (Cambridge, MA: Harvard University Press, 1982).
59) Bently, 1895, Restless Bones. – Bently, James, Restless Bones: The Story of Relics, London, 1985.
60) BHG - Bibliotheka Hagiographica Graeca, par Francois Halkin, Bruxelles, 1957.
61) Blake, 1933-1934, Catalogue des manuscrits au Mont Athos. – Blake, Robert, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos. in: Revue de L'Orient Chretien, vol. XXIX, 1933-1934, № 1-2, Paris.
62) Brown, 1982, Society. – Brown, Peter, Society and the Holy in Late Antiquity. Berkeley: University of California Press, 1982.
63) Campbell, 1922, The Influence of the Second Sophistic – J. M. Campbell, The Influence of the Second Sophistic on the Style of the Sermons of St. Basil the Great, (Dissert.), Catholic University of America, Washington D.C., 1922.
64) Chadwick, 1966, Early Christian. – Chadwick, H., Early Christian Thought and the Classical Tradition, NY, 1966.
65) Daley, 1998, On the Dormition of Mary. – Daley, Brian, On the Dormition of Mary: Early Patristic Homilies, New York, 1998.
66) Diehl, Le Tourneau, Saladin, 1918. – Charles Diehl, Marcel Le Tourneau, and Henri Saladin, in: Les monuments chrétiens de Salonique, Paris, 1918.
67) Delehaye, 1909, Les légendes grecques – Hyppolitus Delehaye, Les légendes grecques des saintes militaires. Paris : Picard, 1909.
68) Delehaye, 1921, Cyprien d'Antioche et Cyprien de Carthage. – Hyppolytus Delehaye, Cyprien d'Antioche et Cyprien de Carthage, dans: *Analecta Bollandiana*, t. 39, Societe des Bollandites, 1921

69) Delehae, 1907, Saints de Chypre. – Hyppolytus Delehae, Saints de Chypre, dans: *Analecta Bollandiana*, vol.26, (1907
70) Ditten, 1983, Prominente Slawen. – Ditten, H., Prominente Slawen und Bulgaren in Byzantinischen Diensten (Ende des 7. bis Anfang des 10. Jahrhunderts). in: *Studien zum 8. und 9. Jh. in Byzanz,* Berlin, 1983.
71) Demoen, 1996, Pagan and Biblical Exempla in Gregory Nazianzen. – K. Demoen, Pagan and Biblical Exempla in Gregory Nazianzen (A Study in Rhetoric and Hermeneutics), in *Corpus Christianorum, Lingua Patrum* II, Turnholti, 1996.
72) Frend, 1993, Martyrdom in East and West. – W. H. C. Frend, Martyrdom in East and West: The Saga of St. George of Nabatia and England, in: Diana Wood, ed*., Martyrs and Martyrologies*, Studies in Church History 30; Oxford, 1993, p. 50.
73) Garitte, 1956, Catalogue. – Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï par Gérard Garitte, Louvain, 1956.
74) Grabar, 1946, Martyrium. – Grabar, André, Martyrium: Recherches sur le culte des reliques et l'art chretien antique. 2 vols., Paris, 1946.
75) Gregory the Refendarios, 1884. – Gregory the Refendarios, ♐☜♑🙵⬧❖❍♓□■ ♏♓♐✂ ⧫□✉■ ♋❀♑♓□■ ❍♏♑♋●□❍♋❖❒⧫ ◆❒♋ ☟♒❍♒❖⧫❒♓□■, in: Th.Ioannou, ed. 💣■♒❍♏♓🕯♋ ♋☺♑♓□●□♑♓🙵♋❖. Venice: n.p., 1884, pp. 54-66.
76) Guillou, 1973, L'Évêque dans la société méditerranéene – Andre Guillou, L'Évêque dans la société méditerranéene des Vie-VIIe siècles, in: *Bibliothèque de l'École des Chartes* 131, 1973.
77) Guinet, 1911, Saint Gregoire de Nazianze et la rhetorique. – Guinet, M., Saint Gregoire de Nazianze et la rhetorique, Paris, 1911
78) Haussig, 1971, A History of Byzantine Civilization. – H. W. Haussig, A History of Byzantine Civilization. Transl. by J. B. Hussey, NY, Washington, 1971
79) Hébert, 1992, Hesychasm, Word-Weaving, and Slavic Hagioghraphy. – Hébert, M., Hesychasm, Word-Weaving, and Slavic Hagioghraphy: The Literary School of Patriarch Euthymius, Munchen, 1992.
80) Heffernan, 1988, Sacred Biography. – Heffernan, Th. J., Sacred Biography – Saints and Their Biographers in the Middle Ages, NY, Oxford, 1988.
81) Hoddinott, 1963, Early Byzantine Churches. – Hoddinott, R. F., Early Byzantine Churches in Macedonia and Southern Serbia. London, 1963.
82) Hogel, The Redaction of Symeon Metaphrastes. – Hogel, Christian, The Redaction of Symeon Metaphrastes: Literary Aspects of the Metaphrastic Martyria, in: *Metaphrasis: Redaction abd Audiences in Middle Byzantine Hagiography*, ed. Ch. Hogel, pp. 7-22.
83) Jaeger, 1961, Early Christianity. – Jaeger, W., Early Christianity and Greek Paideia, Cambridge, Mass.1961.
84) Jenkins, R. J. H., The Hellenistic Origins of Byzantine Literature, Dumbarton Oaks Papers, 17, Washington, 1963.
85) Jenkins, 1954, The Classical Background. – Jenkins R. J .H., The Classical Background of the Scriptores post Theophanem, *DOP*, 8, 1954, p. 13-30.
86) Jenkinson, 1967, An Introduction to Latin Biography. – Jenkinson, E., An Introduction to Latin Biography, in T. A. Dorey, ed. *Latin Biography*, London, 1967
87) Jeffernan, 1988, Sacred Biography – Jeffernan T. J., Sacred Biography – Saints and their Biographers in the Middle Ages, New York, Oxford, 1988.
88) Kazhdan, 1978, Some questions. – A. P. Kazhdan, Some questions addressed to those scholars who believe in the authencity of Kaminiates "Capture of Thessalonika", in: Byz. Zeitschr. 71, 1978.
89) Kekelidze, Peeters, 1926, La Passion géorgienne. – Kekelidze, K., Peeters, P., La Passion géorgienne des SS. Théodore, Julien, Eubulus, Malcamon et Salamanes, in: Analecta Bollandiana, t. XLIV, fasc. 1 et 2, Bruxelles, 1926.

90) Kennedy, 1984, New Testament Interpretation. – G. Kennedy, New Testament Interpretation Through Rhetorical Criticism, The University of North Carolina Press, Chapel Hill and London, 1984.
91) Koder, 1986, Anmerkungen. – Koder, Johannes, Anmerkungen zu den Miracula Sancti Demetrii; in: Nia Stratos, ed. Byzantium: Tribute to Andreas N. Stratos, vol. 2, Athens, 1986.
92) Kustas, 1970, The Function and Evolution. – Kustas, G.L., The Function and Evolution of Byzantine Rhetoric, in *Viator (Medieval and Renaissance Studies),* Berkley, LA, London, 1970, vol. I.
93) Laurent, 1992, Sur la date. – Joseph Laurent, Sur la date de églises Saint-Démétrius et Saint-Sophie à Thessalonique, in: *Byzantinische Zeitschrift*, 4, 1895
94) Lawson, 1910, Modern Greek Folklore and Ancient Greek Religion. – John C. Lawson, Modern Greek Folklore and Ancient Greek Religion: A Study in Survivals. Cambridge, 1910.
95) Lemerle I. – Lemerle, Paul, Les plus anciens recueils des miracles de saint Démétrius, vol. I : le Texte, Paris, 1979.
96) Lemerle, 1981, Commentaire. – Lemerle, Paul, Les plus anciens recueils des miracles de saint Démétrius, vol. II : le Texte, Paris, 1979.
97) Lemerle, 1953, Saint Démétrius de Thessalonique. – Lemerle, Paul, Saint Démétrius de Thessalonique et les problèmes du martyrion et du transcept, in: *Bulletin de correspondence hellénique* 77, 1953, pp. 660-694.
98) Liebeschuetz, 1992, The End of the Ancient City. – Wolfgang Liebeschuetz, The End of the Ancient City, in: John Rich, ed., The City in Late Antiquity, London, 1992.
99) Lucius, 1904, Die Anfänge des Heiligenkults in der christlichen Kirche. – Lucius, Ernst, Die Anfänge des Heiligenkults in der christlichen Kirche, Tübingen, 1904.
100) McGuire, M.R.P., The Early Christian Funeral Oration, introduction for "Funeral Orations by Saint Gregory Nazianzen and Saint Ambrose", New York, 1953, p. VII-XXI
101) Martyrdom of Agape, Irene and Chione, 1972. – Martyrdom of Agape, Irene and Chione, in: Herbert Musurillo, ed., Acts of the Christian Martyrs, Oxford, Clarendon, 1972.
102) Macrides, 1990, Subversion and Loyalty. – Macrides, Ruth J., Subversion and Loyalty in the Cult of St. Demetrios, in: *Byzantinoslavica* 51, 1990.
103) McGuir, 1953, The Early Christian Funeral Oration. – Martin R.P. McGuir, The Early Christian Funeral Oration, introduction for “Funeral Orations by Saint Gregory Nazianzen and Saint Ambrose”, NY, 1953.
104) 💣♏❖■♦⌘□✂📪 1994, ❄□📼 □□□⬧🙰◆❖■♏❍♋📭 – 💣♏❖■♦⌘□✂📪 ☺📁📭 ✌📭📪 ❄□📼 □□□⬧🙰◆❖■♏❍♋ ♦□◆ 🕯 ☺✌♑♓❖□◆ 👎♒❍♒♦❒♓❖□◆ ✈♏⬧⬧♋●□■♓❖🙰♒✂ ⬧♦♋📼 ♌◆⌘♋■♦♓ ■♋📼 ♍❒□❖■♓♋📪 🖳✌❒♒❖■♋📪 1994.
105) Metreveli, 1998, Introduction. – Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, Orationes I XLV, XLIV, XLI, H.Metreveli (ed.) et K. Bezarashvili, etc. (in *Corpus Christianorum, Seriies Graeca 36, Corpus Nazianzenum 5),* Turnhout, 1998.
106) 💣□♋🙰♓□♦⌘♒✂📪 1997, ☺📌 ❍◆□□♌●♒⬧♓❖♋ ♦□◆🕯 ☺✌♑♓❖□◆ 👎♒❍♒♦❒♓❖□◆. – 💣□♋🙰♓□♦⌘♒✂📪 👍♋□♋●♋❍□□✂, ☺📌 ❍◆□□♌●♒⬧♓❖♋ ♦□◆🕯 ☺✌♑♓❖□◆ 👎♒❍♒♦❒♓❖□◆📪 in: ☺✌♑♓❖□◆ 👎♒❍♒♦❒♓❖□◆ ✈♋◆❖❍♋♦♋📪 ☺📁 ✍♓❖□✂📪 ♦♋📼 ❑♋◆❖❍♋♦♋ 🙰♋♓📼 ♒☺ ✈♏⬧⬧♋●□■♓❖■♒ ♦□◆🕯 ☺ ✌♑♓❖□◆ 👎♒❍♒♦❒♓❖□◆📪 ☜♓🖳⬧♋♑⬧♑♒❖📪 ♠♍□❖●♓♋📪 🖳☜□♓❍♏❖●♏♓♋ 👍♋□♋●♋❍□□✂ 💣□♋🙰♓□♦⌘♒✂📪 💣♏♦♋❖🗡□♋⬧♒ ✌●□♒ ♠♓♎♏□♒📪 ✈♏⬧⬧♋●□■♓❖■♒📪 1997.

107) Laudatio a. Nicolao Cabasila, 1884 - Laudatio a. Nicolao Cabasila, in: Th. Ioannou, ed. 💣■♒❍♏♓♎♋ ♋☺♑♓□●□♑♓♐♋❖. Venice,1884, pp. 67-114.

108) Obolensky, 1974, The Cult of t. Demetrios of Thessaloniki. – Obolensky, Dimitri, The Cult of t. Demetrios of Thessaloniki in the History of Byzantine-Slav Relations, in: *Balkan Studies*, 15, 1974.

109) The Oxford Dictionary, 1957. – The Oxford Dictionary of the Christian Church, ed. F.L.Cross, London, 1957.

110) Philippidis-Braat, ed., 1981, L'Enkômion de saint Démétrius. – Philippidis-Braat, A., ed., L'Enkômion de saint Démétrius par Jean de Thessalonique, in: Travaux et mémoires 8, 1981, pp. 289-526.

111) Popovic, 1987, Die Völker Südosteuropos. – Popovic, Vladislav, Die Völker Südosteuropos im 6 bis 8 Jahr, in: Südosteuropa-Jarhbuch 17, 1987.

112) Popovic, 1969, Sirmium: Ville impériale. – Popovic, Vladislav, Sirmium: Ville impériale, in: *Akten des VII internationalen Kongresses für christlische Archäologie,* vol. I, Rome, 1969, pp.668-675.

113) Renehan, R., Classical Greek Quotations in the New Testament, in *The Heritage of the Early Church, Essays in Honor of ... G.V.Florovsky,* Rome, 1973 *(Orientalia Christiana Analecta,* CXCV*)*, pp.17-46.

114) Rosenquist, Changing Styles and Changing Mentalities. – Rosenquist, Jan Olaf, Changing Styles and Changing Mentalities: The Secondary Versions of the Life of St. Philaretos the Merciful, pp. 42-58.

115) Saxe, 1992, Demetrios the Martyr. – Saxe, Victor, Demetrios the Martyr, in: Angelo Di Bernardino, ed. *Encyclopedia of Early Church*, 2 vols., Cambridge, 1992, 1, p. 225.

116) Ševčenko, 1975, Hagiography of the Iconoclastic Period. – I. Ševčenko, Hagiography of the Iconoclastic Period, Iconoclasm, 1-42, Papers given at the 9th Spring Symposium of Byzantine Studies (University of Birmigham), 1975; reprinted in Ideology, Letters and Culture as article 5.

117) Somers, 1997, Histoire des collections completes. – Somers, V., Histoire des collections completes des Discours de Gregoire de Nazianze, Louvain-la-Neuve, 1997.

118) Speck, 1994, Nochmals zu den Miracula. – Speck, Paul, Nochmals zu den Miracula Sancti Demetrii, in: Varia 5, 🏱□♓♐♓❖●♋ ✌◆⌘♋■⧫♓■♋❖ 13, 1994, pp. 317-429.

119) Speck, 1993, De Miraculis. – Speck, Paul, De Miraculis Sancti Demetrii qui Thessalonicam profugus venit, in: Varia 4, 🏱□♓♐♓❖●♋ ✌◆⌘♋■⧫♓■♋❖ 12, 1993, pp. 255-532.

120) Sutherland, 1976, The Imperial Roman Coinage. – C.H.V. Sutherland, The Imperial Roman Coinage, 6, 1976.

121) Tarfali, 1909, Sur la date. – Orestes Tarfali, "Sur la date de l'église et des mosaïques de saint-Démétrius de Salonique, in: Revue archéologique, 4th ser., 13, 1909

122) Texier, Pullan, 1864, Byzantine Architecture. – Charles Texier and Richard P.Pullan, Byzantune Architecture, London, 1864, pp.123-130.

123) ✈♏□♍♋□♓♎♏✂📭 1976, ⧫♓❖□❍♓□■ ♒☸ ✈♏⬧⬧♋●□■♓❖♐♒✂. – ✈♏□♍♋□♓♎♏✂📭 1976, ⧫♓❖□❍♓□■ ♒☸ ✈♏⬧⬧♋●□■♓❖♐♒✂📭 ✍☜□♋❖♏⌧♏❖⧫♋⬧♓✂ ❍♓♎♋✂ ♐□♓⧫♓♐♒♎✂ ♏✍⌧♏⧫♋❖⬧♏⬥✂ ⧫♒♎✂ □♏□♓📧 ♋☺♑♓❖□◆ ☟♒❍♒⧫□♓❖□◆ □♋□♋♎□❖⬧♏⬥✂📭 in: 💣♋♐♏♎□■♓♐♋❖ 16, 1976. pp. 269-306.

124) Usener, 1898, Göttliche Synonime. – Hermann Usener, "Göttliche Synonime, in: Rheinisches Museum für Philologie 53, 1898

125) Vickers, 1974, Sirmium or Thessaloniki. – Vickers, Michael, Sirmium or Thessaloniki? A Critical Examination of the St. Demetrios Legend. in: *Byzantinische Zeitschrift* 67, 1974, pp. 337-350.

126) Vickers, 1972, Hellenistic Thessaloniki. – Vickers, Michael, Hellenistic Thessaloniki, in: *Journal of Hellenistic Studies* 92, 1972.

127) Vryonis, 1981, The Panegyris of the Byzantine Saint. – Vryonis, Speros, The Panegyris of the Byzantine Saint: a study in the nature of a medieval institution, its origins and fate, in: *The Byzantine Saint*, University of Birminham 14th Spring Symposium of Byzantine Studies, Sergei Hackel, ed., 1981, pp. 196-226.

128) Walter, 1973, The Myroblytos of Thessalonika. – Walter, Christopher, St. Demetrius: The Myroblytos of Thessalonika, in: *Eastern Churches Review* 5, 1973, pp. 157-178.

129) Weitzman, K., A Shadow Outline of Virtue: The Classical Heritage of Greek Christian Literature (Second to Seventh Century), in *Age of Spirituality: a Symposium.* (ed.K.Weitzman), NY, 1980.

130) Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, 42Orationes XV, XXIV, XIX, H.Metreveli (ed.) et K.Bezarashvili, etc. (in *Corpus Christianorum, Seriies Graeca 42, Corpus Nazianzenum 9, Versio Iberica II),* Turnhout, 2000, pp. 64-153. - Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, 42Orationes XV, XXIV, XIX, H.Metreveli (ed.) et K.Bezarashvili, etc. (in *Corpus Christianorum, Seriies Graeca 42, Corpus Nazianzenum 9, Versio Iberica II),* Turnhout, 2000, pp. 64-153.

131) Zeiller, 1918, Les origins chrétiennes. – Jacques Zeiller, Les origins chrétiennes dans les provinces danubiennes de l'Empire romain, Paris, 1918.